

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



გრიგოლ კიკნაძე - 100

ნ ა პ ო კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა
დეღფოს სამისნო და სოკრატეს დემონი

ბუნების შემეცნებიდან ადამიანის თვითშემეცნებისაკენ შემობრუნებას (რაც სოკრატემ განახორციელა) წანამძღვრებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ორი გარემოება: 1) ტოტემისტურ-ზოომორფული რელიგიიდან პოლიტეისურ-ანთროპომორფულ რელიგიაზე გადასვლა და 2) ეპოსიდან ლირიკასა და ტრაგედიაზე გადასვლა (ამ უკანასკნელ თვალსაზრისს იცავს ბერძნული ფილოსოფიის ცნობილი ისტორიკოსი ს. დანელია).

ბერძნულ პოლითეიზმში ღმერთები ადამიანის ხატად და მსგავსად არიან წარმოდგენილნი. ეს იყო უდიდესი ნახტომი ადამიანის თვითშემეცნების განვითარების გზაზე, რაც, უთუოდ, კოსმოლოგიიდან ანთროპოლოგიაზე გადასვლის აუცილებლობას მოასწავებდა.

ჯერ სოფისტმა პროტაგორამ, ხოლო შემდგომ სოფინატემ წამოაყენეს ანთროპოლოგიური პრინციპი: “ადამიანია საგანთა საზომი”. კანონები, რომლებიც ღვთაებრივი წარმოშობისად (ღვთაების მიერ დადგენილად) მიაჩნდათ, თურმე ადამიანთა შეთანხმების (კონვენციის) შედეგი ყოფილა. ისინი ადამიანის გონების გამონაგონია და, აქედან გამომდინარე, “ადამიანური და ერთობ ადამიანური”. სოკრატე უფრო შორს წავიდა და ღმერთები ჩვენი გონების მიერ შემუშავებულ ცნებებად გამოაცხადა. ამით მან დიდი დარტყმა მიაყენა ბერძენთა პოლითეისტურ ცნობიერებას. აკი, ამის გამო სოკრატე სიკვდილით დასაჯეს კიდეც. სოკრატეს “დაიმონი” სხვა არა იყო რა, თუ არა თვითონ სოკრატეს გონება, დეღფოს სამისნოს გადმოტანა ადამიანის აზროვნებაში. მან დეღფოს ცნობილი მოწოდება - “შეიცან თავი შენი!” ფილოსოფიურ-რაციონალური აზროვნების პრინციპად აქცია.

ლ ე რ ი მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი
სილოგიზმების არითმეტიკული ინტერპრეტაცია ლაიბნიცთან.
ფილოსოფიური მოტივები

ლაიბნიცი იკვლევდა კატეგორიული სილოგიზმების არისტოტელესეული თეორიის არითმეტიკული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ის ეყრდნობოდა ზოგადი ტერმინების მნიშვნელობების იმ დროს უკვე ცნობილ *ინტენსიონალურ გაგებას*: ყოველი ტერმინის შინაარსი წარმოადგენს გარკვეული მარტივი ცნებების კომპოზიციას (კონიუნქციას) და ვარაუდობდა, რომ შესაძლებელია მარტივ ცნებებს ერთი ერთზე შევუსაბამოთ მარტივი რიცხვები, ეს შესაბამისობა გავავრცელოთ ყველა ცნებაზე (მივიღებთ ცნებათა მახასიათებელ რიცხვებს), მარტივი კატეგორიული წინადადებები გავიგოთ, როგორც მასში შემავალი ცნებების (ე.ი. სუბიექტისა და პრედიკატის) მახასიათებელ რიცხვებს შორის რომელიღაც არითმეტიკული მიმართების არსებობის მტკიცება. მან იპოვა ასეთი მიმართება ზოგადდადებითი წინადადებისათვის: ვთქვათ, s და p არის S და P ცნებების მახასიათებელი რიცხვები, ამ შემთხვევაში SaP ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც s უნაშთოდ იყოფა p -ზე (ამ პირობის უარყოფა იძლევა კერძობითუარყოფითი წინადადების ინტერპრეტაციას). ლაიბნიცმა ვერ შესძლო ჭეშმარიტების ანალოგიური პირობების პოვნა კერძობითდადებითი და ზოგადუარყოფითი წინადადებებისთვის.

და აი, 1679 წლის აპრილით დათარიღებული ლოგიკური ჩანაწერების ერთ ნაწილში მოცემულია კატეგორიული სილოგიზმების, ერთი შეხედვით, უცნაური ინტერპრეტაცია რიცხვებით. მასში ტერმინები აღნიშნავენ ნატურალური ურთიერთმარტივი რიცხვების წყვილებს, მაგალითად (8,15), (20,9) და ა.შ., ხოლო თვითონ წინადადებები გაგებულია, როგორც სულ სხვა ხასიათის არითმეტიკული მტკიცებები, მაგალითად, ზოგადდადებითი “ყველა (k, l) არის (m, n)” ნიშნავს, რომ k იყოფა უნაშთოდ m -ზე, ხოლო $l - n$ -ზე. სილოგიზმების თეორია, როგორც ის გადმოცემულია არისტოტელეს “პირველ ანალიტიკაში”, არ არის ცალსახად წაკითხვადი – შესაძლებელია და არსებობს კიდევაც მისი სხვადასხვაგვარი ფორმალური რეკონსტრუქცია. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნის ი. ლუკასევიჩს. აღმოჩნდა, რომ ლაიბნიცისეულ არითმეტიკულ ინტერპრეტაციაში მართებული დებულებები (კანონები) ზუსტად ემთხვევა ლუკასევიჩის სისტემის კანონებს.

ლუკასევიჩისეულის გარდა, არსებობს ფორმალური სილოგისტიკის სხვა სისტემებიც, მოხსენების მიზანია ლაიბნიცისეულ სტილში მათი რიცხვითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გამოკვლევა. ძალიან მალე მივხვდით, რომ აუცილებელი იყო, უფრო ადრე გამეგო, როგორი ფილოსოფიური და სემანტიკური იდეებით ხელმძღვანელობდა ლაიბნიცი. ჩანდა, რომ ის, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ეყრდნობოდა ზოგად ტერმინთა მნიშვნელობის რაღაც უცნობ თეორიას, საიდანაც გადავიდა თავის ახალ არითმეტიკულ ინტერპრეტაციაზე. მოხსენებაში ჰიპოთეზის სახით აღწერილი იქნება ეს თეორია, მოტანილი იქნება ამ ჰიპოთეზური თეორიის გამამყარებელი არგუმენტები.

აკაკი ყულიჯანიშვილი **სამართალი და მორალი სოციოკულტურულ სისტემებში**

ცნობილია სამართლის და მორალის თანაფარდობის ორი შეხედულება. ერთი თვალსაზრისით, სამართალი არის „იურიდიულად გაფორმებული მორალი“ სამართლის ნორმებში ყველაფერი არაა ასახულია, მაგრამ მოცემულია სოციალურად მნიშვნელოვანი მორალური ნორმები. როგორც ამბობენ, „სამართალი არის „ქვედა ზღვარი,“ ანუ “ზნეობის მინიმუმი“. იგულისხმება, რომ სამართლის ნორმებსა და მორალის ნორმებს შორის არ უნდა იყოს წინააღმდეგობა, მაგრამ მორალური სივრცე უფრო ფართოა, ვიდრე სამართლებრივი, ყველაფერი, რაც დაგმობილია საზოგადოებრივი აზრით, როგორც ამორალური ქმედება, არის ქცევა, რომელიც არღვევს სამართლებრივ ნორმებს და ისჯება შესაფერისი იურიდიული სანქციებით. ადამიანის მიმართ წაყენებული ეთიკური მოთხოვნები მნიშვნელოვნად მაღლა დგას, ვიდრე იურიდიული. მორალი ორიენტირებულია ზნეობრივ იდეალებზე, სამართალი კი - მათი განხორციელების ზოგიერთ დონეზე. მორალი გმობს უწყობის, უპატიოსნების, ცილისწამების ნებისმიერ ფორმას. სამართალი კრძალავს ამ ქმედებების მხოლოდ ყველაზე მძიმე, სოციალურად საშიშ გამოვლინებას. „ზნეობრივი კანონების ავტორიტეტი უსასრულოდ მაღალია“. სხვა განსხვავებული შეხედულების თანახმად, სამართლისა და ზნეობის ურთიერთქმედება შეგვიძლია გამოვსახოთ ერთმანეთის გადამკვეთი ორი წრეხაზით: მათ აქვს საერთო ნაწილი, სადაც ზნეობის ნორმები ეთანხმება სამართლის ნორმებს, მაგრამ, გარდა ამისა, არის ზნეობის ნორმების სფერო,

რომელიც ვერ პოულობს ასახვას იურიდიულ კანონებში და სამართლებრივი ნორმების სფერო, რომელსაც არ აქვს არც მორალური და არც ამორალური შინაარსი.

მ ა მ უ კ ა ბ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი
**ამერიკული პროტესტანტიზმის ერთი რელიგიურ-
მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის შესახებ**

ამერიკის შეეთებული შტატების პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურის ცნობილი მკვლევარი, ალექსის დე ტოკვილი, ამ ქვეყნის მცხოვრებლების რელიგიური მრწამსის მიმოხილვისას შენიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უყოყმანოდ უნდა ჩაითვალოს ქრისტიანულ ქვეყნად. ჩვენში ფართოდ გავრცელებული შეხედულებები ამ ქვეყნის შესახებ, როგორც წესი, ყურადღებას მიაპყრობს მისი სახელმწიფოებრივი წყობის სიმყარეს, სიმდიდრესა და სამხედრო ძლიერებას. ამერიკული კულტურის (რომელიც ჩვეულებრივ გაიგება მასკულტურად), ურყევ სიმბოლოებადაა წარმოდგენილი ჯინსები, “მალბორო” და სალექი რეზინი. ამერიკული ცხოვრების წესისათვის განმსაზღვრელ ფაქტორად ითვლება დაუოკებელი სწრაფვა სიმდიდრისა და მომხვეჭელობისადმი, რაც, სხვათა შორის, თავის დროზე, ტოკვილმაც ცხადად დააფიქსირა და არც თავად ამერიკელებს დაუმაღავთ არასდროს. მათ თვალში, ვინც დიდ სიმპათიას არ გრძნობს ამ ქვეყნის მიმართ, ეს უკანასკნელი ფაქტორი “სულიერების დეფიციტის” ან ფარული თუ აშკარა ათეიზმის უტყუარი საბუთია.

მიუხედავად შემოთავაზებული დახასიათებისა (საზღვრების გახსნის შემდეგ ქართველების წარმოდგენა მნიშვნელოვნად შეიცვალა), ფაქტია, რომ, ვთქვათ, 2001 წლის მონაცემებით ქრისტიანების რაოდენობა აშშ-ში აღემატებოდა 76%, მაშინ როდესაც ათეისტად ან აგნოსტიკოსად თავი დაასახელა, შესაბამისად, 4% და 5%-მა (www.adherents.com/re1_usa). თავად ქრისტიანებს შორის გასულ საუკუნეში ირლანდიელებისა და იტალიელების მასობრივმა მიგრაციამ შტატებში კათოლიკეების რაოდენობის ზრდა გამოიწვია, თუმცა ეს ინგლისურენოვანი ქვეყანა პროტესტანტების დაარსებულაა, რომელთა რაოდენობა თავიდან აშკარად დომინანტური იყო სხვა კონფესიებთან შედარებით. დომინანტობა გამოიხატა არა მხოლოდ მოსახლეთა რაოდენობაში, არამედ მის სპეციფიკურ რელიგიურ-მსოფლმხედველობითი ხასიათის

თვალსაზრისში, რომლის კვალსაც იოლად მივაგნებთ როგორც “დამფუძნებელი მამების” შეხედულებებში, ასევე და, რამდენადმე პარადოქსულად, ზემოთ აღწერილი სიმდიდრისა და წარმატებული ცხოვრების ტრფიალში.

ამერიკის პირველმოსახლეთა შორის, რომელთაც ზოგი ჰუგენოტების, ზოგიც პურიტანების სახელით მოიხსენიებს, უმეტესწილად გავრცელებული იყო პროტესტანტიზმის ის ნაირსახეობა, რომელიც კალვინის სახელს უკავშირდება. ეს კარგად ჩანს ამერიკულ ტრადიციაში დაესესხონ ადამიანების სახელებს ძველი აღთქმიდან, რაც პრიორიტეტულია კალვინისათვის. კალვინიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ადამიანის ბედის წინასწარგანსაზღვრულობას შეეხება. მიუხედავად ზოგადად პროტესტანტებისათვის მსგავსი პოზიციისა, კალვინი ამ წინასწარგანსაზღვრულობას მაინც ცალსახად აფიქსირებდა. მაგრამ რაც ცნობილია ღმერთისათვის, უცნობია ადამიანისათვის. ერთადერთი გზა იმის გასაგებად, თუ ვინ მოხვდება მარადიულ სასუფეველში, ზნეობრივი ცხოვრების გარდა, არის თავდადებული შრომა ამქვეყნად და მის შედეგად მიღწეული წარმატება.

მ ა ი ა ქ ე რ ქ ა ძ ე

ისტორიული და ინდუქციური მეთოდები

სოციალურ ანთროპოლოგიაში (ა. რ. რედკლიფ-ბრაუნი)

რედკლიფ-ბრაუნის აზრით, ცნებებს “ეთნოლოგია” და “სოციალური (ანუ კულტურული) ანთროპოლოგია” დღემდე იყენებდნენ ისე, რომ არ ახდენდნენ რაიმე მუდმივ განსხვავებას კულტურის, ანუ ცივილიზაციის კვლევის თვალსაზრისით. იგი იყენებს კულტურის ტეილორის მიერ ჩამოყალიბებულ ცნებას, რომელიც კრებითი ხასიათისაა და მასში იგულისხმება რთული მოვლენა (მთელი), რომელიც თავის თავში მოიცავს ცოდნას, რწმენას, ხელოვნებას, ზნეობრივ ნორმებს, ადათებს, ყოველგვარ სხვა უნარსა და ჩვევას, რომელთაც ადამიანი იძენს, როგორც საზოგადოების წევრი. თუ კვლევის საგანი ამგვარად იქნება განსაზღვრული, მაშინ ჩვენ წინაშე დადგება პრობლემა: რა მეთოდით უნდა შევისწავლოთ კულტურის ფაქტები, ახსნის რა მეთოდები უნდა მივუყენოთ მათ პირველი მეთოდი, რომელსაც იგი ისტორიულ მეთოდს უწოდებს,

ხსნის კონკრეტულ ინსტიტუტს ან ინსტიტუტების კომპლექსს იმ წესით, რომ იკვლევს მის წარმოშობასა და განვითარების ეტაპებს და, შეძლებისდაგვარად, ავლენს კონკრეტულ მოვლენებს, ანუ მოვლენებს, რომლებმაც გამოიწვიეს მათში მიმდინარე თითოეული ცვლილება. მაგალითად მას მოჰყავს წარმომადგენლობითი ხელისუფლების ინსტიტუტი ინგლისში: ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ მისი ისტორია და აღვნიშნოთ ის ცვლილებები, რომლებიც მასში ხდებოდა მისი წარმოშობის მომენტიდან დღევანდელ დღემდე.

კულტურის ისტორიული შესწავლა გვადლევს მხოლოდ მოვლენებისა და მათი წესრიგის თანმიმდევრობის ცოდნას. როგორც რედკლიფ-ბრაუნი ასაბუთებს, არის აგრეთვე კვლევის სხვა ტიპი, რომელსაც იგი “ინდუქციურს” უწოდებს. რადგან თავისი მიზნებით და მეთოდებით ჰგავს საბუნებისმეტყველო, ანუ ინდუქციურ მეცნიერებებს. ინდუქციური მეთოდი ახდენს იმის პოსტულირებას, რომ ყველა მოვლენა ექვემდებარება ბუნებრივ კანონს. განსაზღვრული ლოგიკური პროცედურების მეშვეობით შესაძლებელია აღმოვაჩინოთ და დავასაბუთოთ ზოგადი კანონები. თითოეული ამ მტკიცებათაგანი მიეკუთვნება ფაქტებისა და მოვლენების განსაზღვრულ თანრიგს. ინდუქციის არსი, რედკლიფ-ბრაუნის მიხედვით, განზოგადების პროცესშია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ცალკეული ფაქტი აიხსნება, როგორც ზოგადი წესის კერძო შემთხვევა. “ვაშლის ხიდან ჩამოვარდნა და დედამიწის მზის გარშემო მოძრაობა ჩანს, როგორც გრავიტაციის კანონის კერძო გამოვლინებანი”. ინდუქციური მეთოდი დაეუფლა ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგს და მეცნიერული აზროვნებისა და კვლევის გაბატონებულ მეთოდად იქცა. რედკლიფ-ბრაუნი გამოთქვამს იმედს, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება ამ მეთოდების გამოყენება კულტურის, ანუ ცივილიზაციების მოვლენების მიმართ, რომლებშიც იგი მოიაზრებს სამართალს, მორალს, ხელოვნებას, ენასა და ყოველგვარ სოციალურ ინსტიტუტს.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა ზ ა ქ ა რ ი ა მ ე

უილიამ ჯემსის ეთიკური პრაგმატიზმი - მონიზმისა და პანრაციონალიზმის გადალახვის ამერიკული ცდა

მოხსენებაში განხილული იქნება მონისტურ პრინციპზე აგებული ფილოსოფიური კონცეფციების საწინააღმდეგო არგუმენტები, კერძოდ:

ჯემსი იმ მცირერიცხოვან ფილოსოფოსებს განეკუთვნება, რომელთაც მთელი სისავსით შეძლეს ეჩვენებინათ იდეოლოგიური აბსოლუტიზმის დამანგრეველი ძალა და ავტორიტარიზმის საფრთხეები.

ჯემსის პრაგმატული ეთიკა პლურალისტულ მოდელზეა დაფუძნებული. აქ განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კონფლიქტური მორალური ღირებულებების პრობლემის გადაწყვეტას. ჯემსი ცდილობს ამოხსნას ე.წ. ეთიკური დილემა, მონახოს პასუხი შეკითხვაზე: როგორ დავალაგოთ კონტრასტული იდეალები და გავაკეთოთ მათ შორის არჩევანი? თხზულებებში „ზნეობრივი ცხოვრება და ფილოსოფოსი“ (1891) და „რწმენის ნება“ (1897) ჯემსი ანალიზებს ეთიკურ ღირებულებათა საკითხს. იგი ხაზს უსვამს, რომ ეთიკური საკითხების გადაწყვეტა გრძნობადი ცდის ფარგლებში შეუძლებელია. ეთიკური კითხვა არ ისმის არსებულის თაობაზე, იგი შესაძლებელია დაისვას სიკეთის, კეთილდღეობის მიმართ. მაგრამ ასეთი რამ არ არსებობს და ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ რჩევისათვის „გულის ლოგიკას“. ამ სიბრტყეზე ტრიალებს შემდეგი შეკითხვები: როგორია ცხოვრების საზრისი და არსებობს კი იგი საერთოდ? რას ნიშნავს თავისუფლება? არსებობს თუ არა სამყაროს მმართველი გონიერი ძალა? ჯემსს მიაჩნია, რომ ამ შეკითხვების თეორიული გადაწყვეტა შეუძლებელია. ისინი მოითხოვენ პრაგმატულ არჩევანს. ფაქტი თავისთავად არც კარგია, არც ცუდი. „კარგ ცხოვრებას“, როგორც ცნებას, ფიზიკური საზრისი არ აქვს. სიკეთე და ბოროტება არსებობენ მხოლოდ ინდივიდის მიერ მოვლენათა მდინარების დადებითი ან უარყოფითი შეფასებიდან გამომდინარე. იმპულსებისა და მოთხოვნილებების ურიცხვი რაოდენობა კონტრასტული ღირებულებების უნივერსუმს წარმოშობს. ჯემსი სვამს კითხვას - როგორ უნდა მოხდეს მათი უნიფიცირება? მას მიაჩნია, რომ უპირატესობა უნდა მიეცეთ იმ ღირებულებებს, რომელნიც რეალიზაციისას ნაკლები რაოდენობით იქვემდებარებენ სხვა ღირებულებებს და ამით პლურალისტური

უნივერსუმის მრავალფეროვნებას ინარჩუნებენ. უნივერსუმში არაფერია გარანტირებული. აქ არსებობს ერთადერთი რეგულატორი - მორალური ნება.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი კომპიუტერთან მჯდომი სოკრატე

სოკრატე იყო ინტელექტუალისა და საზოგადოების, ინტელექტუალისა და ძალაუფლების ურთიერთდამოკიდებულების პირველი ისტორიული მაგალითი. სოკრატემ შექმნა ამ ურთიერთობის პარადიგმა. სოკრატეს ფილოსოფიურმა მოღვაწეობამ ცხადი გახადა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფილოსოფიური აზროვნება საზოგადოებისათვის და რამდენად სახიფათოა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნება ხელისუფლებისათვის.

სოკრატე იყო ინტელექტუალური და ზნეობრივი სიმამაცისა და გაბედულების მაგალითი. შესაძლებელია თუ არა სოკრატესეული ხდომილება დღეს, პოსტმოდერნულ საზოგადოებაში? ნიშნავს ეს თანამედროვე საზოგადოებაში ინტელექტუალის საზოგადოებრივი როლის შესახებ საკითხის დასმას?

დღესაც თავისუფალი აზროვნება მოითხოვს ინტელექტუალურ და ზნეობრივ სიმამაცეს, რადგან აზროვნება დღესაც რჩება სარისკო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფორმად. ანდა ინტელექტუალური საქმიანობა დღეს მარგინალური საქმიანობაა, რომელიც დაკავებულია გარემო სინამდვილისა „არაპრაქტიკული“, „დაუინტერესებელი“ ჭვრეტით.

დღეს ინტელექტუალის პრობლემა ისაა, რომ ინტელექტუალი, როგორც წარმომადგენელი და გამომხატველი შეხედულებათა სისტემისა, ცნობიერებისა, კრიზისშია. იგი აღარ არის დამოუკიდებელი ინსტანცია. ხელისუფლებამ შეითავსა ინტელექტუალური წარმოება. ხელისუფლება ავტოპოსესიურია და აწარმოებს დისკურსს, ცოდნას, რომელსაც პრეტენზია აქვს ერთადერთ ჭეშმარიტებად ყოფნაზე. ხელისუფლებამ ინტელექტუალს განუსაზღვრა სიმულაციური როლი - იდეოლოგიად ყოფნა. ინტელექტუალის მოვალეობაა იბრძოდოს ხელისუფლების მიერ განსაზღვრული როლის წინააღმდეგ, რომ არ გადაიქცეს იდეოლოგიად. მისი მოვალეობა, იდეოლოგიის მსგავსად, არასოდეს არ

არის ხელისუფლების გამართლება, მხარდაჭერა. მისი მოღვაწეობის მიზნები და პრინციპები სხვაა.

ინტელექტუალის როლი თანამედროვე საზოგადოებაში იმაში მდგომარეობს, რომ უბრალოდ უნდა უჩვენოს რეალობა, მისი აუტანელობა. იგი არ იძლევა უტოპიურ, მეცნიერულ, რელიგიურ იმედს, არამედ უბრალოდ აღწერს რეალობას. თითოეულმა ადამიანმა რეალობასთან დაკავშირებით თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ინტელექტუალის ძირითადი ფუნქციაა დესკრიფცია და არა სპეკულაცია - ახალი მოდელის შეთავაზება, რეალობის შეფასება.

ინტელექტუალი შეიძლება იყოს ის, ვინც აღწერს რეალობას. მას აქვს ინტელექტუალური და ზნეობრივი სიმამაცე, დაინახოს რეალობა სიმულაციის გარეშე და გონივრულობა ამ რეალობაში. იგი ცდილობს დარჩეს გონების პოზიციაზე, როდესაც საზოგადოება ცხოვრობს სურვილების, არაცნობიერი ლტოლვების მიხედვით. მისი მოვალეობაა, შეინარჩუნოს რაციონალური სიფხიზლე.

ინტელექტუალი უნდა იყოს ხელისუფლების მიერ წარმოებული დისკურსის, მასმედიური მანიპულაციის ზეგავლენისაგან თავისუფალი. ხელისუფლებას ბრძოლა გადააქვს სიმულაციის, მედიის, ცოდნის სფეროში. იგი უნდა იყოს თავისუფლების კუნძული მასმედიური რეალობის სიმულაციაში. ინტელექტუალმა უნდა გამოავლინოს ცოდნის,ჭეშმარიტების მონოპოლიური ფლობის უფლების უკან მდგომი რეალობა, როგორც ძალადობის ბატონობის სფერო. ინტელექტუალი არის თავისუფლების სახე პანოპტიკურ და დისციპლინარულ საზოგადოებაში. იგი არის მეამბოხე, რომელიც არ ემორჩილება, ვერ ეგუება ტოტალურ დისციპლინას და სიმულაციურ წესრიგსა და რეალობას.

ადრე ინტელექტუალი იბრძოდა აბსოლუტური, მეტაფიზიკური გონების წინააღმდეგ. დღეს იგი იბრძვის ტოტალური გონების წინააღმდეგ, რომელსაც სურს ყველაფრის ცოდნა, რადგან არ იცის არსებითი, ზოგადი. ინტელექტუალი არის საზოგადოებისა და ხელისუფლებისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი ინსტანცია, ამიტომ ინტელექტუალური საქმიანობა არის რისკის სფერო. ამ სფეროში შედის ის, ვისთვისაც ეს არის მოწოდება და არა მხოლოდ პროფესია.

დ ე მ უ რ ჯ ა ლ ა ლ ო ნ ი ა
პოლიტიკური ფილოსოფიის რესტავრაციის მცდელობა -
“სამართლიანობის თეორია” (ჯონ როულსი)

ჯერ კიდევ პლატონი სახელმწიფოში სვამს პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რა არის სამართლიანობა.

სამართლიანობა თითოეულ ადამიანს განუსაზღვრავს, რა არის მისთვის “ჯეროვანი”. ის მორალური განსჯის განსაკუთრებული სახეა. როგორც ენდრიუ ჰეიუელი აღნიშნავს, ის ჯილდოსა და სასჯელის განაწილებას ეხება.

ჯონ როულსის მიხედვით, „სამართლიანობის თეორია“ პოლიტიკური თეორიის ერთი ცალკეული ნაწილი კი არ არის, არამედ იგი თვით პოლიტიკური ფილოსოფიაა. ერთი მხრივ, საზოგადოებაში კარგად ორგანიზებული ნებისმიერი მიზანი, რომლისკენაც სწრაფვა ნებადართულია, სამართლიანობის ფარგლებში უნდა იქნეს მოქცეული. მეორე მხრივ, თუ ადამიანები მუდამ სამართლიანობის შესაბამისად მოქმედებენ, მათი უფლებაა, გადაწყვიტონ პიროვნული განვითარების რომელი გზა აირჩიონ. ან რა მიმართულებით წაიყვანონ ცხოვრება. სამართლიანობა საზოგადოების საერთო საქმეა, ხოლო სიკეთე თითოეული ცალკეული ინდივიდის სამყოფელი.

სამართლიანობის თეორიაში როულსმა განავითარა რედისტრიბუციისა და სოციალური უზრუნველყოფის პრინციპის დაცვა, რასაც საფუძვლად დაედო იდეა: თანასწორობა, როგორც სამართლიანობა.

როულსი აყალიბებს სამართლიანობის ორ პრინციპს:

1. თითოეული ადამიანის თავისუფლება უნდა თავსდებოდეს ყოველი ადამიანის თავისუფლებასთან;
2. სოციალური უთანასწორობის არსებობის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საზოგადოების უდატაკესი ნაწილის სასარგებლოდ იმუშავებს.

დაისმის კითხვა: განაწილების (დისტრიბუციის) რომელი სქემაა სამართლიანი? მაგალითად: თითოეულს თანაბრად, თითოეულს მოთხოვნის შესაბამისად, თითოეულს შრომის შესაბამისად თუ თითოეულს იმდენი, რომ ყველამ თანაბრად ისიამოვნოს საერთო კეთილდღეობით.

თუ ადამიანებს გათვითცნობიერებული არ აქვთ თავიანთი სოციალური მდგომარეობა, მათ თვალში ეგილიტარული საზოგადოება უფრო “სამართლიანი” გამოჩნდება, ვიდრე არაეგილიტარული.

პოლიტიკურ ფილოსოფიაში ცალკეული ინდივიდების მოქმედების ანალიზი კი არაა მთავარი, არამედ საზოგადოების “საბაზისო სტრუქტურა”. ასეთ შემთხვევაში უნდა დაისვას კითხვა, როდისაა საზოგადოების საბაზისო სტრუქტურა სამართლიანი?

რაც შეეხება ამ საბაზო სტრუქტურას, იგი გარკვეული წესებისა და პროცედურების ერთობლიობაა, რომელიც ინდივიდების მოქმედებას აწესრიგებს.

ის სამართლიანობის თეორიას წარმოგვიდგენს, როგორც რაციონალური არჩევანის თეორიის ნაწილს. მაგრამ იგი მნიშვნელოვან პირობას ითვალისწინებს - შეთანხმება მაქსიმალური სარგებლის გარშემო აუცილებლად მორიგების შედეგი უნდა იყოს.

როულსის მიხედვით, ადამიანებს აქვთ აზროვნების უნარი, მაშასადამე, შესაძლებელია, რომ მათ პასუხი მოვთხოვოთ თავიანთი მოქმედებისა და შეცდომებისათვის. თუკი ეს ასეა, მაშინ მორალის პოზიციიდან თვითნებობად არ ჩაითვლება ის, რომ ვინმემ რაღაც უპირატესობით ისარგებლოს რაიმეთი ან რაიმე ზარალი განიცადოს, თუკი ეს მისი არჩევანია.

“სამართლიანობის თეორიის” (1971) გამოქვეყნების შემდეგ მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურ ფილოსოფიაში ფილოსოფოსების დიდი ნაწილი ცდილობდა როულსის მიერ შემოთავაზებული იდეების, მეთოდების დამუშავებასა და განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან იწყება პოლიტიკური ფილოსოფიის აღმავლობა.

ვახტანგ იმნაიშვილი
ოთხპირიანი ზმნები ქართულში

მიჩნეულია, რომ ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთ-, ორ- და სამპირიანი, მაგრამ ხანდახან იგი უფრო მეტი პირის გამოსახვის უნარსაც იჩენს. აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ შეიძლება ზმნას ოთხი პირიც კი შეეწყოს: სუბიექტი, ერთი პირდაპირი და ორი ირიბი ობიექტი, ანუ ზმნა ოთხპირიანი გამოდის.

ამგვარი ფორმები მიიღება სამპირიანი მოქმედებითი გვარის საარვისოქცევიათი ზმნებისაგან, თუ მათგან სასხვისო ქცევის ფორმას ვაწარმოებთ. ეს იწვევს ერთი ირიბი ობიექტის დამატებას, რომელსაც ა.შანიძემ **მფლობელი**, ანუ **პოსესორი**, უწოდა, განსხვავებით ჩვეულებრივი ირიბისაგან, რომელსაც **“წმინდა”** ირიბი დაარქვა: “საარვისო ქცევით ხმარებული სამპირიანი ზმნა, რომელშიც ირიბი პირი “წმინდა” ობიექტია, ადვილად გადაკეთდება სასხვისო ქცევის ფორმად, სადაც “წმინდა” ირიბის გაგება დარჩება, თუმც კი მიღეული, მაგრამ მოემატება გაგება მფლობელი ირიბისა, ანუ პოსესორისა”: **“მომიწერე წერილი კონსტანტინე ცაგარელს”** (ტ.ტაბიძე); **“თავს დამინებებს ბაღლებსა ცოლი, გაჰყვება სხვასაო”** (ვაჟა-ფშაველა); **“თუნგი ათორმეტი მიმირთვი მოყმეთ!”** (მ.ღებანიძე)“.

ამ ზმნების სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბრუნვები I და II სერიაში ჩვეულებრივ იცვლება, ხოლო ორი ირიბი ობიექტი მიცემით ბრუნვაში რჩება ორივე სერიაში. პირში ცვალება მხოლოდ სუბიექტსა და მფლობელ ირიბს შეუძლიათ. **“წმინდა”** ირიბი და პირდაპირი ობიექტი უცვლელად რჩება.

მფლობელი ირიბი ობიექტი მეტწილად პირველი პირის ფორმაა, მეორე და მესამე პირის ფორმები ერთეულ შემთხვევებში გვხვდება.

შუალობითი კონტაქტის ოთხპირიანი ფორმებში ორი ირიბია: ერთი შემსრულებელი (ეგზეკუტორი), მეორე – უბრალო. პირის ნიშნები აქვს სუბიექტსა და შემსრულებელ ობიექტს: **“ერთი ეს ჩოხა გამიკვრვინებე ვისმე”** (დ.კლდიაშვილი); **“ბიჭო! რა იქნების რო დარჩებოდე, ოჯახს არ დამიჩაგვრინებდე მტერსა!”** (ა.ჩაჩიბაია).

დღეს ნაკლებად ცდილობენ ლიტერატურულ პროდუქციასა თუ ზეპირმეტყველებაში ოთხპირიანი ფორმების გამოყენებას. ამჯობინებენ, მფლობელი ობიექტი არ გამოხატონ პირის ნიშნით და

მას ჩაუწავლავს თანდებულობის უბრალო დამატება (“ბიძაშენს შეფს-მწევარი თურმე ჰყავს კარგი, აგება **გამომართო**” /გ.ერისთავი/ > იქნებ **გამოართვა ჩემთვის**) ან კუთვნილებითი ნაცვალსახელისა და დარჩენილი ობიექტის (მეტწილად – “უბრალო” ირიბის) კომბინაცია (“დედამ იმავ დღეს ძველ ნაბადს ბოლო **შემომიჭრა**” /ს.ქეთელაური/ > დედამ **ჩემს ნაბადს** ბოლო შემოაჭრა).

მაშასადამე, დღეს იკვეთება ტენდენცია, ოთხპირიან ზმნებს სამპირიანები ჩაენაცვლოს.

აქ უნდა გავიხსენოთ ანლოგიური შემთხვევა – ერთი პირის კლება – სამპირიან გარდაუვალ ზმნებთან. შეინიშნება, რომ სამპირიან გარდაუვალ ზმნებში მეორე ირიბი (ე.წ. “ნივთის”) ობიექტი ზოგჯერ თანდებულს დაირთავს და ირიბი დამატება უბრალო დამატებად გარდაიქმნება: “არსენა მაიორს **ქალსაც** შეეცილა” (მ.ჯავახიშვილი) – “ის სურმანიძეს ბათუმის **მერობაში** ეცილება” (“კვირის პალიტრა”).

რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ე ი ლ ი **ენობრივი სისტემის უნიფიკაციის ტენდენცია** **ქართულ ენაში**

აღიარებულია, რომ ცოცხალი ენის ცვალებადობა კანონზომიერი მოვლენაა და უცვლელი მხოლოდ მკვდარი ენაა. ცხადია, ყველაზე მეტად ცვლილება შეინიშნება ენის ლექსიკურ ფონდში, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული ხასიათის ყოველ სიახლეს. ლექსიკასთან შედარებით ენის გრამატიკული წყობა მდგრადია, მაგრამ ისიც ვითარდება და იცვლება. ამ პროცესში შეიძლება დავინახოთ ენის განვითარების შინაგანი კანონებით განპირობებული გარკვეული ტენდენციები.

პარალელურ გრამატიკულ ფორმათა თანაარსებობის დროს ცოცხალი სამეტყველო ენა ცდილობს გააკეთოს არჩევანი და უპირატესობა მიანიჭოს ზოგჯერ სწორედ სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით უარყოფილ ფორმებს, თუმცა ამ არჩევანშიც მჭიდვანდება გარკვეული კანონზომიერება – იგრძნობა მიდრეკილება ენობრივი სისტემის უნიფიკაციისა და გამარტივებისაკენ, ზოგადი პარადიგმის გავრცობისაკენ. ეს ტენდენცია დასტურდება ქართული ენის მთელ სისტემაში (როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ დონეზე).

მორფოლოგიურ დონეზე უნიფიკაციის ტენდენცია შეიძლება დავინახოთ მეტყველების სხვადასხვა ნაწილის ფორმაცვალებაში. მათგან აღსანიშნავია საკუთარ სახელთა, ნაწარმოებ ზედსართავ სახელთა თუ ზოგიერთ ნაცვალსახელთა ბრუნება (მაგ., ერთი და იგივე, იგივე ნაცვალსახელები, კუთვნილებითი ნაცვალსახელების მსაზღვრელად გამოყენება), ზმნისართ-თანდებულების ხმარება ნაცვალსახელებთან, ქართულ ყალიბში უცხოური სიტყვების მოქცევის სურვილი; სახელთა ბრუნებისას ცოცხალ ენაში შეინიშნება ზოგადი მოდელის მისადაგების სურვილი კონკრეტულისა და სპეციფიკურისთვის. ზმნებში ეს ტენდენცია დასტურდება თურმეობითის წარმოებისას, როცა გაზრდილია -ია დაბოლოების გამოყენების არეალი, ასევე: რიცხვში მონაცვლე ზმნების უგულვებლყოფა, უთემისნიშნო ზმნების ქცევა თემისნიშნიანად, მეშველზმნიანი ფორმების რაოდენობის მატება, სწრაფვა მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნის დაკარგვისაკენ. **სინტაქსურ** დონეზე: არააქტიურ ზმნებთან უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების შემთხვევების მომრავლება, სიმრავლის გამომხატველ სიტყვებთან სახელისა და ზმნის მრავლობითში ხმარება, ზოგიერთი ნაწარმოები მსაზღვრელის ბრუნება და სხვ.

შესაძლებელია ჩამოთვლილ მოვლენათა ნაწილის სათავე ენობრივი კონტაქტები და სხვა ენათა გავლენა იყოს და არა – ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერება, მაგრამ ენობრივი სისტემის უნიფიკაციისკენ მიდრეკილება სასაუბრო ქართულ ენაში მაინც საგრძნობია.

ცოცხალი ენა ცდილობს, რომ თავი დააღწიოს მოცილე ფორმებს, გამონაკლისებს, ბრუნებისა და უღლების პარადიგმათა მრავალფეროვნებას, რითაც სასაუბრო ენაში ვლინდება უნიფიკაციის ტენდენცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ გამორიცხავს თითოეული ენობრივი მოვლენის დიფერენციული განხილვის აუცილებლობას. ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილებები დროთა განმავლობაში შეიძლება იქცეს ნორმირების კორეგირების საფუძვლად, თუკი ეს ფორმები საყოველთაოდ გავრცელდება და ენათმეცნიერებიც გამართლებულად მიიჩნევენ მათს დაკანონებას.

თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე ზმნისწინის ექვსი ფუნქცია

ტრადიციული ქართველური ენათმეცნიერების მიხედვით, ზმნისწინს აქვს 4 ფუნქცია. ჩვენ გამოვყოფთ ზმნისწინის ექვს ფუნქციას:

1. გეზის გამოხატვა;
2. ორიენტაციის გამოხატვა;
3. ასპექტის დასრულება;
4. მწკრივის ფორმათა წარმოება;
5. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა;
6. ზმნის პირიანობის ცვლა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკმაოდ ხშირია ზმნისწინის ფუნქციათა გადაკვეთა. ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან ბოლო, მეექვსე ფუნქცია პირველად არის წარმოდგენილი. ზმნისწინის მიერ პირიანობის ცვლა ძირითადად ეხება ლოკალურ აქტანტს.

პირიანობის მატებისას გამოვყოფთ ორ შემთხვევას:

1. პირიანობის ზრდა ხდება ზმნისწინის ცვლით:

დაარღვია მან ის – შემოარღვია მან მას ის

ააშენა მან ის – მოაშენა მან მას ის / მიაშენა მან მას ის / დაააშენა მან მას ის

დავწერე მე ის (აღვწერე / ამოვწერე / გადავწერე) – მოვწერე მე მას ის / მივწერე მე მას ის

გავტეხე მე ის – მოვტეხე მე მას ის

გავჭერი/დავჭერი მე ის – მოვჭერი/შემოვჭერი მე ის მას

2. პირიანობის ზრდა ხდება ზმნისწინის დამატებით:

ვტირი მე – დავტირი მე მას

ვყვირი მე - დავყვირი მე მას

ვწერე მე ის - მოვწერე მე მას ის / მივწერე მე მას ის

ვახვიე მე ის – შემოვახვიე მე ის მას /დავახვიე მე ის მას /მოვახვიე მე ის მას

ვჭამ მე მას – მოვჭამ მე მას მას

ზმნისწინი თავის თავზე იღებს ხმოვან პრეფიქსთა ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას - პირიანობის კლება-მატებას. ეს გასაგები მოვლენაა ენის განვითარების ეკონომიკის უნივერსალური პრინციპიდან გამომდინარე. გვაქვს ორი ტიპის შემთხვევა:

1. ზმნისწინი ზრდის პირიანობას ხმოვანი პრეფიქსის გარეშე: გავტეხე მე ის – მოვტეხე მე მას ის, გავგლოიჯე მე ის – მოვგლოიჯე მე ის მას, შევჭამე მე ის – მოვჭამე მე ის მას და სხვ.

2. ზმნისწინი ზრდის პირიანობას ხმოვან პრეფიქსთან ერთად, თუმცა ხმოვანი პრეფიქსის დართვა არაობლიგატორულია: გავტეხე მე ის – მოავტეხე მე მას ის, გავგლოიჯე მე ის – მოავგლოიჯე მე ის მას, შევჭამე მე ის – მოვაჭამე მე ის მას და სხვ.

ზმნისწინის ექვსი ფუნქციიდან, ხუთი არის დერივაციული. სირთულეს არ წარმოადგენს ამ აფიქსების დერივაციულ სემანტიკათა სისტემური გააზრება და გარკვეული ჯგუფების გამოვლენა. საერთოდ, ზმნისწინი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიპერსონალური სტრუქტურების სისტემაში.

ნ ა დ ი ა ყ ი ფ ი ა ნ ი

ბილინის ენაში სრული და შემოკლებული ზედსართავი სახელების გამოყენება განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიის თვალსაზრისით

ენობრივი სხვაობა ზედსართავი სახელების სრულ და შემოკლებულ ფორმებს შორის ისტორიულად განსაზღვრულობისა და განუსაზღვრელობის კატეგორიასთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული თვალზარისი პირველად ფ. მიკლოშევიჩის “სლავური ენების შედარებით გრამატიკაში” იქნა ჩამოყალიბებული.

დამწერლობის უძველესი ძეგლების (XI-XIVსს.) მკვლევრები ზედსართავების სრული და შემოკლებული ფორმების გამოყენების არამოტივირებად ხასიათზე საუბრობენ და მოჰყავთ უამრავი მაგალითი, რომლებშიც ზედსართავი სახელების სრულ და შემოკლებულ ფორმებს სტილისტურად და სემანტიკურად ნეიტრალური პოზიცია უკავიათ.

ხშირად ამა თუ იმ შესაძლებელი ვარიანტის არჩევა შემთხვევით ხდებოდა, თითქოს ტექსტის ავტორისათვის აბსოლუტურად სულერთი იყო, ზედსართავის ფორმა ლოკატიური იქნებოდა თუ სახელობითი. ამავე დროს, ბილინების ენა, როგორც ფოლკლორის ყველაზე უფრო არქაული ჟანრი, იმის აშკარა მაგალითად გვევლინება, რომ განსაზღვრულობისა და განუსაზღვრელობის გამოსახატავად სრული და შემოკლებული ზედსართავი სახელების თანაფარდობის ძველი მეთოდი ცოცხალი და პროდუქტიული იყო. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაგალითები, სადაც ზედსართავის სრულ ფორმას,

რომელსაც ბილინის ტექსტში შემოკლებული ფორმა მოსდევს, თან ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი. ამგვარად, ბილინების ენა შეიძლება გამოყენებულ იქნას ისტორიულ-ლინგვისტური დასკვნების წყაროდ.

ამავე დროს, ბილინების ენაში მრავალი მაგალითი მოიპოვება, როდესაც ზედსართავი სახელების შემოკლებული ფორმები სრული ფორმების პარალელურად იხმარება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ორი სხვადასხვა ფორმის ერთობლივი გამოყენება არ შეიძლება მხოლოდ შემთხვევითობით აიხსნას. ეს არ არის დაკავშირებული განსხვავებულ მნიშვნელობასთან და სხვა – რითმო-ინტონაციური – მოთხოვნით არის რეგლამენტირებული. ლექსის გასართამად აქ არჩეულია ზედსართავი სახელების სრული ფორმები, რომლებიც “მეტრის დაჭიმვის” ფუნქციას ასრულებენ – ზედმეტ მარცვლებს აწარმოებენ.

ფ ა ტ ი ა ნ თ ა ძ ე სპარსულიდან ქართულში შემოსულ ზოგიერთ ზმნურ ნასესხობათა შესახებ

სპარსულიდან ქართულში შემოსულ ნასესხობათა უდიდესი ნაწილი სადღეისოდ საფუძვლიანადაა გამოკვლეული მათი ეტიმოლოგიზაციის თვალსაზრისით, ამ სახეობათა სტრუქტურულ-სემანტიკური ადაპტაცია კი, კერძოდ, მათი მორფოლოგიური შეთვისება, ჯერჯერობით პრაქტიკულად შეუსწავლელია. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს სპარსულში ძალზე ფართოდ წარმოდგენილ ორწევრიან რთულ ზმნათა სესხების იმგვარი ფაქტები, როდესაც ამ ერთეულთა სახელადი ნაწილები ქართულში შენარჩუნებულია ფონეტიკურად ადაპტირებული სახით.

ზემოხსენებული ზმნური ერთეულები ქართულს მეტწილად ნასახელარ ზმნათა ფორმით ეთვისება. მაგ: *bi-âbru kârdân* „შერცხვენა, თავს ლაფის დასხმა (არცხვენს, თავს ლაფს ასხამს)” და ქართ. „აბიაბრუებს”, ანუ „არცხვენს”, სპარს: „*be-tâng âmâdân* – „დადლა (იღლება), ქანცის გამოლევა (ქანცი ელევა)” და ქართ. „გათანგვა (გათანგა)”, ანუ „ღონე, ქანცი გამოელია”.

ზოგიერთ შემთხვევაში დასტურდება რთულ ზმნათა კალკირების ფაქტებიც, იხ. სპარს. *delxori dâštân* „დარდის ქონა

(დარდი აქვს რამის, იდარდება რამე)” და ქართულში ჟარგონულად დამკვიდრებული „დილიხორი აქვს”, ანუ „ინტერესი აქვს”.

ქართულში წარმოდგენილ ზემოხსენებულ ზმნურ ტიპთა სემანტიკური შინაარსი მათ ეტიმონთა სახელადი ნაწილების მნიშვნელობითაა განპირობებული. რიგ შემთხვევაში მამოტივირებელი სახელადი ნაწილები ქართულში დამოუკიდებელ ერთეულებადაცაა შემოსული, მაგ „ბრიაბრო“, ანუ „შერცხვენილი, გაბითურებული”.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე ახალგაჩენილ ზედსართავ სახელთა შესახებ

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ტექნიკურ ტექსტებსა და მთელ სამეცნიერო სტილში -**ად/დ** მაწარმოებლის სიტყვათწარმომქმნელი ფუნქციის გააქტიურება. ამასვე ადასტურებს სუფიქსური სიტყვაწარმოების შესწავლისას შეუცვლელი წყაროს – ინვერსიული ლექსიკონის მონაცემები. მასში შესულია საწყისის ფუძე + **ად/დ** სტრუქტურის 150-ზე მეტი ზედსართავი სახელი (გამოსხივებადი, შეხორცებადი, დნობადი, დრეკადი, ბრუნვადი, აღქმადი, დაყვანადი...), რომელთა დიდ უმრავლესობას ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დამატებით ცნობად მიწერილი აქვს: სპეც. – სპეციალური; წიგნ. – წიგნური; ტექ. – ტექნიკა (ტექნიკური) თუ სხვა კონკრეტულ დარგთა სახელწოდებები.

ის, რომ საწყისის ფუძე + **ად/დ** მოდელი ხმარების ინტენსივობის გამო სამეცნიერო ენის მახასიათებლად გვევლინება, ბუნებრივია, არ გამორიცხავს მის გამოყენებას საერთო სალიტერატურო ენაში. ჩვენი ინტერესის სფეროს განეკუთვნება ამ სტრუქტურის ზედსართავ სახელთა ახალგაჩენილი ფორმები (ცნობადი, ყურებადი, სმენადი, გაყიდვადი, გაკეთებადი, მიულწევადი...). მათთან დაკავშირებით დაისმის საკითხი, ყოველთვის აუცილებლობითაა შეპირობებული თუ არა ახალ ფორმათა წარმოქმნა. მოხსენებაში ყოველი კონკრეტული მაგალითი ცალ-ცალკე იქნება განხილული (მაგ., “ცნობადი სახე” სხვა არაფერია, თუ არა ნაცნობი სახე; გაყიდვადი პროდუქტი კი ისეთი პროდუქტია, რომელიც (კარგად) (გა)იყიდება).

ი ნ გ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე
„თავიანთ“ ფუძის მორფოლოგიური აგებულების
საკითხი ქართულში

მეტყველების ნაწილთა შორის ნაცვალსახელი განსაკუთრებით გამოირჩევა მთელი რიგი თავისებურებით, რაც, ერთი მხრივ, მისივე არქაული წარმოშობითაა შეპირობებული, ხოლო მეორე მხრივ, იმით, რომ ეს ლექსიკური ერთეულები ძნელად დაყვებიან ენაში მიმდინარე ცვლილებებს.

ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიქცია კითვნილებითი ნაცვალსახელის – **თავის-ი**’ს მრავლობითი რიცხვის ფორმის – **თავიანთ-ი**’ს მორფოლოგიურმა აგებულებამ. საერთოდ, მიიჩნევა, რომ III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელების წარმოება ძირზე გენიტის –**ის** ფორმანტის დართვით ხდება (მ-ის-ი /ი-მ-ის-ი /ა-მ-ის-ი /მაგ-ის-ი /თავ-ის-ი) და ეს მოვლენა ქართულ ენაში სისტემური ხასიათისაა. ერთადერთი ნაცვალსახელი, რომელიც არ ექვემდებარება ზემოთქმულ სისტემას, არის მრავლობითი რიცხვის ფუძე თავიანთ-ი. საქმე ის არის, რომ ძველ ქართულში, ამ მხრივ, გაცილებით უკეთ იყო საქმე, რადგან **თავის-ი** ნაცვალსახელის მრავლობითის ფუძეებს ნართანიანი წარმოება ქმნიდა და თანაც ისე, რომ საერთო სისტემიდან გადახვევა არ ხდებოდა. ვგულისხმობთ იმას, რომ მრავლობითის ნიშნები პირდაპირ ერთვოდა ნაგენიტის ფუძეებს და გვქონდა **თვ-ის-ნი-ი** (სახ. ბრ.) / **თვ-ის-თა** ფორმები, ნაცვლად ფორმისა თავ-იან-თ-ი (მაგალითად, “ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარნი დაფლვად **თვსთა** მკუდართა”: ლუკა,9,60; ან: “და მისცემდა მოწაფეთა **თვსთა**, რაფთა დაუგონ მათ”: მრკ.,6,41).

ის ფაქტი, რომ ქართული ოთხთავი სახარების ათონელთა რედაქციებში ფორმა თავიანთ-ი არც ერთხელ არ დასტურდება, მიანიშნებს ქართული სალიტერატურო ენის საერთო მდგომარეობაზე ამ კუთხით. ძველი ქართული მრავლობითის ამ ფორმას, როგორც ჩანს, არ იცნობს.

მრავლობითის ფუძე **“თავ-იან-თ-ი”** სახელური წარმოშობის **“თავ”** პირის ნაცვალსახელზე ქონებისა და წარმომავლობის –**იან** (<- ეან) სუფიქსის დართვითაა წარმოქმნილი, რომელსაც –**თ** მორფოლოგიური ფორმანტიც ემატება. ეს უკანასკნელი ფუნქციურად მრავლობითი რიცხვის გამომხატველი გრამატიკული ნიშანია ისევე,

როგორც კუთვნილებით ნაცვალსახელებში მა-თ-ი, ი-მა-თ-ი, ა-მა-თ-ი, მაგა-თ-ი. ამ ტიპის ფუძეებში -თ(ი) დაბოლოება მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ნაგენტივარი სახელებია, მაგრამ, საქმე ის არის, რომ -იან სუფიქსის -თ ნიშანთან კომბინაცია ძირითადად გვაროვნულ (აკ.შანიძის ტერმინოლოგიით) სახელებთან გვხვდება (*ოთარ-იან-თ-ი > ოთარ-იან-თ-ი). ამგვარივე წარმოება შენიშნულია ვაჟა-ფშაველას ენაშიც (ბალახ-თ-ი, ცხოველ-თ-ი). ჩვენი აზრით, აფიქსთა მსგავსი განლაგება (-იან-თ-ი) არ განეკუთვნება ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ სიტყვის წარმოქმნის საშუალებათა კომბინაციას და თავისი აგებულებით აღმოსავლურქართული დიალექტური (ძირითადად, ქართლ-კახური) წრის კუთვნილებათა. ქართულ სალიტერატურო ენაში მოხვედრის შემდგომ ლექსიკური ერთეული “თავიანთი” ნელ-ნელა ჩაენაცვლა მორფოლოგიურად მართებულ, სისტემას დაქვემდებარებულ ძველი ქართული ენის თვს-ნ-ი / თვს-თა ფორმებს და, დიალექტური წარმოშობისდა მიუხედავად, თანამედროვე ქართულ ენაში ნორმად დამკვიდრდა.

პ ა ა ტ ა ც ხ ა დ ა ი ა

ზოგი ნო- პრეფიქსიანი კოლხური მიკროტოპონიმის მართებული განმარტებისათვის

კოლხური ტოპონიმის აღწერისა და გამოცემის საქმეში წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო გივი ელიავას “აზამისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია”. მაგრამ იგი არაიშვიათად სცოდავს არაპროფესიონალიზმით, რის ერთ-ერთი გამოხატულებაა ადგილის სახელთა ერთი ნაწილის პირვანდელი მნიშვნელობის განმარტება, ანუ “თარგმანი”, როგორც ავტორი უწოდებს. ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია წინავითარების გამოხატველი (ნო- პრეფიქსიანი) რამდენიმე ტოპონიმი:

1. ნობალიენი “ნაზადარი” (“ტოპონიმია”, გვ. 87). სპარსული სიტყვა ბადი “ხეხილნარი, ყვავილნარი” ქართულში და ქართულიდან მეგრულში შესულია ბგერობრივი შემადგენლობისა და სემანტიკის უცვლელად. ამასთანავე baR-G, baR-u მეგრულში აღნიშნავს ხულას, ბელელს (ი. ყიფშიძე: `ბაღ, ბაღა _ amnap... შდრ. ქართ.: ბეღო~). ამგვარი დამთხვევის შედეგია ომონიმია: **ბაღი, ბაღG, ბაღუ** _ 1. ბაღი; 2. ხულა, ბეღელი; 3. სარიტუალო ქობი (ო. ქაჯაია); 4. ნადირის

დასაჭერი ძარა (ნადირი ჩახტება და დაემწყვდევა). ამის გარდა, ბალუ ყავრის საზომი ერთეულიცაა (200 ცალი ყავარი ერთად დალაგებული). ამ გარემოებათა გამო, თუ მოტივაცია უცნობია, ვერ დადგინდება, ნაბალ(G) ნაბალუ, ნაბალარი ტოპონიმების ამოსავალ ფუძეთა მნიშვნელობა. როგორც ჩანს, ომონიმის თავიდან ასაცილებლად მეგრულში ქართული ბეღელ- სიტყვის კანონზომიერი შესატყვისი ბალუ წარმოდგენილია ბაღილე ფორმითაც, რაც აშკარად ჩანს ორ მიკროტოპონიმში: ნობალილე – 1. ტყე-ხეობა სოფ. ჩქვალერში (წალენჯიხის რ.); 2. ტყე-სამოვრები ჩხოროწყუს რაიონის მთიან ზონაში. ბაღილე ბ.-მ. თქმაში გავრცელებულია ბაღიე ფორმით. სწორედ ეს ფუძე ჩანს მიკროტოპონიმ ნობალიენში (ერქვა სახნავს მარტვილის რ-ნის სოფ. ლევახანეში). სხვაგვარად ვერ აიხსნება -ი ხმოვნის პოვნეირება დასახელებული მიკროტოპონიმის ფუძეში

2. **ნოწინუერი “შენაწირი”** (“ტოპონიმისკა”, გვ. 158). სახელწოდება შეტანილია “გურძემის სასოფლო საბჭოს” ტოპონიმური მასალის სიაში მხოლოდ ერთადერთი კომენტარით: “ადგ.”. როგორც ჩანს, იგულისხმება ღელე ქვარჩელის ტყიანი ხეობა სოფ. ნახურცილავოში (გურძემის თ/ს). როგორც გამოირკვა, ამ ხეობას მიუყვება ეკლესიიდან დასაბრუნებელი გზა. აქედან გამომდინარე, სახელდების მოტივაცია ასე წარმოგვიდგება: **წირუა** “წირვა” **ნო-წირუ-ენ-ი** “ნაწირვალი” (ზუსტად: “წირვისშემდგომი”), **ნოწინუერი** (რ-ნ შენაცვლებით). რაც შეეხება განმარტებას ნოწინუერი “შენაწირი”, იგი დაფუძნებულია ორიოდე ბგერის მექანიკურ იდენტურობაზე და მხოლოდ და მხოლოდ გადააზრების შედეგია.

3. **ნოჭადენი “ნასამჭედლარი”** (“ტოპონიმისკა”, გვ. 101, 170, 179); ღეე ჭადონა “სამჭედლო ღელე” (იქვე, გვ. 130). ამგვარი შინაარსობლივი დაკავშირება გადააზრების შედეგად წარმოქმნილი ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია. სინამდვილეში ორივე მიკროტოპონიმისათვის ამოსავალია ჭადია, ჭადიე (სოკოს ჯიში. წითელი ფერისაა, რძიანი, ქუდიანი, საჭმელად ვარგისი) ან ჭადი “**ჭადის-ჭადი; ფეტვი**”. აღნიშნული სიტყვა დასახელებულია ს.-საბას, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, ქეგლ-ში და გვხვდება ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, რაც ცხადყოფს, რომ **ჭადი, ჭადია, ჭადიე** ორივე მნიშვნელობით სწორედ ამ კილოებიდანაა შეთვისებული მეგრულის მიერ (მეგრულ ლექსიკონებში ჭად- ფუძე ჯერჯერობით არაა შეტანილი. შდრ. ო. ქაჯაია: ჭკიდი “ფეტვი; ჭადი”). მამასადამე, **ნოჭადენი** და **ჭადონა** მიკროტოპონიმებისთვის ამოსავალია ჭადი: “სოკოს ჯიში” ან “ფეტვი”. მჭედლობა და

სამჭედლო არაფერ შუაშია. წარმოვადგენთ ჩვენს მასალას: **ნაჭადენი** – ტყე-სამოვარი მთა ზურის კალთაზე, სადაც უწინ ჭადა სოკო იცოდა (მარტვილის რ.); ნაჭადენი/ნოჭადენი – ვენახი ცენდერის მარცხ. მხარეს, სადაც უწინ ფეტვი ითესებოდა (სოფ. კურზუ, მარტვილის რ.); ნოჭადენი – ბუჩქნარი, მინდორი და სამოვარი ჭაბურთაში, ლემიქავეში, სალხინოს სატყეო უბანში (ყველა მარტვილის რ.). როგორც ვხედავთ, სახელდების მოტივის გათვალისწინება ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტია ტოპონიმის პირვანდელი სემანტიკის დასადგენად.

4. მოხსენებაში გაანალიზებულია **ნო-** პრეფიქსიანი ზოგი სხვა მიკროტოპონიმის ეტიმონური მნიშვნელობის საკითხები.

ც ი უ რ ი ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი **ინგლისურ ნასესხობათა ფონეტიკურ-მორფოლოგიური** **ვარიაციულობა თანამედროვე ფრანგულ ენაში**

მზარდი ინტერნაციონალური კავშირები და ენობრივი კონტაქტები, რომლებიც ხდება არა მხოლოდ უშუალოდ სხვადასხვა ენის მატარებელთა შორის, არამედ, ძირითადად, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, პერიოდული გამოცემების, სამეცნიერო-ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის საშუალებებით, ხელს უწყობს უცხოურენოვან სიტყვა-ნასესხობათა შემოტანას, რაც ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. განსაკუთრებით შეინიშნება ანგლო-ამერიკულ ნასესხობათა სიუხვე. კერძოდ, ფრანგულ ენაში, როგორც ფრანგული ლექსიკოგრაფიული წყაროები მიუთითებენ, 10% ანგლო-ამერიკული ნასესხობებია.

ანგლო-ამერიკულ ნასესხობათა შორის ფრანგულ ენაში შეიძლება გამოიყოს სიტყვათა 2 კატეგორია მათი ასიმილაციის ხარისხისდა მიხედვით: 1. ნასესხობები მორფემული ცვლილების გარეშე, ანუ რომლებიც ექვემდებარებიან ფონეტიკურ ასიმილაციას, მაგრამ უცვლელად ინარჩუნებენ თავიანთ მორფემულ შემადგენლობას ფრანგულ ენაში; 2. ნასესხობები ნაწილობრივი მორფემული ცვლილებით, ანუ რომლებშიც ხდება მორფოლოგიური ასიმილაცია – მათი ბოლო სემანტი იცვლება ფონეტიკურად მისი მსგავსი სუფიქსით ფრანგულ ენაში. პირველ ჯგუფში ერთიანდება:

ნასესხობები ასო “a”-თი, ასოშეერთება “an”-ით, სიტყვები მორფემა - man-ით, ასო “o”-თი, ასოშეერთებებით “oa”, “on”, “out”, “ou”, “oi”, ასო „e”-თი, ასოშეერთება “ea”-თი, ასო “u”-თი, ასო “i”-თი, ასოშეერთებებით “sh”, “ch”, ასო “j”-თი, ასო “g”-თი, ასო “w”-თი, “ing”-იანი ნასესხობები. მეორე ჯგუფში ერთიანდება ნასესხობები ბოლო უმახვილო სეგმენტ -er-ით და -ize-იანი ზმნები, რომელთა სესხებისას ხდება მორფოლოგიური ასიმილაცია ფრანგულ -iser სუფიქსიან ზმნებთან, რაც აისახება მეტყველებაშიც და დაწერილობაშიც.

ფრანგულ ენაში ანგლო-ამერიკულ ნასესხობათა წარმოთქმის სამი შესაძლებლობა არსებობს, რითაც აიხსნება ერთი და იმავე ასოთა და ასოშეერთებათა სხვადასხვაგვარი წარმოთქმა: 1. ნასესხობათა ჟღერადობის მაქსიმალური მიახლოება ინგლისურ წარმოთქმასთან, რასაც ახერხებენ მხოლოდ ინგლისური ენის მცოდნე ადამიანები; 2. ნასესხები სიტყვის ჟღერადობის თითქმის სრული შეცვლა და მისი ფრანგულ ყაიდაზე გარდაქმნა, რაც დამახასიათებელია დაბალკულტურული მეტყველებისათვის; 3. ინგლისურ სიტყვათა ჟღერადობის ნაწილობრივი შეცვლა ფრანგული ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებების შესაბამისად, რაც ინგლისურ ნასესხობათა ასიმილაციის ყველაზე მეტად გავრცელებული საშუალებაა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე **გრძელი ხმოვნების საკითხი თანამედროვე თურქულ** **სალიტერატურო ენაში**

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში და თურქული ენის სახელმძღვანელოებში არ არსებობს ერთიანი აზრი თანამედროვე სალიტერატურო თურქული ენის ხმოვან ფონემათა რაოდენობის შესახებ.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, თანამედროვე თურქული ენის ვოკალიზმი შედგება რვა ხმოვანი ფონემისაგან, სამი ფონოლოგიურად მნიშვნელოვანი დიფერენციალური ნიშნით. ზოგიერთი მეცნიერი თურქულში გამოყოფს გრძელ ხმოვნებსაც (კონონოვი, სევორტიანი) და, მაშასადამე, ანგარიშგასაწევი ხდება მეოთხე ფონოლოგიურად მნიშვნელოვანი დიფერენციალური ნიშანი

რაოდენობრივი ხასიათისა, ანუ დაპირისპირება - გრძელი და მოკლე ხმოვანი.

საერთოდ, თურქულ ენებში წარმოშობის მიხედვით განარჩევენ პირველად გრძელ ხმოვნებს და მეორად გრძელ ხმოვნებს. პირველადი გრძელი ხმოვნები არის ის გრძელი ხმოვნები, რომლებიც მომდინარეობენ ფუძე ენის გრძელი ხმოვნებისაგან. მეორადი გრძელი ხმოვნები კი წარმოიშვა სხვადასხვა თურქულ ენაში ავტონომიურად, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების შედეგად (თანხმოვანთა დაკარგვა, ხმოვანთა შერწყმა.) პირველადი გრძელი ხმოვნები დადასტურებულია მხოლოდ რამდენიმე თურქულ ენაში. მაგ.: იაკუტურსა და თურქმენულში, ხოლო დანარჩენ თურქულ ენებში გრძელი ხმოვნები არის მეორადი წარმოშობის. როდესაც საუბარია გრძელ ხმოვნებზე თანამედროვე თურქულ ენაში, აქ იგულისხმება მეორადი წარმოშობის გრძელი ხმოვნები. თურქი ენათმეცნიერების, მუჰარემ ერგინისა და ბანგუოღლუს, შრომებში გრძელი ხმოვნების საკითხი საკმარისად ბუნდოვანია. მუჰარემ ერგინი გამოყოფს ტრადიციულ რვა ხმოვანს და აღნიშნავს, რომ თურქულში არ არსებობს გრძელი ხმოვნები. ბანგუოღლუ უშვებს თურქულში გრძელი ხმოვნების არსებობას, მაგრამ მიაჩნია, რომ დროთა განმავლობაში ისინი კარგავენ თავიანთ სიგრძეს და გამოითქმიან მოკლედ. თანაც მისი მსჯელობიდან არ ჩანს, თუ როგორია თანამედროვე თურქულის ორთოეპული ნორმა დღეს.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების შესწავლისა და აგრეთვე პირადი დაკვირვებების საფუძველზე ვასკვნით, რომ თურქულ ენაში გვაქვს რვა მოკლე და ოთხი გრძელი ხმოვანი ფონემა.

მ ა ი ა ლ ო მ ი ა

წინადადების აქტუალიზებული წევრი და სიტყვათა რიგი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

წინადადების წევრის აქტუალიზების სხვადასხვა ხერხი არსებობს. მათ შორისაა სიტყვათგანლაგება (პოზიცია). მოხსენებაში გაანალიზებულია მეგრულ ტექსტებში დადასტურებული ერთი ტიპის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, რომლის დამოკიდებული იმეორებს წინამავალი წინადადების ზმნას ან სახელს (ზოგჯერ

ორივეს ერთად), დგას პირველ ადგილზე და -ნი (=რომ) კავშირიანია; -ნი-ს შეიძლება ჩაენაცვლოს -დო (=და) კავშირ-ნაწილაკიც.

მაგალითები: ვემერგ საშველი. ვემერგნ, უკული ექტო ქიმოვგ დუდი (ხ.,109,14); “არ მისცა საშველი. რომ არ მისცა [საშველი], შემდეგ ამანაც ჰკრა თავი”.

მიდართგ სასუმაროშა. მიდართგ სასუმაროშან, ზღვა პის elaFuns(ხ.,295,3); “[ბიჭი] წავიდა სტუმრად. სტუმრად რომ წავიდა, ზღვის პირს მიუყვება”.

ამგვარი კონსტრუქცია აზრობრივად სრულყოფილი წინა კონტექსტის გათვალისწინებით ხდება. ხან დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი, ხანაც სახელით გადმოცემული წევრია აქტუალიზებული, რაც მიიღწევა: გამეორებით, წინადადებაში სიტყვათა რიგით და კავშირ-ნაწილაკის დართვით.

ლ უ ი ზ ა გ ე გ უ ჩ ა მ ე რომ კავშირის პოლისემანტიკურობისათვის

1. როგორც ცნობილია, კავშირები ქართულ ენაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი შოთა ძიძიგურის მიერ. ნაშრომში ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე კავშირს სხვადასხვა სემანტიკა აქვს და სხვადასხვა კონსტრუქციაში მონაწილეობს. განხილულ კავშირთაგან პოლისემანტიკურობით რომ კავშირი გამოირჩევა, რომელიც საშუალი ქართულიდან იღებს სათავეს. მონოგრაფიაში მითითებულია მისი ფუნქციებიც.

2. საანალიზო მასალის შესწავლამ დაადასტურა, რომ თანამედროვე ქართულში რომ კავშირი პრაქტიკულად ყველა სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დასტურდება: ქვემდებარულში (“ქალი შეაშინა იმან, რომ ბიჭი ხელში აკვდებოდა”), ირდაპირდამატებითში (“და ისიც ვიცი, რომ დროზე ადრე არა აქვს ფასი არც ცრემლს, არც სიცილს”), ირიბდამატებითში (“ის ხვდებოდა, რომ მისი სიცოცხლის აზრი მხოლოდ ეს ბიჭი იყო”), უბრალო დამატებითში (“ექვციც არ ეპარებოდა, რომ კოლეგაზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა”), განსაზღვრებითში (“შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი, ფეხს რომ უკოცნის ლამაზ ხათუნებს”), ადგილის გარემოებითში (“მველი ციხის ნანგრევები რომაა, იქით მიმიწევდა გული”), დროის გარემოებითში (“ვარდთ რომ დათოვეს მიწა ყამირი, ბალღებრ ტიროდა თურმე ნიზამი”), ვითარებით გარემოებითში (“ასანთი ისე გადაუგდო, რომ

სავარძლიდან წელი არ წამოუწევია”), მიზეზის გარემოებითში (“გული შიშით ეწურებოდა, რომ დაკაცებული შვილი ყველაფერს სხვა თვალით შეხედავდა”), პირობითში (“ხელი რომ გაეწოდებინა, არ ჩამოართმევდა”), დათმობითში (“ხატზეც რომ დაიფიცოს, მაინც არავინ დაუჯერებს”)...

არ გვხვდება მხოლოდ მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებაში, რამდენადაც ამ სახის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დამოკიდებულს მთავართან ერთადერთი კავშირი – მიმართებითი ნაცვალსახელი რაც აკავშირებს (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით).

3. **რომ** კავშირი მხოლოდ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციითაა გამოყენებული ქვემდებარულ, ყველა სახის დამატებით, ვითარების გარემოებით დამოკიდებულსა და პირობით წინადადებაში (სადაც მას თუ კავშირის ფუნქცია აქვს: “ასე რომ არ მოქცეულიყო (= თუ ასე არ მოიქცეოდა), დაილუპებოდა”), აგრეთვე მიზნის გარემოებით დამოკიდებულში (როდესაც ის რათა კავშირის მნიშვნელობას იძენს: “მოვედი რომ მეთქვა”= რათა მეთქვა); განსაზღვრებითი, ადგილის, დროის, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში კი ის წევრ-კავშირთა (რომელიც, სადაც, როდესაც, რადგანაც) მნიშვნელობით გვევლინება: “არის ბუნების ძალი, ხმელსაც რომ შეიქმს ნელადა” (=რომელიც ხმელსაც შეიქმს ნელადა); “სახლი რომ ეგულეობდა(=სადაც სახლი ეგულეობდა), იქ... ქვების გროვალა დახვდა”; “მამა უმეტესად მაშინ წერდა, ჩვენ რომ გვეძინა” (=როდესაც ჩვენ გვეძინა); “ერთ ადგილზე დგომა რომ აღარ შეგვეძლო (=ერთ ადგილზე დგომა რადგან აღარ შეგვეძლო), ამიტომაც გავრბოდით”.


მ ე რ ი ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი უღლები ტიპების განსაზღვრა პირმიმართი აქტანტების ფორმათა გათვალისწინებით

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა არსებობს ზმნის უღლების სისტემებთან დაკავშირებით. ზმნა ქართული ენის გრამატიკის ქვაკუთხედაა. რა არის მისი სირთულის მიზეზი? პირველ რიგში, მრავალპირიანობა, რომელიც გულისხმობს ზმნის ფორმაში რამდენიმე პირის წარმოდგენას და, შესაბამისად, ამ პირების მიხედვით მისი ფორმების

ცვლას. მეორე – პირმომართი აქტანტების ფორმების ცვლა სერიების მიხედვით. ჩვენ ვფიქრობთ, კლასიფიკაციისას გავითვალისწინოთ როგორც ზმნის ფორმები, ასევე ის სინტაქსური კავშირები, რომლებიც ზმნასა და პირმომართ აქტანტებს შორის არსებობს. ბრუნვა სიტყვათა დამაკავშირებელია, მაგრამ მისი ხმარება რაღაცით არის განსაზღვრული და ეს რაღაც არის სწორედ ის ზმნა, რომელიც მასთან შეწყობილი სახელების ბრუნვებს განსაზღვრავს. ამოსავალი აქ უნდა ვეძებოთ. ამ თვალსაზრისით ქართული ზმნები 2 ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. პირმომართი აქტანტები სერიების მიხედვით ზმნის უღლების დროს ბრუნვებს იცვლის;
2. პირმომართი აქტანტები სერიების მიხედვით ზმნის უღლების დროს ბრუნვებს არ იცვლის.

პირველ ჯგუფში შედის ყველა ის ზმნა, რომელიც აწმყოს მწკრივის I და II პირში მთავრდება თემის ნიშნებზე ან რაღაც თანხმოვანზე (მაგ. ვ-ქსოვ, ვ-წერ და ა.შ.), ანუ I – III ტიპის ზმნები აკაკი შანიძის მიხედვით. პირმომართი აქტანტები ბრუნვაცვალეზადია სერიების მიხედვით. კერძოდ: S იქნება მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში, O_{პირ} – სახელობითში, ხოლო O_{ირ} – ყოველთვის მიცემითში. პირმომართი აქტანტების ბრუნვის ფორმები სერიების მიხედვით I ჯგუფის ზმნებს უკავშირდება:



მეორე ჯგუფში გაერთიანდება ზმნები, რომლებსაც აწმყოს მწკრივში აქვთ **-ები/-ება** დაბოლოება(მაგ. ვშრები, ვიზრდები) ან მეშველზმნიანი ფორმები (მაგ.: ვდგავარ, ვკიდევარ), ანუ II და IV ტიპის უღლების ზმნები აკ. შანიძის მიხედვით. ამ ზმნებს, მართალია, აწმყოს მწკრივში აქვთ განსხვავებული ფორმები, მაგრამ მყოფადის მწკრივში ყველას ექნება **-ები/-ება** დაბოლოება და ზმნის ფორმებიც სხვა მწკრივებში ძირითადად ერთგვარად ეწარმოებათ. რაც შეეხება პირმომართ აქტანტებს, ისინი ბრუნვაცვლელა სერიების მიხედვით. შეიძლება შეგვხვდეს სამპირიანი ზმნაც. მაგ. მე ვპირდები მას მას და სხვა. II ჯგუფის უღლების ზმნები ასეთ სურათს გვიჩვენებს:

I – II – III სერია

სახ V ორ-მიგ. (ორ.მიგ).

ამრიგად, პირმიმართი აქტანტების ბრუნვების განსაზღვრა შესაძლებელია მყოფადის მწკრივის ფორმების მიხედვით. უნდა გაირკვეს: აქვს ზმნას -ები/-ება დაბოლოება თუ არა.

ნ ა ტ ა ბ ა ს ი ლ ა ი ა

მიმართვა მარინა ცვეტაევას პოეზიაში

მიმართვა მარინა ცვეტაევას პოეზიაში სხვადასხვა დონეზე მიახლოებულია ზეპირ კომუნიკაციასთან. პირობითობის მაღალი დონე გააჩნია პირებისადმი მიმართვას წარმოსახვით დიალოგურ სიტუაციაში, რომელიც ძირითადად არ ემთხვევა რეალურ კომუნიკაციას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიმართვა თითქოსდა რეალური პირისადმი («Милый друг!», «Друг мой!», «Подруженька!», «Мой прекрасный брат!»), ეს არის პერიფრაზები, რომლებიც მიემართება ან დიდი ხნის წინ წასული ადამიანებს, ან პოეტთან ნათესაურად დაკავშირებული პირებს, ანდა სულაც ფიზიკური მდგომარეობას.

პირობითობის უმაღლესი ხარისხით ხასიათდება მარინა ცვეტაევას მიმართვა სალიტერატურო გმირებისადმი, ბიბლიური პერსონაჟებისადმი, ისტორიული პირებისადმი, ვისთანაც ურთიერთობის წარმოსახვითი დიალოგური სიტუაცია შორს არის რეალურად შესაძლებელისგან.

როდესაც თავის პოეზიაში მარინა ცვეტაევა არ მიმართავს პირებს, მისი მიმართვები განეკუთვნება მთელ სამყაროს, მზეს, დროსა და მის მონაკვეთებს, ადამიანის გრძნობებისა და შინაგანი მდგომარეობის ამსახველ მცნებებს, მუზას, საგნებს, ნივთებს, არტეფაქტებს, სხვადასხვა თემატურ ჯგუფში შეშვალ რამდენიმე ადრესატს.

მარინა ცვეტაევას პოეზიაში კონცენტრირებული პრედიკაციის გამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს დეფინიციური სემანტიკის მქონე მიმართვები, რომელთაც აქვთ მიმართვის ობიექტის დახასიათების ჩამოთვლითი რიგები, იმისდა მიუხედავად, თუ რა ან ვინ გამოდის ადრესატის როლში: პირი თუ არა პირი.

თვისების ყველაზე მაღალი კონცენტრაციის ხარისხი მიიღწევა პერიფრაზებით გართულებულ მიმართვებში. ასე, ანა ახმატოვასადმი, ბორის პასტერნაკისადმი, ვლადიმირ მაიაკოვსკისადმი მიმართვებში, რომლებიც მთლიანად პერიფრაზებისგან შედგება, ჩამოთვლილია

მიმართვის ადრესატის სხვადასხვა ნიშანი და თვისება, რომლებიც წარმოადგენს იმ პოეტების სტროფების რეცეფციას, ვისაც მარინა ცვეტაევამ ლექსები მიუძღვნა.

მიმართვა-პერიფრაზებში პოზიტიური ან ნეგატიური ნიშნების და თვისებების ასახვა, რაც მათ დეფინიციების დამატებით სემანტიკას ანიჭებს, ხდება პოეტური მეტყველების დიალოგირების ერთდროული გამძლიერებისას.

ლ ე ლ ა ბ ა ხ ტ ა ძ ე **ინფინიტიური კონსტრუქციების** **მოდალური მნიშვნელობები თანამედროვე ებრაულში**

1. მოდალობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ენობრივი კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას რეალობასთან, რაც გადმოიცემა კილოს, მოდალური სიტყვების, ინტონაციისა და მოდალური სიტყვების საშუალებით.

2. ვ. ვინოგრადოვი, რუსული ინფინიტივის სემანტიკური და მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, უწოდებს მას „ზმნურ ნომინატივს“ და აღნიშნავს, რომ ინფინიტივს აქვს „ოთხივე კილოს სისტემაში ტრანსპონირების უნარი“, რის შედეგადაც გარკვეულ კონტექსტურ პირობებში ინფინიტივი გამოდის შემასმენლის როლში, ანუ ასრულებს ზმნის პირველად სინტაქსურ ფუნქციას.

3. მოხსენების საგანია ინფინიტიური კონსტრუქციების სემანტიკურ-სტილისტური ანალიზი. თანამედროვე ებრაულში ინფინიტიური კონსტრუქციებით გადმოიცემა სხვადასხვა მოდალური მნიშვნელობა - ბრძანება, სურვილი, ვალდებულება, ინსტრუქცია, რეკომენდაცია და სხვ.

4. ინფინიტიური კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელია ექპრესიულობა, ლაკონიზმი, გარკვეული სემანტიკური და სტილისტური თვისებურებანი.

ნ ო მ ა დ ი ბ ა რ თ ა ი ა
ქართულში შემოსული სპარსული წარმოქმნილი
ლექსიკა იოსებ გრიშაშვილის “ქალაქური ლექსიკონის”

მიხედვით

1997 წელს საარქივო მასალაზე დაყრდნობით რუსუდან კუსრაშვილმა გამოაქვეყნა იოსებ გრიშაშვილის “ქალაქური ლექსიკონი”, რომელიც მდიდარია აღმოსავლურიდან, კერძოდ, სპარსულიდან შემოსული ლექსიკით.

ნასესხობანი წარმოდგენილია როგორც მარტივი, ისე რთული და წარმოქმნილი სიტყვების სახით, რომელთა ერთ ნაწილს წარმოვაჩინთ.

როგორც ჩანს, “ქალაქური ლექსიკონის” სიტყვები: **აზიაბრუებენ**, **ალამდარი**, **ამზარჩა**, **ბედოვლათი**, **ბემურაზი**, **ბეილბალი**, **ბეჩარა**, **ბიამანი**, **ბეჯინსი**, **დარდიმანდი**, **ნალჩგარი**, **ნახუნავი**, **ფაჩე**, **ფინაჩი**, **ქალანთარი**, **ქალაფაჩი**, **ქარგალი**, **შაგირდანა**, **ნამარდი**, **ქამანჩა**, **ყალამდანი**, **შაქარდანი**, **ჩეშმაკი** და **ხარაკი** მომდინარეობენ შემდეგი სპარსული წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულებიდან:

بی ابرو (bīâbru), علم دار (alamdâr), **عنبچه** (ambarče), بی دولت (bīdovlat), بی مراد (bīmorâd), بی اقبال (bīeqbâl), **بی چاره** (bičâre), **بی امان** (bīâmân), بی جنس (bījens), **دردمند** (dardmand), **نعلچگر** (na'îčgar), **ناخنک** (nâxonak), **پاچه** (pâche), **پینه چی** (pinečī), **کلانتر** (kalântar), **کله پاچه** (kalle pâče), **کارگر** (kârgar/), **شاگردانه** (šâgerdâne), **نامرد** (nâpard), **کمانچه** (kamânče), **قلم دان** (kalamdân), **شاگردانه** (šâgerdâne), **چشمک** (češmak) და **خاراک** (xarak).

გვხვდება როგორც პრეფიქსიანი (**بی** /bī/, **نا** /nâ/), ისე სუფიქსიანი **ک** - /ak/, **انه** /ane/, **گر** /gar/), **دان** /dân/, **دار** /dâr/, **مند** /mand/, **چه** /če/, **چی** /čī/) სახელები. განხილული ნასესხობანი ყურადღებას იპყრობენ მეტწილად სემანტიკური ადაპტაციის თვალსაზრისით. მათი ფონეტიკური ადაპტაცია შეესაბამება ქართულში სპარსულ ბგერათა გადმოცემის კანონზომიერებებს.

მ ა რ ი ნ ა ა ნ დ რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი გერმანულენოვან გეოგრაფიულ სახელთა ქართული ეკვივალენტები

გერმანულენოვან გეოგრაფიულ სახელთა ქართულად ტრანსლირებისას ერთდროულად მრავალი ხელშემშლელი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაგან განსაკუთრებული რელევანტურობით გამოირჩევა: ამოსავალი და მიზნობრივი ენების ანბანური, ისევე როგორც ფონოლოგიურ სისტემათა რადიკალური განსხვავებულობა; ორიგინალის ენაზე სახელის გრაფემული სურათის არაიდენტურობა

ფონემურთან; ზოგადენობრივ ლანდშაფტში არსებული კლასიკური ტრადიციებისა თუ ახალი ტენდენციებისთვის ანგარიშგაწევის აუცილებლობა; რუსულის, როგორც შუალედური ენის, დიქტატის ჯერ კიდევ შემორჩენილი ზეგავლენა; ზოგიერთი სემანტიკური სუბკლასის ტოპონიმთა თარგმნადობა-არათარგმნადობის ან ნაწილობრივი თარგმანის შესაძლებლობა; აღსაწერი ფენომენის ჰეტეროგენულობა, შესაბამისად კი, კლასიფიკაციის პრინციპების უნიფიცირების პრობლემურობა.

ჩამოთვლილ ობიექტურ ფაქტორებს ემატება ასევე სუბიექტური ხასიათის ფაქტორებიც: ცალკეული ინდივიდის მხრიდან – საჭიროებისამებრ სახელის სპონტანური (საცნობარო ლიტერატურაში გადაუმოწმებელი) გადატანა უცხოური ენიდან მშობლიურზე და ამ პროცესში მხოლოდ საკუთარ გემოვნებაზე, ერუდიციასა თუ ენობრივ გამოცდილებაზე დაყრდნობა; საზოგადოების მხრიდან – ეროვნული მენტალობის რამდენადმე სტაბილურობა-კონსერვატულობა, სააზროვნო პროცესების ეგოცენტრიზმი, შესაბამისად კი არჩევანის გაკეთება, ახალშემოთავაზებული ვერსიის უკვე არსებულის ფილტრში გატარებისას, ტრადიციულის/შეჩვეულის სასარგებლოდ.

ამ თვალსაწიერიდან გერმანულ ტოპონიმთა ქართული ეკვივალენტების შედარებითმა ანალიზმა *საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში* განთავსებულ მასალაზე, ისევე როგორც პრესის და სალაპარაკო ენაზე დაყრდნობით, გამოავლინა:

- ანალოგიურობის პრინციპის დარღვევა ტბების/მთების/ტყეების/ ზოგიერთი ქალაქის სახელთა ტრანსლირებისას, მიუხედავად მათი აღმნიშვნელი სინტაგმების იდენტურობისა გერმანულში: Starnberger See შტარნბერგერზე || Thuner See თუნის ტბა; Fichtelgebirge ფიხტელგებირგე || Erzgebirge მადნიანი მთები; Frankfurt am Main მაინის ფრაკფურტი || Limburg an der Lahn ლიმბურგ-ან-დერ-ლან-ი ...;

- ასიმეტრიულობა ერთტიპური უმლაუტების ü/ö, ასევე ä-ს გადმოქართულებისას: Lübeck ლიუბეკ-ი || Köln კელნ-ი; Vänern ვენერნ-ი || Kärnten კარინტია;

- ერთმანეთში აღრევა ტრანსლირების გრაფემული და ფომენური პრინციპებისა, შედეგად: ზღვრის წაშლა იჰ-ლაუტსა და ახ-ლაუტს შორის, ანგარიშგაუწევლობა თანხმოვანთა მჟღერობა-სიყრუისადმი და ა.შ.

- რუსულის ზეგავლენით ბოლოკიდური ა-ს ხმარება სახელებთან: Den Haag ჰააგა / Elbe ელბა (რასაც ელბას შემთხვევაში

ახლავს გერმანული მდინარის სახელის დამთხვევა კუნძულის სახელთან იტალიაში).

განხილული გვაფიქრებინებს, რომ მომწიფდა აუცილებლობა, თანამედროვეობის გადასახედიდან გადაისინჯოს გერმანულენოვან გეოგრაფიულ სახელთა ქართული ეკვივალენტები და ამით საფუძველი მომზადდეს ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონის შესადგენად.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლექსემა del - (გული) სპარსულ კომპოზიტებში

ენაში არსებული ყოველი გამონათქვამი დროისა და სივრცის ჩარჩოებით შეზღუდულ სიტუაციაში არსებობს და ამავე სიტუაციითაა შეზღუდული მოლაპარაკე და მსმენელიც, აგრეთვე მოვლენებიც და საგნებიც. ხშირად სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა მხოლოდ კონტექსტის მეშვეობით ხდება შესაძლებელი. ლექსიკის კვლევა ამა თუ იმ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს როგორც მორფოლოგიის, ასევე ლექსიკოლოგიის პოზიციებიდან. თითოეული ლექსიკური ერთეულის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სიტყვის შედგენილობასა და მაწარმოებელთა ხასიათს, არამედ მის შინაარსობრივ მხარესა და გამოყენების ფუნქციურ ასპექტებს.

ირანისტიკაში სიტყვაწარმოების საკითხები, რომელიც გულისხმობს დერივაციას, თხზვას და, უფრო ფართო გაგებით, ფრაზეოლოგიასა და იდიომებსაც მოიცავს, მრავალი უცხოელი და ქართველი მეცნიერის კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

ჩვენი მიზანია, **del** - გული ლექსემის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების ჩვენება სპარსულ ენაში.

del სიტყვას, სხეულის აღმნიშვნელ სხვა სიტყვებთან ერთად (*dast* – ხელი, *sar* - თავი), თავისი პოლისემანტიკური ბუნების გამო სპარსული ენის ლექსიკურ და გრამატიკულ სისტემაში გამორჩეული ადგილი უკავია. მისი ბუდე ყველა ლექსიკონში (როგორც ორენოვან, ისე სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში) საკმაოდ მოცულობითია და, ძირითადი მნიშვნელობის გარდა, ხშირად

იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. ძირითად მნიშვნელობაში იგულისხმება ამ ლექსემის საგნობრივი მნიშვნელობა (**del** – გული – სხეულის ნაწილი), მაგრამ მას აქვს თვისებრივი მნიშვნელობაც, რაც კარგად ჩანს მოცემული ლექსიკური ერთეულის შემცველ რთულ სიტყვებში.

ლექსემა **del** მონაწილეობს სიტყვაწარმოების ყველა უბანში: გვხვდება მისი შემცველი დერივატები, ქმნის უმდიდრეს ფრაზეოლოგიას, ანდაზებსა და იდიომებს. ამჯერად განვიხილავთ რთულ თხზულ სიტყვებს, კომპოზიტებს, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ჩვენთვის საინტერესო ლექსემაა.

კომპოზიტთა კლასიფიკაციის დროს ვიყენებთ თინათინ ჭავჭავაძის წიგნში მოცემულ სისტემას, რომელიც ეყრდნობა ინდურ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით გამოყოფილია კომპოზიტთა ოთხი ტიპი: I - დვანდვა; II - ტატპურუშა; III - ბაჰუვრიჰი; IV - ავდაბჰავა.

ჩვენ მიერ განხილული მასალის მიხედვით ლექსემა **del** სტრუქტურულად საკმაოდ მრავალფეროვან სურათს იძლევა კომპოზიტთა წარმოების თვალსაზრისით. გვხვდება როგორც რთული სიტყვების პირველ, ისე მეორე კომპონენტად, მონაწილეობს თხზვაში მეტყველების ყველა ნაწილთან ერთად. 'გულის' შემცველ რთულ სიტყვებში კარგად ჩანს მისი თვისებრივი მნიშვნელობა. ხშირ შემთხვევაში წინა პლანზე წამოწეულია პიროვნების ემოციური მხარე.

ი რ ი ნ ე დ ე მ ე ტ რ ა ძ ე **თავმდაბლობის ვერბალური გამოხატულება** **ინგლისურსა და ქართულში**

ცნობილია, რომ თავმდაბლობა თავაზიანობის განუყოფელი ნაწილია. ბრაუნი და ლევინსონი “თავაზიანობას” ასე განმარტავენ: „თავაზიანობა არის ზრდილობიანი სოციალური ქცევა სოციალურ სიტუაციაში, რაც გულისხმობს ტაქტს, თავმდაბლობას, კეთილშობილებას და თანაგრძნობას თანამოსაუბრეებისადმი” (ბრაუნი და ლევინსონი, 2000). როგორც ვხედავთ, თავაზიანობის თეორეტიკოსები თავმდაბლობას მიიჩნევენ თავაზიანობის ერთ-ერთ

უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად. ჯეფრი ლიჩი, „თავაზიანობის პრინციპის“ ავტორი, თავაზიანობის ერთ-ერთ მაქსიმად სწორედ თავმდაბლობის მაქსიმას მიიჩნევს და მას ასე განსაზღვრავს: “მინიმუმამდე დაიყვანე საკუთარი თავის შექება” (ლიჩი, 1983).

როგორც ცნობილია, თავაზიანობა განუყოფელია „სახის“ ცნებისაგან. ბრაუნისა და ლევისონის მიერ გამოყოფილია „დადებითი და „უარყოფითი სახე“. დადებითი სახე მოიცავს სურვილს, რომ ადამიანის მიერ თანამოსაუბრეზე დატოვებული შთაბეჭდილება იყოს მოწონებული. უარყოფითი თავაზიანობა კი გულისხმობს, რომ თანამოსაუბრეს რაც შეიძლება ნაკლებად მოახვიო თავს საკუთარი აზრი ან სურვილი. ჩვენი აზრით, თავმდაბლობა ორივე სახის სტრატეგიის შერწყმაა, რადგან თავმდაბალი ქცევა ყოველთვის ისახავს მიზნად დადებითი შთაბეჭდილების შექმნას, თანაც გამორიცხავს საკუთარი სურვილის თავს მოხვევას თანამოსაუბრისთვის. შესაბამისად, თავმდაბლობის სტრატეგია ყოყმანი (საყოყმანო სიტყვები, როგორცაა ეკ, ჰმ) და შემარბილებელი ფრაზები (მაგ. თხოვნის შემთხვევაში: I'm sorry to bother you but.., I know you're very busy, but..). თავმდაბლობის გამოხატვა ასევე მოიცავს არაპირდაპირ საუბარს (ბრაუნის და ლევისონის ტერმინებში “Off record”).

მოცემულ მოხსენებაში განხილულია თავმდაბლობის გამოხატვის ვერბალური საშუალებები ინგლისურსა და ქართულში, გამოყოფილია შემდეგი სუტუაციები: თავმდაბლობა რეკლამაში, პასუხი მიღებულ კომპლიმენტებზე, მადლობის, შეთავაზების, საჩუქრის მიღების პასუხად გამოხატული თავმდაბლობა, საკუთარი თავის ქებისა და მიღწევების ხაზგასმის მინიმინაცია, შვილებისა და ოჯახის წევრების ქების მინიმინაცია, თავმდაბლობის სტრატეგია თხოვნის გამოხატვისას, პირადი პრობლემების დაფარვა (მაგ. შეკითხვაზე “How are you?” პასუხისას), სათქმელის შერბილება (understatement), ასევე თავმდაბლობის გამოხატვის სინტაქსური საშუალებები (მაგ. მოქმედ პირთა ჩამონათვალში პირველი პირის ბოლოს მოხსენიება).

თავმდაბლობის გამომხატველი ვერბალური საშუალებები მრავლადაა როგორც ინგლისურში, ასევე ქართულშიც, თუმცა, რიგ შემთხვევაში. განსხვავდება ის ყოფითი სიტუაციები, რომლებთან მიმართებაშიც თავმდაბლობის ხარისხი უფრო მაღალია ერთგან (მაგ. შვილების ქების მოსმენა ინგლისურ ყოფაში) ან მეორეგან (მაგ. დაპატიჟებები ქართულში).

ქ ე თ ე ვ ა ნ გ ო ჩ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ანგლოამერიკანიზმების გავრცელების ასპექტები

ენობრივი სესხებების პრობლემა ენათმეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. ლინგვისტები სესხების რამდენიმე მიზეზს ასახელებენ, მათ შორის მიმღებ ენაში არარსებობა საგნებისა და ცნებების განსაზღვრისა. სახელდება სოციალური, ფსიქოლოგიური, ესთეტიკური და ა. შ. ფაქტორები. ცნობილი ლინგვისტი ბოდუენ დე კურტენე წერს, რომ “არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს არც ერთი სუფთა და შეურეველი ენობრივი მთლიანობა”, ამდენად, ენის სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინებთ მის ლექსიკურ ფონდში შემოსულ და დამკვიდრებულ ლექსიკურ ერთეულებს.

დღეს ახალ ნასესხობათა უდიდესი ნაწილი სწორედ ანგლო-ამერიკანიზმებია. ამას აქვს თავისი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური საფუძვლები, კერძოდ, “XX საუკუნის ლათინურად” წოდებული ინგლისურის გავრცელებას ხელი შეუწყო აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის განსაკუთრებულმა როლმა თანამედროვე სამყაროში: ამ ენობრივი სამყაროდან მომდინარე საინფორმაციო ნაკადების ზრდამ, ინტერნეტის ფართოდ გავრცელებამ, გლობალური ბაზრის განვითარებამ, IT ტექნოლოგიებმა, კულტურული და სოციალური კავშირების ზრდამ, ტურიზმის განვითარებამ და ა. შ.

სესხება მაშინ არის წარმატებული, როდესაც ის ასრულებს თავის მიზანს – ანუ ხდება საკომუნიკაციო ქმედების სრულფასოვანი წევრი. ნებისმიერი ნასესხობა ამ როლს ენაში ვერ იძენს და რჩება უცხო სხეულად ენაში. ასეთი ერთეულები გვხვდება ანგლოამერიკანიზმებს შორისაც. ქართულში დღემდე არაინტეგრირებულია ბევრი ანგლოამერიკული ნასესხობა, ის გაუგებარია ენობრივი კოლექტივის უმრავლესობისათვის (აუთსორსინგი, ფიდბექი და ა. შ.), იმ პიროვნებებისათვის, რომელთათვისაც გასაგებია, ხშირ შემთხვევაში კი კულტურულად მიუღებელია.

ნებისმიერი ნასესხობა, მათ შორის ანგლოამერიკანიზმებისა, ენაში თავისი როლის მიხედვით უნდა დაიყოს სამ ჯგუფად:

1) მყარი ნასესხობანი, რომლებიც ემორჩილებიან მიმღები ენის სისტემას და იძენენ ცნების აღმნიშვნელ ფუნქციას (მინისტრი, ჯინსი, ტრამვაი, და ა. შ).

2) სესხებები, რომლებიც ემორჩილებიან ენის სისტემას, მაგრამ სტილისტიკურად ჯერ ისევ შეზღუდულები, შემოსაზღვრულები არიან და ძირითადად მწიგნობრულ სტილში არიან რეალიზებულნი (პრეს-რელიზი, დილერი, ჰოლდინგი, რეიტინგი).

3) დროებითი, არამყარი ნასესხობანი, რომლებიც არ არის ასიმილირებული რეციპიენტ, მიმღებ ენაში და მათი დამკვიდრების პერსპექტივაც მინიმუმია (ჰაიტეკი (მაღალი ტექნოლოგიები), სფიჩი (საზეიმო სიტყვა) და ა. შ.).

მოხსენებაში განხილულია ყველა ჯგუფის ნასესხობა შესაბამისი მაგალითებით და მოცემულია მათი შიდაკლასიფიკაციის ცდა.

ორი ნ ე გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი
ცნება “სამკვიდრო წილის” აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები
ქართულსა და ამერიკულ სამართალში
(“საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა” და
“მონტანას კოდექსის” მიხედვით)

აქტუალობა:

სადღეისოდ საქართველო დგას სოციალიზმიდან განვითარებული კაპიტალიზმისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო წყობის შეცვლასთან დაკავშირებით, ახლებურად დგება ქართულ კანონმდებლობაში თემა - მემკვიდრეობის პრობლემა. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ძირითად ცნებათა სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი ტერმინოლოგიური სახელდების საჭიროება.

მიზნები და ამოცანები:

მოხსენების მთავარი მიზანია თანამედროვე ქართული მემკვიდრეობის სამართლის ერთეულების, კერძოდ, ცნება “სამკვიდრო წილის” აღმნიშვნელი ტერმინების მოწესრიგება-სისტემატიზაცია. ამასთან დაკავშირებით დასმულია შემდეგი ამოცანები:

- ცნება “სამკვიდრო წილის” აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების გამოყოფა ქართულსა და ამერიკულ სამართალში;

- მემკვიდრეობის სამართლის ტერმინოლოგიური სისტემების შედარების საფუძველზე ე.წ. “ცარიელი უჯრების” გამოვლენა და “შეესება”.

კვლევა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მემკვიდრეობისათვის განკუთვნილი ქონების ნაწილს ეწოდება “სამკვიდრო წილი”. გამოიყოფა “სამკვიდრო წილის” ორი ძირითადი კატეგორია: “კანონისმიერი წილი” და “ანდერძისმიერი წილი”. “კანონისმიერ წილთა” კატეგორიას მივაკუთვნებთ ე.წ. “სავალდებულო წილსაც”, რომელიც გადაეცემა მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ანდერძში გაკეთებული განკარგულებების მიუხედავად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად მონტანას კანონმდებლობაც განასხვავებს “intestate share”-სა (კანონისმიერი წილი) და “testate share”-ს (ანდერძისმიერი წილი). “Intestate share” გადაეცემა მამკვიდრებლის მეუღლეს, შთამომავლებს, მშობლებსა და ახლო ნათესავებს კანონით გათვალისწინებული თანმიმდევრობის მიხედვით. მონტანას კოდექსში დასტურდება სავალდებულო წილის არსებობაც. თუმცა, არსად გვხვდება ამ ცნების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. ამასთანავე, აშშ-ს სამართლის თანახმად განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობენ გარდაცვლილის მეუღლე და შთამომავლები. კანონით გათვალისწინებული სამემკვიდრეო წილის გარდა, ისინი იღებენ: “family allowance” , “homestead allowance”, “exempt property” და “elective share” .

კვლევის შედეგები:

ქართული და ამერიკული მემკვიდრეობის სამართლის ტერმინოლოგიური სისტემების შედარებითა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი: **1.** მემკვიდრეობისათვის განკუთვნილ “სამკვიდრო წილთა” კატეგორიებია: კანონისმიერი (intestate share) და ანდერძისმიერი (testate share); **2.** მონტანას კოდექსი ოპერირებს ცნებებით: “family allowance”, “homestead allowance”, “exempt property” და “elective share”. თუმცა, მათი არსებობა არ დასტურდება ქართულ სამართალში; **3.** ნაშრომში წარმოდგენილია ამერიკულ სამართალში არსებული ცნებების ქართული ლექსიკური ერთეულებით სახელდების ცდა. შესაბამისად, შემოთავაზებულია შემდეგი ტერმინები: “სარჩო-წილი” (family allowance), “უპირატესი წილი” (homestead allowance), “პირადი ქონებისმიერი წილი”(exempt property), “არჩევითი წილი” (elective share).

ნ ი ნ ო ე ჯ ი ბ ა ძ ე

იდიომატური გამოთქმები არაბული ენის ეგვიპტურ დიალექტში

არაბული ენის ეგვიპტური დიალექტი მდიდარია იდიომატური გამოთქმებით, რომლებიც ამ დიალექტს განსაკუთრებულ პეწს სძენს. ისინი ადვილად გასაგები და აღსაქმელი მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისაა, ან მათთვის, ვინც მათ ენას, კულტურასა და წარმოდგენებს იცნობს. მოხსენებაში მოყვანილი მაგალითები ჩაწერილია ავტორის მიერ ეგვიპტელი ინფორმანტებისგან ან აღებულია ეგვიპტურ დიალექტზე შექმნილი შემდეგი ლიტერატურიდან: საუი 1981, ალ-სიბაი 1965, ალ-აიდი 2003, ალ-თონსი, ალ-ჰაქიმი 1987, ეჯიბაძე 2008. მოხსენებაში მოყვანილ მაგალითებს ახლავს სიტყვასიტყვითი თარგმანი და განმარტებები. ცალკე ჯგუფებადაა გამოყოფილი ისეთი ლექსემები, რომლებიც ეგვიპტურში განსაკუთრებით ხშირად გამოდიან იდიომატურ გამოთქმათა შემადგენლობაში.

სახე აილო. გაშინაურდა **أَخَذَ وَجْهًا**

აღებ-მიცემა. ურთიერთგაგება **أَخَذَ وَعَطَا**

ხვალ ჭერამში (იგულისხმება, როცა ჭერამი **بُحْرَه فِي الْمَشْمَشِ** დამწიფდება). უშაბათო კვირაში, არასოდეს.

გველის თავს ჭამს. ითქმის მოხერხებულ ადამიანზე, რომელიც თავს ყველგან გაიტანს. **بِيَاكُلُ رَأْسَ الْحَيَّةِ**

პირში ჩუსტი ჩაიდუ. ხმა ჩაიწყვიტე **حَطَّ الْبَلْعَةُ فِي بَقَاكْ**

დასავლეთისკენ შეატრიალეს. სიკვდილის პირას მივიდა, **دَايِرِينَه مَغْرِبْ** სიკვდილის პირას იყო.

თავისი ქალბატონის სული. დედიკოს ბიჭი **رُوحَ سَيْتِه**

ხუთები ექვსებში გაართყა. ვერაფერი მოახერხა. **ضَرَبَ أَخْمَاسَ فِي اسْتِدَاس**

თავი ათამაშდა ჩემს უბეში. დავეჭვდი, ეჭვი შემეპარა. **الْفَارَ لِعِب فِي عَيْ** გარდა ამისა, ეგვიპტურ დიალექტში ფართოდ გამოიყენება იდიომატური გამოთქმები, რომელთა შემადგენლობაში განსაკუთრებით ხშირად დასტურდება შემდეგი ლექსემები: ‘ayin (თვალი), dam (სისხლი), bārid (ცივი) და ფერის აღმნიშვნელი ზედს. სახელები (კერძოდ, შავი, თეთრი, ლურჯი):

თვალი ამომივარდა ...-ში. დიდი ძალისხმევა დავახარჯე, **طَلَعَتْ عَيْنُه فِي ...-ში.** დიდი ჯაფა გავწიე **...-ში.**

ჩემი თვალი ცივი იყოს მასზე. ჩემი თვალი მას არ ეცემა, მე **عَيْنِي عَلَيْهِ بَارَدَه** მას არ გავთვალავ. **مَاسَ أَرِ**

დედაშენს სისხლი დაუტოვე. სინდისი იქონიე **حَلَّ عِنْدَ أُمَّكَ دَمَ**

სისხლი გაექცა. ძალიან შეშინდა. **دَمَهُ هَرَبَان** ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები:

ცნობილია, რომ ეგვიპტურ დიალექტში ფერის აღმნიშვნელი ზოგი სახელი გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. მაგალითად, 'asfar (ყვითელი) არაბულში შეიძლება ნიშნავდეს ფერმკრთალსაც, ფარისეველურსაც, შავი ან ლურჯი უარყოფით მოკვლენების აღსანიშნავად გამოიყენება, თეთრი – დაღებითისა (ალამი 2000,78-88) და ა.შ.

ყვითელი სიცილი. ფარისეველური სიცილი. صَفْرًا
ლურჯი უბელურება. დიდი უბელურება. الزَّرْقَاءُ
თეთრო დღევ (შავო დღევ). რა კარგი ამბავია! أبيض أسودًا / يَا نَهَارًا

ნ ა ტ ა ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ფრაზეოლოგიურ კონვერგენტული სეგმენტები გერმანულსა და ქართულში

სემანტიკური პრობლემები თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენობრივი სტრუქტურის ყველა დონეს მოიცავს: მორფემათა, გრამატიკული ერთეულების, წინადადებების და სხვა ლექსიკური ერთეულების სემანტიკური თავისებურებები შესწავლის ძირეულ ობიექტად იქცა.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გააშუქოს ზოგიერთი სემანტიკური პრობლემა, რომელიც შეეხება სიტყვის ერთ-ერთი სემის აქტუალიზაციას გერმანულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა ენებში კლასიფიცირებულია ღერძული სიტყვის ანუ ონომასიოლოგიური პრინციპის მიხედვით. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი კლასი:

1. ღერძული სიტყვიანი ფრაზეოლოგიზმები, სადაც მნიშვნელობის აღქმა გაშუალებულია ღერძული სიტყვით და ეს უკანასკნელი განიხილება როგორც სახელი, რომლის მიხედვითაც ერთიანდება ფრაზეოლოგიური ერთეულების გარკვეული ჯგუფები.

2. ფრაზეოლოგიზმები ღერძული სიტყვის გარეშე, სადაც ნომინალური დატვირთვა თანაბრად არის განაწილებული თითოეულ კომპონენტზე.

ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები ამ გაგებით წარმოადგენს პროდუქტიულ ერთეულებს თითქმის ყველა ენაში და ბერძნული სიტყვის "Soma"-ს მიხედვით მათ "სომატიზმებს" უწოდებენ.

გერმანული და ქართული ენები განსაკუთრებით მდიდარია ასეთი შესიტყვებებით.

სტრუქტურის თვალსაზრისით (თუ შემოვიტანთ აღნიშვნას მეტყველების ნაწილების მიხედვით: s – არსებითი სახელი, v – ზმნა, v – თანდებული, გერმანულში – წინდებული) სომატიზმები ქმნიან რამდენიმე ფიქსირებულ მოდელს, რომელთა მადიფერენცირებელი ნიშანია შემადგენელთა რაოდენობა, ხოლო ინტეგრალური – კავშირი სახელთან.

შინაარსის თვალსაზრისით სომატიზმებს განსხვავებული სიღრმისეული სტრუქტურა აქვთ:

1. ბინარული სიღრმისეული სტრუქტურა, ანუ ომონიმია თავისუფალ შესიტყვებასთან.

2. მონოსემიური – მხოლოდ ფრაზეოლოგიური სიღრმისეული სტრუქტურა, როცა სემის ექსპლიკაცია არავალენტური ზმნით ხორციელდება.

მნიშვნელობის დაშლა სემებად გულისხმობს სემების ორგანიზაციების შესწავლას და მათი წონობრივი სტატუსის დადგენას. მაქსიმალური წონის სემა შეადგენს ბირთვს – არქისემას, დანარჩენი კი, პოტენციური სემები, გადმოსცემენ ობიექტის არაპირითად მეორეხარისხოვან თვისებას.

გერმანული და ქართული სომატიზმების კონვერგენტულობა შეადგენს წინამდებარე მოხსენების ძირითად თემას, რაც ამოუწურავ მასალას სთავაზობს ნებისმიერ მკვლევარს და პერსპექტივაში ფრაზეოლოგიური კვლევების საფუძველზე უნივერსალიების კვლევის პრეროგატივად უნდა იქცეს.

დ ა რ ე ჯ ა ნ თ ვ ა ლ თ ვ ა მ ე

სინას მთის წიგნსაცავში დაცული ოთხთავის ხელნაწერები

სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტერში ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის კვალი ხელნაწერი წიგნების საკმაოდ დიდი კოლექციის სახით შემორჩა. ქართულ ხელნაწერთა ძველ კოლექციას (Sin. Geo.O.), რომელშიც 88 ხელნაწერი ინახებოდა, 1975 წელს გაჩენილი ხანძრის შემდეგ აღმოჩენილი ქართული ხელნაწერები დაემატა (Sin. Geo.N.) ამჟამად მონასტრის წიგნსაცავში 174 ქართული ხელნაწერი წიგნი და რამდენიმე ასეული ფრაგმენტია დაცული. მათ შორის არის ოთხთავის ქართული თარგმანის შემცველი შვიდი მანუსკრიპტი, კერძოდ: Sin. Geo.O.15; Sin. Geo.O.16; Sin. Geo.O.30; Sin. Geo.O.38; Sin. Geo.O.81 და ახალი კოლექციის ორი ნუსხა Sin. Geo.N.19 და Sin. Geo.N.12. მათგან ერთი (Sin. Geo.O.16) გადაწერილია X საუკუნეში იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, დანარჩენი კი, ხელნაწერთა კოლოფონების თანახმად, სინაზე მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს გადაუნუსხავთ X-XII საუკუნეებში.

სინური ოთხთავებიდან ოთხი (ძველი კოლექციის # 15, 16, 30 და 38) წინათონური რედაქციის ტექსტს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ მათგან ორი ცნობილი მწიგნობრის, იოანე ზოსიმეს, ხელიდანაა გამოსული. Sin.15, რომელიც იოანე ზოსიმეს ნუსხური ანბანით გადაუწერია, ხელნაწერზე დართული ანდერძების მიხედვით, 978 წლით თარიღდება. Sin.30 და Sin.38, რომლებიც ასევე წინათონური რედაქციის ტექსტის შემცველია, გადაწერილია ასომთავრულით ორი გამამწერის მიერ (Sin.30 - ეზრა ქობულიანის, ხოლო Sin.38 - იოანე ზოსიმეს მიერ). Sin.38-ის ანდერძის მიხედვით, რომელშიც თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება Sin.15-ის ანდერძის ტექსტი, მანუსკრიპტი გადაწერილია 979 წელს, ანუ ერთი წლის შემდეგ Sin.15-ის გადაწერიდან. იოანე ზოსიმეს ხელიდან გამოსული ორივე ნუსხა, როგორც ამ სინური ოთხთავების ერთმანეთთან შედარებამ აჩვენა, იმდენად ახლოს დგას Sin.16-თან, რომ შესაძლოა ის მათი დედანიც კი ყოფილიყო.

სინას მთაზე ინახება ერთი და იმავე გადამწერის მიერ ერთი წლის ინტერვალით გადაწერილი ოთხთავის კიდევ ორი ხელნაწერი, რომლებიც გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტს შეიცავს. ესენია ძველი კოლექციის #19 ხელნაწერი, რომელიც 1074 წელსაა გადაწერილი ვინმე მიქაელ უცბად მხზრეკალის მიერ და ახალი

კოლექციის #12, რომელიც იმავე მიქაელს 1075 წელს გადაუნუსხავს. ანდერძების შინაარსის მიხედვით ეს ხელნაწერები მსგავსებას ამჟღავნებენ XII-XIII საუკუნეში გადაწერილ ოთხთავთან (Sin.Geo.O.81-თან), რომლის ერთ-ერთ ანდერძში განმეორებულია Sin.Geo.N.12-ის გადაწერის თარიღი. როგორც ამ ნუსხების ტექსტუალურმა ანალიზმა გვიჩვენა, გიორგისეული რედაქციის შემცველი ოთხთავის სამივე ხელნაწერი ერთნაირ ვარიანტულ წაკითხვებს გვიჩვენებს. სავარაუდოდ, Sin.Geo.O.81 მიქაელ უცხად მჩხრეკალის გადაწერილი Sin.Geo.N.19 ხელნაწერიდან უნდა იყოს გადაწერილი.

ნ ა ნ ა უ გ რ ე ხ ე ლ ი ძ ე **ერთი ქართული ხელნაწერი და მისი ძველბერძნული** **ორიგინალი**

(ხელნაწერი A-124, წმ. ნასტასი ანტიოქიელის კითხვა-მიგებითი თხზულების ფრაგმენტის ქართული თარგმანი)

ჩვენი კვლევის საგანი, ზოგადად, არის მოკლე კითხვა-მიგებითი თხზულებები ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში.

ამჯერად ჩვენ მიერ განსახილველი ხელნაწერი თხზულება ეგზეგეტიკური ხასიათისაა და შედგება 16 კითხვა-მიგებისგან, რომლებიც ეხება ქრისტიანული სწავლების ბევრ პრაქტიკულ საკითხს და თანამედროვე ადამიანისთვისაც ძალიან საინტერესოა. იგი ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის და ძალიან მნიშვნელოვნად გვეჩვენება მისი პირველწყაროსთან, ანუ ძველბერძნულ დედანთან მიმართების საკითხი, მისი ენობრივი თავისებურებები და მისი ადგილი ძველქართულ ლიტერატურულ, კერძოდ, ჰაგიოგრაფიულ კონტექსტში. ასევე საინტერესოა მოცემული ტექსტის ტერმინოლოგიის დადგენა. ჩვენ შევეცადეთ ეს გაგვეკეთებინა.

თხზულების ქართული თარგმანი დათარიღებულია XII-XIII საუკუნეებით. მისი ენობრივი ანალიზისას გასათვალისწინებელია ის, რომ ეს არის საშუალო პერიოდი ქართული ენის ისტორიისა. ტექსტი, იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, ყველანაირი ნიშნით იმეორებს იმ თავისებურებებს, რომლებიც ძველი ქართული მწერლობისათვის არის დამახასიათებელი. საინტერესოა ის არის, რომ უმეტესობას ამ თხზულების ფრაზებიდან და ტერმინებიდან, მოეპოვება თავისი ზედმიწევნითი ბერძნული დედნისეული შესატყვისი, და ჩვენ ვასკვნი, რომ ქართული ორიგინალური

ჰაგიოგრაფია ლექსიკური, სტილისტური თუ სახეობრივი თვალსაზრისით განიცდის ბერძნული ლიტერატურის ძლიერ გავლენას.

რაც შეეხება თარგმანის სპეციფიკას: თხზულება არის სინთეზი თარგმანსა და ორიგინალს შორის ეკვივალენტურობის ორი, ფორმალურ-სტრუქტურული და დინამიკური, მოდულაციურ-ადაპტური ტიპისა.

ავტორი თხზულებისა არის წმ. ნასტასი ანტიოქიელი, იგივე ანასტასი სინელი, შემქმნელი იმ ცნობილი დოგმატიკურ-ფილოსოფიური თხზულებისა, რომელიც ქართულ ენაზე ცნობილია, როგორც „წინამძღვარი“.

მთარგმნელი უცნობია, და ჩვენ, თარგმანის ხასიათიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ იგი ეფრემ მცირის ელინოფილური მთარგმნელობითი სკოლის წარმომადგენელი უნდა იყოს.

თ ი ნ ა თ ი ნ გ ი ო რ გ ო ბ ი ა ნ ი **გარდატეხა ბერძნული ენის განვითარებაში**

ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს ბერძნული ენის განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები, გარდატეხა შეაქვს. სწორედ პირველ საუკუნეებში, კონინეზე შექმნილ ნაწარმოებებში კარგად ჩანს, რომ ბერძნული ენა კარგავს ხმოვნის სიგრძე-სიმოკლის თვისებას, ანუ: უგულებელყოფილია კვანტიტეტის კანონი. ამიტომაცაა, რომ უკვე იმდროინდელ ბერძნულ წარწერებში ხდება აღრევა გრძელი და მოკლე ხმოვნებისა. ასე რომ, ამ პერიოდიდან ბერძნული ლექსწყობაც ცვლილებებს განიცდის. ის აღარ არის დამყარებული ხმოვნების სიგრძე-სიმოკლეზე და ამიტომაც ბერძნული ლექსი ახალი კრიტერიუმების ძიებაშია. ეს ის პერიოდია ბერძნული ენის განვითარებისა, როდესაც ბერძნული მწერლობა გადადის ახალ შინაარსზე და ახალ მხატვრულ ფორმებზე.

ამ პერიოდის ისტორიკოსები წერენ იმავე მეთოდით, იმავე ხერხებით, იმავე ენით, რომლებსაც იყენებდნენ თუკიდითე თუ ქსენოფონტი. ქრონოგრაფოსები, რომლებიც წერდნენ მსოფლიო ისტორიებს, წერდნენ სადა, მარტივი ენით და ატიცისტური ფორმების ნაცვლად იყენებდნენ სასაუბრო, ხალხური ენის ფორმებს, თუმცა, ატიკური სტილის მომხიბვლელობის გამო ქრონოგრაფოსებმა მათი მთლიანად უგულებელყოფა ვერ შეძლეს. საშუალო ბერძნულში

აციტისტურთან ერთად იყო ელინისტური კოინე და ხალხური ენა. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო დიგლოსია – არსებობდა სალაპარაკო ენა და არსებობდა სამწერლობო ენა.

IX-X საუკუნეებში, ბიზანტიის საზოგადოების მოთხოვნით, იმისათვის, რომ ძველი საუკუნეების ლიტერატურა უკეთ გაეცნოთ, იქმნებოდა ქრესტომათიები და კრებულები, რომლებშიც შეიტანეს ანტიკური და ბიზანტიური პერიოდების მწერალთა ნიმუშები. შეიქმნა ძველ მწერალთა ნაწარმოებებიდან ამოკრებილი ბრძნული აზრები, ექსცერპტთა კრებულები, რომლებშიც შესულია ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, ქსენოფონტის და სხვათა ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები. ასევე, ამონარიდებია პროკოპის, აგათიას, თეოფანეს ნაწარმოებებიდან. ამ პერიოდის ბერძნული ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური საკითხები შესწავლილია ხადიდაკისა და დიტერიხის მიერ 1892-1898 წლებში. ამ გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ ფონოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესი X საუკუნისათვის უკვე დასრულებულია; აღნიშნულია, რომ იმდროინდელი ბერძნულ ენას მცირეაზიული ფორმები ახასიათებს.

მწერლები აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, ბიზანტიაში, აღმოსავლეთის ქვეყნებში წამყვან როლს ასრულებდნენ არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ მეცნიერებისა და მწერლობის ყველა დარგში და ისინი, რომელთაც წამყვანი როლი მიეკუთვნებათ ბიზანტიის ლიტერატურაში, ბერძნულ ენაში აღმოსავლური მომენტების შემომტანებლად და დამამკვიდრებლად გვევლინებიან.

ვითვალისწინებთ, რომ ხანგრძლივი თანაარსებობისა და ენობრივი კონტაქტების დროს ერთი ენის მეორეზე გავლენით მიღებულია ენობრივი თავისებურებები, რაც ორი დამოუკიდებელი ენის ურთიერთგავლენის შედეგი უნდა იყოს.

თ ი ნ ა თ ი ნ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე **ენობრივი საკითხების მიმოხილვა “ივერიის” ფურცლებზე**

„ივერია“ 30 წლის განმავლობაში (1877–1907წწ.) გამომავალი პერიოდული გამოცემა იყო. მას წინასწარვე განუსაზღვრა დამაარსებელმა და რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ ფართო ინტერესების სფერო როგორც “საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთს”.

„ივერიის“ ერთ-ერთ საახალწლო წინასიტყვაობაში ილია აღნიშნავდა, რომ სხვა ქვეყნებში მრავალი გაზეთი გამოდის,

“ამიტომაც იქ თვითო გაზეთს იმოდენად შესუბუქებული აქვს მძიმე ტვრთი გაზეთობისა, რამოდენადაც გაზეთების რიცხვია . . . ეს ჩვენში შეუძლებელია, იმიტომ რომ ჩვენში . . . მარტო ერთადერთი გაზეთი გვაქვს და ამის გამო იგი საყოველთაო უნდა იყოს, რაკი საყოველთაო იქნება, ანბანიც უნდა იყოს შიგ და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვაცა” (31. XII. 1885).

სალიტერატურო პერიოდულ გამოცემაში და, მით უმეტეს, პირველ ასეთ ორგანოში ენობრივი საკითხების განხილვა გასაკვირი არ არის, რადგან, ერთი მხრივ, ფართო სპექტრის საშინაო და საერთაშორისო ამბების მიმოხილვა და, მეორე მხრივ, ლიტერატურული პროცესი, რომლსაც სრულად ასახავდა ეს ბეჭდვითი მედია, აყალიბებდა ჟანრობრივ და სტილურ მრავალფეროვნებას. მაგრამ ერთადერთობა გაზეთისგან მოითხოვდა ყველა საკითხისადმი თანაბარ ყურადღებას.

მოხსენება მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ ეს ჩანს ენობრივი პრობლემების განხილვაშიც. ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება: 1. ენობრივი საკითხები, რომლებიც განიხილებოდა “ივერიის” ფურცლებზე და 2. ფაქტორები, რომელთა გამოც საყურადღებო გახდა ესა თუ ის თეორიული ან “საგრამატიკო საკითხი”.

(აღნიშნული პროექტი განხორციელდა სსიპ-ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი N G-02-08). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს)

ლი ა ყ ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი

ლინგვისტური პოლიტიკა თანამედროვე ბელგიაში

ბელგია, რომელსაც დღესდღეობით სამი სახელმწიფო ენა აქვს – ფრანგულის, ნიდერლანდურისა და გერმანულის სახით, სწორად წარმოებული ლინგვისტური პოლიტიკის მეშვეობით ინარჩუნებს ამ ენებს შორის არსებული ურთიერთობის ხელმძღვანელობის საშუალებას.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბელგიაში ფრანგული მიჩნეული იყო გაბატონებულ ენად, რომლსაც არ სჭირდებოდა დაცვა,

თუმცა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში თანდათანობით მზარდმა ანგლიფიკაციის პროცესმა, რომელიც ბელგიაშიც მიმდინარეობდა, საჭირო გახადა ფრანგული ენის დაცვაზე და გავრცელებაზე ზრუნვა.

ბელგიაში შექმნილი ლინგვისტური ორგანიზაციები ფრანგული ენის ძირითადი პრობლემების გამოკვლევასა და სოციო-ლინგვისტური რეალობის შესწავლას შეუდგნენ. ამ კვლევებისა და გამოკითხვების საფუძველზე შეიქმნა ფრანგული ენის წესდება, რომელშიც გამოიყოფოდა 4 ძირითადი ამოცანა: ფრანგული ენის ადაპტაცია თანამედროვე სამყაროს რეალობასთან, ენის ხარისხის გაუმჯობესება, ფრანგული ენის არსებობის განმტკიცება და გაძლიერება, მონაწილეობა ბელგიური ფრანგული ენისა და კულტურის ექსპანსიაში. ამ წესდების მიხედვით შეიქმნა კრებული, რომელიც ვრცელდებოდა სხვადასხვა დაწესებულებაში და თითოეულ ფრანკოფონს შეახსენებდა თავის ლინგვისტურ უფლებებსა და ვალდებულებებს.

1993 წელს ბელგიური ფრანგული ენის მოდერნიზაციის საკითხში განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული ენის სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიით გამდიდრებაზე, აგრეთვე სპეციალობების სახელთა ფემინიზაციაზე. ასევე, საჭირო გახდა ფრანგული ენა ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო, რაც მოითხოვდა ადმინისტრაციული ენის გამარტივებას ან მისი გამოყენების გაძლიერებას იმიგრირებულ და არახელსაყრელ პირობებში მყოფ მოსახლეობაში. დაბოლოს, ისინი ცდილობდნენ ფრანგული ენის პოზიციების გაძლიერებას სამეცნიერო სფეროში და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებშიც.

ფრანგული ენის არსებობის გასაძლიერებლად აუცილებელია მოქალაქეს დაუბრუნდეს თავისი ენისადმი რწმენა. ამ მიზნით იქმნება, 1995 წელს, ახალი წამოწყება, რომელიც ცნობილია სახელით “ფრანგული ენის დღესასწაული” (La Langue française en fête). იგი მიზნად ისახავს აჩვენოს ფრანგული ენის შემოქმედებითი შესაძლებლობები. ეს დღესასწაული ბელგიაში იმართება ყოველწლიურად მარტის ბოლოს და იგი გრძელდება ერთი კვირის განმავლობაში; საზოგადოება “ფრანგული ენის დღესასწაულს” სხვადასხვა საშუალებით აღნიშნავს, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს თამაშებით, კონკურსებით, ტელე და რადიო გადაცემებითა და მედიის დიდი მხარდაჭერით.

ფრანკოფონთა საზოგადოების პირველი ჩარევა ენის საკითხში მოტივირებული იყო ფრანგულ ენაში ანგლო-ამერიკული ელემენტების არსებობის მზარდი რიცხვით. ინგლისურის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა ჯერ ისევ რჩება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ფრანკოფონი სახელმწიფოების ლინგვისტური პოლიტიკის მძლავრ მექანიზმად.

ე თ ე რ მ ე ლ ქ ა მ ე **ფრანგული კრეოლიზაციის სოციო-ლინგვისტური** **მონაცემები და მისი გავრცელების არეალი**

1. იმ კრეოლური ენების გავრცელების არეალი, რომელთა ენა-წყარო ფრანგულია, მოიცავს ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დამორეზულ ტერიტორიებს, კერძოდ, ატლანტის და ინდოეთის ორენაების კუნძულებს და სახელმწიფოებს.

2. კლასიკური კრეოლური ენების ლექსიკური ფონდის წყარო ერთ-ერთი ევროპული ენაა, ხოლო სინტაქსური სტრუქტურა ეფუძნება აფრიკულ ენებს.

3. კრეოლური ენების წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები დაყვანილია სამ ტიპამდე: 1. “ევროგენეტიკური” მოდელი; 2. “შერეული” მოდელი ანუ სუბსტრატის მიმდევართა თეორია; 3. უნივერსალური მეთოდი ცნობილი “ბიოპროგრამის” სახელით.

4. მაკ ვორტერმა, რომლის აზრსაც მრავალი ლინგვისტი იზიარებს, წამოაყენა კრეოლური პროტოტიპის არსებობის თეორია, რომელიც სამი თვისებით ხასიათდება: კრეოლურ ენებს არ გააჩნია ფლექსიური მორფოლოგია, ტონალური მარკერი და არ იყენებს სემანტიკურად გამჭვირვალე მორფოლოგიას. ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ევროპული ენის საფუძველზე წარმოშობილ კრეოლურ ენებს ექნებათ საერთო სტრუქტურული თვისებები. ანალოგიის გაჩენა შემთხვევითი მოვლენა არ არის, რადგან კრეოლური ენები ემორჩილებიან გენეზისის და განვითარების საერთო მოდელს.

5. იმ სახელმწიფოებისა და კუნძულების სოციო-ლინგვისტურ მდგომარეობას, სადაც კრეოლური ენებია გავრცელებული, ახასიათებს დიგლოსია ანუ ორი ენის ხმარება. აქედან პირველი, პრესტიჟული და გამოყენებული ფორმალურ თუ საჯარო ინსტიტუციებში (განათლება, ადმინისტრაცია, მართლმსაჯულება და ა.შ.), ფრანგული ენაა, ხოლო მეორე – ადგილობრივი კრეოლური ენა, რომელიც იხმარება არაოფიციალურ სიტუაციებში (პრივატული

სიტუაცია, ოჯახი და ა.შ.). დიგლოსიის სიტუაცია განსაკუთრებით რადიოს სფეროში განვითარდა. დღეს კრეოლური ენები იკავებენ მნიშვნელოვან ადგილს პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში; ზოგიერთ ქვეყანაში იწერება რომანები კრეოლურ ენაზე, რომელიც ფრანგული ენის კრეოლიზებული სახეობაა; დაიწყო კრეოლური ენების სწავლება სკოლებშიც.

6. დროთა განმავლობაში კრეოლური ენები გარდაიქმნა, განავითარეს რა თავიანთი საკუთარი ახალი და ავტონომიური სისტემები. ისინი დღესაც ევოლუციის პროცესში იმყოფებიან, რადგან საბოლოოდ არ არიან იმ სახით ჩამოყალიბებული, როგორი სახითაც არსებობს ნებისმიერი ბუნებრივი ენა, რაც ენათმეცნიერებს ამ განვითარების დაკვირვების საშუალებას აძლევს.

ნ ა ნ ა გ ო გ ო ლ ა შ ე ვ ი ლ ი **“გაბრაზების” ცნების ფსიქოლინგვისტური** **ინტერპრეტაციისათვის**

1. “გაბრაზება” გამოხატავს იმ ემოციურ მდგომარეობას, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ხდება, და რომელსაც იგი სხვადასხვაგვარად ავლენს ენობრივი სიტყვათმემოქმედების სახით. ამ დროს მთელი სხეული გააქტიურებულია, კუნთები უკიდურესად დამაბულია, რასაც ხშირად თავის ტკივილი და მაღალი წნევა ახლავს თან. როდესაც გაბრაზება უმაღლეს წერილს აღწევს, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ამან “ობიექტშიც” აგრესია და სიტუაციის ესკალაცია გამოიწვიოს. ამ დროს ენა კარგავს ფ ა ტ ი კ უ რ, ანუ ადამიანებს შორის კონტაქტის დამამყარებელ ფუნქციას და მთლიანად აგრესიულობით არის აღბეჭდილი, რომელსაც მე “კონფლიქტის მაპროვოცირებელ სიტყვათმემოქმედებას” ვუწოდებდი.

“გაბრაზებას” ხშირად იწვევს უსამართლო სოციალური პირობები, რაც აიძულებს ადამიანებს გამოვიდნენ ქუჩაში და საკუთარი ემოციების რეალიზაცია უკიდურესად კრეატიული იდეების გამოხატვით განახორციელონ.

2. ცნობილია, რომ გაბრაზების საკუთარ თავში ჩახშობას ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ, რადგან ამ გზით სიტუაციის შეცვლა არ ხერხდება, და რაკი “გაბრაზების” გამოხატვა დროულად არ

მოხდა, ადამიანს იპყრობს უმწეობისა და უსასოობის გრძნობა, რის გამოც, უკიდურეს შემთხვევაში, დეპრესიაშიც კი ვარდება.

3. “გაბრაზების” ცნება უშუალოდ დაკავშირებულია ფსიქოლინგვისტიკასთან. იგი ენის იმ სფეროს განეკუთვნება, რომლის სტრუქტურულ-სემანტიკური მარკერების კვლევა ძირითადად ადამიანის სამეტყველო ქმედებას ანუ ზეპირ დისკურსს მოიცავს და ენაში არსებული წყევლა-კრულვის, ლანძღვა-გინების და ბილწსიტყვაობის (ეგ. წ. სკაბრეზის) შემცველი ენობრივი პლასტის ფსიქო-და სოციოლინგვისტურ ასპექტებს წარმოაჩენს.

4. აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულია ენათმეცნიერების შედარებით ახალი მიმართულება – მ ა ლ ე დ ი ქ ტ ო ლ ო გ ი ა. ტერმინი ლათინურ-ფრანგული წარმოშობისაა (ფუძიდან "male"-“ცუდი”) და ჯერჯერობით განმარტებული არ არის არც ერთ ლექსიკონში. გერმანელი მეცნიერი რაინჰოლდ ამანი ალბათ ერთადერთი მეცნიერია, რომელმაც დღეისათვის არსებული 10.000 ენიდან და მათი ძირითადი დიალექტებიდან გამოიკვლია 200 ენის წყევლა-კრულვის, ლანძღვა-გინების და სკაბრეზის გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები, თუმცა ამ სფეროში არ შეუქმნია რაიმე ღირებული თეორია ან მეთოდი კვლევის სისტემატიზაციის თვალსაზრისით.

5. ვფიქობთ, შესაძლებელია, მაღედიქტოლოგიის “სამყარო-სეული სურათების” ფსიქოლინგვისტური კლასიფიკაცია, რომლის საფუძვლებსაც შეესაბამებოდა ენის აღნიშნული სტრუქტურების სამი დონე: წყევლა-კრულვა, ლანძღვა-გინება და სკაბრეზი, რომელთა სემანტიკურ ბირთვსაც “გაბრაზების” ცნება განსაზღვრავს, თუმცა ზეპირი დისკურსის პირობებში აღნიშნული დონეები ხშირად ენაცვლებიან ან გადაკვეთენ ერთმანეთს. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ “გაბრაზების” ემოციასთან დაკავშირებული ენობრივი სტრუქტურები ხშირად გამოხატავენ გარკვეული ეპოქის სოციალური ფენების მსოფლმხედველობრივ სულისკვეთებას.

ლ ა ლ ი ქ ე ც ბ ა - ხ უ ნ დ ა ძ ე დისკურსის ლინგვისტური ინტერპრეტაციისთვის

დისკურსი მრავალფენოვანი და ჰეტეროგენული ცნებაა, რომლის გამოყენებაც სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში განსხვავებულად ხდება. დისკურსის გადამწყვეტი ფაქტორი, „აქეთ-იქით რბოლა“, ვლინდება სხვადასხვა ინსტიტუციის, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროცესს, ქვეყნის ფორმას, ნორმების სისტემას, კლასიფიკაციის ტიპსა და სხვა მახასიათებლებს შორის მიმართებებში. ამგვარი მიმართებების რეალიზაცია დისკურსის „ზღვარზე ხდება“, რომელიც ენობრივ ბირთვს სცდება და „დისკურსულ პრაქტიკებში“ ხორციელდება. ზეპირ ფორმაში განხორციელებული დისკურსების უმეტესობა „წარმამავლობას მიჰყვება“, მაგრამ არსებობს დისკურსები, რომლებიც ცალკეულ, უპირატესად, წერილობით ტექსტში განხორციელებული კომუნიკაციის აქტის ფარგლებს სცდება, სხვა სამეტყველო აქტებისა და ტექსტების ინიციაციას წარმოადგენს, მათ სათავეში დგას, დისკურსულ პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ კი ძირითადად ტექსტების სახით კულტურულ მეხსიერებაში ინახება და მომავალშიც სხვადასხვა სახით მეორდება (Foucault 2000: 36ff.).

ცალკეული დისკურსი, ემპირიული კვლევის თვალსაზრისით წარმოადგენს ტექსტების ვირტუალურ კორპუსს, რომლის მთლიანობაც, ფართო გაგებით, სემანტიკური კრიტერიუმებით არის განპირობებული. დისკურსს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ყველა ის ტექსტი, რომლებსაც აერთიანებთ ერთი საგანი, ცოდნის გარკვეული მარაგი ან ერთიანი კონცეპტი/ცნება. ამგვარი ტექსტები, რომლებიც სემანტიკურ, კომუნიკაციურ და ფუნქციურ ურთიერთმიმართებებს ავლენენ, განისაზღვრებიან გარკვეული დროის, არეალის, საზოგადოებრივი, საკომუნიკაციო სფეროს (მაგ. ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი, ფილოსოფიური, ისტორიოგრაფიული, იურიდიული), ტექსტის ტიპითა და სხვა პარამეტრებით. ისინი ტექსტის ან კონტექსტის ექსპლიციტური ან იმპლიციტური ურთიერთმიმართებების სემანტიკაზე დაყრდნობით ინტერტექსტუალურ მთლიანობას წარმოადგენენ. დისკურსი, როგორც ინტერტექსტუალური „სუპერ-ტექსტი“, მეთოდურად, კონკრეტული ანალიზის მიზნით, ასე ვთქვათ, „მოსახელთებლად“ უნდა შემცირდეს, დაიყვანებოდეს გარკვეული „ამონაჭერის“, ერთეულის განზომილებაზე – ტექსტზე, რათა იგი, როგორც გაგებისა და ინტერ-

პრეტაციის კონკრეტული ობიექტი, ხელმისაწვდომი გახდეს. ასე გადაიქცევა ტექსტი დისკურსის რეპრეზენტანტად და ამავე დროს ინტერპრეტაციის ობიექტად.

რომელი პერსპექტივიდან უნდა წარიმართოს კვლევა – რომელი ენობრივი კომპონენტებია გადამწყვეტი, სემანტიკურ-გრამატიკული თუ დისკურსულ-პრაგმატიკული, საბოლოოდ დადგენილი არ არის. ამ ორივე მიდგომის გაერთიანებას წარმოადგენს ფრიც ჰერმანსის კვლევის ახალი „ლინგვისტური ჰერმენევტიკის“ (Hermanns 2003/2007) მეთოდი, რომელიც ლინგვისტური ინტერპრეტაციის პროცესში ტექსტის დისკურსული მიკუთვნების არა მხოლოდ ენას, არამედ კულტურულ კონტექსტს და სოციალურ როლს ითვალისწინებს.

ლინგვისტური ინტერპრეტაციის მიზნები, ერთი მხრივ, განისაზღვრება ისეთი სტატიკური ფაქტორებით, როგორებიც არის, მაგ.: რეციპიენტის/ინტერპრეტატორის ცოდნის მარაგი ან ეპისტემური სისტემები, რომლებიც ინტერპრეტაციის პროცესის I საფეხურს – გაგებას (Verstehen) განაპირობებს; მეორე მხრივ კი ისეთი დინამიური ფაქტორებით, როგორიც არის ტექსტზე ან, უფრო ზუსტად, „ტექსტთან მუშაობის“ სტრატეგიები. ამგვარი სტრატეგიები ინტერპრეტაციის II საფეხურს – შეცნობას (Erkennen) ე.ი. ტექსტის სამყაროს კონსტრუქციაში პრეტექსტის ექსპლიციტურ, ნაწილობრივ ექსპლიციტურ ან იმპლიციტურ ინტეგრაციას და, ამავე დროს, ტექსტის დისკურსში ჩართულობას განაპირობებს.

დისკურსის ამგვარი ლინგვისტური ინტერპრეტაცია უნდა ითვალისწინებდეს ე.წ. ინფერენცს (Inferenz), ე.ი. დისკურსის რეფერენციული ჩარჩოს, მისი წესებისა და შეზღუდვების ცოდნას, იმ შეზღუდვებისა, დისკურსულ პრაქტიკებს (მათ შორის ტექსტების განხორციელებას შესაძლებელ ტიპებსა და ჟანრებში) რომ განაპირობებენ, რომლებშიც კონკრეტული გამონთქვაშები ამა თუ იმ აბსტრაქციებს გარკვეულ დროსა და გარკვეულ კულტურებში, გარკვეულ სოციალურ მიმართებებში იყენებენ და მათ სტრუქტურირებას ახდენენ.

მ ა ნ ა ნ ა რ უ ს ი ე შ ვ ი ლ ი
პარონომასია როგორც იუმორის ვერბალური
გამოხატვის ერთ-ერთი ხერხი

როგორც ცნობილია, პარონომასიის შემთხვევაში ორი მსგავსი ან იდენტური ჟღერადობის სიტყვის (ან ფრაზის) თამაშით მიიღწევა იუმორისტული ან ორაზროვანი ეფექტი. მოხსენების მიზანია შეისწავლოს პარონომასიის ფუნქცია იუმორის და/ან ორაზროვნების წარმოქმნის პროცესში და დაადგინოს მისი ტიპოლოგიური ნიშან-თვისებანი.

მოხსენება ეყრდნობა პარონომასიის შემცველი 200 ინგლისური ხუმრობის ერთ-ერთი სახეობის კვლევისა და ანალიზის შედეგებს. კვლევის თეორიული საფუძველია რასკინის სკრიპტების თეორია. შესაბამისად, მოხსენებაში პარონომასიაზე აგებული ერთეულები განხილულია ამ თეორიის შუქზე. გამოყოფილია სკრიპტის ტერმინალების "გადართვის წერტილების" სახეები, მოცემულია პარონომასიაზე დაფუძნებული ხუმრობის ტიპოლოგია, რომელიც მოიცავს ჰომოგრაფულ, ომონიმურ, ჰეტერონიმულ, რთულ და რეკურსულ შემთხვევებს.

ხ ა თ უ ნ ა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
მცირე პარემიების ფორმისა და შინაარსის
შესახებ არაბულ ფოლკლორში

ცნობილია, რომ ვერბალურ ფოლკლორში, მიუხედავად მისი თავისუფლებისა აბსტრაქტული აზროვნების კონტროლისაგან, მრავალფეროვანი, მაგრამ კარგად ორგანიზებული ლექსიკური სტრუქტურების განსაკუთრებით კარგი მაგალითები არსებობს. თუმცა ხალხური ზეპირსიტყვიერება პრაქტიკულად არ აღიარებს ისეთ მნიშვნელოვან და აუცილებელ კომპონენტებს, როგორებიცაა მარცვალთა რიცხვი სტრიქონში, პაუზების ზომიერი გადანაწილება და სხვ. მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როდესაც ხალხური მთქმელი ან ზეპირსიტყვიერების ტრადიციების სხვა რომელიმე მატარებელი ორ ერთნარ სტრიქონს აწყდება, რომელთაგან ერთი არ შეესაბამება ნაწარმოების საერთო მეტრულ ლექსთწყობას, ასეთ სტრიქონს იგი ქვეცნობიერად მიუღებლად აღიქვამს.

საერთოდ ხალხური გამოცანების, ანდაზების ფონოლოგიური და გრამატიკული მოცემულობა, როგორც წესი, ძალზე მდიდარი და შთამბეჭდავია. ისინი თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს პიკანტურ ლაკონურობასა და ლექსიკის დახვეწილობაში. თუმცა აქტუალიზაციისას მიმდინარე დეკოდირების პროცესში ყურადღება, ჩვეულებისამებრ, კონცენტრირდება მის სიღრმისეულ სემანტიკაზე და იმ ფუნქციაზე, რა დატვირთვითაც ის რეალიზდება მოცემულ სიტუაციურ კონტექსტში. სამეტყველო აქტის მონაწილენი ფაქტობრივად არასოდეს ვაქცევთ ყურადღებას მათი აგებულების ისეთ კანონზომიერებებს, როგორიცაა ამგვარი ფიგურალური თქმების გრამატიკული და ფონოლოგიური არქიტექტონიკა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მისი შინაარსის ფორმირებასა და გახსნაშიც იღებს მონაწილეობას.

ჩვენი მოხსენების მიზანია არაბული (სირიული/ლიბანური) ფოლკლორის მცირე ფორმებიდან შერჩეული მაგალითების საფუძველზე, აღნიშნული რაკურსით თეორიულ პლანში განვიხილოთ და წარმოვაჩინოთ ის ფორმალური და შინაარსობრივი ერთიანობა, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, დამახასიათებელია არაბული ზეპირსიტყვიერების მცირე ჟანრებისათვის და უმეტესწილად, მეტად ორიგინალურ ნიმუშებს გვთავაზობს. მაგ. :

[Isʕānak ḥṣānak: ʿin šintō ṣānak, ʿin hīntō ḥānak] اسانك حصانك: ان صنتو

ان صنتو خانك، صانك – (შენი) ენა შენი ცხენია, თუ გაუფრთხილდი, გაგიფრთხილდება, თუ უღალატე, გიღალატებს.

მეტაფორულ კონტრასტზე აგებული წარმოდგენილი გამოთქმა სამწევრიანია. მათ შორის ურთიერთობა მიზეზ-შედეგობრივი კავშირითაა გამოხატული. დასკვნის სახით მოცემული მსჯელობა ერთდროულად შედარების (I) და დაპირისპირების (II-III) სტილისტიკური ხერხების გამოყენებით მიიღწევა.

ერთი შეხედვითვე თვალშისაცემია მკაფიო რიტმული ორგანიზება. თუ მას მარცვალთანაბარ ერთეულებად დავყოფთ, მკვეთრად გამოჩნდება მწყობრი რიტმული სტრუქტურა – მახვილიან და უმახვილო მარცვალთა ზომიერი გადანაწილება ; ეს ის შემთხვევაა, როდესაც სართიმო სეგმენტებს, მთელ სიტყვებთან ერთად, გრამატიკული ფორმებიც (მორფოლოგიურ-სინტაქსური პარალელური კონსტრუქციები, ფონოლოგიური სიმეტრია) წარმოადგენს. ეს ერთდროულად გრამატიკული და რითმობრივი პარალელიზმის საფუძველს ქმნის. ამავდროულად, ანალიზმა აჩვენა, მის სისხარტესა და კეთილხმოვანებას ალიტერაცია-ასონანს-

კონსონანსის ერთობლიობაც ქმნის. როგორც ჩანს, მოქმედი პოეტური ეტიმოლოგიის ეს ფარული მექანიზმი ლოგიკურ ასოციაციას იწვევს მოცემული გამოთქმის მეტაფორულ ხატში ჩადებულ მიზეზ-შედეგობრივ მოცემულობასა და მის სიღრმისეულ სემანტიკაში.

გ ი უ ლ ი შ ა ბ ა შ ვ ი ლ ი **ტექსტის სტრუქტურა და მისი კომპიუტერული ანალიზი**

ტექსტის ანალიზი კომპიუტერული ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. შესწავლილ უნდა იქნას სხვადასხვა ტიპის ტექსტი გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით და უნდა შემუშავდეს უნივერსალური ფორმულა. ალგორითმის შესაქმნელად მხედველობაში ვიღებთ შემდეგ ერთეულებს:

❖ კონტექსტის კლასიფიკაცია:

• სუბიექტური კონტექსტი - შეიცავს სუბიექტურ ელემენტებს, მაგ.: წარმოდგენებს, რწმენას, ანუ იმას, თუ რა არის ასახული ნარატიულ თხრობაში პირის პერსპექტივით, თვალსაზრისით. შეიძლება გადმოიცეს უნახაობა, თურმეობითობა, შედარება, მსჯელობა, მოდალობა და ა. შ.

• ობიექტური კონტექსტი - შეიცავს ობიექტურ ელემენტებს.

❖ წინადადების კლასიფიკაცია:

• სუბიექტური წინადადება - მიემართება სუბიექტს (სუბიექტური კონტექსტი);

• ობიექტური წინადადება - მიემართება ობიექტს, ობიექტურ სამყაროს (ობიექტური კონტექსტი).

❖ მთავარი ზმნის კლასიფიკაცია:

- მენტალური აქტივობის გამომხატველი ზმნები;
- სტატიკური, პრესუპოზიციური და ფაქტობრივი ზმნები;
- სურვილის გამომხატველი ზმნები;
- სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი ზმნები.

❖ **სუბიექტის კლასიფიკაცია:**

• ცნობიერების გადმომცემი სუბიექტი. მიემართება საკუთრივ სუბიექტს და არა გარესამყაროს, აქვს ფუნდამენტური როლი დისკურსის კლასიფიკაციაში.

❖ **დისკურსის ველი:**

დისკურსის ველი გულისხმობს ტექსტში, ერთი ტიპის ნარატივში ავტორის მიერ ფაქტის, მოვლენის შეფასებას ნამდვილად ან ჰიპოთეტურად.

• **ობიექტური ველი/შეფასება:** ობიექტური ველი ასახავს ტექსტში მოცემულ რეალობას.

• **პრესუბიექტური ველი/შეფასება:** შუალედური შეფასებაა და, ამდენად, ითავსებს ზმნების შემდეგ სემანტიკურ კლასებს: მოქმედების ზმნები, მენტალური პროცესების აღმნიშვნელი ზმნები, ემოციის გამომხატველი ზმნები.

• **სუბიექტური ველი/შეფასება:** დისკურსული ველი - სუბიექტური, ასახავს სუბიექტის დამოკიდებულებას ტექსტში მოცემული რეალობისადმი. სუბიექტური შეფასება შეიძლება იყოს ექსპლიციტური და იმპლიციტური. იმპლიციტური სუბიექტური შეფასება უფრო კომპლექსურია, ასახავს ადამიანის აზრებსა და გრძნობებს.

შეინიშნება მყარი კანონზომიერება:

მაგალითად, პირდაპირი საკომუნიკაციო აქტი ყოველთვის მოითხოვს ობიექტურ ველს, ვინაიდან მკითხველი ინფორმაციას აღიქვავს, როგორც თავისთავად აღებულ ფაქტს და არა სუბიექტის პოზიციას, შეფასებას.

პრესუბიექტური შეფასება და ექსპლიციტური სუბიექტური შეფასება მყარად უკავშირდება ერთმანეთს. ექსპლიციტური სუბიექტური ველი ყოველთვის მოსდევს პრესუბიექტურ შეფასებას და ყოველთვის ჩართულია პრესუბიექტურ შეფასებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის ანალიზის პირველი ეტაპი ხორციელდება წინადადების დონეზე. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები:

1. [მერიმ იგრძნო], რომ [(იგი) უარს ვერ იტყოდა].

მთავარი წინადადება - გულისხმობს პრესუბიექტურ შეფასებას. ზმნის სემანტიკური კლასი - გრძნობის გამომხატველი ზმნა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს ცნობიერების, საკუთარი თავისადმი მიმართულ სუბიექტს.

2. იქ, ფლატეს პირას, შედგა, ფეხის წვერებზე აიწია, აი ისე, როგორც მარმარილოს ქანდაკება იდგა სასაფლაოზე...

წინადადება - სუბიექტური;

კონტექსტი - სუბიექტური;

დისკურსის ველი - სუბიექტური;

ზმნის სემანტიკური კლასი - მოქმედების ამსახველი;

ცნობიერების სუბიექტი - ექსპლიციტური.

იზაბელა პეტრიაშვილი მეტაფორა და პოლიტიკური დისკურსის პრაგმატიკა

მოხსენება ეძღვნება პოლიტიკური დისკურსის ანალიზს და მეტაფორის პრაგმატიკულ როლს ამერიკელი და ქართველი პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლების მაგალითზე. ადამიანების უმრავლესობისთვის მეტაფორა არის მხატვრული წარმოსახვის ხერხი და რიტორიკული მაღალფარდოვნება და, აქედან გამომდინარე, თითქოს სცილდება ჩვეულებრივი/ნორმალური ენის ფარგლებს. უფრო მეტიც, მეტაფორა ტიპურად განიხილება როგორც მხოლოდ ენის მახასიათებელი, როგორც სიტყვები და არა აზროვნება ან ქმედება. ამ მიზეზით უმეტესობა ადამიანებისა ფიქრობს, რომ მათ შეუძლიათ მშვენივრად იარსებონ მეტაფორის გარეშეც. ვიზიარებ ჯ. ლაკოფის და მ. ჯონსონის აზრს იმის შესახებ, რომ რეალურად სრულიად საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომ მეტაფორა ვრცელდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და არა მხოლოდ ენაში, არამედ ჩვენს აზროვნებასა და მოქმედებაში, და რომ მთლიანად ჩვენი ცნებათა სისტემა თავისი ბუნებით ფუნდამენტურად მეტაფორულია (G. Lakoff, M. Johnson, 1980).

მიჩნეულია, რომ მეტაფორა ეფექტურია მაშინ, როდესაც ის არის კოგნიტური თვალსაზრისით დამაჯერებელი და, ამასთანავე,

ემოციური რეაქციის გამოძვევი. მეტაფორას აქვს დამარწმუნებელი ძალა, რადგან ის თავის თავში აერთიანებს პრაგმატიკულ, კოგნიტურ და ლინგვისტურ ცოდნას კულტურის, იდეოლოგიისა და ისტორიის გათვალისწინებით.

რატომ არის მეტაფორა წარმატებული ხერხი პოლიტიკურ რიტორიკაში? ლინგვისტთა ინტერესს ყოველთვის იწვევდა ისეთი ლინგვისტური სტრუქტურების გამოყენება, რომლებიც ადრესატს პოლიტიკურად რელევანტურ 'მესიჯს' მიაწვდის კონკრეტული ფუნქციის შესრულების მიზნით. ამ მხრივ მეტაფორას ძალიან დიდი პრაგმატიკული მნიშვნელობა ენიჭება. ის არა მხოლოდ ალამაზებს უმეტეს შემთხვევებში უშინაარსო და არაფრისმთქმელ პოლიტიკურ ტექსტებს, არამედ სხვადასხვა პრაგმატიკულ მიზანს ემსახურება. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გარდა დარწმუნების ფუნქციისა, მეტაფორას შეუძლია:

- გადმოგვცეს ის, რისი პირდაპირ, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გამოხატვა რთულია;
- დაგვეხმაროს იმ სიტუაციებში, როდესაც არსებობს პირისთვის საფრთხის შექმნის საშიშროება, როდესაც უფრო მართებულია სათქმელის არაპირდაპირი გზით გამოხატვა;
- უფრო მეტი სიცხადე და ხატოვანება შეჰმატოს მეტყველებას;
- დაგვეხმაროს არგუმენტის სტრუქტურირებაში;
- ახალი თვალთახედვა წარმოგვიდგინოს საგანსა თუ მოვლენაზე.

მოხსენებაში განსაზღვრულია, აგრეთვე, კრეატიული/ შემოქმედებითი მეტაფორის ცნება ტრადიციულისაგან განსხვავებით და მოცემულია მისი გამოყენების ძირითადი სტრატეგიები. შემოქმედებითი, ანუ ახალი მეტაფორა მოითხოვს შემოქმედებით რეაქციას და მისი მიღების მზაობას აუდიტორიის მხრიდან წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად. თუკი მეტაფორა არ არის სათანადოდ აღქმული, ან არ/ვერ ხდება მისი ინტერპრეტირება აუდიტორიის მიერ, შესაბამისად, ვერ ხორციელდება მისი პოლიტიკურ-კომუნიკაციური ფუნქცია.

გ ვ ა ნ ც ა ჭ ა ნ ტ უ რ ი ა ინტერაქტიულობა და კომუნიკაციური ინტერაქცია

საკომუნიკაციო სიტუაციაში მოლაპარაკე პირისა და მსმენელის ურთიერთობა თავისთავად გულისხმობს პარტნიორთა ორმხრივ ზეგავლენას. ასეთ მიმართებას კი ინტერაქცია ეწოდება.

საუბრისეულ ანალიზში ინტერაქცია არ იზღუდება იმ მოქმედებით, რომელსაც მოლაპარაკე პირი ახორციელებს მიმღებზე და, პირიქით; იგი აგრეთვე წარმოადგენს ორმხრივ მოლოდინს. აქ სუბიექტები რთულ თამაშს აწარმოებენ, რომელშიც სოციალური რეალობა წარმოგვიდგება ურთიერთგაგების სახით. როცა მოლაპარაკე პირი გამონათქვამს წარმოთქვამს, მას მნიშვნელობა კი არ აინტერესებს, არამედ თვით მსმენელის მიერ მისი ინტერპრეტაცია. მიმღები აკეთებს დასკვნებს მოლაპარაკის ქმედებასთან დეკავშირებით, თუ როგორ წარმოადგენს მოლაპარაკე საქმეთა ვითარებას, სურვილებს, ემოციებს, რწმენას და ა.შ. ეს მოლაპარაკე პირი წინ უსწრებს ინტერპრეტაციებს: როცა იგი ირჩევს მის ფორმულირებებს, იგი ორიენტირებული უნდა იყოს მიმღების ინტერპრეტაციის უნარზე და იმაზე, რაც ღირებულია მიმღებისათვის. მოლაპარაკე პირი მიაღწევს იმას, რომ მას გაუგებენ, თუკი მან მიმღებს საშუალება მისცა, გამოეტანა ის დასკვნები, რომლებიც მას სურდა და არა მაშინ, თუკი მან იპოვა დამაკმაყოფილებელი ფორმულირება.

როცა ერთ-ერთი მოლაპარაკე პირი წარმოქმნის გამონათქვამს, მას (გამონათქვამს) განიხილავს მსმენელი; მისი მიზანია, იპოვოს, აღმოაჩინოს, გამოაშკარავოს ის შინაარსი, რომლის გადაცემა განიზრახა მოლაპარაკე პირმა. კომუნიკაციის კოდური და დასკვნისეული მოდელები ითვალისწინებს მსმენელის მიერ გამოყენებული განხილვის სახეს. საქმე ეხება დეკოდირებასა თუ დასკვნით სამუშაოს.

განხილვა “სწორია”, როცა არსებობს გარკვეული კავშირი განზრახულ და აღმოჩენილ მნიშვნელობას შორის. აღსანიშნავია, რომ აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, თუ რას ეხება საქმე: გამონათქვამის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას თუ არა. სამუშაო, გარდა კოდური მოდელებისა, შეიძლება შეიცავდეს ირიბ აქტებს, საუბრისეულ ჩართვებს, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. იმპლიციტურობა აშკარად არსებობს ამ წინასწარ არსებული მნიშვნელობის განხილვაში. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ თანამოსაუბრეები “უგებენ ერთმანეთს”.

ყველა კმაყოფილია: მოლაპარაკე პირმა აშკარად გადასცა მნიშვნელობა, მსმენელმა აღმოაჩინა ის, რაც საჭირო იყო; მათ ერთმანეთს გაუგეს.

დიდ როლს თამაშობს ინტერაქციისას ინტუიციური ცოდნა და მოლაპარაკისა და მსმენელის შემეცნებითი ეფექტები - კოგნიტიური ინტერპრეტაციები. აღსანიშნავია, აგრეთვე, ილოკუციური ლოგიკა და „წარმატების პირობები“. როცა მოლაპარაკე პირი ახორციელებს მეტყველების აქტს, იგი წარმატებულია, თუკი დანაპირები შესრულდება. „დაკმაყოფილების პირობები“ აკონტროლებს იმას, რომ პირობა შესრულდეს. ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ანალიზის დროს საუბრის არქიტექტურას და თანამოსაუბრეთა შორის სოციალურ და კოგნიტიურ ურთიერთობებს.

თ ე ა ფ ე ტ ე ლ ა ვ ა **დისკურსის კორპუსის ინტერპრეტაციისათვის**

გერმანისტიკული ენათმეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ფიქსირდება კვლევის ახალი ობიექტები, შესაბამისად, ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის არეალიც ფართოვდება.

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულად მიჩნეულია დისკურსი როგორც უნივერსალური სისტემა და ამ სისტემაში ცალკეული ტექსტი წარმოდგენილია როგორც რგოლი თემატური ჯაჭვისა, რომელიც საფუძვლად ედება ამა თუ იმ დისკურსიულ კორპუსს.

დისკურსის კორპუსის ლინგვისტური ანალიზი მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. რამდენადაც დისკურსი ტექსტებისაგან შედგენილი მთლიანი წარმონაქმნია, მოითხოვს როგორც ჰოლისტურ მიდგომას, ასევე დისკრეტულ ნაწილებად დაყოფას და მათში სემენტების ბმულობის დადგენას.

დისკურსული კორპუსის ინტერპრეტაციას საფუძვლად ედება ინტეგრაციული მეთოდი, რომელიც წარმოადგენს ანალიზის კრიტერიუმების ერთობლიობას. ემპირიული მასალის ანალიზისას აუცილებელია როგორც შიდაენობრივი, ასევე გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინება. დისკურსის ინტეგრანდების ზოგად და კერძო მახასიათებლებად შეიძლება გამოიყოს სემანტიკური ბაზისის ერთიანობა, ტექსტის თემის განვითარებაში პლოტების ფუნქციური დატვირთულობა, ტექსტებში შიდაენობრივი ფაქტო-

რების არაიდენტურობა, არქიტექტონიკული და კომპოზიციური სტრუქტურების განლაგება, პლოტებისა და არქიტექტონიკული ერთეულების ურთიერთმიმართება.

ჩვენ დისკურსს განვიხილავთ მთლიან სისტემად, რომელიც არ არის დასრულებული, იგი დინამიკურია და მზადაა ცვლილებებისათვის. დისკურსი, როგორც მთლიანი წარმონაქმნი, აგებულია ერთ თემაზე, რომელიც იშლება ინტეგრანდებში ლოგიკურ-სემანტიკური და ენობრივი კომპონენტების ურთიერთშეწყობისა და შეთავსების საფუძველზე.

ნ ი ნ ო შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე **კავშირთა ფუნქციური ანალიზისათვის ქართულში**

ქართულ ენაში კავშირთა ორ დიდ ჯგუფს გამოყოფენ: მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები. მაერთებელი კავშირები ორ სიტყვას ან ორ თანასწორ წინადადებას აერთებს, მაჯგუფებელი კი – მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას. მაერთებელ კავშირებში, თავის მხრივ, გამოიყოფა: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირიპირებელი და მაიგივებელი კავშირები.

ამგვარ დაჯგუფებაში, რა თქმა უნდა, ჩანს კავშირთა ფუნქცია. მაგრამ სასწავლო სივრცეში კავშირთა სწორად გამოყენების სწავლებისათვის სასურველია:

- კავშირთა ფუნქციების უფრო მეტად დაკონკრეტება;
- კავშირთა სემანტიკის გათვალისწინება;
- სხვადასხვა კავშირის მიერ შექმნილ კონსტრუქციათა ანალიზი ნიმუშების მოშველიებით;
- კავშირის, როგორც ენობრივი საშუალების, გაანალიზება წინადადებათა კონსტრუქციების აგებისას სათქმელის უფრო ნათლად, ზუსტად და ადეკვატურად გადმოსაცემად;
- მოსალოდნელ შეცდომათა გათვალისწინება კავშირთა ფუნქციური დაჯგუფებისას;
- ქართულ ენაში კავშირთა სიმრავლით გამოწვეული სირთულეების დაძლევა ქართული ენის შემსწავლელთათვის, რაშიც მათ ფუნქციური პრინციპებით შექმნილი ქვეჯგუფების გამოყოფა დაეხმარებათ;

მოხსენებაში მოცემული კავშირთა ახლებური სისტემა და მისი ანალიზი.

ნ ა ნ ა შ ა ვ თ ვ ა ლ ა მ ე ქართულის, როგორც უცხო ენის, B1 დონის სახელმძღვანელოს შექმნის ძირითადი პრინციპები

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლებისას მრავალი საინტერესო რამ იჩენს თავს. სერია „ბილიკი“ ქართული ენის სრულ კურსს ხუთ ეტაპად წარმოადგენს. ქართული ენის სწავლება კი მხოლოდ პირველ ოთხ დონეზეა გათვალისწინებული.

B1 დონის სტუდენტთათვის 2008 წელს დაიბეჭდა „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, თანამედროვე მეთოდითა და სტილით აგებული 253-გვერდიანი სახელმძღვანელო. ის მოიცავს 16 სასაუბრო თემასა და ოთხ ტექსტს. თითოეულ კარში არის ტექსტი, დიალოგი, გრამატიკის სამყარო, რომელშიც ერთი სიახლეა მოცემული. ყოველ კარში ახსნილი და მიწოდებული მასალისთვის მიძღვნილია თერთმეტი სავარჯიშო. სახელმძღვანელოს ბოლოში დართული აქვს: პასუხები, გრამატიკული ცხრილები, ზმნის უღლებები და ლექსიკონი. თითოეულ კარს აქვს თავისი მოსასმენი მასალა - CD.

ახლა თვით სახელმძღვანელოს პრინციპის შესახებ. „ბილიკი“ ენას პირველ რიგში **ფუნქციური** მნიშვნელობით იყენებს. ეს მისი უპირველესი მახასიათებელია. სტუდენტისთვის ენა **საკომუნიკაციო იარაღია** და ეს მისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ლექსიკური მნიშვნელობით სიტყვების გამოყენებისათვის ისინი ერთ არეში, ბუდეშია, წარმოდგენილი. ერთი ძირის მიწოდებით, მასზე დამყარებული სიტყვაწარმოების ფორმებით შექმნილია ყველა შესაძლო რაოდენობა სიტყვებისა.

შემდგომი მნიშვნელოვანი ფაქტორი კი გრამატიკული სისტემების ახსნა და მათი შეფარვით მიწოდებაა. პირველი წიგნის მსგავსად აქაც ყველა ზმნური ფორმა ნელ-ნელაა მიწოდებული. **B1** წიგნის **I თურმეობითის** მწკრივის წარმოდგენით იწყება (1-ლი და მე-2კარი). აქ ნასწავლი ზმნები გააქტიურებულია უკვე ახალ მწკრივში (გარდამავალი ზმნები, ანუ ზმნათა პირველი ტიპი). მათთვის ცნობილი ინვერსიული ზმნები (ტიპი II) კი წარმოდგენილია უწყვეტლის (მე-3 კარი), მყაფადის, წყვეტილისა (მე-13 კარი) და II კავშირებითის (მე-14 კარი) მწკრივებში. პირველად ვნებითი გვარის ფორმები ამ დონეზე, მე-6 კარში, გვხვდება. ეს პრინციპი სრულიად

გამიზნულად და შეგნებულადაა გატარებული. შემდეგი ახალი მწკრივი, რომელიც აქ ჩნდება, **მყოფადის კავშირებითა** (მე-15 კარი). ამ მწკრივის სრულყოფილი დამუშავება ყველა ტიპის ზმნასთან **B2** წიგნის ამოცანაა.

გრამატიკული კონსტრუქციით ნელ-ნელა მდიდრდება სახელმძღვანელო. შემოდის უარყოფითი ნაწილაკები: აღარ, ვეღარ, ნუღარ (კარი მე-8); ნაწილაკები თავისი ფუნქციებით: ხომ, ხომ არა (კარი მე-5); უნდა, იქნებ და შეგიძლიათ (კარი მე-7) და ა.შ.

ძირითად პრინციპად ითვლება ეს უმნიშვნელოვანესი ჯაჭვი – ჯერ გამეორება, შემდეგ წინ წაწევა. ყოველ ოთხ გაკვეთილს შემაჯამებელი ტესტი მოსდევს, სადაც სტუდენტი კვლავ იმეორებს უკვე ახსნილ და ათვისებულ მასალას, ამით კი იმყარებს ცოდნას.

ეს მოკლედ, რაც შეიძლება გვეთქვას სერია “ბილიკის” **B1** დონის სახელმძღვანელოს “ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის” CD-ით.

ნ ა თ ე ლ ა ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე **სემანტიკური ანალიტი როგორც ენის** **სტრუქტურის რთული ნიშანი**

ანალიტიკური ტიპის არათავისუფალი სიტყვათშეჯუფთებები წარმოადგენს ენობრივი კომბინატორიკის და კომუნიკაციური კონოტატიურობის შედეგს. ამგვარად, გვაქვს ენობრივი და მეტყველების ადაპტაციის ურთიერთქმედების მაგალითი, როცა ენობრივი ელემენტები, პირველხანობაში წარმოადგენენ რა ენობრივ სტრუქტურას, ურთიერთობის პროცესში რეგულირდებიან, განიცდიან ანალიტიკურ ადაპტაციას და ისევ ბრუნდებიან ენობრივ ბადეში სემანტიკური ანალიტების გარკვეული სისტემის სახით.

ანალიტების წარმოქმნის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს არჩევანის პრობლემას. არჩევანის როლი განპირობებულია რიგი გარემოებებით, რომლებიც ნაწილობრივ მიეკუთვნება ადამიანის ფიზიოლოგიურ თვისებებს, ნაწილობრივ – მეტყველების ფუნქციასა და მექანიზმს.

სულ უფრო ახალი და ახალი ანალიტების ფორმირების აქტიური პროცესი, დამახასიათებელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი კონკრეტულ-ისტორიული პერიოდისათვის, შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ყოველ სიტყვაში ჩადებულია მისი პოტენციური შესაძლებლობა

შეერწყას სხვა სიტყვას. მხედველობაში გვაქვს სიტყვების უნარი შევიდეს გარკვეულ სიტყვათშეჯგუფებებში სემანტიკური ნიშნების კრებულის მეშვეობით, რომლებიც შეესაბამება რეალური სინამდვილის ნიშნებს.

სემანტიკური ანალიტები წარმოადგენს მრავალი ნიშნების ერთიანობას განსაზღვრელების ვალენტურ წყვილთან ერთი განსაზღვრულით. სწორედ ეს განასხვავებს ანალიტიკური ტიპის არათავისუფალ შეუღლებებს თავისუფალისგან, სადაც ორ განსაზღვრელზე მოდის ორი განსაზღვრული.

პოლინიშნიანი შეუღლებები ანალიტიკური გადაწყობის შედეგად გარდაიქმნებიან მონონიშნიან დასახელებებად, რადგანაც ყოველი, მოცემული მდგრადი სიტყვათშეჯგუფებებიდან, ასახელებს კონკრეტულ მოვლენას, საგანს, მოქმედებას და ა. შ. მაგალითად: расширить сввязь, ввести в строй, атмосфера доверия, заниматься льбовью, заговор молчания, форс-мажорные обстоятельства, русское зарубежье, забить стрелку, традиционная медицина, ликвидная форма, вооруженные формирования, экономические беженцы, аномальные явления და ა. შ.

სემანტიკური ანალიტები – უნიკალური ენობრივი კომბინაციაა, რომლის აზრი მდგომარეობს ახალი აზრობრივი ცნების, ან ახალი ენობრივი მნიშვნელობის ფორმირებაში, ერთის მხრივ აზროვნების პროცესების, ხოლო მეორეს მხრივ – ენობრივი გარემოცვის ზემოქმედებით.

გ ი ო რ გ ი ყ უ ფ ა რ ა ძ ე
ტექსტში შინაარსის ჰომოგენურობისა და ჰეტეროგენურობის
საკითხისათვის

(ე. ჰემინგუეის მოთხრობის "ინდიელთა დასახლებისა" და ე. კოლდუელის მოთხრობის "მინდვრის ყვავილების" მიხედვით)

ტექსტიც, ისევე როგორც ნებისმიერი საკვლევი ობიექტი, რომელიც დაკვირვების ხანგრძლივი პროცესის ქვეშ იმყოფება, განსხვავებულად აღიქმება და სხვადასხვაგვარად გაიაზრება. ჰალიდის აზრით, ტექსტი სემანტიკის ძირითადი ერთეულია და მისი წარმოდგენა ე.წ. "ზეწინადადებად" შეუძლებელია. იგი მიიჩნევს, რომ ტექსტი პოტენციალურის აქტუალიზაციაა. ტექსტს მდგრადობა და მოძრაობა ახასიათებს. ამ თვისებებიდან პირველი მისი

დისკრეტული ერთეულების თანამიმდევრულობაში ვლინდება, ხოლო მეორე კი უხილავია. ეს უკანასკნელი ტექსტში იმპლიციტურადაა წარმოდგენილი.

ნებისმიერ საგანს თავისი საკუთარი ფორმა და მოცულობითი პარამეტრები აქვს. ამ მხრივ, ტექსტიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მასაც, როგორც გარკვეული ფორმისა და შინაარსის მქონე მთელს, მისთვის დამახასიათებელი კატეგორიები - პარამეტრები აღენიშნება. არსებობს მიდგომა, რომლის თანახმადაც ტექსტის ძირითად ლინგვისტურ პარამეტრებს თემა, ფოკუსი და ბმულობა (linkage) წარმოადგენენ. [Н.Э. ЭНКВИСТ, 1964, 1973].

ზემოხსენებულ პარამეტრებზე დაყრდნობით შევეცდებით წარმოვადგინოთ მხატვრული ტექსტის შინაარსის ჰომოგენურობისა და ჰეტეროგენურობის სრული სურათი ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული ორი ლიტერატურული ნიმუშის საფუძველზე ყველა იმ ენობრივი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ სასურველი შედეგის დადგომას. ამ პრობლემის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ე. ჰემინგუეის მოთხრობა "ინდიელთა დასახლება" შევადაროთ ე. კოლდუელის თითქოს მსგავს, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც განსახვავებულ ნაწარმოებს - "მინდვრის ყვავილები".

საანალიზოდ შერჩეულ ორივე მათგანს ტექსტის ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და ზოგადი განზომილებებიდან პრაქტიკულად ყველა ძირითადი სტრუქტურული კომპონენტი აღენიშნება. ეს კი, განსხვავებული შინაარსის არსებობის მიუხედავად, მათ საერთო ღერძულ აგებულებაზე მიგვანიშნებს. ორივე მოთხრობაში სიუჟეტური ხაზი აღმავალი მიმართულებით მიემართება და გარკვეული ფორმისა და შინაარსის მქონე მთელის ჩამოყალიბებას ემსახურება.

როდესაც მხატვრულ ტექსტში შინაარსის ჰომოგენურობაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს საერთო თვისებრივი მახასიათებლები, რომლებიც შესაძლებელია ორ სრულიად განსხვავებულ ტექსტს ჰქონდეს, თუმცა მათი ურთიერთშედარების შემთხვევაში, პრაგმატული თვალსაწიერიდან გამომდინარე, ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდეს. ჰერეტიკურობის მოვლენის წინა პლანზე წამოწევისას კი ყურადღების ცენტრში მოთხრობებში არსებული საკუთრივ თვისებრივი და ლინგვო-სტილისტური თავისებურებები ექცევა. ასეა თუ ისე, ორივე მათგანის დეტალურად განხილვის საფუძველზე სავსებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ

ნებისმიერი მხატვრული ტექსტის შემთხვევაში, რაოდენ განსახვავებული შინაარსის მქონეც არ უნდა იყოს თითოეული მათგანი და რაოდენ განსხვავებულ სიღრმისეულ სტრუქტურულ იმპლიკაციებს არ უნდა უყრიდეს თავს შიდაშრეობრივ დონეებზე, მათში არსებული სინტაქსური თუ სემანტიკური თანამიმდევრობების ჯაჭვი, ისინი მაინც ერთ მიზანს ემსახურებიან, ხელი შეუწყონ მკითხველის აღქმაში ტექსტის ერთიან სრულ ხატად წარმოჩენის რთულ, მაგრამ საინტერესო პროცესს.

ნ ი ნ ო ქ ი მ ე რ ი ძ ე

ტექსტის სახეობა როგორც კულტურის სპეციფიკის მქონე ფენომენი გერმანული (შიდაენობრივი და ავსტრიული სტანდარტის) და ქართული ტექსტის სახეობათა ანალიზის საფუძველზე

უკანასკნელ ხანებში მკვლევართა ერთი ნაწილი სულ უფრო ხშირად საუბრობს ტექსტის ლინგვისტიკის ინტერდისციპლინარული რესურსების ფართო მამტაბებზე. ეს ფაქტი განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს, როდესაც კვლევის ობიექტია ტექსტის სახეობები და კერძოდ, დარგობრივი ტექსტის სახეობები, ვინაიდან ამ სახის ტექსტებში ტექსტის ზოგად უნივერსალიებს ავსებს გარკვეული დარგის სპეციფიური მახასიათებლები. ამრიგად, ტექსტის სახეობათა სრულყოფილი გაგების მიზნით ტექსტის კვლევები მეტწილად მიმდინარეობს ინტერდისციპლინურ რაკურსში.

ტექსტის სახეობათა კვლევების გააქტიურება გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ ტექსტის სახეობები, როგორც პროტოტიპული და კულტურის სპეციფიკით განპირობებული ნიმუშები, არ ვლინდება მხოლოდ რომელიმე ერთ კონკრეტულ ენობრივ სივრცეში. შესაბამისად, ახსნა მოეპოვება იმ ტენდენციასაც, რომ ტექსტის ლინგვისტიკის საზღვრებში მნიშვნელოვანი სეგმენტი ეთმობა ტექსტის სახეობათა ლინგვისტიკას.

ტექსტის სახეობების შესწავლა საშუალებას იძლევა დაიძებნოს ტექსტში გარკვეული კულტურისთვის ტიპური მახასიათებლები. ამ თვალსაზრისით ტექსტის სახეობები ერთდროულად შეიძლება განხილულ იქნას როგორც კულტურის ერთგვარი არტეფაქტები და ინსტრუმენტები. ამგვარად, ტექსტის სახეობა, ერთი მხრივ, ქმნის კულტურას და, მეორე მხრივ, ინარჩუნებს მას, რაც კიდევ ერთხელ

დადასტურდა ჩვენ მიერ შერჩეული ტექსტების ანალიზის საფუძველზე. საკვლევ კორპუსს წარმოადგენდა ავსტრიული და პრუსიული სიგელები, დაცული ხელნაწერთა ნაციონალური ცენტრში. ტექსტური კორპუსის ლინგვისტურმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა გვენახა, ერთი მხრივ, შიდაგერმანულ, ხოლო, მეორე მხრივ, ავსტრიულ სტანდარტულ ნაირსახეობათა ენობრივი თავისებურებები XVIII–XIX საუკუნეების სამართლებრივი ტექსტის სახეობებში.

ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად შიდაენობრივი სტანდარტის არსებობისა, პლურიცენტრულ გერმანული ენაში ენათა ნაირსახეობებშიც ვლინდება არა მარტო ენის სხვადასხვა დონეზე არსებული თავისებურებები, არამედ ერთი და იმავე ტექსტის სახეობის მეტ–ნაკლებად განსხვავებული სურათი. კიდევ უფრო მარტივია განმასხვავებელი ნიშნების მოძიება სხვა ენაზე შექმნილი ტექსტის სახეობაში. კონტრასტის დანახვის მიზნით შეირჩა ტექსტის სახეობის შეძლებისდაგვარად ანალოგიური ვერსია ქართულ ენაზე შესაბამისი ისტორიული პერიოდიდან.

ტექსტის დონეზე ენობრივი მოვლენების სპეციფიკა, რომელიც ერთი ენის სხვადასხვა სახეობაშიც კი გამოვლინდა, კიდევ უფრო ხილვადია სხვა ენაზე შექმნილი ანალოგიური ტექსტის სახეობაში, რაც ხაზს უსვამს მოსაზრებას, რომ ენობრივი სპეციფიკა ხშირად კულტურული სპეციფიკითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, ტექსტის სახეობა, როგორც ენობრივი ქმედების კონკრეტული ფორმა, გარკვეული კულტურის ანარეკლია.

ც ი ა ლ ა ს ა კ ა რ უ ლ ი **“წანამძღვარი მოდუსით” – როგორც ქვეტექსტის** **მარეალიზებული კომუნიკაციური ერთეული**

1. მხატვრული ტექსტი თავისი არქიტექტონიკით მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც, გარდა წმინდა ლოგიკური კანონებისა, განისაზღვრება ხოლმე ასახულ მოვლენათა ასოციაციური კავშირებით, გმირთა სუბიექტურ–ინდივიდუალური პარამეტრებითა და სხვა;

2. ლოგიკაში “ბჭობა დანასკვით” – კომუნიკაციური ტიპი – გარკვეული ინფორმაციის შემცველი სინტაქსური ერთეულების სასრული მიმდევრობაა, სადაც რეალიზებული ჭეშმარიტება წინასწარ არის ცნობილი და დანასკვის არგუმენტებს წარმოადგენს. ლოგიკაში

მათ სხვანაირად “წანამძღვრებს” ან “საბუთებს” უწოდებენ. თუ ზოგიერთი წანამძღვარი გამოხატული არ არის და/ან ნაგულისხმევია იმის გამო, რომ მისი ჭეშმარიტება ყველასათვის ცნობილია, იგი “ენთიმემა“-ს წარმოადგენს;

3. ლოგიკა მიმართავს ცნებას – “მოდუსი”, რაც წანამძღვრების და დანასკვის შესაძლო თვისებრივ ან რაოდენობრივ განსხვავებაზე მიუთითებს;

4. წარმოდგენილ შრომაში “მოდუსი” გაიაზრება როგორც “ის – რაც არსებობს სხვით და მისაწვდომია სხვისი საშუალებით” (სპინოზა, ქ.ს.ე. ტ.7);

5. მხატვრულ ლიტერატურაში ტექსტის / კონტექსტის და ქვეტექსტის ურთიერთობის პრობლემა ინტელექტუალური შემეცნების (სპინოზა) საგანია. ჩვენ მიერ შესწავლილი კომუნიკაციური ტიპის “წანამძღვარი მოდუსით” მოდუსი-დანასკვი წანამძღვრიდან გამომდინარეობს ან ასოციაციურ კავშირშია წანამძღვართან. მხატვრულ ტექსტში რეალიზებული ასოციაციური კომუნიკაციური ტიპისათვის ენთიმემა საკმაოდ ხშირი მახასიათებელია;

6. კონტექსტუალურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ქვეტექსტის რეალიზაციისას კომუნიკაციური მოდელი “წანამძღვარი მოდუსით”, რომელიც ინგლისურ ენაზე ლექსიკური ერთეულით **afterthought** გამოიხატება, მთელი რიგი ფორმალური და შინაარსობრივი პარამეტრების მატარებლები შეიძლება, იყოს, ესენია:

ა) წანამძღვრისა და მოდუსის შინაარსობრივად რეალური ან ასოციაციური კავშირი;

ბ) მოდუსი შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება იყოს ზოგადი ხასიათის, ისევე როგორც კონკრეტული / სიტუაციური;

გ) წანამძღვარი, ისევე როგორც მოდუსი, ირიბი მეტყველებით შეიძლება იყოს რეალიზებული;

დ) მოდუსი შეიძლება ელიფსური სტრუქტურით ხასიათდებოდეს;

ე) მოდუსი ერთდროულად ერთზე მეტი ვარიანტული ფორმით შეიძლება რეალიზდეს;

ვ) წანამძღვარი შეიძლება შინაარსობრივად გრადუალური იყოს;

ზ) მოდუსი შეიძლება ემფაზირებული ფორმით ხასიათდებოდეს;

თ) წანამძღვარი და მოდუსი ერთ სინტაქსურ ერთეულში შეიძლება იყოს რეალიზებული;

ი) ერთი ლექსიკური ერთეულით წარმოქმნილი მოდუსი წანამძღვართან შეიძლება მტკიცე ასოციაციურ კავშირში იყოს.

7. ამბობენ ხოლმე, კონკრეტულ შინაარსობრივ პოზიციაში გარკვეული მიზანი იგულისხმებაო – სწორედ პოზიციის გამომხატველი კომუნიკაციური ტიპი “წანამძღვარი მოდუსით” ქვეტექსტის მარეალიზებელი ერთ-ერთი მძლავრი სიგნალია.

ე თ ე რ ბ ა ლ ი ა შ ე ი ლ ი სემანტიკური მაჩვენებელი ” When?–როდის?” საინფორმაციო საგაზეთო სტატებში

ყოველი სტატია პასუხობს შეკითხვებს: **What? Who? Where? When? Why? How?** (რა? ვინ? სად? როდის? რატომ? როგორ?), ანუ “**Five W’s & an H**”. ეს, ერთი შეხედვით, მარტივი ექვსი კითხვა ინტერპრეტაციის მთელ სტრუქტურას მოიცავს.

საგაზეთო, კერძოდ, საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა (სსს) სემანტიკური კვლევის ფორმებად გამოვყავით შემდეგი მაჩვენებლები/ინდექსები:

1. ვინ? (**Who?**)
2. რა? (**What?**)
3. როდის? (**When?**)
4. სად? (**Where?**)
5. რატომ? (**Why?**)
6. როგორ? (**How?**)

ამ კითხვებიდან პირველი სამი შეესაბამება ქრონოტოპული სისტემის კოორდინატებს: **who** (სუბიექტი), **where** (სივრცე), **when** (დრო). ეს სამი კომპონენტი ქმნის გარემოს, სადაც ხდება მოქმედება (**what**) და სადაც წარმოდგენილია ამ მოვლენასთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი (**why**) და მოქმედების “რაგვარობა” (**how**).

ამ სემანტიკური მაჩვენებლებიდან განვიხილავთ მესამე მაჩვენებელს – როდის? (**When?**), რომელიც დროის მითითებას გულისხმობს.

სსს ინფორმაციის პირველობის მომენტის მატარებელი უნდა იყოს. ამრიგად, სემანტიკურ მაჩვენებელში **When?** – როდის? – დროის მითითება (ე.წ.. datelines and history) – გამოვყავით შემდეგი ასპექტები:

- დროულობა – ანუ ინფორმაციის უახლესობა, დაუყოვნებლობა
- ერთდროულობა, შესაფერისობა/მოხერხებულობა
- პირველობა

When? სემანტიკური მაჩვენებლის განხილვის დროს გამოიკვეთა ხუთი მომენტი:

1. წარსული დრო: წარსულის სიღრმე გაზეთის პირველ გვერდზე.
2. აწმყო განგრძობითი: ახალი ინფორმაცია, ისტორია, როგორც მოვლენა, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარეობს, მოვლენა, რომელიც ხანგრძლივობით ხასიათდება.
3. მომავალი დრო: ხვალ – გაზეთის პირველ გვერდზე.
4. ახალი ამბის რიტმული თვისება/ხარისხი.
5. კავშირებითი კილო: ვარაუდი, განზრახვა პრესაში.

აღნიშნულ მოხსენებაში განხილულია თითოეული მომენტი ცალ-ცალკე.

დროის განსხვავებული განზომილებები განსხვავებული იქნება მოთხრობილი ამბის თემისგან, სუბიექტისგან და იმ ოფიციალური პირების ინტენციებისგან, ვის მიერაც ახალი ამბებია მოწოდებული.

პოლიტიკურ სსს-ებში უთუოდ გამოყოფილია ორი When

1. ადამიანის ცხოვრების პერიოდი human “lifetime”
2. ომის შემდგომი სამყარო “postwar world” იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი).

სხვა სახის სტატიებისთვის (მაგ. ანგარიშებისთვის) დროის სხვა განზომილებებია დამახასიათებელი. მაგ. ეკონომიკური სტატიებისთვის: 1. კვარტალური ან 2. წლიური When? სპორტული მოვლენებისთვის – სეზონურობის და ა.შ.

სსს-ებში დრო საპირკველია, ამიტომ, დღის მითითება გაზეთში დროის მთავარ ნაწილს წარმოადგენს.

მოვლენის, ამბის აუცილებელი კომპონენტები ის კომპონენტებია, რომლებიც გვპასუხოვენ კითხვებზე: ვინ?/რა? – სად? – როდის? ამ შეკითხვებზე პასუხი ქმნის **ინფორმაციულ მინიმუმს**, რომელიც ნებისმიერ სსს-ს ახასიათებს.

ნ უ ნ უ კ ა პ ა ნ ა ძ ე
დარგობრივი ინფორმაცია და თარგმანი
(საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებების მასალაზე)

დარგობრივი იურიდიული ენის თავისებურება თვით სამართლის დარგის არსით არის განპირობებული. იურიდიულ ტერმინებსა და ცნებებს აბსტრაქციის მაღალი დონე ახასიათებთ. განსხვავებით ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო დარგებისაგან სამართლის ენით აბსტრაქტული ცნებები და მათ შორის არსებული საგნობრივი მიმართებები გადმოიცემა. ყოველივე ამას იურიდიული ენის კიდევ ერთი თავისებურება უკავშირდება: მჭიდრო მიმართება ენასა და სამართალს შორის.

იურიდიული ენის თავისებურება იმაშიც ვლინდება, რომ იგი შეიცავს გამოთქმებს, რომლებიც ფორმის მიხედვით სრულად ემთხვევა ზოგად ენაში არსებულ გამოთქმებს, თუმცა შინაარსის დონეზე ისინი შესაძლოა გადახრას ავლენდნენ ზოგადი ენის სემანტიკური სტრუქტურიდან. ზოგადი ენისა და სამართლის ენის ლექსიკური სიახლოვე არ განაპირობებს იმას, რომ არასპეციალიტს სირთულის გარეშე ესმოდეს სამართლის ენა. სამართლის დარგის ტერმინი ან ცნება სრული მოცულობით გასაგებია მისთვის, ვინც იმ ცნებათა სისტემას იცნობს, რომელშიც ეს დარგობრივი ერთეულია ჩართული. ამასთან, სამართლის ენისა და ზოგადი ენის ფორმალური მსგავსება სამართლის ცნებების აღრევის, არასწორი გაგების საფრთხესაც მოიცავს.

განსხვავება ტერმინების ზოგადენობრივ და სამართლებრივ სფეროში გამოყენებას შორის ძალზე მნიშვნელოვანია დარგობრივი ტექსტების თარგმნის დროს. კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიძებნოს ცალკეულ შემთვევაში ტერმინის თარგმანი, ასევე ის, საქმე ზოგადენობრივ ცნებას ეხება თუ იურიდიულს, მხოლოდ შესაბამისი ცნებითი სისტემის გათვალისწინების შემთხვევაში გადაიჭრება სათანადოდ.

ენობრივი შესაძლებლობები დარგობრივ კომუნიკაციაში რამდენიმე ფუნქციური პრეფერენციით იზღუდება. დარგობრივი ტექსტები არასპეციფიკური ღიაობით ხასიათდება, ისინი რეციპიენტზე ორიენტირებულად უნდა განვიხილოთ. მთარგმნელი სამართლებრივ ტექსტში ზუსტი იურიდიული ტერმინებისა და ზოგადი ცნებების სპეციფიკურ თანაარსებობას აწყდება.

მთარგმნელის წინაშე დგას ამოცანა, რომ ფორმულირებების მეშვეობით გადალახოს ის სირთულეები, რომლებიც გაგებას აბრკოლებს.

თარგმნის დროს სამართლის კუთხით გადამწყვეტია ის, რომ მთარგმნელი არ გასცდეს სათარგმნი მასალის ზუსტ არსს. დაუშვებელია, რომ მან ტექსტს დამატებითი მნიშვნელობა შესძინოს. ამდენად, თარგმნისას ცალკეული სიტყვა ორიგინალის ენაზე და მისი მნიშვნელობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ზღვარი, რომლის გადალახვის უფლებაც მთარგმნელს არ აქვს, რაც იმ ვითარებით არის განპირობებული, რომ ამას შესაძლებელია შედეგად მოჰყვეს კანონის ტექსტების განსხვავებული განმარტება.

იურიდიული ტექსტის თარგმანი, როგორც კულტურის ტრანსფერი ერთი სამართლებრივი წყობიდან მეორეზე, სამართლებრივი შინაარსების გადატანას გულისხმობს, სამართალი კი ქმნის საკომუნიკაციო ჩარჩოს დარგობრივი ინფორმაციის გადმოცემისათვის.

ი ნ ე ზ ა კ ი კ ნ ა ძ ე **გრიგოლ კიკნაძის პირადი არქივიდან**

1. გრიგოლ კიკნაძის ცხოვრებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ საზოგადოებას საკმაოდ დიდი ინფორმაცია აქვს; სამისოდ თავი არ დაზოგეს და პატივი მიაგეს მის ხსოვნას მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა და თანამოაზრეებმა. გრიგოლ კიკნაძემ, როგორც პედაგოგმა, სტუდენტი-ახალგაზრდობის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. არჩეული პროფესიისა და საქმის სიყვარული, თავდადებული შრომა და სწრაფვა დასახული მიზნისაკენ და უანგარო დამოკიდებულება მაგალითი გახდა ბევრისათვის. ამის ერთგვარი საბუთია მისი უსაყვარლესი მწერლის, ვაჟა-ფშაველას, კაბინეტის დაარსების ისტორია და იქ ჩატარებული სამეცნიერო კვლევა-ძიებანი, გრიგოლ კიკნაძემ შესაშური ორგანიზატორული ნიჭი რომ გამოავლინა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ტალანტმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, ე. ბათუმში მოღვაწეობის ხანაში (1930-1935 წწ.) იჩინა თავი, როცა თავისი ძვირფასი პედაგოგის პროფ. დიმიტრი უზნაძის მხარდაჭერით ჩამოაყალიბა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია პედოლოგია-ფსიქოლოგიის მიმართულებისა.

2. გრიგოლ კვიციანი პირად არქივში შემონახულია რამდენიმე საქმიანი ბარათი დიმიტრი უზნაძისა; მასწავლებელსა და მის აღზრდილს შორის ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა და უფრო განმტკიცდა გრ. კვიციანის თბილისში გადმოსვლის შემდეგ, თუმცა როგორც ერთი ბარათიდან ირკვევა, დ. უზნაძე არ ურჩევდა მას კარგად დაწყებული და წარმატებული საქმის მიტოვებას.

გრიგოლ კვიციანეს არასოდეს დაჰვიწყებია თავისი პედაგოგები და მეგობრები: პროფ. მიხეილ ზანდუკელი (ცნობილია ხუთშაბათობები მასთან, ოჯახურ გარემოში), პროფ. არნ. ჩიქობავა, რომლებიც ყოველთვის, ყველა საქმეში მხარში ედგნენ მას. არნ. ჩიქობავას ერთ წერილში მისი ზრუნვის საგანი ვაჟას კაბინეტთან არის დაკავშირებული. არქივში დაცულია პროფ. გრ. ახვლედიანის მადლობის ბარათი, მეცნიერისათვის დამახასიათებელი მცირე შენიშვნით.

გრიგოლ კვიციანის არქივს შემოუნახავს პროფ. ბიძინა ფოჩხუასა და ზურაბ მიქელაძის წერილები (1953 წ.) გამოგზავნილი მათი გადასახლების ადგილიდან. მათ წერილებში ბევრი საყურადღებო შენიშვნაა მის მონოგრაფიასთან “სატირისა და იუმორის” შესახებ, რომელთა ნაწილიც, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ავტორმა II გამოცემისათვის.

არის სხვა ხასიათის წერილებიც: ა) თორნიკე ჭყონიას ოთხი ბარათი (1957-1958 წ.), რომელიც, როგორც თვითონ წერს, კრასნოდარის მხარის უსპენსკის რაიონში “იმულებით” მცხოვრები იყო, ფერმა “კუბანსკში” მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებდა. მის წერილში არის ჩემთვის საყურადღებო ინფორმაცია ილია აბულაძის შესახებ, პალეოგრაფიის ინსტიტუტის შექმნის თაობაზე.

არქივშია კავკასიოლოგები: ზეინაბ კერაშევასა (1972 წ.) და კიმ ტენესის წერილები. ბარათები ყოფილი სტუდენტებისგან, მათ შორის ნოშრევან ჯიშკარიანისაგან (1973 წ.) და სხვ. ყველას ჩამოთვლა ჭირს.

ფაკულტეტის ინიციატივით ამჟამად შესაძლებელი გახდა ავტორის ზოგი ბარათის გამოქვეყნება ჟურნალ წელიწდეულში.

ნ ა ნ ა ფ რ უ ი ძ ე

გრიგოლ კიკნაძე – აკაკი წერეთლის შემოქმედების მკვლევარი

გრიგოლ კიკნაძე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფიგურა და მრავალმხრივი ინტერესების მქონე მეცნიერი იყო.

სხვა ქართველი კლასიკოსების ქმნილებებთან ერთად გრიგოლ კიკნაძემ საგანგებოდ შეისწავლა აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მან რამდენიმე ნარკვევი უძღვნა აკაკი წერეთლის მხატვრული სამყაროს კვლევას, რითაც განუზომელი ღვაწლი დასდო ამ ერთ-ერთი უთვალსაზრისოესი ქართველი პოეტის თხზულებების მეცნიერულ შესწავლას.

1999 წელს “აკაკის კრებულის” I ტომში დაიბეჭდა გრიგოლ კიკნაძის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნაშრომი, რომლის სათაურია – *“ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებთა პედაგოგიური თვალსაზრისით შესწავლისათვის”*. ამ ნარკვევში მეცნიერმა სცადა გაერკვია, რა პირობები იწვევდა ჩვენი მწერლების თხზულებებში სხვა ამოცანების გვერდით პედაგოგიური ამოცანის დასახვას; როგორაა მათ ქმნილებებში წარმოდგენილი ბავშვი, როგორც აღზრდის ობიექტი და რა ხერხებს მიმართავენ ისინი პედაგოგიური ამოცანების დასაძლევად;

1940 წელს თსუ შრომების მე-14 ტომში დაიბეჭდა გრ. კიკნაძის წერილი *“აკაკი წერეთლის პოემათა არქიტექტონიკის საკითხისათვის”*. მასში ავტორი მიუთითებს, რომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს ნაწარმოების კომპოზიცია-არქიტექტონიკის კვლევის პრინციპები. კერძოდ, საინტერესოდ მიიჩნევს იმის გამოკვლევას, შესაძლებელია თუ არა, რომელიმე მწერლის ნაწარმოებთა აგების საერთო წესზომიერების დადგენა.

გრ. კიკნაძემ თავის ფუნდამენტურ წიგნში – *“ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის”* – საგანგებოდ შეისწავლა აკაკი წერეთლის სატირისა და იუმორის სპეციფიკა.

1963 წელს დაიწერა ნარკვევი *“აკაკი წერეთლის პროზაულ თხზულებათა პოეტურობის საკითხი”*. მართალია, ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში უკვე იყო შენიშნული, რომ აკაკი პროზა პოეტური ბუნების იყო, მაგრამ გრიგოლ კიკნაძემ პირველმა “გადახსნა ამ მწერლის პროზის პოეტური გული”.

მკვლევარი ძირითადად “ბაში-აჩუკის” მაგალითზე არკვევს, თუ რა განაპირობებს აკაკი პროზის პოეტურობას. საამისოდ ის ილია

ჭავჭავაძის შემოქმედებასთან ავლებს პარალელს და წარმოაჩენს უმთავრეს განმასხვავებელ ნიუანსებს.

1964 წელს მკვლევარმა გამოაქვეყნა წერილი **“აკაკი წერეთლის პოლემიკური ლირიკა”**. გრ. კიკნაძე აკაკი წერეთელს გამოკვეთილი პოლემიკური ბუნების პოეტად მიიჩნევს. მისი აზრით, აკაკი უფრო სხვასთან მიმართებით მუღავნდება, მისი შემოქმედება **პასუხია**.

უკანასკნელი წერილი, რომელიც გრ. კიკნაძემ აკაკის შემოქმედებას უძღვნა, იყო 1965 წელს დაწერილი **“მუდმივ ხატა სისტემა აკაკი წერეთლის პოეზიაში”**. მკვლევრის მიზანი არა მარტო აკაკის პოეზიისათვის დამახასიათებელი ხატების გამოყოფა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ მასალაზე დაკვირვების გზით იმ კავშირების მიგნებაა, რომლებიც ამ ხატებს აერთიანებს.

დასასრულ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ კიკნაძის ნააზრევი აკაკი წერეთლის ფენომენის შესახებ სადღეისოდაც აქტუალურია. გამოჩენილი მეცნიერის მიერ მონიშნულ პრობლემათა ორიენტირები კვლავაც აღძრავს ამ დიდი მწერლის შემოქმედების კვლევის სურვილს.

ი ა გ რ ი გ ა ლ ა შ ვ ი ლ ი **სტუმრის ღვთაებრიობის ბიბლიური კონცეფცია** **და ვაჟას “სტუმარ-მასპინძელი”**

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ლიტერატურული ანალიზი გრიგოლ კიკნაძის ნაშრომთა გათვალისწინების გარეშე სრულყოფილი ვერასოდეს იქნება. უაღრესად საყურადღებოა ღვაწლმოსილი მეცნიერის შეხედულებები პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით ვაჟას პოემების მიხედვით. მისი თქმით, ვაჟა სვამდა არა თემისა და პიროვნების, ადათების დაცვისა და უარყოფის, არამედ, ყველა დროისათვის საჭირობოროტო საკითხს: ხშირად პიროვნება ხდება საზოგადოებაშივე არსებული წინააღმდეგობების მსხვერპლი.

ბიბლიის მიხედვით, სტუმრობა ღვთაებრივი მოვლენაა, სტუმრის სახით ზოგჯერ უფალი ან ანგელოზები სტუმრობენ ადამიანებს. ვინც უანგაროდ, თუ საჭიროა, საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდაც კი, კეთილად უმასპინძლებს უცხო სტუმარს, უფლისაგან ჯილდოვდება.

ვაჟას “სტუმარ-მასპინძლის” მიხედვით, ჯოყოლასა და თემის, ანუ საზოგადოების, დაპირისპირების მიზეზი გახდა ის, რომ ჯოყოლამ დასასჯელად ხელში არ ჩაუგდო სტუმარი თანამემამულეებს. მან განაცხადა, რომ სტუმარს, თუნდაც სისხლის ზღვა ემართოს, ვერ უღალატებს და დაამატა: “ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.” ჯოყოლა ღვთის შექმნილია, მისი ქცევა ღვთისთვის სათნოა, საზოგადოებისათვის კი - მიუღებელი. განრისხებული თემის წევრები არჩევნის სისხლის აღების ტრადიციის დაცვას. მათში იმარჯვებს ბოროტი, წარმართული. უძველესია სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია, რომელიც მისაღები იყო ყოველთვის. თუმცა, როცა საზოგადოებას მოუხდა არჩევანის გაკეთება სისხლის აღებისა და სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას შორის, მან აირჩია პირველი. ჯოყოლა უსამართლოდ გაიწირა. თუმცა, თემის წევრებმა მოგვიანებით შეინანეს საქციელი. პოემის დასასრული მთავარ გმირთა გრაციოზულობით და მათი მოქმედების ღრმა შინაარსით დაუვიწყარია. თემის წევრებს სურთ დიდხანს დატკბნენ იმ სურათის ცქერით, თუ როგორ მასპინძლობს ჯოყოლა ზვიადაურს, როგორ ამბობენ სადღეგრძელოებს “დანდობისას”, მაგრამ მოულოდნელად ჩამოწოლილი ნისლი ხელს უშლის მათი სურვილის ახდენას.

ვაჟა-ფშაველას საზოგადოება, ანუ თემი, მისი წევრები არ გაუწირავს განსაკიცხავად. მათი სურვილი მარად უჭვრეტდნენ სტუმარმასპინძლობის, მეგობრობის, მოყვასის სიყვარულისა და ერთგულების მარადიულ სურათს, ნიშანია იმისა, რომ დიდ შემოქმედს ღრმად სწამდა: ღვთის ქმნილებაში, ადამიანში, ბოროტს კეთილი ჭარბობს, ცხოვრება კი აღსავსეა განსაცდელებით, ამიტომაც მუდმივი მღვიმარება საჭირო, რომ წარმართულმა, შურისძიებისა თუ სხვა ვნებების მომძლავრებით არ გადაამეტოს ქრისტიანულს, სათნოს, კეთილშობილურს, რაც არანაკლები ძლიერებითაა დავანებული ადამიანის მეტად სათუთ, ფაქიზ სულში.

მ ა მ უ კ ა ჭ ა ნ ტ უ რ ა ი ა **ასტრალური ვაჟა-ფშაველას პოეზიაში**

ვაჟა-ფშაველას პერსონაჟთა პორტრეტიზაციაზე საუბრისას მისი სტილის ერთ მნიშვნელოვან თვისებაზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. პოეტი უზენაესი ისტორიული პიროვნებებისა და სახელოვანი ადამიანების, ასევე, თავისი ნაწარმოებების დადებითი გმირების

წარმოსაჩენად ზოგჯერ ასტრალულ სიმბოლოებს ირჩევს ხოლმე. ასეთი გზა ქართულ ლიტერატურაში უცხო არ არის. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მზე და ციური სხეულები აღიქმება არა როგორც ლიტერატურაში მიღებული მხატვრულ-ესთეტიკური კატეგორიები, არა როგორც ტროპიკის საფუძველი, არამედ როგორც გვირგვინოსანთა, ამასთანავე, ლიტერატურულ პერსონაჟთა რაობის გამომხატველი ობიექტები. ბუნებრივია, რომ ვაჟასთან ასტრალული სახეები ყოველთვის საზეიმო ვითარებაში გვეძლევა, ანუ პერსონაჟთა სულიერი განწყობილება თუ მათ მიმართ ავტორის დამოკიდებულება განსაკუთრებულად ამაღლებულია. ასე მაგალითად, “ძალღიკა ხიმიკაურში” მეფე ერეკლე საზეიმო იერსახითაა წარმოდგენილი. “ერეკლეს პირზე მზე ეფინებისა”, – წერს ვაჟა. ლექს “ქებათა-ქებაში” (“დაუკარ, სტვირო, დაუკარ”) სამი წმინდანი – ქეთევანი, ნინო და თამარი წარსული დროის “ვარსკვლავნი” არიან. როგორც ვაჟა მიუთითებს, თანამედროვე ქართველ ქალებს “სამაგალითოდ უბრწყინავსთ ვარსკვლავნი წარსულს დროსაო”, ამიტომ არ უნდა დაივიწყონ მათი სახელები.

როგორც ვთქვით, ასტრალურ სიმბოლიკას ვაჟა საკუთარი ფანტაზიით შექმნილ პერსონაჟთა ხატვის დროსაც მიმართავს, რითაც სურს გააფართოოს წარმოსახვის საზღვრები და მიაღწიოს მოქმედ პირთა უკვდავი სულის იდეალურ განსახიერებას.

ვაჟა-ფშაველა გმირთა გალერეის დემონსტრირებისას ხშირად ერთმანეთს უნაცვლებს ასტრალურ და რეალურ პლანს, რაც ორივე შემთხვევაში ასტრალური სიმბოლოების მეშვეობითაა მიღწეული. თუ პირველ შემთხვევაში ეს სიმბოლოები უშუალოდ მეფეს, ამა თუ იმ იდეალურ გმირს გულისხმობს, მეორე შემთხვევაში ასტრალური რეალურ პლანად წარმოგვიდგება და ზემოაღნიშნული სიმბოლოები მეტაფორის, ეპითეტის, შედარების ფუნქციის შემსრულებელი ხდება.

ვაჟას ერთ-ერთ პოეტურ, მორალურ კოდექსში “კაი ყმა” – მზე – იდეალური ვაჟკაცის ხატადაა გამოცხადებული, ანუ ასტრალურ პლანშია ნაჩვენები: “მზედ იდგეს ხევსურეთისა, უხვად შუქს ჩამოჰკლავდეს”. ლექსში “ყველასაცა გვაქვს” პოეტი იდეალურ ვაჟკაცს მთვარედ მიიჩნევს: “აბა, ის არის ვაჟკაცი, ის მიმაჩნია მთვარედა”.

ასტრალურ სახეებს ხშირად იყენებს ვაჟა პოემებში. ასე მაგალითად ქვეყნის იმედი მინდია (“გველის მჭამელი”) ხევსური ქალების სიტყვებით “ამომავალი მთვარეა”. აღაზას (“სტუმარ-

მასპინძელი”) ფიზიკური მშვენება თვალდასანახად რომ წარმოგვიდგინოს, ვაჟა ცის სხეულებს იყენებს.

პერსონაჟებს, როგორც მნათობებთან გაიგივებულ ხატებს, უხვად წარმოგვიდგენს ვაჟა “ეთერში”. პოემის მიხედვით, ბატონიშვილი მთაზე შემომჯდარი მზეა, იგი მთვარეცაა. ეთერიც მთვარეა: “შიშველ-ტიტველი რადა ხარ, ცით ჩამოსული მთვარეო”, - ეკითხება მეფის ვაჟი მწყემს ქალს.

როგორც ვთქვით, ვაჟა ასტრალურ ცნებებს ტროპებად ხმარობს. ასეთ დროს თხრობას რეალური შინაარსი ეძლევა და ციურ სხეულებს გმირთა ხასიათების გამოვლენის, სინამდვილეში არსებული მათი სულიერი და ფიზიკური თვისებების მხატვრულ სახეებში ჩვენების მოვალეობა ეკისრება.

თ ა მ ი ლ ა ს ე ს ი ა შ ვ ი ლ ი

სატრფიალო დისკურსის ვერბალური ფორმები გერმანულ ენაში

სატრფიალო დისკურსი არის იმ ვერბალური ფორმების ერთობლიობა, რომელთა თემასა და შინაარსს რომანტიკული სიყვარული წარმოადგენს. ეს არის ადამიანთა ცხოვრების მუდმივი თანამდევი გრძნობა, რომელიც მათ სიხარულსა და ბედნიერებას და ზოგჯერ ტანსჯვასაც ანიჭებს. ამიტომაც, რომ არც ერთი გრძნობის ასახვას არ უკავია იმდენი ადგილი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რამდენიც სიყვარულის გრძნობას.

ფსიქოლოგიაში სიყვარული ითვლება ყველაზე ღრმა და ყოვლისმომცველ ემოციად, მრავალგანზომილებიან, კომპლექსურ ფენომენად, უმაღლეს ღირებულებად. სიყვარულის შესახებ არსებობს მრავალი ანდაზა და ცნობილი ადამიანების გამონათქვამი, რომელთა უმრავლესობა მეტყველებს ამ გრძნობის სიდიადესა და ძალმოსილებაზე. სიყვარულის გრძნობა ფართოდ და შთამბეჭდავდაა წარმოდგენილი მის ამსახველ დისკურსში. სატრფიალო დისკურსის ვერბალური რეალიზაცია ხორციელდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ზეპირ ვერბალურ ფორმებად ითვლება საალერსო სახელები - სიყვარულის ობიექტისადმი მიმართული მოსაფერებელი სიტყვები. გერმანული საალერსო სახელების უმრავლესობა კნინობითი სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვებია. საალერსო სახელებადაა გამოყენებული, ასევე, ცხოველ-

ფრინველების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ გზვდება ოკაზიონალური ფორმებიც, ვინაიდან უსაზღვროა შეყვარებულების ფანტაზია საყვარელი ადამიანებისათვის სააღერსო სახელების შერქმევაში. სატრფიალო დისკურსის ზეპირ ვერბალურ ფორმას წარმოადგენს, ასევე, სიყვარულის ახსნა, რისი რეალიზაცია ხდება შემდეგი სამეტყველო აქტების საშუალებით: ა/ სიყვარულის გამხელა, ბ/ კომპლიმენტების თქმა სიყვარულის ობიექტისათვის. ორივე სამეტყველო აქტისას მთქმელი, ე.ი. შეყვარებული ადამიანი, იყენებს სიყვარულის გრძნობის გამოხატველ მრავალრიცხოვან გამონათქვამს. სიყვარულის ახსნა, ჩვეულებრივ, პირისპირ, ზეპირი ფორმით ხდება, მაგრამ დღეს თურმე არსებობს მისი წერილობითი ფორმაც - სიყვარულის აღსარება სარეკლამო კედელზე გაკრულ პლაკატზე ან მანქანის მინასაწმენდზე მიკრულ ბარათზე.

სატრფიალო დისკურსის ვერბალურ წერილობით ფორმებს წარმოადგენს სასიყვარულო წერილები და სატრფიალო ლექსები - სიყვარულის დისკურსის სპეციფიკური სახეობები.

სასიყვარულო წერილის შთამბეჭდავი ნიმუშებია შტეფან ცვაიგის ნოველა

„უცნობი ქალის წერილი“ და ფრანც კაფკას წერილები სატრფოს, ფელიჩე ბაუერისადმი. სატრფიალო ლექსების ცენტრალური თემაა ქალ-ვაჟს შორის სიყვარული. მათთვის დამახასიათებელია ინტენციური ორიენტაცია, „შენ“-ზე მიმართულობა. პოეტები უმდერაინ სიყვარულის გრძნობას, გამოხატავენ სატრფოსადმი დაუოკებელ ლტოლვას, მასთან უშუალო საიხლოვის მხურვალე სურვილს. სატრფიალო ლექსების ცნობილი ნიმუშებია გოეთეს, ჰაინეს, რილკეს, ჰესესა და მრავალი თანამედროვე გერმანელი პოეტის სატრფიალო ლექსები.

კ ა ხ ა ბ ე რ ლ ო რ ი ა **პერსონაჟთა ცნობიერების პრობლემა ნ. დუმბაძის რომანში** **“მარადისობის კანონი”**

ნოდარ დუმბაძის “მარადისობის კანონი” ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ნაწარმოებია უახლეს ქართულ ლიტერატურაში. საბჭოთა პერიოდში მას უაღრესად მაღალი შეფასება მისცა როგორც ქართულმა, ისე საკავშირო კრიტიკამ. “მარადისობის კანონი” ქართულ ენაზე დაწერილი ერთადერთი თხზულებაა, რომელიც მოსკოვის მიერ კომუნისტური ეპოქის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოთი -

ლენინის პრემიით აღინიშნა. საბჭოთა პერიოდშივე რომანი თარგმნილი და გამოცემულია მსოფლიოს ხალხთა არაერთ ენაზე.

მრავალი თვალსაზრისით “მარადისობის კანონი” სოციალისტური რეალიზმის ხელწერით შესრულებული საკმაოდ ტიპური საბჭოთა რომანია, რომელშიც კომუნისტის თითქმის იდეალამდე მისული პოზიტიური სახეა დახატული. იმავდროულად, ამ ნაწარმოებში არის გარკვეული მცდელობა სოციალისტური რეალიზმის საზღვრების “გაფართოებისა”. ეს ცდა მთლიანობაში საკმაოდ ხელოვნურ ხასიათს ატარებს და მის ფონზე ნაწარმოების არაერთი შიდაწინააღმდეგობა იჩენს თავს. ამ მხრივ, სხვა მომენტებთან ერთად, საყურადღებოა პერსონაჟთა ცნობიერების პრობლემაც.

მარადისობის კანონის პერსონაჟები ხშირ შემთხვევაში უაღრესად გაორებული ადამიანები არიან. ეს, უპირველეს ყოვლისა, რომანის მთავარ გმირს - ბაჩანა რამიშვილს - ეხება, რომელიც ნამდვილ განსახიერებად გვევლინება გაორებული ცნობიერების ადამიანისა. იგი, ერთი მხრივ, სრული ურწმუნობისათვის არ იქნა განწირული, მიეცა რა ნიშანი უზენაესი შემოქმედის უტყუარი არსებობის დასტურად. ამისდა მიუხედავად, ბაჩანა მაინც ვერ ელევა საბჭოთა “იდეალებსაც”, რომელთა ერთგული მთელი ცხოვრება იყო და რომელთა ერთგულების წყალობითაც ის საკმაოდ მაღლა ავიდა კომუნისტური ნომენკლატურის იერარქიულ კიბეზე.

ბაჩანა რამიშვილის მსგავსად, გლეხი გიორგი თუშმალიშვილიც ის კაცია, ვისაც თან სწამს და თანაც არცა სწამს. თუ დავუკვირდებით, ამ გლეხის ცნობიერებაში ერთმანეთშია აღრეული სოფსაბჭოს შენობისა და ეკლესიის როლი თუ ადგილი. ამიტომაც, არაა გასაკვირი, რომ ეს გაორებული ცნობიერების ადამიანი იმასაც არ ერიდება, თავის თავზე მღვდლის ფუნქცია აიღოს და ბაჩანასა და მარიამს “ჯვარიც კი დაწეროს”.

რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, მამა იორამ კანდელაკიც კი დროდადრო ამჟღავნებს იმ გაორებული ცნობიერების ნიშნებს, ბაჩანასა თუ გლეხ თუშმალიშვილს რომ ახასიათებთ და, გარკვეულწილად, ისიც ცდილობს ხოლმე პრინციპული თვალსაზრისით შეურიგებლის როგორმე შერიგებას. ამ მხრივ განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ მამა იორამისთვის თითქოსდა არსებითად სულ ერთია, ვისი და რისი სახელით ივლის სიკეთე დედამიწაზე, ხოლო კომუნისტური იდეოლოგია კი მას “ადამის ძის სულისა და გონების განახლება” წარმოუდგენია.

დალი ფანჯიკიძე
გრიგოლ რობაქიძის ესე "ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის
თვალთ".
ტექსტის ინტერპრეტაციის ცდა

გრ. რობაქიძის საკმაოდ ვრცელი გერმანულენოვანი შემოქმედება საინტერესო საკვლევი მასალაა როგორც შინაარსის, ასევე გამოხატვის პლანის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ არც დასახელებული ესეა გამონაკლისი, მაგრამ ჩვენი არჩევანი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იგი საზოგადოებაში წლების განმავლობაში იყო მითქმა-მოთქმის საგანი.

ტექსტის ინტერპრეტაცია ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოიცავს გრ. რობაქიძის გერმანული ტექსტისა და ჩემი თარგმანის შეპირისპირებით ანალიზს, რასაც საფუძვლად უდევს ავტორისავე თეზისი, "რომ მწერლის უცხო, თუნდაც წაშლილი წარმოდგელობა თავისი სისხლით მსჭვალავს, უფრო მეტიც, კვებავს მისი შემოქმედების რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს".

ძირითადი თეზისიდან გამომდინარე, ტექსტი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. ესაა ადოლფ ჰიტლერის გარეგნული და ფსიქოლოგიური პორტრეტი, სიარულის მანერა, შესტები, ხმა, მისი მოღვაწეობის ეპიზოდები, ნაცისტური იდეოლოგიის ძირითადი თემები და ამ მასალაში ჩართული მოულოდნელი წიაღსვლები, რომლებიც ქართული ენით, ყოფიერებითა და ლიტერატურით არის ნასაზრდოები. ეს ფაქტი ქართულ ელფერს ანიჭებს გამოხატვის პლანს, ანუ იქმნება ეკლექტიკური სტილი, რაც დამახასიათებელია გრ. რობაქიძის მთელი გერმანულენოვანი შემოქმედებისათვის.

მეორე მხრივ, გრ. რობაქიძის ქართული ესეისტიკა გერმანული ენის მძლავრ ზეგავლენას განიცდის, რაც ქართულში გერმანული ხატებისა და სიტყვათქმნადობის დამკვიდრების მცდელობაში მჟღავნდება. თარგმანში დედნის სტილის კომპენსაციის მიზნით გამოყენებულია ყველა ის ექსპერიმენტი, რომლებიც გრ. რობაქიძის ქართულ ესეისტიკაში ცალკეული გერმანული სიტყვებისა და გამოთქმების შინაენობრივი ფორმის თარგმნის მეშვეობით ხორციელდება. ამ წარმონაქმნებს ქართული ენის ძირითად ფონდში დამკვიდრების პერსპექტივა არ გააჩნიათ, ისინი შეიძლება მხოლოდ გრ. რობაქიძის ინდივიდუალური სტილის მარკირებულ ნიშნებად განიხილებოდეს.

გრ. რობაქიძის სტილის კომპენსაციის მიზნით მისი ქართული ესეისტიკის მარკირებულ ლექსიკის გამოყენება, სათარგმნი ტექსტის

რიტმულ-ინტონაციური სურათისა და იმ სევდიანი ტონალობის აღდგენა, რაც ქართული მასალის ჩართვას ახლავს თან, ჩემი აზრით, ზემოთ დასახელებული მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა.

ე ლ ი ს ო კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი ოთარ ჭილაძის “გოდორი”

ოთარ ჭილაძის რომანი “გოდორი” მწერლისთვის დამახასიათებელი სტილისტიკით არის დაწერილი: გაბმული, თითქმის უაზვანო თხრობა, მრავალი ქვეტექსტისა და აზრობრივი ნიუანსის შემცველი ფრაზები, სრულქმილი, ტევადი დიალოგები, ემოციური წიაღსვლები, ბიბლიური ილუზიები, არქეტიპული თუ პარადიგმული სახისმეტყველება. ყოველივე ამის სათანადოდ წვდომა ჭეშმარიტ მკითხველს მოითხოვს და არა გადამკითხველს, რადგან ოთარ ჭილაძე ის მწერალია, რომელიც თვალის მისაზიდავად კი არ წერს, არამედ “საცნობელი ყურის” მისაპყრობად.

ჩვეული სტილისტიკის მიუხედავად, “გოდორი” სრულიად განსხვავებულია ოთარ ჭილაძის ადრეული რომანებისაგან. იგი მწერლის შემოქმედების ახალ, ჯერ უცნობ წახნაგს წარმოაჩენს, რაც ცხადყოფს არა მხოლოდ მისი, როგორც შემოქმედის, ამოუწურავ შესაძლებლობას, არამედ ქართული ენის, ქართული სიტყვის პოტენციურ ენერჯას.

პირველი, რაც გამოარჩევს ახალ რომანს, არის სინამდვილის უკიდურესად მძაფრი აღქმა. შეიძლება ითქვას, ის ყველაზე პირქუში, სასოწარკვეთილების გრძნობის მომგვრელი ნაწარმოებია ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში. ერთი შეხედვით შეიძლება ისიც მოგეჩვენოს, რომ ავტორი ღრმა სკეპტიციზმს შეუპყრია, სარკაზმით, უფრო მეტიც, ცინიზმით აღჭურვილია, სილამაზისა და მშვენიერების აღქმის უნარიც დაჰკარგვია და შეგნებულად ცდილობს დაგვაშინოს, დაგვაფრთხოს უიმედობაში ჩაგვყაროს. ამ მიზნით თითქოს ზედმეტად ამუქებს ფერებს, ხატავს კომპარული სიმძაფრის სურათებს და ყოფის ჰიპერბოლური უტრირებით სამყაროსა და ადამიანის სიმახინჯეზე, არარაობაზე გვაფიქრებს. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილებაა. რომანი უღრმესი ფერების შემცველია. დაკვირვებული თვალისთვის შეუმჩნეველი არ რჩება, რომ ამ მოჩვენებითი ნიჰილიზმისა და სკეპტიციზმის მიღმა ღრმა

სატკივარი იმალება. ეს იმგვარი შხამია, რომელიც კურნავს, მართალი სარკვეა, რომელიც თავის დროზე ახედებდა „ბედნიერ“ ერს.

სინამდვილეში ამგვარი დამოკიდებულება ჯერ კიდევ „აველუმში“ იჩენს თავს, „გოდორში“ კი უკიდურეს სახეს ღებულობს.

რომანის ქრონოლოგია საკმაოდ დიდ დროს, თითქმის საუკუნეს მოიცავს. მართალია, მისი ძირითადი ნაწილი ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას ასახავს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გასული საუკუნის ისტორიულ მოვლენათა მწერლისეული შეფასებაც.

ოთარ ჭილაძის სხვა რომანების მსგავსად, „გოდორიც“ ერთი საგვარეულოს ისტორიას მოგვითხრობს, რომელის ფონზეც მწერალი ეპოქალურ მოვლენებს გვისურათხატებს. ამით მყარდება ურღვევი კავშირი რომანის დროსივრცულ გარემოსა და ისტორიის კონკრეტულ ფაქტებს შორის.

ოთარ ჭილაძე, პირუთვნელი მემატიანის დარად, ყველა ისტორიულ ფაქტს თუ მოვლენას თავის სახელს არქმევს, საკუთარ ადგილს მიუჩენს ისე, რომ არაფერი შეალამაზოს, არაფერი მოაპირკეთოს. იგი ყალბ ილუზორულ ნიღაბს ჩამოგლეჯს ცრუ გმირებს, ხოლო დიდების შარავანდით მოსავს ჭემმარიტ მამულიშვილს.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ნაწარმოებში ჩართული ორი პორტრეტი ნოე ჟორდანიასი და ექვთიმე თაყაიშვილისა, რომელნიც, მიუხედავად მცირე მოცულობისა, თავიანთი მაღალმხატვრულობით დამოკიდებულ ჩანახატად აღიქმება.

რ უ ს უ დ ა ნ ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე **პოეტური ესკიზები**

ნიკო სამადაშვილის პოეზია აქტიურად ერთვება ქართველ ლიტერატორთა სააზროვნო არეალში. ამ უკანასკნელ ხანს არაერთი საგულისხმო წერილი თუ გამოკვლევა დაიბეჭდა, გამოითქვა საყურადღებო მოსაზრებები, ვარაუდებიც... ამჯერად კი პოეტური სახისმეტყველების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელზეც გავამახვილებ ყურადღებას.

ნიკო სამადაშვილის ლექსებში დიდი პანორამის ესკიზები იხატება, გაიაზრება კოსმიური მასშტაბები. ამაზე ლექსთა სათაურებიც მეტყველებენ: „გადმორბენა სამყაროსკენ“, „ჩემი ფეხის ხმა მთვარისკენ“, „დაუსაბამობის ხილვა“. რამდენიმე

ლიტერატურულ ტექსტს კი ქვემოთ, სადაც ლექსის შექმნის თარიღი თუ ადგილი მიეთითება ხოლმე, მიწერილი აქვს: „მარადისობის ნაკამარევი“ ან „შეშლილი ბინდების ჭიშკრებთან“. „... დედამიწაზე /ნეტავ რისთვის შემოვხეტე?!“ (ლექსიდან „წაშლილი კვალი“) ეს სიტყვები დამახასიათებელია სამადაშვილის აზროვნებისათვის. შემოქმედი დგას „დაუსაზღვრელი კოსმოსის“ წინაშე და ამგვარად აღქმულ სამყაროს ხატავს ლექსებში.

უსაზღვროებას გავცქერივარ, მივხეტები.

დამე ზრიალებს, ქარიშხლები ემატებიან.

„რა ამბავია?“ – ქვებზე დამჯდარ ქარს ვეკითხები,

„რომ გუგუნებენ?“ – მიმავალი პლანეტებია.

ესაა სტრიქონები ლექსიდან „ჩემი ფეხის ხმა მთვარისკენ“; აქვე მოვიტან ამონარიდს მისი მოთხრობიდანაც, რათა ხაზი გავუსვა, რომ ეს ნიკო სამადაშვილის გამორჩეული ხელწერის დამახასიათებელია: „სად მიბზუის ჩვენი დედამიწა?.. რად ზღავის უსაზღვროების ხრიოკ მინდვრებში?“ („მეწისქვილე“) ამგვარი ხილვები გამოარჩევს მას სხვა თანამოკალმეთაგან. ასეთ მასშტაბებში გაიაზრება მისი მსოფლგანცდა. თუმცა, სივრცითი აღქმა გარკვეულ ლოკალსაც გულისხმობს: პოეტისეული დაყოფა: „აქ“ – „იქ“, „გაღმა“ – „გამოღმა“ შემთხვევითი მხატვრული ხერხი არაა; მეტიც, ესაა მისი მსოფლმხედველობის გამოხატულება. მართალია, მკვეთრადაა გამიჯნული ურთიერთისაგან „სააქაო“ და „საიქაო“, მაგრამ აზრობრივი მოდელი ერთ განუყოფელ მთლიანობას ქმნის. გარდაცვლილსა და ცოცხალს მხოლოდ მანძილი აშორებთ: ეს მხოლოდ დედამიწიდან გასვლაა, რადგან „მკვდარი დედამიწიდან გადის და არა სამყაროდან“ (მარკუს ავრელიუსი). საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ პოეტის მთავარი სტიქიონი ქარია, რომელსაც არ ენაცვლება მისი სინონიმები: სიო, ნიავი, ნიავქარი, არამედ იგი ბუნების ძალის გარკვეულ გამოხატულებადაც იქცევა და ეს ხერხი ე.წ. „დამატებითი შტრიხია“ იმ პოეტურ ესკიზებში, რომელსაც ავტორი ხატავს; დამხმარე ხერხი, რომელიც სათქმელის ზუსტად გადმოცემაში ეხმარება.

ნიკო სამადაშვილის პოეზია, მისი „გრაფიკული ლექსები“ – პოეტური ესკიზები მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო კვლევის და გაანალიზების ფართო შესაძლებლობას იძლევა.

თ ა მ ა რ პ ა ი ჭ ა ძ ე
გალაკტიონის “მზეო” და “მარიამ” - ბიბლიური
მოტივაციისათვის

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მზე ფრიად მრავლისმომცველი და განფენილი ცნებაა მხატვრული, სიმბოლური თუ მსოფლმხედველობრივი რაკურსიდან. გალაკტიონის შემოქმედებით მემკვიდრეობას “ვერ დავაბრალებთ” რომელიმე კონკრეტული “იზმის”, მსოფლმხედველობის ან მიმართულების ერთგულებას და, პირიქით, ყოველი ამ მიმართულების პირდაპირი აღქმა ან ანარეკლი მაინც ცნობიერდება მის პოეზიაში. გალაკტიონისათვის საოცნებო და მშვენიერი არის მიუწვდომელი, ხელუხლებელი და ამაღლებული, ვითარცა მზე და მისი სხივი, ან მისი ნათელი. გალაკტიონი სიყვარულის, მშვენიერების, სილამაზის ხატად, სახედ ხშირად ასახელებს მზეს.

აბსოლუტური ნათელის ბოლომდე შეუცნობლობის გაცხადება გალაკტიონისათვის, ბუნებრივია, არ ნიშნავს საკუთარი განცდის მზის და ნათლის პერსონიფიცირებულ ხატთან გაიგივების ზედაპირულ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წმინდა მხატვრულ-პოეტურ პრიზმაში აღქმას. ქართულ სახისმეტყველებაში აღიარებული (რ. სირაძე) სამივე განსახოვნება მზისა: პირველი – მითოსურ-ედიტიური, შემდეგ გონებრივი ანუ ეიკონური და ხილული მზის მხატვრული აღქმაც გალაკტიონის შემოქმედებაში იმთავითვე ისახება.

გალაკტიონის ლექსებში მოხმობილი ნათელი პირველქმნილი ნათლის ანალოგიაცაა, ზეციური ნათელი განასხივოსნებს წყვდიადს; მას მშვენიერებას ანიჭებს ზეცა – უზენაესი. ის იგივე წმინდა სულია და სამყაროში ყოველივე მშვენიერში განსახოვნდება: ადამიანში, ბუნებაში, აზრში. გალაკტიონის პოეზიაში “Caritasis” საპირისპირო ესთეტიკაც ისახება – მზიანი ღამის ხატი, ანუ “ნათელი ბნელსა შინა”, რაც ნეოპლატონისტური იდეის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში დამკვიდრებას გულისხმობს.

გალაკტიონის მზე მხოლოდ ამომავალი, დილის მზის სხივთა მფრქვეველი როდია, პირიქით, გალაკტიონის მზე ხშირად სევდისა და ტკივილის, მწუხრისა და სასოების სიმბოლოდაც მოიაზრება. აქედან გალაკტიონის პოეზიაში უკვე შემოდის “მკვდარი მზე”, “გარდაცვლილი მზე”, “ნათლის ნამსხვრევი”, “მზის ძველი გზა” .

გალაკტიონის პოეტური მუზის უპირველესი სატრფიალო სიმბოლო, მერი, უპირველესად, მშვენიერთან, ნათელთან, მზის სახესთან არის დაკავშირებული. გალაკტიონისათვის მერი მშვენიერების შესატყვისად იქცა. სიყვარული – სილამაზე – უკვდავება – მერი – ამგვარად წარმოსახა ესთეტიკურისა და გრძნობადის სინთეზის საკუთარი კონცეფცია პოეტმა. ეს არის ქრისტიანული სიყვარულის – აგაპეს პოეტური კონცეფცია, ერთმანეთში შერწყმული სულიერი და ხორციელი საწყისით. მისი, გალაკტიონისეული სიმბოლოა ცისფერი ქალი – მერი. ის გალაკტიონისათვის არის არა მხოლოდ რეალური ქალის სახე, არამედ მას რელიგიურ-ქარაგმული გამოხატულებაც აქვს. იგი არის ღვთისმშობლის განსახიერება - “დედაო ღვთისავ მზეო მარიაამის” ტრანსფორმირებული აღქმა, ანუ ღვთისმშობლის სახის ემანაცია.

ამდენად, გალაკტიონის მერი სიმბოლური სახეა და, აქედან გამომდინარე, შელის, ბაირონის, ბლოკის და სოლოვიოვის პოეტურ მსოფლმხედველობათა მსგავსად, ერთგვარად წაშლილია ზღვარი რეალურ ტრფობასა და ღვთაებრივ ტრფიალებას შორის და თუკი გალაკტიონისთვის მზე არის ღმერთი (“მზეო მარიაამ”) და ამასთან ერთად მშვენიერი, მაშინ, საზოგადოდ, მშვენიერი შეიძლება აღვიქვათ როგორც მერის სიმბოლური სახე, მით უმეტეს, თუ კიდევ ერთხელ გავუსვავთ ხაზს მადონა – მარია – მერის როგორც სახელების (ამ შემთხვევაში ღვთისმშობლის სახელი) იდენტურობას.

გალაკტიონის პოეზიაში გაცნობიერებული სულიერი საწყისისა და ნათელის განფენის პროცესი ერთგვარი სულიერი ზეასვლის თანამიმდევრობაა და საბოლოოდ ზენათლის ხატის ძიებისაკენ არის მიმართული: სწრაფვა იდუმალისა და ამაღლებულისაკენ – მიწიდან ზეცისა და ლურჯი ცისაკენ, ადამიანის ფიქრისა და ოცნების უსაზღვროებისაკენ. “სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროება” – სული საზღვარი, ანუ დასაზღვრა, სულის მდგომარეობის გაცნობიერების სურვილია, რომელიც სულიერი გაჯერების ილუზიას შექმნის ახალ სივრცეთა, ანუ როგორც თავად იტყოდა პოეტი “ახალ ლაჟვარდთა” შესაცნობად.

ნ ი ნ ო პ ო პ ი ა შ ვ ი ლ ი **კოსმიური სხეულები ოსურ მითოლოგიაში**

ოსური ფოლკლორი წარმოგვიდგენს მიწიერი და ზეციური სხეულების ერთობლიობას. ზოგან მიწიერი არსებების დომინანტობა აშკარაა, მაგრამ ადამიანის ბედის წარმართვაში გარკვეულ როლს თამაშობს კოსმიური სხეულებიც. ისინი ზოგჯერ ხელს უწყობენ ადამიანის ბედის დადებითად წარმართვას, კეთილდღეობას, ზოგჯერ კი, პრირიქით, აფერხებენ და გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნიან ამა თუ იმ გმირს.

რომ აღარაფერი ვთქვათ ნართების ეპოსზე, ცარციათების თქმულებებში ბონვარნონი, ანუ ცარციათების პირველი წინაპრის ცარძოის მეუღლე, მთვარის შვილია და ღვთის დისშვილი. თვითონ ბონვარნონი (ცისკრის ვარსკვლავი) მთვარის განჩინებით ის უპირველესი ვარსკვლავია, რომელიც ადამიანებს გარიჟრაჟზევე მოეველინება და ზეციდან ადევნებს თვალს მიწიერთა ცხოვრებას.

ოსურ თქმულებებში მზე განსაკუთრებული სახეა. ცარციათების თქმულებების მხედვით სწორედ მზის დაჟინებული მოთხოვნით შექმნა ღმერთმა ადამიანები. მისივე თხოვნით დაყო ღმერთმა ადამიანები ბოსტნეულის მჭამელებად, რათა ისინი სულ არ ამოწყვეტილიყვნენ.

მზე და მთვარე იმდენად არიან ადამიანებთან ახლოს, რომ ღმერთს ეშინია მათი განაწყენების და ყოველთვის ეკრძალება მათ.

როცა ნართ სათანასთან მისი უსახელო შვილი მიემგზავრება საიქიოდან იმისათვის, რომ მოასწროს და დაბრუნდეს იგი უკან, სამუდამო განსასვენებელში, მზე ცოტა ხნით დააგვიანებს ჩასვლას. ამას ოსურ მითოლოგიაში მკვდრის მზეს უწოდებენ.

ასე რომ, თუ ერთი მხრივ, კოსმიური სხეულები ადამიანის მეგობრები, მისი უახლოესი ნათესავები არიან, მეორე მხრივ, ისინი მათ მოწინააღმდეგეებადაც გვევლინებიან.

ე კ ა ვ ა რ დ ო შ ვ ი ლ ი **ქეთევან დედოფლის სახის მნიშვნელობისათვის**

გრიგოლ კვიციანი ნაშრომში “ილია ჭავჭავაძე როგორც ხელოვანი” შენიშნავს, რომ “ზნეობრივი ერთიანობა ამზადებს ეროვნულ

მთლიანობას” (გრ. კიკნაძე). ე.ი. ზნეობრივი ერთიანობა საფუძველია ეროვნული მთლიანობისა. XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ნააზრევის განხილვისას აკ. ბაქრაძე აღნიშნავს: “აკაკი წერეთელს უნდა ჩამოეყალიბებინა ის ზნეობრივი იდეალი, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამადადგებოდა. ასეთი იდეალის სიმბოლურ გამოხატულებად მან სამი ქალი მიიჩნია – ნინო, თამარი და ქეთევანი” (აკ. ბაქრაძე).

წმინდა ნინოა საქართველოს გამაქრისტიანებელი, მის სახელს უკავშირდება ქართლის ქრისტიანიზაციის მეორე, ძირითადი ეტაპი. იგი არის მოწამის პირველსახე ქართულ მწერლობაში, თამარია ის პიროვნება, რომელშიც ეროვნული და ქრისტიანული ინტერესები უმაღლესი ფორმით შეერწყა ერთმანეთს. ქეთევან დედოფალი სარწმუნოებისა და მამულისათვის თავდადებული, რაინდული სულისა და გამძლეობის სიმბოლოა ქართველი ხალხისათვის.

პოემაში “სადღეგრძელო” გრ. ორბელიანი ქეთევან დედოფლის შესახებ ამბობს: “მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნოების დამცველი” და ამით აიგივებს სარწმუნოებისა და მამულისათვის თავდადების იდეალებს.

ქეთევან დედოფლის სახე ჩანს ასევე პოემაში “თორნიკე ერისთავი”, როდესაც ნინო, ქეთევანი და თამარი ლოცვით შესთხოვენ ღვთისმშობელს მამულის აღდგენას, ენის, სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვას. აქვე გვახსენდება ილიას სიტყვები: “სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც ვერ ვუპატრონეთ, რა ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას” (“ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან “შეშლილის” თარგმანზედა”).

“თორნიკე ერისთავი” აკაკიმ 1884 წელს დაწერა, 1881 წლით თარიღდება მისი ლექსი “სიზმარი”. აკაკის პოემის ბოლო ნაწილი სწორედ ამ ლექსის განმეორებაა. განსხვავებულია მხოლოდ ლექსის პირველი ორი სტრიქონი. ქეთევან დედოფლის სახისმეტყველებითი პარადიგმა ჩანს ასევე აკაკის ლექსებში, “სიზმარი”, “ჩემი ლოცვა”, “მომავალ ქართველ ქალს”, “ქებათა-ქება”... წერილში “უბრალო საუბარი” აკაკი წერეთელი ამბობს: “ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ქართველი დედები ისე, რომ არ მოგვაგონდეს სარწმუნოება ნინოსი, მოწამეობა ქეთევანისა და სიბრძნე-სათნოება თამარისა” (აკ. წერეთელი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ალ. ყაზბეგის კალამს ეკუთვნის პირველი ორიგინალური პატრიოტული დრამა “წამება ქეთევან დედოფლისა”.

საისტორიო პოემათა რიგი იწყება სწორედ ქეთევან დედოფლის წამების აღწერით. პირველი მწერალი, რომელსაც გაულებსაც ისტორიის ეს ეპიზოდი, არის მეფე თეიმურაზ პირველი. მეორე – პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი. აღნიშნულ თემას თავის შემოქმედებაში ეხება არაერთი უცხოელი ავტორი.

ხ ვ თ ი ს ო მ ა მ ი ს ი მ ე დ ი შ ვ ი ლ ი **საკულტო ტექსტების სტრუქტურა**

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ძირითადად ხუთი სახის საკულტო ტექსტი სრულდება: 1. ჯვარ-ხატთა სადიდებლები, 2. სალოცავ-სავედრებლები, 3. კურთხევანი, 4. ნაქადაგრები, 5. სახელისდებანი.

ფორმისა და შინაარსის მიხედვით ეს ტექსტები ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა თითოეული მათგანი მყარი სტრუქტურის მქონე ტექსტია. საკულტო ტექსტები მხოლოდ ჯვრის მსახურთა რეპერტუარშია. ყველა მათგანში გამოყენებულია მიმართვის ფორმა.

სადიდებლები, სალოცავ-სავედრებლები და კურთხევანი ხვესურეთში ერთი მთლიანი ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შეადგენს და მას ხუცობა ჰქვია.

სადიდებლები, სამხვეწრო ანუ დამწყალობნების ტექსტები და კურთხევანი აღვლენილია ჯვრის ან ჯვართა მიმართ. ნაქადაგარში, პირიქით, ჯვარი მიმართავს საყმოს.

ყველა ნაქადაგარს ერთნაირი სტრუქტურა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ის კონკრეტული ქადაგის პირით წარმოითქმის სხვადასხვა ჯვრის კარზე და თითოეული ტექსტი კონკრეტული ღვთისშვილისგან მომდინარეობს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის დანარჩენი საკულტო ტექსტებისგან განსხვავებით, “სახელისდებანის” ტექსტები ღვთისშვილებს არ ახსენებს. მას ჯვარ-ხატებში აღვლენილ რიტუალებთანაც არაფერი აკავშირებს. “სახელისდებანი” ღმერთის დიდების მოხსენიებით იწყება, რადგან, ტექსტის მიხედვით, მიცვალებულის სულები ღმერთს აბარია. “სახელისდებანი”, ისევე

როგორც ამ ტიპის ტექსტებს ახასიათებთ, არის მიმართვა ღვთისადმი და შემდეგ მიმართვა მიცვალებულისადმი. მიცვალებულს უსურვებენ ცოდვების მიტევებას, “იღში”, ანუ ნათელში, სამოთხეში ყოფნას, გაშლილ, უხვ სუფრას და ა. შ. “სახელისდებანში” ვეცნობით ხალხურ წარმოდგენებს საიქიო ცხოვრებაზე. “სახელისდებანის” ტექსტებს ძირითადად აქვთ ერთნაირი სტრუქტურა და ლექსიკა, აგებულია მსგავს სინტაგმებსა და ტროპულ გამოთქმებზე.

ყველა სახის საკულტო ტექსტს აქვს დასაწყისი, ძირითადი ნაწილი და დასასრული.

ქართული ფოლკლორის ქანრულ სისტემაში საკულტო ტექსტები (ნაქადაგრების გარდა) თითქმის ერთადერთია, რომელიც დღესაც განაგრძობს ზეპირ არსებობას. ჯვარ-ხატთა სადიდებლები, სალოცავ-სავედრებლები, კურთხევანი, ნაქადაგრები და სახელისდებანი არის საკრალური ტექსტები, ამიტომ მათ დღემდე შეინარჩუნეს მყარი სტრუქტურა. საკულტო ტექსტების საკრალური ხასიათის გამო კულტმსახური ტექსტის შინაარსში ნოვაციის შეტანას ერიდება.

ნ ა ნ ა ტ ო ნ ი ა **ევროპული შუასაუკუნეების “სიახლეთა ხანა” (XII ს.)** **და ანტიკურობა**

კაროლინგური ეპოქის შემდეგ მიმცხრალი ინტერესი ანტიკურობისადმი XII საუკუნეში კვლავ ახალი ძალით იჩენს თავს. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოვლინდა მხატვრულ ლიტერატურაში არა მორალიზებული იდეალის, არამედ მშვენიერების ძიებით. ამ თვალსაზრისით იგი ყველაზე მეტად უახლოვდება ძველი მემკვიდრეობის იდეალს, მითუმეტეს, რომ ეს იყო არა “ზემოდან”, საიმპერატორო კარიდან ნაკარნახევი, არამედ ერთობ ორგანული, ნიშანდობლივი ტენდენცია მთელი იმ დროინდელი განათლებული საზოგადოებისათვის. ეს ეხება არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიერო ლიტერატურასაც. ამავე პერიოდში შეიმჩნევა განსაკუთრებული ზრუნვა სალიტერატურო ფორმათა და თავად ლათინური ენის დახვეწაზე. მაგრამ XII საუკუნის კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენებად მიჩნეულია უფრო იმ ფასეულობებისადმი სწრაფვა, რომელთაც შედარებით მეტი კულტურული ღირებულებები ჰქონდათ. უპირველეს

ყოვლისა, ეს იყო კვადრივიუმის მეცნიერებებისადმი გაცხოველებული ინტერესი: მათემატიკური და ასტრონომიული ხასიათის ნაწარმოებები ითარგმნებოდა არა მხოლოდ ბერძნული, არამედ არაბული ენებიდანაც. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის, რომ ამ ეპოქაში აღიარეს დიალექტიკისა და მტკიცების ლოგიკური მეთოდის ძალა და, იმავდროულად, ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა მისტიური შეცნობის შესაძლებლობა, რომელიც უკვე ემყარებოდა არა მხოლოდ ეკლესიის მამათა საღმრთო წერილებს, არამედ რელიგიურ განცდათა საკუთარ, უშუალო გამოცდილებას. აქედან მიეცა დასაბამი ე.წ. “გონებისა და რწმენის” მთელ შემდგომდროინდელ მოძღვრებებს. **მესამე** სიახლე მეცნიერების სფეროს განეკუთვნება – ვითარდება ისტორიული პროცესების თეორიაზე დაფუძნებული ისტორიოგრაფია და სამართლის ისტორია. ეს მეცნიერებანი ფართოდ გამოიყენებოდა პოლემიკური ხასიათის ნაწარმოებებში. და ბოლოს, **მეოთხე** მნიშვნელოვან მოვლენად აღიარებულია მრავალრიცხოვან ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოჩენა ნაციონალურ ენებზე. ისინი ძირითადად განეკუთვნებოდნენ ლიტერატურის სარაინდო და საერო სფეროებს. ამის პარალელურად ვითარდება საერო ლირიკის სრულიად ახალი ჟანრი – სატრფიალო და სატირული, რომელიც ვაგანტა პოეზიის სახელით არის ცნობილი. კულტურის ამ სიახლეთა სიმრავლის გამო XII საუკუნეს უფრო აღმავლობის საუკუნეს უწოდებენ, ვიდრე აღორძინებას: ამ შემთხვევაში იგულისხმება სრულიად ახალ ლიტერატურულ მოვლენათა აღმოცენებისა და აღმავლობის პროცესი. სწორედ ამიტომ XII საუკუნე მიჩნეულია ევროპული კულტურის ისტორიის ბრწყინვალე პერიოდად, როდესაც ჩაისახა უმნიშვნელოვანესი წინააღმდეგობრივი ხასიათის იდეები.

რ უ ს უ დ ა ნ ც ა ნ ა ვ ა
“სამუშაითოდ მზრდიდიან” -
„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გაგებისათვის

ქაჯეთის ციხის აღებამდე გამართულ თათბირზე ფრიდონი მეგობრებს სთავაზობს, რომ იგი თოკზე გავა და ციხეში შეაღწევს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1402-მა სტროფმა, რომელშიც ფრიდონი ამბობს, რომ აღმზრდელები მას სამუშაითოდ (ჯამბაზად) ზრდიდნენ. ამ ტაეპმა და ტექსტის სხვა პასაჟებმა ჯამბაზობის არსში უფრო ღრმად ჩაძიების სურვილი წარმოშვა. თავდაპირველად ჯამბაზების მთავარი აქსესუარის – თოკის სიმბოლიკა განვიხილეთ. თოკი გვხვდება არქაულ რიტუალებში. ეს საკითხი შეისწავლა მირჩა ელიადემ. ელიადეს დაინტერესება თოკებით ფაკირებისა და ჯამბაზების (ჯადოქრების) ტრიუკებმა განაპირობა. ამ ტრიუკის თუ “თამაშის” ანალიზმა მეცნიერები არქაულ უნივერსალურ წარმოდგენამდე მიიყვანა. ტრიუკში ორი ელემენტი უნდა გამოიყოს: I. ნეოფიტის დანაწევრება, II ცაში ასვლა თოკით. ნეოფიტის დანაწევრებას ინიციაციის არქაულ რიტუალს უკავშირებენ. რაც შეეხება ცაში თოკით ასვლას: უძველესი წარმოდგენებით, *მითოსური დროს* დასაწყისში ცას და მიწას ერთმანეთთან აკავშირებდა თოკი (ჯაჭვი, ხე, მთა, კიბე), რომელიც უზრუნველყოფდა ღმერთების კავშირს ადამიანებთან. მითიური წინაპრის დანაშაულის გამო ეს კავშირი გაწყდა, ხე, თოკი, ჯაჭვი გადაიჭრა. ეს მითი (ვარიაციებით) გავრცელებულია ყველა ხალხში. არანაკლები სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება ჰორიზონტალურ თოკებს. თუ ამ ორ მოდელს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ჰორიზონტალური და ვერტიკალური სიბრტყეების გადაკვეთა სამყაროს მოდელს ქმნის. ვერტიკალს (ზემო-ქვემო) და ჰორიზონტალს (მარცხენა-მარჯვენა) სხვადასხვა სიმბოლიკა აქვთ, თუმცა კონცეპტუალურად ისინი ბინარული ოპოზიციების არსობლივ ასპექტს გამოხატავენ. ოპოზიციების უკიდურესი წერტილების *დამაკავშირებელი* ხაზები (მაფები, თოკები, ქარები, ჯაჭვები და ა.შ.) ღრმა სიმბოლიკას (თუ გნებავთ, რელიგიურ დატვირთვასაც – ამ აზრის ფართო გაგებით) შეიცავს.

ტექსტის ანალიზის საფუძველზე, როგორც ჩანს, მულდაზანზარი მარგინალური, არაორდინარული ქვეყანაა – პატარა, მაგრამ ძალიან მდიდარი. ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, ქვეყნის მმართველს მეფეთა ტრადიციულ “ქცევა-ქმნათა” პარალელურად აღმზრდელები მუშაითობის ხელოვნებასაც ასწავლიან (ამით ხასგასმულია, რომ

სიყმაწვილეში ფრიდონმა ინიციაციის განსხვავებული – ეზოთერული – გზაც გაიარა). ფრიდონი თავისი პატარა ქვეყნის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და მის გასაფართოებლად, როგორც ჩანს, ხშირად “ბეწვის ხიდზე” გადის. ამ მიზნის მიღწევაში მას ის სულიერი გამოცდილებაც ეხმარება, რომელიც თოვზე გავლის პრაქტიკულმა უნარ-ჩვევამ გამოუმუშავა.

ი ა მ ზ ე გ ა გ უ ა **ოქროს საუკუნე რომაულ პოეზიაში**

რომაელ პოეტთა წარმოდგენები ოქროს საუკუნეზე ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, ეს არის უზრუნველი ცხოვრება, როცა ადამიანთა მოდგმას არ სჭირდებოდა მომქანცველი შრომა არსებობისათვის, კანონები უსამართლობისაგან თავის დასაცავად. ყველაზე ვრცლად ამის შესახებ საუბრობს ოვიდიუსი, რომლის წყარო ძველი ბერძენი პოეტის, ჰესიოდეს, “თეოგონია” უნდა იყოს.

ოქროს საუკუნის, ანუ სატურნუსის ხანის დაცემის მიზეზს რომაელი პოეტები ეძებენ ადამიანთა მანკიერი თვისებების გაღვიძებაში: სიხარბეში, ოქროსა და სიმდიდრის დაუოკებელ წყურვილში, რასაც შემდგომ მოჰყვა უბედურებები: ომები, მკვლელობანი, გაუტანლობა, უსამართლობა და სხვ. რკინის საუკუნეში მცხოვრებ ადამიანებს პოეტები ერთ გამოსავალს სთავაზობენ – მოიპოვონ ოქროს საუკუნე სიმშვიდეში, სოფლის იდილიურ ცხოვრებაში და ამგვარად განერიდონ მანკიერებით დამძიმებულ ცოდვილ სამყაროს.

არის ასეთი მოსაზრებაც, რომ უპირველესი ცოდვა, რამაც სხვა მანკიერებებს დაუდო სათავე, იყო ახლის შეცნობის წყურვილი, რაც გვაგონებს ადამისა და ევას ცოდვას. ამ შემეცნებითი ბუნების წყალობით ადამიანებს დაეუფლათ სიხარბე და იწყეს დედაბუნების შეწუხება.

თუმცა ადამიანის მამიებლურ თვისებას თავად იუპიტერი (ტრაგედია “ოქტავია”-ს მიხედვით) აფასებს, როგორც საზოგადოების კულტურული განვითარების აუცილებელ პირობას, რომელიც კაცთა მოდგმის ცხოვრებას განასხვავებს ცხოველთა ყოფისაგან. ჩნდება ასეთი კითხვა: იყო კი სატურნუსის ხანა ნანატრი, რომლის მიმართ ადამიანებს ნოსტალგია აქვთ? ეს ხომ უქნარობისა და მცონარობის დრო იყო, რაც ადამიანებს ადუნებდა, გაჭირვებამ კი კაცთა გონება დაძაბა და გამოაფხიზლა (კლავდიანუსი, “პროზერპინას მოტაცება”).

ცივილიზაციისა და კულტურის განვითარებაში დიდი როლი ქალღმერთ კერესისა, რომელმაც ადამიანებს ასწავლა მარცვლეულის მოყვანა, უბოძა მათ “საუკეთესო და სასარგებლო საზრდო” (meliora alimenta, utilior cibus), ამიტომ მას მიიჩნევენ მშვიდობის სიმბოლოდ. კულტურული საკვების მოპოვებაზე გადასვლა, ოვიდიუსის თანახმად, საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია.

ანტიკური წარმოდგენების მიხედვით, რკინის საუკუნე არის ყველაზე მძიმე პერიოდი, რომლის შემდეგ კვლავ ქაოსი დაისადგურებს და დადგება საოცნებო ხანა სატურნუსისა.

ენობილია, რომ ამ ნანატრ ხანად მიიჩნეოდა ავგუსტუსის ეპოქა, რომელმაც დიდი ხნის ოცნება – მშვიდობა მოუტანა რომაელ ხალხს, რაც სატურნუსის ხანის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი იყო, ამასთანავე, ოვიდიუსის განმარტებით, კულტურის აღმავლობა იყო ჭეშმარიტი ნიშანი ოქროს საუკუნის დადგომისა და არა სიმდიდრისა და ოქროს დაგროვება.

ქ ე თ ე ვ ა ნ ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი **არგონავტების მითოსი და ფრანც გრილპარცერის “ოქროს საწმისი”**

1. XIX ს-ის ავსტრიელი მწერლის ფრანც გრილპარცერის დრამატული პოემა “ოქროს საწმისი” ანტიკურობის შემდეგ პირველი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც მაღალი მხატვრული ოსტატობით ამუშავებს არგონავტების ციკლს. ეს მითოსი მწერალს სამყაროს მისეული ხედვის ჭრილში აქვს მხატვრულად ხორცშესხმული. კერძოდ, გრილპარცერის მიხედვით, ამქვეყნიური დიდება ოდენ სიზმარია და, შესაბამისად, ფუჭია, ამოა ესწრაფვოდე მას.

2. პოემის მესამე, ცენტრალური ნაწილი “მედეა” ოქროს საწმისის მოპოვების შემდეგ საბერძნეთში დაბრუნებულ იასონსა და მედეას შორის წარმოქმნილ ტრაგიკულ კოლიზიას, ამ კოლიზიის მიზეზების წარმოჩენას და მათი ისტორიის ტრაგიკულ დასასრულს ეძღვნება.

3. გრილპარცერს თავის დრამატულ პოემაში, ევრიპიდესგან განსხვავებით, სრულიად ახლებურად აქვს წარმოდგენილი რამდენიმე საკვანძო მომენტი: ა) კრეუსა პიესისათვის სამკაული კი არ არის, არამედ ცოცხალი ქალია, რომელსაც ახლო ურთიერთობა აქვს მედეასთან და რომელიც სიყვარულით განმსჭვალავს არა მხოლოდ

იასონს, არამედ მედეას შვილებსაც. ბ) შვილები უარს ეუბნებიან, გაჰყვნენ დედას გადასახლებაში, რასაც არსებითი ცვლილება შეაქვს შვილების მკვლევლობის მედეასეულ მოტივაციაში. გ) ნაწარმოების ბოლოს ცოცხალი რჩება კრეონი, რომელიც აძევებს იასონს ქალაქიდან. ამასთან, გრილპარცერი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ცოლ-ქმრის ტრაგედია მათი განსხვავებული წეს-ჩვეულებებიდან, სამყაროს განსხვავებული აღქმიდან გამომდინარეობს.

4. ნაწარმოების ბოლოს დახატული იასონი მწერლის კრედოს მხატვრულ ხორცმესხმად წარმოგვიდგება. ამქვეყნიური დიდების, ანუ სიზმრისთვის მებრძოლი გმირი, ახლა უღონო და დაჩაჩანაკებული კაცია, რომელიც მედეას მხოლოდ სიკვდილს სთხოვს, მაგრამ ყოფილი ცოლისგან ვერც ამას იღებს. “ატარე, ითმინე და მოინანიე” – ამ მრავლისმთქმელი სიტყვებით ემშვიდობება მედეა იასონს. საწმისი კი, რომელსაც მათ ყველაფერი შესწირეს და რომელიც ახლა მათთვის სრულიად უსარგებლო ნივთია, ადამიანის დიდებისკენ სწრაფვის, ამაოების სიმბოლოდ გვევლინება და ეს სიმბოლო ახლა მედეას უკან, დელფოსში მიაქვს.

ნ ა ნ ა ფ უ რ ც ე ლ ა მ ე **რუსთაველის აფორიზმების ზოგიერთი პარალელისთვის შუა** **საუკუნეების არაბულ პოეზიაში**

შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ქართველ მკვლევრებს არაერთხელ დაუფიქსირებიათ რუსთაველის ზოგიერთი აფორიზმის პარალელები სპარსულ ლიტერატურაში.

შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნისა“ და შუა საუკუნეების არაბული პოეზიის შედარებითი შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა ზოგიერთი შეხვედრა არაბული და, საზოგადოდ, აღმოსავლური ლიტერატურის პოეტური კოდის ზოგიერთ ელემენტთა თუ აფორიზმთან. მოხსენებაში განხილულია რუსთაველის ზოგიერთი აფორიზმის პარალელები არაბულ პოეზიაში, კერძოდ, აფორიზმებისა – “სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი...”, “შიში ვერ იხნის სიკვდილსა...”, “მისგან (სიკვდილისგან) გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი”, “სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა”. განხილულია

აგრეთვე ერთ-ერთი პოეტური კლიშეს – “მზისა” და ღამის მზის”
სემანტიკა – არაბულ პოეზიაში.

სავარაუდოდ, ეს აფორიზმები არბულში იმდროინდელ
აღმოსავლურ ლიტერატურაში გავრცელებული ტოპოსებია და
ეკუთვნის შუა საუკუნეების პოეტური კულტურის საერთო ფონდს,
რომლის ფესვებიც ჯერ კიდევ ძველ აღმოსავლურ ლიტერატურაში
(შუამდინარულ, ძვ. ეგვიპტურ, ინდურ ლიტერატურაში) უნდა
ვეძიოთ – განსაკუთრებით ბერძნულ გნომოლოგიურ თხზულებებში
(რომლის წყარო იყო ალექსანდრიული სკოლა, გადატანილი
ანტიოქიაში უმარ II-ის მმართველობის დროს), რომელიც არაბულად
ითარგმნებოდა.

ეს გნომოკა ან ჰიქმა, როგორც არაბები უწოდებენ, ანუ, სიბრძნე,
აფორიზმი, სენტენცია, ხშირად ზეპირად ვრცელდებოდა ანადზების,
არაკების სახით, რაც მერე მცირედი ცვლილებებით გადადიოდა ერთი
პოეტის შემოქმედებიდან მეორეში, ერთი ქვეყნიდან მეორეში,
ეპოქიდან ეპოქაში.

ა ნ ა უ ო რ უ ლ ი ა ნ ი PR-ი არისტოფანეს კომედიებში

PR, ანუ **Public Relations**, სიტყვა-სიტყვით საზოგადოებრივ
ურთიერთობებს ნიშნავს და ამა თუ იმ ადამიანის, კომპანიის,
საზოგადოებრივი მოძრაობის, პოლიტიკური პარტიის და სხვათა
მასობრივი ცნობადობის უზრუნველყოფისათვის გაწეულ
ღონისძიებათა კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც სასურველ შედეგს
საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების გზით აღწევს.

“საზოგადოებრივი ურთიერთობები” თანამედროვე ტერმინია,
რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, თავდაპირველად ის
ხალხისა და ხელისუფლების შორის ურთიერთობის, კომუნიკაციის
დამყარების საშუალებას წარმოადგენდა. საუკუნის ბოლოს
“საზოგადოებრივი ურთიერთობების” მნიშვნელობა გაფართოვდა და
ბიზნესის სფეროშიც გადაინაცვლა. ჩვენს დროში კი ამ დარგის გარეშე
თითქმის ყველანაირი საქმიანობა წარმოუდგენელია. თანამედროვე
ადამიანისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობა ასოცირდება
ტელევიზიასთან, რადიოსთან და ინტერნეტთან, რეკლამასთან,
მარკეტინგთან, პრესრელიზთან, საინფორმაციო ბუკლეტებთან,
აბრებთან და ბილბორდებთან; სხვადასხვა სახის ხელოვანთა

კონკურსებთან, დაჯილდოებასთან და სპორტულ ასპარეზობებთან. ეს ყველაფერი PR-ის ინსტრუმენტებია და ტექნიკური ინოვაციების ნაყოფი. როდესაც საუბარი ანტიკურ ეპოქას ეხება, ჩნდება კითხვა – აწარმოებდნენ კი PR-კამპანიას ძველი ბერძნები და თუ აწარმოებდნენ – როგორ აკეთებდნენ ამას?! შესაძლებელია თუ არა ანტიკურობას მივუსადაგოთ თანამედროვე PR-გაგება და თუ შეიძლება, საჭიროა თუ არა გავითვალისწინოთ ჩვენს დროში არსებული თეორიები? სად და როგორ ხორციელდებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობები ძვ. საბერძნეთში. უდავოა, რომ ძვ. ბერძნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები იყო, ისინი დაუღალავად იღვწოდნენ ამ ასპარეზზე. ამგვარი ურთიერთობებისათვის ბერძნულმა ცივილიზაციამ შექმნა სპეციალური სივრცე – აგორა და თეატრი. თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ათენელების ცხოვრებაში. კლასიკურ საბერძნეთში ის მნიშვნელოვან საკომუნიკაციო სივრცეს წარმოადგენდა. ეს ფუნქცია განსაკუთრებული სახით ვლინდებოდა ძველი ატიკური კომედიის შემთხვევაში, ვინაიდან მისი თემა ქალაქ-სახელმწიფოს ყველაზე აქტუალურ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ-კულტურულ საკითხებს შეეხებოდა. შესაბამისად, თემაში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

- PR-ის სპეციფიკა ათენში.
- პოლიტიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობების სივრცეები.
- PR-ი თეატრში, კერძოდ კი არისტოფანეს კომედიებში.

მ ა ი ა შ უ ხ ო შ ვ ი ლ ი

პლატონის “სოფისტის” კომპოზიციური და სტრუქტურული ორგანიზაცია

მოხსენების მიზანი არის პლატონის დიალოგის “სოფისტის” კომპოზიციური და სტრუქტურული ორგანიზაციის კუთხით გამოკვლევა. ეს საკითხი ხელოვნურად არ ყოფილა შერჩეული. ამ პრობლემატიკით ჩემს სადოქტორო თემაზე მუშაობისას დავინტერესდი. საქმე ისაა, რომ მეცნიერებაში დღეს პლატონის მიმართ არ არის ერთგვაროვანი მიდგომა. მართლაც რა არის პლატონის შემოქმედება: წმინდა წყლის წერილობითი ტრადიცია თუ

გარდამავალი პუნქტი ზეპირიდან წერილობით ტრადიციაზე გადასვლისა.

სწორედ ამ საკითხზე არის ფოკუსირება მოხსენებაში და განხილული არის პლატონის ერთი დიალოგი - “სოფისტი” - კვლევის უახლესი მეთოდით – სტრუქტურული ანალიზით.

ამის შემდეგ მოკლედ მიმოხილულია ამ საკითხის – პლატონის დიალოგების სტრუქტურის – კვლევის ისტორია, რასაც უკვე უშუალოდ მოჰყვება კონკრეტული დიალოგის სტრუქტურული ანალიზი. კერძოდ კი, გამოყოფილია დიალოგია ათი ძირითადი მონაკვეთი, თავისი ექსპოზიციებით, ინტერმედიებითა და დასკვნებით და მოცემულია ამ დიალოგის სტრუქტურული გრაფიკი, რომელიც ნათელს ხდის, რომ რომ მთელი ნაწარმოების დონეზე გვაქვს ზეპირი ტრადიციისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ორგანიზაცია. სტრუქტურის ცალკეული ელემენტები ისეთ მიმართებაშია ერთმანეთთან, რომ ქმნის თავისებურ ორიგინალურ კომპოზიციას, რომელშიც ერთმანეთთან შეზავებულია წრიული და პარალელური დაყოფის პრინციპები.

მოხსენების შემდეგი ნაწილი წარმოადგენს დიალოგის სტრუქტურის კვლევას ცალკეული პასაჟებისა და ეპიზოდების დონეზე, რაც გვაძლევს ძალიან საინტერესო შედეგს. ექვს შემთხვევაში ცალკეულ ეპიზოდებს აღმოაჩნდა სტრუქტურული ორგანიზაციის მთელი დიალოგისათვის დამახასიათებელი სახე. ამათგან ოთხ შემთხვევაში გვაქვს წრიული და პარალელური დაყოფების ორიგინალური ნაზავი, ხოლო ორ შემთხვევაში გვაქვს წმინდა სახის წრიული დაყოფა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს მცირე სახის ამოვარდნები, ისეთი ნაწილები, რომლებიც აკლია. ძირითადად კი ელემენტები ზუსტად ჯდება ერთიან სისტემაში და ქმნის მოწესრიგებულ, კარგად ორგანიზებულ და საინტერესო სტრუქტურას.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ პლატონი ნამდვილად ავლენს ზეპირი ტრადიციისათვის დამახასიათებელ აზროვნების სტილს. სწორედ ამას მოწმობს ჩვენი განხილული დიალოგის სტრუქტურული ორგანიზაცია და სტილი. სამწუხაროდ, არსებობს პლატონის სტრუქტურული კვლევის რამდენიმე ცდა და ჩვენ საშუალება არ გვაქვს განვიხილოთ პლატონის ამ დიალოგის კომპოზიციური და სტრუქტურული თავისებურებები სხვა დიალოგების სტრუქტურული აგების პრინციპებთან მიმართებით. კარგი იქნება, თუ ეს ნიშა მომავალში შეივსება და ჩვენ

საშუალება გვექნება პლატონის დიალოგების დაჯგუფებისა მათი სტრუქტურულ-კომპოზიციური აგების პრინციპების შესაბამისად. თუ პლატონის დიალოგებს სტრუქტურული ანალიზის მეთოდით გამოვიკვლევთ, ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო ღრმად და ახლებური ინტერპრეტაციით გავიაზროთ მისი შემოქმედება.

ა პ ო ლ ო ნ ს ი ლ ა გ ა ძ ე **საჯის შესახებ**

1. **საჯი** - განსაკუთრებით არასპეციალურ ზოგად ნაშრომებში ლიტერატურის ისტორიის და სხვა ტიპისა - ჩვეულებრივ კვალიფიცირებულია, როგორც რითმიანი / გართიმული პროზა. მაგრამ ეს განსაზღვრება არ მოიცავს საჯის ყველა სახეს და, რაც მთავარია, არ ეხება საკუთრივ საჯის, როგორც ლექსის ფორმას.

2. ის, რაც კვალიფიცირებულია გართიმულ პროზად, წარმოადგენს გვიანდელ ლიტერატურულ ფორმას, რომელიც შეიქმნა მე-9-მე-10 საუკუნეებში და განვითარება პოვა ეპისტოლარულ ჟანრში და, განსაკუთრებით, არაბული პროზის ისეთ ცნობილ სახეობაში, როგორიცაა ე. წ. მაკამა.

3. საკუთრივ საჯი ისლამამდელი მოვლენაა და ფოლკლორს განეკუთვნება (ქაპინების საჯი, ბედუნების, ორატორთა და ა. შ.). ის, რომ იგი დაკავშირებული იყო წარმართულ კულტთან, გახდა ერთ-ერთი დაბრკოლება (გარდა არუდისა) მისი ლიტერატურული გავრცელებისთვის, თუმცა საჯის ფორმას წარმოადგენს ყურანის საკმაოდ ბევრი სურა, ძირითადად პირველი, ე. წ. პოეტური პერიოდისა (ამ თეზისს, პირველ რიგში, ოჯაზის პოზიციებიდან, შუასაუკუნეების არაბი ფოლოლოგების უმეტესობა ეწინააღმდეგება; ამ ასპექტში შეიძლება ითქვას: ერთი მხრივ, საჯის ფორმა ყურანის მთელ რიგ პასაჟში ფაქტია, მეორე მხრივ, არც საჯი და არც სხვა ფორმა თავისთავად აღებული არ არის ყურანის რიტმული სტრუქტურის სპეციფიკა, ეს სპეციფიკა, როგორც ჩანს, მეტია, ვიდრე ერთი რომელიმე ფორმა).

4. მიუხედავად იმისა, რომ საჯთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს გარკვევას, არ შეიძლება იმის თქმა, რომ იგი არ არის საკმაოდ შესწავლილი (კერძოდ, შუა საუკუნეების არაბ ფილოლოგთა მიერ), მათ შორის ფორმალურ ასპექტში (იხ. რ. ბლამერი, დ. ფროლოვი...). საჯის ზოგადი სტრუქტურის ნიშნებია: ა) მცირე მოცულობა; ბ) მოკლე სტრიქონი (4-10 მარცვალი); გ) რითმა

(ერთ-ერთი ფუნქცია: სალექსო სტრიქონის განსაზღვრა); დ) პარალელიზმები (სინტაქსური და მორფოლოგიური ხასიათისა); ე) სტრიქონთა შედარებითი თანაბრობა (პირველ რიგში, განპირობებული პარალელური კონსტრუქციებით); ვ) საბოლოოდ – საკმაოდ მწყობრი ვერსიფიკაციული ორგანიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჩამოთვლილი ნიშანი საჯ'ის ფორმისათვის აუცილებელია და არა – შემთხვევითი.

5. არც ერთი ეს ნიშანი (გარდა რითმისა, თუმცა აქაც განსხვავებაა – სტრუქტურაშიც, გართმვაშიც) არ ახასიათებს გვიანდელ რითმიან პროზას – მას საჯ'თან, როგორც ლექსის ფორმასთან, არავითარი კავშირი არ აქვს. გარდა ამისა, პრინციპულ განსხვავებას ქმნის კიდევ ორი მომენტი: ა) საჯ'ი, პირველ რიგში, ფოლკლორის მოვლენაა, საჯ'ად წოდებული რითმიანი პროზა – ლიტერატურისა; ბ) საჯ'ი არის არაბული ლექსის (ლექსთწყობის) ისტორიის ელემენტი – პირველი, არქაული. ფორმა რიტმულად ორგანიზებული მეტყველებისა, რომელსაც უშმალო კავშირი აქვს არაბული (არაუდიული) ლექსის გენეზისთან; გვიანდელი საჯ'ი სხვა ისტორიის ელემენტია: ჯერ ერთი – გვიანდელი, მეორეც – დაკავშირებული არა ლექსთან, არამედ პროზასთან.

ლილი ჟორჯოლიანი **მოგონილ სახელიანი პერსონაჟები “მეფეთა-წიგნის” ქართულ** **ვერსიებში და მათი სპარსული შესატყვისები**

“მეფეთა წიგნის” ქართული ვერსიების პირის საკუთარი სახელების შესწავლისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პერსონაჟი გარკვეულ სიტუაციაში თავის ვინაობისა და ნამდვილი სახელს (ასევე მამის სახელის) დამალვის მიზნით სხვა სახელს ირქმევს და მამასაც სხვა სახელით იხსენიებს ასეთებია:

1. “როსტომიანში” თურანელი ფალავანი ომან, (სპარსული ჰუმან) ვაჟი სარდალ ვისასი (სპ. ვისა) როსტომს უმაღლეს თავის ვინაობას და თავს ქოშავს ბესფაზის ვაჟის უწოდებს. მსგავსი ვითარება გვაქვს “შაჰ-ნამეს” სპარსულ ტექსტში.

2. “ფრიდონიანში” ირანელი ფალავანი ქავას ვაჟი ყარანი თურის მომხრე მეციხოვნეს მოსატყუებლად თავს ბნოილის ვაჟად გარსოდ წარუდგენს. “შაჰ-ნამეს” მოსკოვის კრიტიკულ ტექსტში შესატყვისი არ

გვაქვს, მაგრამ “ფრიდონიანის” დედანში იგი უცილობლად უნდა ყოფილიყო.

3. ირანელი ფალავანი ნარიმანის ძე საამი “საამ ფალავნის წიგნის” მიხედვით, ჩინეთის მეფის ასულს ფერიდუხტზე გამიჯნურებული და მის საძებნელად წასული ნარიმანის გზაში შემხვედრ ვაჭარს ეუბნება, შამელი ვაჭარი ვარ. ჩემი სახელი ყეისია და მამაჩემს ყეიბადი ჰქვიაო. სპარსულ შესატყვისს მივაკვლიეთ ხაჯო ქირმანელის პოემაში “ჰომი და ჰომინი” რომლის გადმოკეთებასაც წარმოადგენს ამ თხზულების დედანი “საამ-ნამე”, ოღონდ აქ სხვაობა გვაქვს მამის სახელში. შამი ამბობს: მე ყაის ვარ, ხოლო მამაჩემს ყაისან ჰქვია და შამელი ვარო.

4. “როსტომიანში” რუმში გადახვეწილი მამასთან კონფლიქტის გამო ირანის მეფის ლუარსაბის (სპარსული ლოჰრასფ) ვაჟი გოშთასფი მალავს თავის ვინაობას და ნამდვილ სახელს და თავის თავს ფარხუზარს (ფარხუზს//ფარლუზს) უწოდებს. მამას კი საერთოდ არ ახსენებს. მსგავსი ვითარება გვაქვს “შაჰ-ნამეს” სპარსულ ტექსტში გოშთასფის მიერ მოგონილი სახელია ფაროხზად და სახელის ქართული ვარიანტები მისგან არის მიღებული.

დ ა რ ე ჯ ა ნ გ ა რ დ ა ვ ა ძ ე

ზუჰდიათისა და ხამრიათის თემატური პარალელებისათვის შუა საუკუნეების არაბულ და სპარსულ პოეზიაში

შუა საუკუნეების არაბული მორალისტურ-ასკეტური პოეზია – ზუჰდიათი ფოკუსირებულია პესიმისტურ რეფლექსიაზე წუთი-სოფლის ამოების თემაზე – რომ სიკვდილის წინაშე უძლურია ყველა და ყველაფერი, ყოველივე წარმავალია და ა.შ. ზუჰდიათის ლიტერატურულ თავწყაროებს ისლამამდელი პერიოდის ძვ. არაბულ პოეზიაში ეძიებენ. ასკეტური პოეზიის საწყისებს ნახულობენ ომაიანთა ხანის პოეზიაშიც, მაგრამ ნამდვილი აყვავება ამ უანრმა აბასიანთა ხანის პოეზიაში განიცადა, ხოლო მწყობრი ფილოსოფიური სისტემის სახით იგი ჩამოყალიბდა X-XI სს-ის არაბი პოეტის აბუ ლ-ალა ალ-მაარრის შემოქმედებაში, სადაც პესიმისტური რეფლექსია თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს.

ღვინის ლექსის ტრადიცია არაბულ ლიტერატურაში ასევე ისლამამდელი პერიოდიდან იღებს სათავეს. ღვინის თემის მოტივებს

ვხვდებით ბევრ ისლამამდელ პოეტთან, სადაც, მურუვევას სარაინდო კოდექსით, ღვინო სიმამაცესთან, ხელგაშლილობასა და დროსტარებასთან არის დაკავშირებული. ცნობილი ფაქტია, რომ ღვინის კულტურა საკუთრივ არაბებს ნაკლებგანვითარებული ჰქონდათ და ნიშანდობლივია, რომ ჯაჰილის პერიოდის ღვინის პოეზია უკავშირდება ჰირის სამეფოს მდიდარ პოეტურ ტრადიციას, რომელზეც სპარსული კულტურის კვალი აღიარებული ფაქტია.

ისლამურ პერიოდში აბასიანთა ხანას არაბულ პოეზიაში ხამრიის ჟანრის აყვავება ერაცის ქალაქებს – ქუფას, ბაღდადასა და ბასრას უკავშირდება, სადაც ასევე სპარსული ელემენტი დომინირებს. ხოლო არაბული ხამრიის ჟანრის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის – აბუ ნუვასის პოეზიას სპარსული კულტურის გავლენა ატყვია და აღინიშნება, რომ მან სპარსული მოტივები შემოიტანა არაბულ პოეზიაში.

მოხსენება დაეთმოზა ზუჰდიათისა და ხამრიათის თემატურ პარალელებს შუა საუკუნეების არაბულ და სპარსულ პოეზიაში, იმ მორალულ მოტივებს და პოეტურ სახეებს, რომლებიც ვარიაციებს გვიჩვენებს არაბულ და სპარსულ ლირიკაში.

მ ზ ი ა ბ უ ს კ ი ვ ა ძ ე

განმანათლებლობა და მისი შედეგები თურქულ ლიტერატურაში რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემის რომანის“ფაეტონის სიყვარულის“ მიხედვით

აღსანიშნავია, რომ ახალი თურქული ლიტერატურის წარმოშობა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო.

ახალი ლიტერატურის ჩამოყალიბება დაკავშირებულია თურქეთში განმანათლებლური საქმიანობის გავრცელებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით თურქეთში განმანათლებლობა საუკუნით გვიან დაიწყო. განმანათლებლობასთან დაკავშირებული თავისებურებები განპირობებული იყო ქვეყნის ისტორიული განვითარებით. თურქული საზოგადოება, ერთი მხრივ, ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ევროპულ სახელმწიფოებთან, გაეცნო მისი მეცნიერულ-კულტურული და ლიტერატურული განვითარების ტენდენციები, მეორე მხრივ კი, თავიდან გაუცნობიერებლად, ხოლო შემდეგ კი შეგნებულად, დასავლეთს, როგორც მტერს, ისე აღიქვამდა. თურქეთის ბურჯუაზია

ეყრდნობოდა ისლამს, ისინი მოთხოვნიდნენ კონსტიტუციური მონარქიის შექმნას, ვინაიდან, ისლამის მთავარი კანონის შესაბამისად, სულთანი ხალხის მიერ ხელდასხულად ითვლება.

ახალ ეპოქასთან ერთად ხდებოდა ძველი ისტორიულ-კულტურული კავშირების გაწყვეტა და ახალი კონტაქტების დამყარება დასავლეთის ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა კი, საფრანგეთთან.

ამ კონტაქტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თურქული განმანათლებლობის ფილოსოფიური, ესთეტიკური და ლიტერატურული პრინციპების განსაზღვრაში. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში თურქეთში ითარგმნება ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს, ჰიუგოს, დეფოს, ლამარტინის, ლაფონტენის, რასინის ნაწარმოებები. უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელობითი საქმიანობის დროს თურქი განმანათლებლის წინაშე იდგა შემდეგი ამოცანა: მათ საქმიანობას ეროვნული თვითშეგნება უნდა გაეძლიერებინა და ეროვნული კულტურა უნდა განეფართოებინა. როგორც ზია ფაშა აღნიშნავდა, “მთარგმნელობით საქმეში შევისაწვლით რა უცხო ენას, ვთარგმნით ევროპულ ლიტერატურას, არ უნდა დავივიწყოთ საკუთარი კულტურა არ უნდა დავამცროთ საკუთარი ერი”. თუმცა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აზრი არაერთგვაროვანი იყო. ზოგიერთს მიაჩნდა, რომ სრულიად უნდა მიეზამათ დასავლეთისათვის როგორც თემატიკით, ასევე ტექნიკით. ამან, რასაკვირველია, საზოგადოებაში “გაევროპელების” არასწორი გაგება გამოიწვია, რაც აისახა კიდევ ლიტერატურაში.

სწორედ ამ პრობლემას მიუძღვნა მწერალმა, რეჯაიზადე მაჰმუდ ექრემემ, თავისი ნაწარმოები “ფაეტონის სიყვარული”. ნაწარმოების სათაურიც სიმბოლური ხასიათისაა. რომანის მთავარი გმირი, ბიჰრუზ ბეი, აწ უკვე გადაშენების პირას მდგარი საზოგადოების წარმომადგენელია. მდიდარი მამის წყალობით მიღებული განათლებით თავმოწონებული თურქ მწერლებს, პოეტებს და თავად თურქულ ენას სასაცილოდ იგდებს. ფრანგულ ყაიდაზე ჩაცმული, მიმტანებთან, მენავეებთან, უბრალო ხალხთან ფრანგულად მოსაუბრე ბიჰრუზ ბეი საზოგადოების დაცინვის საგანი ხდება.

ახალი კულტურის შეთვისებამ აზროვნების ცვლილება გამოიწვია, რამაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის, იმავე საზოგადოებისგან გაუცხოებას დაუდო საფუძველი.

თ ა მ თ ა ფ ა რ უ ლ ა ვ ა
ერთი აღმოსავლური სიუჟეტის შუასაუკუნეობრივი და
თანამედროვე ინტერპრეტაციისათვის

მოხსენება ეძღვნება უძველეს თეოლოგიურ-ფილოსოფიურ თემას – ადამიანის ხვედრის წინასწარ განჩინების საკითხს. განხილულია შუა საუკუნეების აღმოსავლური, კერძოდ, ისლამური გაგება ამ პრობლემისა და მისი ინტერპრეტაცია თანამედროვე ლიტერატურაში.

მიიჩნევენ, რომ ფატალიზმი ისლამური დოგმატიკის აუცილებელი ატრიბუტია. ყურანის აიები (35,2; 57,22.) საფუძველს იძლევა, ვიფიქროთ, რომ ცაკლეული ადამიანის თუ საერთოდ სამყაროს ისტორიაში ყველაფერი წინასწარ განსაზღვრული და მკაცრად დადგენილია და ამ განგებულებას ვერაფერი შეცვლის. ფატალისტური მსოფლალქმა ისლამურმა ცივილიზაციამ პრეისლამური არაბული აზროვნებისაგან იმემკვიდრევა. ძველ არაბულ ბედისწერას აქ ალაჰის წინასწარგანჩინება ცვლის. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ბედის ფატალისტური ხედვა უფლის სამართლიანობის და ადამიანის პიროვნული ღვაწლის იდეას აუფასურებს.

ბედისწერის გარდაუვალობის პრობლემამ თეოლოგიურ-ფილოსოფიური სფეროდან ლიტერატურაშიც შეაღწია. ჯალალ ედ-დინ რუმის “მესნევის” ერთი იგავი მოგვითხრობს ამზავს კაცისას, რომელიც ცდილობს შორეულ ინდოეთში გადახვეწით გაექცეს სიკვდილს. ეს მცდელობა ამაო აღმოჩნდება, რადგან სწორედ ინდოეთიდან აქვს ნაბრძანები უფალს მისი წაყვანა. ეს იგავი აშკარად უცხო იდეურ შეფერილობას (*ბედისწერას ვერსად გაექცევი*) აძლევს რუმის სუფიურ სწავლებას, რომელშიც, ზოგადად, ადამიანის თავისუფალი ნების პრიმატი იგრძნობა.

ეს სიუჟეტი თანამედროვე ამერიკელი მწერლის ჯეფრი არჩერის ნოველაში მეორდება. როგორც ჩანს, ბედისწერის პრობლემა შუა საუკუნეების შემდეგ კვლავ იქცა ფილოსოფიისა თუ ლიტერატურის ინტერესის საგნად. თანამედროვე ადამიანის წარმოდგენით, იგი თავადაა საკუთარი ბედის მწერალი და ასეთი ხედვა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამსახურება უფროა, ვიდრე პიროვნული პასუხისმგებლობის ამაღლებისა. რენესანსის ეპოქის შემდეგ ადამიანი არასოდეს მდგარა ასე მკვიდრად სამყაროს ცენტრში, არასოდეს უგრძენია თავი ასე ყოვლისშემძლედ. შეიძლება სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ლიტერატურული აზრი კვლავ მიუბრუნდა

ადამიანის ბედის წინასწარგანჩინების პრობლემას. საინტერესოა, რომ XX საუკუნეში ამ შუასაუკუნეობრივმა სიუჟეტმა თანამედროვე ლიტერატურის პოეტიკისათვის ნიშნული ფორმა მოირგო და იგი იგივეობის ესთეტიკის თანამედროვე გააზრების კარგი ნიმუშია.

ა ს მ ა თ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე **თურქული პოეზია “თანზიმათის” ეპოქაში**

XIX საუკუნის თურქეთში “თანზიმათის” ეპოქამ შექმნა მნიშვნელოვანი პირობები საზოგადოების სულიერი ცხოვრების გამომწვევებისათვის.

იმ პერიოდში უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდები დაბრუნდნენ სამშობლოში და შექმნეს ნაწარმოებები, რომლებიც სრულიად განსხვავებული იყო წინამორბედ ავტორთა ქმნილებათაგან, ფორმითა თუ შინაარსით.

1. ახალი ეპოქის პოეტთა თვალთახედვით, ლექსი წარმოადგენს შემდეგს: იმ პოეტთა თვალსაზრისით, რომელთათვისაც უმთავრესი იყო პრინციპი “ხელოვნება ხალხისათვის”, პოეზია ეს არის ლექსში განსახიერებული ფიქრი, რომელიც ხალხის ზნეობრივ ამაღლებას ემსახურება. ლექსი რეალობას უნდა ასახავდეს. ეს იყო მათთვის აუცილებელი პირობა.

2. იმ პოეტთა შემოქმედებაში, რომლებიც აღიარებდნენ პრინციპს “ხელოვნება ხელოვნებისათვის”, თავს იყრის ბუნებაში არსებული ყოველგვარი სილამაზე. პოეზია, მათი აზრით, ხელოვნების ერთ-ერთი დარგია. ის არ არის ვალდებული საზოგადოებას ზნეობის გაკვეთილები ჩაუტაროს ანდა რეალობა ასახოს.

3. პოეტთა ერთი ნაწილის აზრით, ლექსი არის ისეთი რამ, რომელიც მხოლოდ შეიძლება იგრძნო, მისი რაიმე ფორმულირებით განსაზღვრა შეუძლებელია.

თ ე ა ჯ ა ნ ა შ ი ა

საერთო სიმბოლოები სპარსულ ლიტერატურში ახალი მიმართულების - “შერე ნოუს” მიმდევრების ფორუყ ფაროხზადისა და სოჰრაბ სეფექრის პოეზიაში

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე სპარსულ ლიტერატურაში იმსხვრევა ტრადიციული მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური პრინციპები. ყალიბდება ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა, ახალი მიმართულება სპარსულ პოეზიაში - “შერე ნოუს”, რაც კლასიკური სპარსული ლექსწყობის რღვევას და ახალი ლიტერატურული კონცეფციების ჩამოყალიბებას იწვევს. პოეზია მკვიდრდება ახალი პრობლემაბითა და თემატიკით.

ურთიერთობა “პოეტი-სამყარო” და “სამყარო-საგნები” ფორმაცვლილებას განიცდის და სრულიად განსხვავებული სახით ვლინდება, კერძოდ, “სამყარო პოეტში” და “საგანთა სამყარო”, სადაც მთავარი პოეტის თვალთ აღქმული საგანთა სამყაროა. საგნები და ნივთები ხშირად პოეტის გრძნობებსა და ემოციებს იძენენ და გამოხატავენ. როგორც ვხედავთ, ეს ურთიერთობა დეკადენტური ფილოსოფიური მოძღვრების, პოზიტივიზმის, ნიშნებს ატარებს. 1857 წელს, მას შემდეგ, რაც შარლ ბოდლერის გახმაურებული ლექსების კრებული “ზოროტების ყვავილები” გამოდის, სიმბოლიზმით გატაცებულნი არიან საფრანგეთში: ვერლენი, რემბო, მალარმე; გერმანიაში: ჰაუპტმანი, გეორგე; ავსტრიაში რილკე. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ თანამედროვე სპარსული პოეზიის სულისჩამდგმელი ნიმა იუშიჯი ფრანგული ლიტერატურული სკოლის, სიმბოლიზმის, გავლენას განიცდის.

ნიმას მიმდევრები, რომლებიც, შესაძლებელია, ტრადიციული სუფიური ფილოსოფიური მოძღვრების გავლენასაც განიცდიან, ქმნიან სრულიად ახალ სიმბოლოებსაც, რომლებიც პოეტის სულიერი განწყობის მიხედვით იბადება.

სიმბოლოებით მეტყველების არაჩვეულებრივ ხერხებს მიაგნეს “შერე ნოუს” საუკეთესო წარმომადგენლებმა სოჰრაბ სეფექრიმ და ახალგაზრდა პოეტმა ქალმა ფორუყ ფაროხზადმა, რომელთა შემოქმედებითი მემკვიდრეობაში საერთო ხასიათი და ბუნება, თუ არ ჩავუღრმავდებით, უდავო და თვალშისაცემია. მათ შემოქმედებაში გაბატონებული სიმბოლოები: ფრინველები, - “ჩიტები”, “ბელურები”; “აკაციის ყვავილები”, “ქუჩა”, “ხმა”, “ფერი”, “ხელები”, “მგზავრი”, “ბალი”, “მიწა”, “ჭვრეტა” და “ცოდნა”, “წასვლა-გაქცევა”, მარტოობისა

და სევდის არაჩვეულებრივი განცდა, სიცოცხლის,- დაბადებისა და სიკვდილის ერთნაირი აღქმა მსგავს და ასევე განსხვავებულ ემოციებს წარმოშობს მკითხველში. დღემდე მკვლევართა გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ მემამბოხე და ექსცენტრიული ფორუყ ფაროხზადის პოეზიაში შესაძლოა, სოჭრაბ სეფეჭრის საოცრად თბილი და მშვიდი პოეზიის «ხმის ფერს» შევავლოთ თვალი.

ნ ი ნ ო დ ო ლ ი ძ ე **არაბული მაკამა, როგორც ევროპული პიკარესკული რომანის** **წინამორბედი**

პიკარესკული რომანი XVI ს-ში ესპანეთში წარმოიშვა, XVII-XVIII ს.ს.-ში ევროპაში განვითარდა და თანამედროვე ევროპულ რომანზეც მოახდინა ზეგავლენა. სიტყვა *picaresque* მომდინარეობს *picaro*- დან, რაც ესპანურად თაღლითს, ოინზაზს ნიშნავს. პიკარული ნაწარმოები რეალისტური, სატირული მონათხრობია, რომელიც თაღლითი პერსონაჟის თავგადასავალს გადმოგვცემს. მთავარი გმირი, როგორც წესი, დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნება.

ევროცენტრისტი მეცნიერები სარაინდო რომანის საპირისპიროდ აღმოცენებული პიკარესკული ჟანრის მოდელების სათავეს ელინისტურ და გვიან რომაულ ტრადიციაში ხედავენ, ხოლო გარე გავლენას მთლიანად გამორიცხავენ. მართალია, პირველ პიკარესკულ რომანად აღიარებულ უცნობი ავტორის “ლაზარლიო ტორმესელს” (1552) ჰქონდა წინამორბედი გაიუს პეტრონიუსის (+66) “სატირიკონის” ან ლუციუს აპოლეიუსის (124-180) “ოქროს ვირის” სახით, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ მის წარმოშობაზე აღმოსავლურმა ლიტერატურამ, კერძოდ კი, არაბულ-ებრაულმა მაკამებმაც მოახდინა გავლენა.

მაკამა კლასიკური არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი პროზაული ჟანრია, რომელიც X ს.-ში წარმოიშვა და უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელდა ინდოეთიდან მოყოლებული ესპანეთის ჩათვლით. მაკამა მოკლე მთხრობაა მხიარულ მოხეტიალე გმირზე, რომლის შესახებ მთხრობელი ჰყვება. კლასიკური მაკამის მთავარი პერსონაჟი განათლებული, მაგრამ თაღლითი, გაიძვერა ადამიანია, რომელიც მჭევრმეტყველებით ირჩენს თავს და ხშირად ატყუებს სხვებს, რის გამოც მთხრობელის საყვედურს იმსახურებს.

მაკამამ არაბულიდან ებრაულ და სპარსულ ლიტერატურებშიც შეაღწია.

X ს.-ში შექმნილი პირველი მაკამური ციკლისა (ავტ. ალ-ჰამაზანი) და XVI ს.-ში შექმნილი პირველი პიკარესკული რომანის ზედაპირული შედარებაც საკმარისია იმისთვის, რომ მათში არაერთი საერთო ნიშანი გამოვკვეთოთ: 1. ირონიული დამოკიდებულება მემკვიდრეობით მიღებულის მიმართ; 2. ანტიგმირის არსებობა; 3. სწავლება უარყოფითი მაგალითით; 4. გარე სამყაროს რეალისტური ასახვის მცდელობა, რაც სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ხატვაშიც გამოიხატება; 5. საზოგადოების კრიტიკა.

როგორც ფონ გრუნებაუმი აღნიშნავს, “აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა საუკუნეებში უმთავრესად საერთო საფუძველი ჰქონდათ შემოქმედებაში. მათ ლიტერატურებს შორის სიახლოვე მხოლოდ “გადაღების” ჩარჩოებში არ შეიძლება მოვათავსოთ“. და თუ მაკამის ჟანრი დასავლური ლიტერატურისგან სრულიად დამოუკიდებლად გაჩნდა და არც არაბულ-ებრაულ მაკამას მოუხდენია პიკარესკულ რომანზე რაიმე პირდაპირი გავლენა, ეს მოვლენა მით უფრო საინტერესო უნდა გახდეს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევისთვის.

ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, არაბულმა მაკამამ რამდენიმე საუკუნით დაასწრო რენესანსულ პიკარესკულ რომანს მეორეხარისხოვანი პერსონაჟებისა და არაცალსახად ცუდი ან კარგი განზოგადებული ტიპების ხატვის, მხატვრული სინამდვილის შექმნის მცდელობისა და პრიმიტიული სოციალური კრიტიკის თვალსაზრისით.

ე ლ ე ნ ე კ ო შ ო რ ი ძ ე **გიორგი ლეონიძე - პროზისა და პოეზიის ზღვარზე**

გიორგი ლეონიძის შემოქმედებას, მისი ენისა და სტილის საკითხებს ბევრი მკვლევარი შხებია, მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს გრიგოლ კიკნაძის ფუძემდებლურ ნაშრომში “მეტყველების სტილის საკითხები” წარმოდგენილი გამოკვლევა, რომელშიც ავტორი ერთ პოემა “ფორთხხალას” ანალიზებს და ლირიკული ლექსებიდან მარჯვედ შერჩეული მაგალითებით ასკვნის, რომ პოემის დამახასიათებელი სტილისტიკური თავისებურებანი საყოველთაოა გიორგი ლეონიძის პოეზიის ენაში.

ჩვენ შევეცადეთ პარალელი გაგვევლო პოეზიასა და პროზას შორის, მიგვეთითებინა საერთო სტილისტიკურ მოვლენებზე და ცალკე გამოგვეყო განსხვავებანი.

როგორც პოეზიის, ასევე პროზის ენაში თვალში საცემია ა) ნაწარმოები ლექსიკის სიუხვე: კომპოზიტივისა (შუქკადამდგარი, ბროლნამსვრევი...), სახელზმნებისა (მოშარბათული, ჩანაბასრი...), ნასახელარი ზმნებისა (მოილახვრება); ბ) ფიქსირებული ფორმის გამეორების ტენდენცია, რაც მჟღავნდება ერთგვარი მორფემებისა და ლექსიკის გამეორებაში (...ქარიშხალი... ჰკიოდა, ჰყიოდა ... ზრიალებდა); გ) ანაფორულობაში (... მე ხომ თქვენს უბირ ცხოვრებას ვწერ... მე ხომ თქვენით გავეცანი ცხოვრებას...); დ) მხატვრული ხერხებიდან ეპითეტების განსაკუთრებულ სიუხვეში: (ვერცხლურა იორი მომდეროდა ამ სიტყვებს, ვენახებიანი, ხილნარიანი, გარდნარ-ქალებიანი...). ასევე - შედარებებისა (მტრედევით გასუნთქული იორი, მზესუმზირებივით თავჩაქნდრულები...) და მეტაფორებისა (ვერცხლის ლუმბა... მისი სულის ჭადარა ყვავილი...).

პროზაშიც დასტურდება საკუთარ სახელთა მოტივაცია (მარიტა, ჩორები...), რომ აღარაფერი ვთქვათ მეტასახელებზე (ქარცეცხლა... მგელხარი...).

პროზის ენაც გამოიერჩევა მხატვრული ხატების სიუხვეთ.

გრიგოლ კიკნაძე გიორგი ლეონიძეს "სუნისა" და "გემოს" შეგრძნებათა დამამკვიდრებლად მიიჩნევს ქართულ მწერლობაში. ხშირია ამგვარი ნიმუშები: "კომში საამო სურნელებას გამოსცემსა" და ა. შ.

გვხვდება სხვა ტიპის ტროპებიც: სმენითი (ჩალების სისინი...; სამაჭრე ღარის შხრიალი...), მხედველობითი (კამეჩის გახრემილ ქეზე ყინჩად ჯდომა), შინაგანი შეგრძნებების გამომხატველი (დანათრვილარი გული, ეკალდასხმული ფუფალა...).

განსხვავებით პოეზიის ენისაგან, პროზაში ხშირია დიალოგიზებული მეტყველების ნიმუშები (სწორედ ამ დროს გამოჩნდა... აბა ვინ? თვითონ მიხვდებით), ანდაზები (კარგი ქვა კედლიდან არ გადმოვარდებო), ხატოვანი სიტყვა-თქმანი (მარილი არ აგტიდა აქამდეო?), ხალხში გავრცელებული მყარი შესიტყვებანი (უხატოდ გაგიჟებულა), სასაუბრო სიტყვის მასალა (ვაი, თემო და სოფელო, დაიწყო და რა დაიწყო...), ფიცის (სვეტიცხოველის დამქცევი ვიყო), მოფერების (ჩემო სულისდგმავ!), წყევლის ფორმულები (შე გასაციებელო).

დაკვირვება ცხადყოფს, რომ სხვაობა მინიმალურია. ფაქტი კი ერთია: გიორგი ლეონიძე თავისი მოთხრობების ციკლით პროზისა და პოეზიის ზღვარზე დგას.

ნ ა ტ ა ლ ი ა ო რ ლ ო ვ ს კ ა ი ა **გერმანული პიესა თარგმნილი რუსულად** **ნ. სანდუნოვის (ზანდუკელის) მიერ**

ნიკოლოზ სანდუნოვი (1769-1832) იყო შვილიშვილი მოსე ზანდუკელისა, რომელიც რუსეთში წავიდა ვახტანგ მეექვსესთან ერთად. ნიკოლოზი და მისი ძმა, ცნობილი მსახიობი სილა (სილოვანი), სიცოცხლის ბოლომდე მოსკოვში ცხოვრობდნენ და მის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს. ამავე დროს, მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებთან. ნიკოლოზი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში და მერე გახდა ამავე უნივერსიტეტის პროფესორი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სპეციალობით. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი ნაშრომებიც.

ამასთან ერთად, ნიკოლოზ სანდუნოვის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული თეატრთან. რუსული ლიტერატურის ისტორიაში იგი შევიდა როგორც დრამატურგი და მთარგმნელი. მის მიერ თარგმნილი შილერის პიესა “ყაჩაღებით” იწყება ამ გერმანელი ავტორის ნაწარმოებთა თარგმნის ისტორია რუსეთში.

გერმანული ენიდან სანდუნოვს თარგმნილი აქვს სხვა პიესებიც, კერძოდ, პიესა “ოჯახის მამა” (1794), რომელიც წარმოადგენს ჩვენი მოხსენების თემას. ამ ნაწარმოების ავტორი არის ოტო ჰაინრიხ ფონ გემინგენი, იმ დროის კარგად ცნობილი გერმანელი დრამატურგი, რომელიც გამოდიოდა კლასიციზმის პრინციპებზე შექმნილი რეპერტუარის წინააღმდეგ. მისი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია საოჯახო-საყოფაცხოვრებო თემატიკა და დიდაქტიკური ტენდენციები. ჩვენთვის საინტერესო პიესა “გერმანული ოჯახის მამა” დაიდგა გერმანიაში 1780 წელს და დიდი წარმატება ჰქონდა. მასში ჩანს ფრანგი განმანათლებლის დენი დიდროს გავლენა.

გემინგენის პიესისა და რუსული თარგმანის შედარება ცხადყოფს, რომ სანდუნოვი მისდევს გერმანული პიესის ძირითად ხაზს, მაგრამ საკმაოდ თავისუფლად ექცევა ზოგ ადგილს და ხანდახან

შეაქვს საკუთარი დამატებებიც. ალბათ მსახიობთა დასახმარებლად იგი ზოგჯერ მიაწერს ტექსტში ვრცელ რემარკებს.

სანდუნოვის მიერ შეტანილი ცვლილებები შეიძლება გავყოთ სამ ჯგუფად: 1) მცირე ცვლილებები მოქმედ გმირთა დახასიათებაში; 2) ზოგ ადგილას სანდუნოვის მიერ გაკეთებული დამატებები, რის საშუალებითაც გაღრმავებულია პიესაში დასმული პრობლემები, მაგალითად, ხელოვნების მნიშვნელობის საკითხი; 3) მთელი რიგი ცვლილებებისა შეტანილი იმ მიზნით, რათა გერმანული პიესა უფრო გასაგები გახდეს რუსულ სცენაზე. ამასთან დაკავშირებით სათაურიდან ამოღებულია სიტყვა “გერმანული” და შეცვლილია მოქმედ გმირთა სახელები; უფრო ვრცლადაა განხილული საკითხები, რომლებიც აქტუალური იყო რუსული საზოგადოებისათვის, მაგალითად, ბავშვთა აღზრდის საკითხი. ავტორი, ასევე, დასცინის მაღალი საზოგადოების მეტყველებას, როდესაც რუსული ენა აჭრელებული იყო ფრანგული სიტყვებით.

რუსულ ტექსტში შეტანილი ცვლილებები და დამატებები გვიჩვენებენ მთარგმნელს – ნიკოლოზ სანდუნოვს როგორც განმანათლებლურ იდეებზე ჩამოყალიბებულ, თავისი დროის მოწინავე ადამიანს.

ოთარ ბაქანიძე **უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადის ჩატრების** **ისტორიიდან**

წელს სრულდება 40 წელი საქართველოსა და უკრაინას შორის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის სფეროში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის – უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადის ჩატარებიდან.

1969 წლის მაისში ცნობილი ქართველი მწერლებისა და მეცნიერების დიდი ჯგუფი ეწვია უკრაინას, რათა უკრაინელი ხალხისათვის გაეცნო ქართული ლიტერატურის მიღწევები.

ყველა უკრაინულმა რესპუბლიკურმა თუ საოლქო გაზეთმა გამოაქვეყნა მთელი გვერდები და ცალკე ინფორმაციები ორი ხალხის ძმურ ურთიერთობაზე. უკრაინის მწერალთა კავშირმა სადეკადოდ საგანგებოდ მოამზადა და გამოსცა დელეგაციის პოეტი-წევრების ნაწარმოებთა ორენოვანი კრებულები.

აღმანახ “სუზირიამ” მთელი ნომერი მიუძღვნა ქართულ ლიტერატურას. აღმანახში დაიბეჭდა ქართველი მწერლების ლექსებისა და პროზაული ნაწარმოებების თარგმანები უკრაინულ ენაზე. თარგმანი შეასრულეს იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც თბილისისა და კიევის უნივერსიტეტებს შორის სტუდენტთა პირველ გაცვლაში მოხვდნენ (რაულ ჩილაჩავა, გრიცკო ხალიმონენკო, სვეტლანა ჟოლობი და სხვანი).

აღმანახში, გარდა თარგმანებისა, დაიბეჭდა გრ. აბაშიძის, რ. ხვედელიძისა და სხვათა წერილები ქართულ და უკრაინულ ლიტერატურებზე.

სადეკადოდ გამომცემლობა “დნიპრომ” გამოსცა უკრაინულ-ქართული ლიტერატურული კავშირების ამსახველი შრომების კრებული – “ცისარტყელას ხიდებით”.

კრებულში საუბარია იმ კონტაქტებზე, რომლებიც ჰქონდათ მოძმე ლიტერატურასთან, ხალხთან ა. წერეთელს, ლ. უკრაინკას, ი. ჭავჭავაძეს, პ. გრაბოვსკის, თუ სხვ. წილების ავტორები არიან მ. ბაჟანი, ო. გონჩარი, ვ. იმედაძე, ლ. ასათიანი, პ. ტიჩინა, რ. ხვედელიძე, ე. კირილიუკი და სხვები.

“ცისარტყელას ხიდებით” სერიოზული გამოკვლევების კრებულია. იგი შეიძლება მნიშვნელოვან მოვლენად ჩაითვალოს ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორიაში.

ნ ო დ ა რ ფ ო რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი

ქართული კოლიზია დ. ბობიშევის პოემაში “რუსული ტერცინები”

1. ქართულ-რუსული დაპირისპირების კონცეპტში ორგანულად და მყარად ჩაერთო ლიტერატურაც, მათ შორის, პოეზია. ამ მიმართულებაში ღირსეული ადგილი დაიკავა დ. ბობიშევმა, რომელსაც ი. ბროდსკი “ლენინგრადული სკოლის” ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად მიიჩნევდა. თავად ბობიშევი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე მიაწერდა თავის თავს დარტანიანის – ი. ბროდსკის – “სამ მუშკეტერთა” რიცხვს.

2. ”რუსული ტერცინის” სამ ათეულ ტერცინასა და ცხრაას ტაეპში დამუშავებული პრობლემები, თემები, სიტუაციები აღსავსეა სპეციფიკური მასალით. მათში დახვავებულია ნორმალურ ცხოვრებასთან შეუთავსებელი სრულიად არაჩვეულებრივი სახელები,

თარიღები, ამბები, მოქმედებები, რომლებიც შევსებულია ძალზე აგრესული ფორმითა და სულისკვეთებით გაცხადებული პროფესიულად შეთხზული კომენტარებით.

3. დ. ბობიშვილის ლექსითი “კომპლექსის” ერთი შემადგენელი ნაწილი – ”რუსს ჯვრით, ცულითა და გუთნით” – თავიდან ბოლომდე შემთხვევით არაა მიმართული ნორმალური ადამიანურის წინააღმდეგ. დასავლეთისა და აშშ მიმართ გამოთქმული სხვადასხვა მუქარის ფონზე მოულოდნელ სიტუაციაში ერთგვარადა და ბნელი პასაჟი - «И латыш строчили в решето// И вырезали нацию грузины// И спаивали вдрызг».

4. ეს, არსებითად, მოკლე ტექსტი მრავალი ტანჯვისაგან დაქანცული უცხო წარმომავლობის ლირიკული პერსონაჟის მარტო განცდები კი არ არის, არამედ მასშტაბური ქვეყნისადმი მკვეთრად გამოხატული “მომართვის სიგნალია”. პოეტის მიზანია, თავისი სუბიექტური დამიკიდებულების საზოგადოებრივ მოვლენად ქცევა, ქართველოფობიისა თემატური შეზღუდვების გარეშე გაფორმება წამყვან ტენდენციად.

ეკატერინე ნავროზაშვილი, კახაბერ კურტანიძე “იერემიას გოდების” ქართული თარგმანის ზოგიერთი საკითხი

1977 წელს აღმოსავლურ მწერლობის ნიმუშთა კრებულ “არმადანში” გამოქვეყნდა “თანახის” ერთ-ერთი წიგნის, კერძოდ, “იერემიას გოდების”, ნისან ბაბალიკაშვილისეული ქართული თარგმანი.

ტრადიციის მიხედვით, წიგნის ავტორად იერემია წინასწარმეტყველია მიჩნეული, ნ. ბაბალიკაშვილი სადავოს ხდის იერემიას ავტორობას. მის შენიშვნაში ვკითხულობთ: “ელეგები დაწერილია ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ იუდას სამეფოსა და მისი დედაქალაქის დაპყრობასთან დაკავშირებით ჩვენს წელთააღრიცხვამდე 587-586წწ.-ში”.

საკმაოდ საინტერესოა ტექსტის სტრუქტურა. იგი შედგება 5 თავისგან, რომელთაგანაც პირველი ოთხი თავი წარმოადგენს აკროსტიქს და ებრაული ანბანის რიგზეა გაწყობილი. მართალია, მეხუთე თავში კიდურწერილობა ირღვევა, მაგრამ აქაც ისევე, როგორც პირველ, მეორე და მეოთხე თავებში, მუხლთა რაოდენობა 22

შეადგენს. რაც შეეხება ტექსტის მესამე თავს, აქ აკროსტიქის კონსტრუქცია რთულდება, ანბანის თითოეული ასო სამ-სამჯერ მეორდება, ამგვარი სამეულები ხელს უწყობს როგორც მუხლთა რაოდენობის ზრდას, ასევე ბგერათა კეთილხმოვანების, ალიტერაციისა და ასონანის მიღწევას.

ტექსტი ორგანულად არის დაკავშირებული კანტილაციასთან, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება აზრობრივად მნიშვნელოვანი ადგილების ხაზგასმა, ნაწარმოების ემოციური მუხტის, რიტმული მახვილების გადმოცემა.

აღსანიშნავია, რომ ნოსან ბაბალიკაშვილის თარგმანი პროზით არის შესრულებული. მთარგმნელი ტექსტის თავებად და მუხლებად დაყოფისას “თანახის” მასორეტულ ტექსტს მიჰყვება. მართალია, დედნისეული აკროსტიქი თარგმანში არ გვხვდება, მაგრამ მთარგმნელი, შესაძლებლობის ფარგლებში, იცავს ფორმა-შინაარსის შესატყვისობას.

ლექსიკური მასალისა და სინტაქსური სვლების შერჩევას თარგმანში ზომიერად არის გატარებული ისტორიზაციის პრინციპი. მთარგმნელი წარსულის აქტუალიზაციას ახდენს არქაული გრამატიკული და ლექსიკური ელემენტების ზუსტად ან რამდენადმე მოდერნიზებულად წარმოდგენით. მაგ.: სიტყვის ძველი და ახალი, ნართანიანი და ებიანი ფორმები მუხლში სტრუქტურის შესაფერისად არის გამოყენებული.

თარგმანი საინტერესოა მხატვრული ენის თავისებურებათა დადგენის თვალსაზრისითაც. მასში გვხვდება როგორც მეტაპლაზმები (აფერეზისი, სინკოპე, აპოკოპე), ასევე შეიმჩნევა დერივაციული სიახლეებიც.

ნ ა ნ უ ლ ი კ ა ჭ ა რ ა ვ ა **ორჰან ფამუქი და მისი ნაწარმოებები ქართულად**

ფერით ორჰან ფამუქი დაიბადა 1952 წლის 7 ივნისს ქ. სტამბოლში. დაამთავრა სტამბოლის ცნობილი ლიცეუმი, ამერიკული რობერ კოლეჯი. დახურა ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სამი კურსი, რის შემდეგაც გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტში სამი წლის განმავლობაში თავისუფალი მსმენელის სტატუსით ისმენდა სხვადასხვა ლექციების კურსს.

ორჰან ფამუქის შემოქმედებითი საქმიანობა იწყება 1974 წლიდან. მწერლის პირველი რომანია “ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები”(1982), რომელიც თავიდან საზოგადოებამ გაიცნო სათაურით “წყვდიადი და სინათლე”(1979). ორჰან ფამუქი ავტორია შემდეგი რომანებისა: “იდუმალი სახლი”(1983), “თეთრი ციხესიმაგრე”(1985), “შავი წიგნი”(1990), “ფარული სახე”(სცენარი, 1992), “ახალი სიცოცხლე”(1994), “მე მქვია ყირმიზი”(1998), “თოვლი”(2000), “სტამბოლი: მოგონებები და ქალაქი”(2003), “უცოდველთა მუზეუმი”(2008). მისი ნაწარმოებები მიეკუთვნება პოსტმოდერნული რომანის ჟანრს. 1999 წელს გამოვიდა მწერლის წერილებისა და ინტერვიუების რჩეული კრებული “სხვა ფერები”.

2006 წლის 7 დეკემბერს სტოკჰოლმში მას გადაეცა შვეციის აკადემიის უმაღლესი ჯილდო ნობელის სახელობის პრემია ლიტერატურის დარგში. იგი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ნობელიანტი.

საქართველოში პირველად 2000 წლის ჟურნალ “კლდეკარის” მე-2 ნომერში დაიბეჭდა ორჰან ფამუქის კინოსცენარის – “ფარული სახე”– ქართული თარგმანი (თამარ ალფენიძე). “ნობელიანტების სერიით” ორჰან ფამუქის ქართულ ენაზე თარგმნილი პირველი რომანი “თეთრი ციხესიმაგრე” გამოსცა გამომცემლობა “ინტელექტმა”. თარგმანი ეკუთვნის ქეთევან ტომარაძეს. სულ ახლახან ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ დასტამბა ნანა ჯანაშიას მიერ თარგმნილი რომანი “ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები”.

ნანა გაფრინდაშვილი, ნინო წერეთელი პოსტსაბჭოური სივრცის ლიტერატურულ-მთარგმნელობითი ურთიერთობების რამდენიმე ასპექტი

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში საბჭოთა ხალხებს შორის ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები არსებობდა. მართალია, სრულიად გასაგები მიზეზების გამო ეს ურთიერთობები მკვეთრად იდეოლოგიზებული იყო, ხშირად ხდებოდა საექვო მხატვრული ლიტერატურული ღირებულებების მქონე ნაწარმოებების პროპაგანდა და ჭაშმარიტი ფასეულობების მიჩქმალვა, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად საბჭოთა მწერლები და მთარგმნელები ახერხებდნენ ცენზურის მარწუხების გარღვევას და ჭეშმარიტი იდეურ-ესთეტიკური ფასეულობების გატანასა და

ქადაგებას. ამიტომ ეს ურთიერთობები მაინც უაღრესად დადებით კულტურულ მოვლენად უნდა შევაფასოთ და, რაც მთავარია, ავიღოთ იქედან ყველაფერი, რაც იყო პოზიტიური, მოვაცილოთ მას იდეოლოგიური შრეები და დღევანდელ გადასახედიდან, XXI საუკუნის მხატვრულ-ესთეტიკური პოზიციებიდან, ვიზრუნოთ ამ კონტაქტების აღდგენაზე და ახალ სიმაღლეებზე აყვანაზე. ამისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიმაჩნია, ერთმანეთის ენებისა და ლიტერატურის შესწავლა. სხვათა შორის ქართულ-ლატვიურ, ქართულ-ლიტვურ, ქართულ-ესტონურ, ქართულ-ბელორუსულ სინამდვილეში მეტად საინტერესო პრაქტიკა და გამოცდილება არსებობდა. 70-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძოდ, დაიდო ხელშეკრულება რიგის, ვილნიუსის, კიევის, ტარტუს, მინსკის უნივერსიტეტებთან სტუდენტთა გაცვლის შესახებ. ამ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები თბილისში ჩამოდიოდნენ და ქართულ ენასა და ლიტერატურას სწავლობდნენ, ხოლო ქართველი სტუდენტები რიგაში, ვილნიუსში, კიევში, ტარტუში, მინსკში ეუფლებოდნენ ლიტვურ, ლატვიურ, უკრაინულ, ესტონურ, ბელორუსულ ენებს. ეს იყო მეტად პროგრესული და კარგად ორგანიზებული პროექტი, რომელმაც ამ ქვეყნებისათვის მოამზადა საჭირო კვალიფიკაციისა და იშვიათი პროფილის სპეციალისტები, რომლებიც დღემდე აგრძელებენ სამეცნიერო, მთარგმნელობით და ფართო პროფილის კულტურულ მოღვაწეობას. ისინი აქტიურად უწყობენ ხელს ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების განვითარებას და ერთმანეთის მხატვრულ-ესთეტიკური მიღწევების პროპაგანდას. ანალოგიური პროექტების განხორციელების აუცილებლობა დღესაც მწვავედ დგას, ასეთი პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ ადეკვატურად ვუპასუხოთ ეპოქის მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

მარიამ ბაკურიძე თუშური საგმირო პოეზიის ლექსიკა

თუშურ ხალხურ საგმირო ლექსებს მდიდარი პოეტური ლექსიკა ახასიათებს. მხატვრული სახეები ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრშია გამოყენებული, მაგრამ პოეზიის ამ უბანს აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები, ეპითეტები, შედარებანი და მზა ფორმულები. სწორედ ეს სპეციფიკური სახეები და მზა ფორმულები აძლიერებენ საგმირო ლექსების ჟღერადობას, ხდიან მათ შთამბეჭდავს და აძლევენ დიდ ქმედით ძალას.

ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული და დახვეწილი პოეტური სახეები ორგანულ კავშირშია ცალკეულ ლექსთა შინაარსთან. ისინი ლექსების ეპიზოდებს და სიტუაციებს ანიჭებენ ლაკონიურობას და გმირთა სახეებს კოლორიტს მატებენ. თავის მხრივ, სავაჟკაცო კოდექსი თუ ლექსებში წარმოსახული ამბები ამდიდრებენ და ამრავალფეროვანებენ ტრადიციულ სიმბოლოებს, ეპითეტებსა და მზა ფორმულებს.

ხალხმა საყვარელ გმირებს პოეტური სიმბოლო დაუკავშირა. ესენია: ლომი, ვეფხვი, ხარი, მგელი, არწივი, ორბი, შავარდენი, მიმინო, ქორი, დევი და ა.შ. ეს სიმბოლიკა აძლიერებს ცალკე ლექსთა საგმირო იერს:

“გაიგეს საგირთელემა,
სიცილ მოუვათ პირსაო,
ციხეში შექუჩდებიან
ვეფხვები სალის კლდისაო.”

საგმირო პოეზიაში სიმბოლიზებულია მტრების სახეებიც. ისინი მეტწილად გვაგრძნობინებენ ხალხის დიდ სიმულვილს აგრესორებისადმი. განსაკუთრებით გამოყენებულია ძაღლის სიმბოლიკა:

“საცაა მოვლენ ძაღლები,
ვით დელგმა ნიაღვარია”.

გმირის საბრძოლო მოქმედებას, მის მიერ იარაღის ოსტატურად ხმარებას საკუთარი სიმბოლიკით და ეპითეტებით გამოხატავენ თუშეთში:

“აიქამც გაგემარჯვება,
საცა ხმაღლ იქმენ გელასა,
მოციქულობდნენ ისარნი,
შუბნი იქნევდნენ ენასა”.

საგმირო ლექსების პოეტურ ფაქტურაში შემოდის მტრის თავდასხმასთან დაკავშირებული სიმბოლიკაც, ასეთებია: ცის დაქცევა, ცის ჩამოტეხა ან შავად დახურვა და სხვ. ეს სიმბოლიკა ყოველთვის წინ უძღვის ბატალურ სცენებს. თუში მეცხვარეების მძიმე ხვედრს უშუალოდ განგვაცდევინებს "გიგა და გიორგის" ბალადის სტრიქონები:

”გათენებისას დაეცნენ,
შავათ დაჰხურეს ცანია”.

თუშურ საგმირო ლექსებში მომხდურთა მრავალრიცხოვნებასაც თავისი მზა ფორმულა აქვს. იგი ემყარება წყლის, მდინარის, ნიაღვრის სიმბოლიკას. ამგვარი სიმბოლიკა დინამიკურს ხდის ფრაზას, რაც მთლიანად ლექსს მღელვარებას ანიჭებს. ამას განსაკუთრებით ათვალსაჩინოებს პარალიზმებით გაწყობილი ლექსი:

”ჩამოდგა ხისოს ლაეში
როგორც ნაგუბარ წყალიო
მომდევდა ქისტის ლაშქარი,
როგორც მდინარე წყალია
საცაა მოვლენ ძალღლები,
ვით დელგმა ნიაღვარი”.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი რამე, რაც საგმირო პოეზიის ლექსიკაზე ვთქვით, შეიძლება მარტო მას არ ეკუთვნოდეს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საგმირო პოეზია ხალხური პოეზიის შემადგენელი ნაწილია.

ტ რ ი ს ტ ა ნ მ ა ხ ა უ რ ი **ტექსტისა და რიტუალის პრობლემა აღმოსავლეთ საქართველოს** **მთიანეთის საკულტო ზეპირისტყვიერებაში**

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეებში დღემდე ცოცხალი სახით შემორჩა ტრადიციული რელიგიური რიტუალების შესრულება, რომელთაც კულტმსახურნი – ხვეისბრები და დეკანოზები წარმართავენ. რელიგიური რიტუალების დროს წარმოსათქმელ ტექსტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელი ჰქვია: ხევსურეთში “ხუცობა”, ფშავში “ხვეისბრის დიდება” და “დამწყალობნება”, თუშეთში “სადიდებელი” და “დამწყალობნება”, მთიულეთში “დეკანოზის ლოცვა” და

“სადიდებელი”, გუდამაყარში “დეკანოზის ლოცვა”, “დამწყალობნება” და “სადიდებელი”, ხევში – “დიდება”.

საკულტო ტექსტი რიტუალის განუყოფელი ნაწილია; მათი კლასიფიკაცია რიტუალის მიხედვით არის შესაძლებელი. მაგალითად, საკლავის შეწირვისას სხვა ტექსტი წარმოითქმის, ქადაგის კვერის გასერვისას – სხვა, ჯვარში წულის გაყვანისას ანუ ყმის მიბარებისას – სხვა და ა.შ. შესაბამისი ტექსტები არსებობს ჯვრისწერის, სალოცავში ხარ-ქვებით შეყრის, თემიდან მოკვეთის და დარისხების დროს. ტექსტის შინაარსს საყმობი დაწესებული რიტუალის შესრულება განსაზღვრავს. სარიტუალო ტექსტები კანონიკურია და მათი შეცვლა კონკრეტული ადამიანის ნებასურვილის მიხედვით დაუშვებელია.

საკულტო ტექსტებში ერთიანდება “სახელისდებანი” და “ნაქადაგრები”. “სახელისდება” სრულდება მიცვალებულის სახელზე გაშლილი სუფრის კურთხევის, აგრეთვე მიცვალებულისთვის სულის ცხენის ან წყაროს დალოცვის დროს. სახელისდებაც მხოლოდ კანონიკური ტექსტია. ვითარების შესაბამისად იცვლება მიცვალებულის სახელი. განსხვავება ჯვარ-ხატებში შესასრულებელ სარიტუალო ტექსტებთან ისაა, რომ ჯვარში სადიდებლებს წარმოთქვამენ მხოლოდ კულტმსახურნი, “სახელისდების” წარმოთქმა კი უფროსი ასაკის ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რომელმაც ეს ტექსტი ზეპირად იცის.

“ნაქადაგარიც” რელიგიური რიტუალების დროს სრულდება, მაგრამ მას იმპროვიზაციული ხასიათი აქვს. ქადაგი თითქოს ღვთის კარნახით წარმოთქვამს სიტყვებს. იგია ტექსტის ავტორი, რიტუალის განმსაზღვრელი და ახალი ტრადიციის საფუძვლის ჩამყრელიც.

მ ა რ ი ა მ ბ ა რ ა მ ი ძ ე

იაკობ მიჰაელ რაინჰოლდ ლენცი და გ.ბიუჰნერის ნოველა

XIX საუკუნის 20-იანი წლები ცნობილია როგორც რესტავრაციის ეპოქა, როცა ევროპელი მონარქები ერთსულოვნად შეუდგნენ დამხოზილ ნაპოლეონისეულ საფრანგეთში მონარქიის აღდგენას. მეტერნიხის თაოსნობით შექმნილი “წმინდა ერთობა”-კი რეპრესიებით პასუხობდა თავისუფლებისკენ სწრაფვის ყოველგვარ გამოხატულებას. ასეთი რეაქციის პირობებში საფრანგეთში იფეთქა რევოლუციამ, რომელმაც მთელი ევროპა შესძრა. ახალგაზრდა გეორგ

ბიუჰნერმა, რადიკალურად განწყობილ სტუდენტებთან ერთად შექმნა “ადამიანის უფლებათა საზოგადოება” და ნაშრომი “ჰესენელი მაცნე”, მოწოდებით – “მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს”. მალე დევნილი ბიუჰნერი იძულებული გახდა თავი საფრანგეთისთვის შეეფარებინა.

ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც ბიუჰნერის სიცოცხლეში გამოქვეყნდა, იყო დრამა

“დანტონის სიკვდილი”, რომელშიც დამარცხებული დანტონი, ცინიკური და იმედგაცრუებული სრულიად გულგრილია მის წინ აღმართული გილიოტინისადმი. ალბათ ასეთი განწყობილება არ იყო უცხო ახალგაზრდა მწერლისთვის, რომელიც თავად აღმოჩნდა ისტორიის ფატალიზმის წინაშე.

ამ ხაზს მწერალი აგრძელებს ნოველაში “ლენცი”. ნოველის გმირია ცნობილი გერმანელი პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი იაკობ მიჰაელ რაინჰოლდ ლენცი. მისი შემოქმედებითი გზა დაიწყო თითქმის გოეთესთან ერთად, იყო Sturm und Drang – ელთა აქტიური თანამოდვალე. ლესინგი, კლოფშტოკი, ჰერდერი და ვილანდი მას გოეთესთან ერთად ასახელებდნენ და თვლიდნენ, რომ გოეთე ტრაგედიის რეფორმატორი იყო, ლენცი კი კომედიისა. მაგრამ სწორედ გოეთესთან ჭიდილმა, საკუთარი ცხოვრებით და შემოქმედებით უკმაყოფილებამ მიიყვანა ლენცი სულიერ აშლილობამდე, მიატოვა ვაიმარის ჰერცოგის კარი და თავი ერთ მივარდნილ სოფელს შეაფარა. ლენცის ცხოვრების ამ ეპიზოდზე შექმნა ბიუჰნერმა ნოველა ჭიდილსა და ტანჯვაზე კაცისა, რომელიც რეალური სამყაროდან “სიგიჟის უფესკრულისკენ” მიექანებოდა.

ნოველაში ლენცი თვითგადარჩენის მიზნით ებღაუჭება ბუნებას, რომანტიკოსთა სიმშვიდისა და მოსვენების სავანეს, მაგრამ ბიუჰნერი ქმნის არა ადამიანისა და ბუნების ჰარ-მონიულობის სურათს, არამედ მათი გაუცხოების. მედიდური და მშვენიერი ბუნება ფეხქვეშ უსხლტება სასოწარკვეთილ ლენცს. გეორგ ბიუჰნერისთვის ბუნება არის სრულქმნილი, არსებობს საკუთარი კანონებით, ადამიანთა ვნებათაგან დამოუკიდებლად, გულგრილი მათი ტანჯვისადმი.

ლენცი რელიგიაშიც ეძებს შვებას. საცხოვრებლად ირჩევს მოძღვრის სახლს, კითხულობს სახარებას, მარხულობს, ეკლესიაში ქადაგებს, მაგრამ ბოლოს უარყოფს ღმერთს, ამით კი მთლიანად სამყაროს და ნებდება სიგიჟის მორევს.

გეორგ ბიუჰნერი უარყოფს რომანტიკულ-იდეალისტურ აღქმას და მის წიაღში წარმოშობილ ხელოვნებას, რომელიც შეიძლება იყოს მშვენიერი, მაგრამ რჩება უსიცოცხლო და მიუკარებელი: ”მე

ხელოვნებას იმდენად ვაფასებ, რამდენადაც უფრო ახლოა იგი სინამდვილესთან.”

თეა თათეშვილი **რიზომა-ლაბირინთი, როგორც ინტერნეტის მეტაფორა**

1. ინტერნეტის ფუნქციონირება განუყოფელია პოსტმოდერნისტული ფილოსოფიისგან. რიზომა ლაბირინთის ერთ-ერთი სახე და ინტერნეტის ფილოსოფიური საფუძველია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას როზომა-ლაბირინთის ცნება იძენს გლობალური კომპიუტერიზაციის ეპოქაში. თანამედროვე ფილოსოფიურ ლიტერატურაში არ არსებობს სხვა ცნება, გარდა რიზომა-ლაბირინთისა, რომელიც უფრო ნათლად ასახავს ქსელების ტექნოლოგიურ ბუნებას.

2. რიზომა - ეს არის სპეციფიკური ფორმა ფესვისა, რომელსაც არ აქვს მკაფიოდ გამოხატული ცენტრალური მიწისქვეშა ღერო. რიზომა ვითარდება ყველა მიმართულებით და ქმნის ქსელურ ბადეს. რიზომის ორგანიზაციის პრინციპი გამოიყენეს ფრანგი მკვლევრებმა, დელეზმა და გვატარიმ, სტრუქტურის ცნების საპირისპიროდ. პოსტმოდერნისტული რიზომა ეს არის გლობალური, დინამიკური ლაბირინთი, საიდანაც გამოსასვლელი არ არის.

3. დელეზისა და გვატარის მიხედვით რიზომა ფუნქციონირებს ექვსი პრინციპის მიხედვით: კონექცია (connection), ჰეტეროგენულობა (heterogeneity), სიმრავლე (multiplicity), უმნიშვნელო წყვეტა (asignifying rupture), კარტოგრაფია (cartography), დეკალკომანია (decalcomania).

4. ინტერნეტს საფუძვლად უდევს რიზომატული კონსტრუქცია. საქმე ეხება ტექსტური ორგანიზაციის პრინციპულად ახალ ფორმას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ ერთი ინფორმაციული სივრციდან მეორეზე ლინკების საშუალებით. ვებგვერდი არის რიზომის კვანძი და აქვს პოტენციალი დაუკავშირდეს კვანძების უსასრულო რაოდენობას. ყველა კვანძი თანაბარი ღირებულებისაა და თავისი განშტოებებით, ლინკების საშუალებით, უკავშირდება სხვა კვანძებს. ასეთი ლინკებით შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ნებისმიერი ტექსტი და ტექსტის ნებისმიერი მონაკვეთი; ერთგანზომილებიანი ტექსტის ნაცვლად ვიღებთ მრავალგანზომილებიან ელექტრონულ ჰიპერტექსტს. ჰიპერტექსტები და ჰიპერლინკები ლაბირინთული სტრუქტურისაა.

სოფიო მუჯირი
მონოლოგიდან გერმანულ-თურქულ ინტერკულტურულ
დიალოგამდე

1. გერმანიაში, სადაც სამ მილიონზე მეტი მაჰმადიანი, უამრავი ინდუისტი და ბუდისტი ცხოვრობს, კულტურათა მშვიდობიანი თანაცხოვრების, ურთიერთობისა და ინტეგრაციის პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ისევე როგორც ყოველი იმპულსი, რომელიც ხელს შეუწყობს ერთა შორის ინტერკულტურულ დიალოგს. ასეთი დიალოგის სულისჩამდგმელები, უპირველეს ყოვლისა, არიან ინტერკულტურული ლიტერატურის ავტორები, რომელთა ნაწარმოებები ქმნიან ერთგვარ ფორუმს *საკუთარისა და უცხოს* პრობლემის რეფლექსიისათვის და ასახავენ იმ საზოგადოებრივ რეალობებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ენასთან, რელიგიასთან, ტრადიციული და თანამედროვე ცხოვრების სტილთან, რელიგიური და მორალური ზღვრის გადალახვის იდეებთან.

2. გერმანულ-თურქული ინტერკულტურული ლიტერატურა ხასიათდება აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა შორის დიალოგის გამართვის სურვილით, რაც ცხადადაა წარმოჩენილი არა მარტო ემიგრანტი ავტორების შემოქმედებაში, რომლებიც რეალურ ცხოვრებაშიც *უცხოს* პრობლემის წინაშე დგანან (ე. ს. ოზდამარი, ფ. ზაიმოგლი, ო. პამუკი და სხვ.), არამედ გერმანელ და ავსტრიელ მწერალთა ნაწარმოებებშიც (ბ. ფრიშმუტი, ა. მუშგი და ა.შ.). ეს მწერლები ცდილობენ სხვადასხვა კულტურაში დამკვიდრებული ცხოვრების წესისა და ქცევის ნიმუშების ანალიზის ბაზაზე, კულტურათა შორის საერთო ენის გამონახვას.

3. გერმანულ-თურქული ინტერკულტურული ლიტერატურის წარმომადგენლები უმთავრესად წერენ მათთვის არამშობლიურ, გერმანულ ენაზე, რომელიც მათი მშობლიური ენისა და კულტურის ექოს გამოსცემს. ამიტომ, ინტერკულტურული ნაწარმოებები ერთგვარი ენობრივი ექსპერიმენტის ნიმუშადაა ქცეული. ავტორები ქმნიან „მომავლის ენას“, რომელიც შეიცავს მათი მშობლიური ენის ლექსიკას, სახეშეცვლილ გერმანულ სიტყვებს, ომონიმებს, რომლებსაც მშობლიურ და უცხო ენაში განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. ხშირია სიტყვის ფორმის შეგნებული დამახინჯება, რითაც ავტორი ცდილობს თავისი ჩანაფიქრისა და

“უცხო” პერსპექტივის უკეთესად გამოხატვას, ორაზროვნების ინსპირირებას, იუმორის შექმნას და გარკვეული სტილისტიკური, პრაგმატიკული თუ მენტალური ეფექტების მიღწევას.

4. ინტერკულტურული ლიტერატურის ავტორები რომანის პერსონაჟთა ცხოვრების ოსტატური აღწერის მეშვეობით აკრიტიკებენ ევროპაში ემიგრანტების მიმართ გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკას. მწერლები ცდილობენ ევროპელ მკითხველს რომანში საკუთარი თავი და საკუთარი სამყაროს გაუცხოებული სურათი დაანახონ და თავად მხოლოდ დამკვირვებლის როლი ითამაშონ, რის შედეგადაც მკითხველი ემოჯინება ავტორის ნაივური თხრობის მანერას და მომხდარის შეფასებას თავის თავზე იღებს.

5. ინტერკულტურული ნაწარმოებები ევროპელ მკითხველს აცნობენ უცხო სამყაროს ფასეულობებსა და აზროვნების თავისებურებებს და ქმნიან ახალ ინტერკულტურულ აზროვნებას, რომლის მიზანია ტოლერანტული ნორმებისა და ქცევის წესების დამკვიდრება თანამედროვე, ინტერკულტურულად მოდელირებულ სამყაროში. ინტერკულტურული ლიტერატურა თავის ამოცანად მიიჩნევს, გაამდიდროს ევროპელი მკითხველის გამოცდილება და თეზაურუსი და უცხო სამყაროების შედარების ბაზაზე, დასახოს გზები მოდერნიზაციის პროცესის გაუმჯობესებისა და გლობალიზებული სამყაროს უკეთ მოწყობის შესახებ.

ნ ი ნ ო ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე **ინტერმედიალურობის საკითხისთვის ჟერარ დე ნერვალის** **რომანში – „ორელია“**

1. ტერმინი – ინტერმედიალურობა თანამედროვე ფილოსოფიაში, ხელოვნების თეორიასა თუ ლიტერატურათმცოდნეობაში, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში დამკვიდრდა. იგი აღნიშნავს ურთიერთკავშირს ხელოვნების სხვადასხვა დარგს შორის (მაგალითად, ლიტერატურულ ტექსტსა და სახვითი ხელოვნების ნიმუშებს შორის). ინტერმედიალურობა მხატვრულ ნაწარმოებებს შორის კავშირის ისეთი ფორმაა, რომელიც ხელოვნების სხვადასხვა დარგის განსხვავებული მხატვრული კოდების ურთიერთკავშირს ეფუძნება და რომელთა შედარება-შეპირისპირების შედეგად იქმნება მხატვრული ნაწარმოების ერთიანი „მეტაენა“. ასეთი მეტაენის შექმნა კულტურათა დიალოგის ფონზე, კონკრეტული ეპოქის

თავისებურებების გათვალისწინებით, მხატვრული სახე-ხატებისა და სტილისტიკური ხერხების გამოყენების ხარჯზე ხდება.

2. ინტერმედიალური კავშირი კონკრეტული ავტორის მიერ შეიძლება იყოს გამოყენებული მხატვრული ნაწარმოების ექსპრესიულობის, ინფორმაციულობის, კომუნიკაციურობის გასაძლიერებლად. ასე მაგალითად, ნერვალის ლექსში – „El Deschicado“, ალბრეხტ დიურერის ცნობილი გრავიურა – „მელანქოლია“ (1514) – ევფრაზისის მაგალითია, ანუ დამატებითი, რეფერენციული ხასითის სემიოტიკური ნიშნია, რომელსაც შუალედური ადგილი უკავია აღწერასა და თხრობის პროცესს შორის.

3. ჟერარ დე ნერვალი, რომელიც თავისი ეზოთერული მიეზებით, ნატურფილოსოფიითა და მისტიციზმით გატაცებით იყო ცნობილი, სიცოცხლის ბოლოს ქმნის ნაწარმოებს, რომელიც ჭეშმარიტი ქრისტიანის ცოდვების მონანიების სურვილით არის ნაკარნახევი. ნერვალის რომანში „ორელია“ მრავლადაა აღუზია და რემინისცენცია, რომლებიც ნაწარმოების კანონიკურ ტექტებთან (იოანე ნათლისმცემლის გამოცხადება), ასევე აპოკრიფულ – ნიკოდემოსის ევანგელე და შუა საუკუნეების ყველაზე პოპულარულ ლეგენდათა კრებულთან, იაკობ ვორაგინელის ცნობილ ნაწარმოებთან – „ოქროს ლეგენდა“ – („Legenda Aurea“) სიახლოვეზე მეტყველებენ.

4. ნიშანდობლივია, რომ ალბრეხტ დიურერი, თითქმის ერთდროულად (1498-1515) ქმნის გრავიურათა სერიას, რომელიც გამოსახავს ეპიზოდებს ამავე ტექსტებიდან („წმინდა ქრისტეფორე“, „წმინდა ეკატერინე“, აპოკალიფსის თემაზე შექმნილი 15 გრავიურა).

5. თავის რომანში „ორელია“ მწერალი ნაცად ხერხს იმეორებს: მასში ნერვალი ასევე მოიხსენიებს ა. დიურერის ცნობილ გრავიურას. მეორე შემთხვევაში კი, მხატვრული ტილოს, კერძოდ კი გერმანელი დიდოსტატის გრავიურის აღწერასთან საქმე არა გვაქვს. გერმანელი მხატვრის გრავიურებისა და ფრანგი მწერლის მხატვრულ ნაწარმოებს შორის სიახლოვე შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. დიურერის გრავიურებთან ურთიერთკავშირი აღუზიის სახით ვლინდება. შესაბამისად, ჟერარ დე ნერვალის რომანსა („ორელია“) და ალბრეხტ დიურერის შემოქმედებას შორის ინტერმედიალური კავშირი როგორც კონკრეტულ (ევფრაზისი), ასევე – ზოგად ხასიათს (აღუზია) ატარებს. ღია ტექსტის (უ. ეკო) არსებობის პირობებში, ინტერმედიალური ურთიერკავშირი ეპოქებს შორის, კულტურათა დიალოგის მაგალითი ხდება.

მედეა კინწურაშვილი ანაგრამის როლი ინტერტექსტუალობის ჩამოყალიბებაში

1. ინტერტექსტუალობა, როგორც გარკვეული ენობრივი სიგნალებით მარკირებული “გადაძახილი, გასაუბრება” ტექსტებს შორის, მათი დიალოგი, საერთო ჯამში ეფუძნება რამდენიმე წყაროს: დე სოსიურის *ანაგრამების თეორიას*, ა. ვესელოვსკის ისტორიულ პოეტიკას, ი. ტინიანოვის სწავლებას პაროდის შესახებ, მ. ზახტინის თეორიას რომანის პოლიფონიურობისა და დიალოგიზმის შესახებ, ლოტმანის თეორიას სემიოსფეროს შესახებ.

2. ანაგრამების თეორია ინტერტექსტუალობის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება. ფ. დე სოსიურმა აღმოაჩინა ლექსის წყობის განსაკუთრებული ანუ ანაგრამული პრინციპი, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველი პოეტური ტექსტის აგება დამოკიდებულია საკვანძო სიტყვის ბგერით შემადგენლობაზე, ტექსტის დანარჩენი სიტყვები შეირჩევა ისე, რომ მათში გარკვეული კანონზომიერებით განმეორდეს საკვანძო სიტყვის ბგერები.

3. სოსიურის ამ თეორიამ საშუალება მოგვცა დაგვეჩვენა, რომ ტექსტში ერთვება სხვა, ასე ვთქვათ “არანებადართული” ელემენტი, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ტექსტის “შინაგანი ელემენტების მნიშვნელობაზე”, რაც ანაგრამული სიტყვის მნიშვნელობის შეცვლასთან ერთად, მთლიანად ცვლის ტექსტის მნიშვნელობას.

4. ანაგრამები ტექსტის ინტერპრეტაციის გასაღებს გვადლევენ, რაც ჩვენი თვალსაზრისით საფუძვლად უდევს ინტერტექსტუალობის და დეკონსტრუქციის თეორიას. ტექსტი განიცდის ცვლილებას და თვითონაც ხდება ცვლილების შემოქმედი.

5. მაშასადამე, ელემენტების გარკვეული თანმიმდევრობა (რომელიც ტრადიციულად გარკვეულ როლს ასრულებს აზრის წარმოქმნაში) სრულიად სხვა ფუნქციას იძენს. იგი წარმოადგენს მეორე (წინარე) ტექსტის ანაგრამას და ამით აზრს წარმოქმნის არა მხოლოდ სინტაგმატიკურ, არამედ პარადიგმატიკურ განზომილებაში, არა მხოლოდ სინქრონიაში, არამედ დიაქრონიაში, ელემენტების თანმიმდევრობა ანაგრამებში ყალიბდება არა მხოლოდ ლინეარულ/წრფიულად (სწორხაზოვნად), არამედ ვერტიკალურად, სხვა ტექსტზე გასვლით, რაც საშუალებას გვამძლევს ნათლად წარმოვადგინოთ თუ როგორ ყალიბდება ტექსტში სხვა ელემენტების თანმიმდევრობა, რომლებსაც შეუძლიათ მისი მოდიფიცირება.

ნ ა ნ ა ა ბ ა შ ი ძ ე

შარლ ბოდლერის პოეტიკის რიშარისეული რეცეფცია და ლირიკული ტექსტის სიღრმე როგორც ლინგვო-კულტუროლოგიული პრობლემა

1. შარლ ბოდლერის პოეზიის, პირველ რიგში კი, ბოდლერისეული პოეტიკის ის რეცეფცია, რომელიც ასახულია პიერ რიშარის კრიტიკულ ესეებში, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, რომ გვაჩვენებს ლირიკული ტექსტის ავტორისეულ ხედვას, არამედ იმითაც, რომ იგი სიმპტომატურად ასახავს მხატვრული შემოქმედების XX საუკუნოვანი კონცეფციის სპეციფიკას - სწრაფვას მხატვრული ტექსტის **სიღრმისეული** ანალიზისაკენ: სიღრმე გვევლინება მხატვრული ტექსტის რეცეფციის იმ მთავარ კატეგორიად, რომელიც განსხვავებულ ინტერპრეტაციას პოვებს მსოფლმხედველური თვალსაზრისით განსხვავებულად ორიენტირებულ მკვლევარებთან;

2. სიღრმე, როგორც მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის ფუძემდებელი მეტაკატეგორია, შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების იმ პარადიგმებზე დაყრდნობით, რომლებიც დომინირებენ ხსენებული აზროვნების ფარგლებში. შესაბამისად, შეიძლება ვილაპარაკოთ **სიღრმის** ფსიქოანალიტიკური, ანალიტიკური, სემიოტიკური, ფენომენოლოგიური, ლინგვოსემიოტიკური, კულტუროლოგიური, ლინგვო-კულტუროლოგიური კონცეპტუალიზაციის “ვარიანტებზე”;

3. ბოდლერისეული პოეტიკის რიშარისეული ხედვის შეფასებისას აუცილებელია, ჩვენი აზრით, მისადმი ის სინთეზური მიდგომა, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს ორი კვლევითი პარადიგმის პროდუქტიული “შეხვედრა”: ვგულისხმობთ, ერთი მხრივ, მთელი თანამედროვე რეცეფციული ესთეტიკის ორიენტაციას ტექსტის **სიღრმეზე**, ანუ სიღრმისეულობის მეტაპარადიგმას, მეორე მხრივ კი, ტექსტობრივი სიღრმის იმ კონცეფციას, რომელიც ეფუძნება ტექსტის ენობრივ და კულტურულ განზომილებათა შერწყმულად ფუნქციონირების იდეას; შესაბამისად, ვგულისხმობთ ტექსტობრივი სიღრმის ანალიტიკური კვლევის **ლინგვო-კულტუროლოგიულ** პარადიგმას;

4. ზოგადად პოეტური, კერძოდ კი ბოდლერისეული ტექსტის ის სიღრმისეული ხედვა, რომლითაც ხასიათდება რიშარისეული ესთეტიკა, უნდა განისაზღვროს, როგორც ტექსტობრივი სიღრმის ფენომენოლოგიური და, ამავე დროს, პერსონალისტური ხედვა:

ფენომენოლოგიური იმიტომ, რომ თვით რიშარი ექსპლიციტურად იყენებს ამ ტერმინს, პერსონალისტური კი იმიტომ, რომ ბოდლერი-სეული ტექსტის სიღრმის, აღქმისა და ინტერპრეტაციის პროცესში რიშარი მთლიანად კონცენტრირებულია ბოდლერის შიდაპიროვნულ სივრცეზე და არ გადის მის ფარგლებს გარეთ, ე.ი. არ უკავშირებს ხსენებულ სიღრმეს იმ კულტურულ კონტექსტს, რომლის ფარგლებში და რომლის გავლენითაც იქმნებოდა ბოდლერის პოეზია;

5. მიგვაჩნია, რომ ბოდლერისეულ ტექსტთა ადეკვატურად თანამედროვე რეცეფცია უნდა ინარჩუნებდეს ტექსტობრივი სიღრმის რიშარისეულ კატეგორიას, მაგრამ ამავე დროს ახდენდეს მის კულტუროლოგიულ და ლინგვო-კულტუროლოგიურ ტრანსფორმაციას: ბოდლერისეულ ტექსტთა სიღრმე არის ერთდროულად როგორც მისი პიროვნული, ისე მისთვის ფუძემდებელი მხატვრულ-ესთეტიკური კულტურის სიღრმე, და ამ სიღრმის კვლევისას უნდა გაანალიზებულ იქნას მისი მიმნიშნებელი ლინგვო-კულტურული სტრუქტურები.

ელენე გოგიაშვილი **“შერეულ ჟანრთა” განსაზღვრის საკითხისათვის ქართულ ფოლკლორში**

ფოლკლორისტიკაში ყოველთვის აქტუალური პრობლემაა ჟანრთა განსაზღვრისა და მათი სწორი კლასიფიკაციის საკითხი. ეს ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ წმინდა სახით თითქმის არცერთი ჟანრი არ არსებობს. ჟანრები, თანაარსებობენ რა ერთმანეთის გვერდით, განუწყვეტელ ურთიერთგავლენას განიცდიან.

არსებობს ტექსტები, რომლებიც ჟანრობრივად ზღაპარსაც შეიძლება მივაკუთვნოთ და მითოსსაც. ამგვარ „შერეულ ჟანრს“ ერთი თავისებურება ახასიათებს – მასში ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიშნები არ არის შესამჩნევი მაშინ, როცა ქართული ფოლკლორის სხვა თხრობით ჟანრებში მეტნაკლებად იგრძნობა ქრისტიანული რელიგიის გავლენა.

ერთსა და იმავე ზღაპარში შეიძლება არსებობდეს მითოსური ტრადიციაც და მისი შემდეგდროინდელი ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალიც. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გვაქვს სხვადასხვა შემთხვევა: როცა ზღაპარი მხოლოდ მითოსურია (ძირითადად მთიან რაიონებში ჩაწერილი ტექსტები); როცა მითოსურს

ქრისტიანიზმები ახლავს, მაგრამ არ არის მთლიანად ქრისტიანიზებული; როცა მითოსური მოტივები ქრისტიანული შინაარსით არის დატვირთული.

ქართული საზღაპრო ეპოსისა და მითოლოგიური გადმოცემების შესწავლისას მნიშვნელოვანია მათი გავრცელების არე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი კანონზომიერება: იმ რეგიონებში, რომლებშიც ჯადოსნური ზღაპრების დიდი რაოდენობაა შეკრებილი, მითოსი უკვე გამქრალია, ხოლო იქ, სადაც მითოსი კიდევ არსებობს, ჯადოსნურ ზღაპრებს ჯერ ისევ პრიმიტიული სახე აქვთ.

„შერეული ჟანრი“ ქართულ ფოლკლორში მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს როგორც მითოსსა და ზღაპარს შორის მსგავსება-განსხვავების დასადგენად, ასევე მათი ქრონოლოგიისა და მათი თანაარსებობის შესაძლებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

თ ე ი მ უ რ ა ზ ქ უ რ დ ო ვ ა ნ ი ძ ე ვაჟა-ფშაველას ზღაპარი “ცრუპენტელა აღმზრდელი”

ვაჟა-ფშაველა “ცრუპენტელა აღმზრდელს” ზღაპარს არ უწოდებს, თუმცა, ნაწარმოები ლიტერატურული ზღაპრის იმ ტიპს განეკუთვნება, რომელსაც საფუძვლად უდევს უპირატესად ფოლკლორული წარმოშობის ფანტასტიკური ამბები.

მწერალი თითქოს მკითხველის თვალწინ ერთი მსახიობის თეატრს აცოცხლებს. ამ მონოსპექტაკლს ოთხმოცი წლის ყოფილი მონადირე შემთხვევით შეხვედრილი ყმაწვილი მეცხვარეებისათვის მართავს. ნადირობაზე ხელაღებულ მოხუც ციხელს აუდიტორია ახლა უფრო სჭირდება, რადგან ბუნებით თხზვის ოსტატია და, ჩანს, მიჩვეულია ხალხის წინ ტრიალს, ფლობს მსმენელის “დაპყრობის” ხელოვნებას. ციხელი თამაშობს გულგრილი, მაგრამ გულწრფელი მრავლისმნახველი კაცის როლს და თან ყოველ ღონეს ხმარობს, მალემრწმენი მწყემსების ინტერესი არ დაკარგოს.

ვაჟა-ფშაველა მთავარ გმირად განზრახ ირჩევს მონადირეს, რადგან ცნობილია, რომ მონადირეები დიდი ფანტაზიის უნარით გამოირჩევიან. ციხელიც ისე ყვება ამბებს, ვეღარ გაარჩევ ტყუილ-მართალს. ეს ამბები უცხოტომელთა ისტორიები კი არ არის, ფშაური ზეპირსიტყვიერებისა და ყოფიდანაა აღებული. მსგავსი ამბავი, შესაძლოა, მსმენელს ადრეც ჰქონდა გაგონილი, მაგრამ რაკი ციხელი

ნამდვილი ქოსატყუილაა და “გაოცების” ეფექტზე “მუშაობს”, თავის მოთხრობილ ამბებში რეალურს ბუნებრივად გადააჯაჭვავს გამოგონილს. მთავარი კი ისაა, რომ მონადირე ყოველ ამბავს თავის თავგადასავლად აცხადებს. იგი ისეთი დამაჯერებლობით ყვება, რომ მომხდარის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა უჭირთ ყმაწვილებს. ხოლო როცა ასეთი განცდა მაინც ეუფლებათ მწყემსებს, ციხელი სიტუაციიდან თავის დამვრენას დაპირებით ახერხებს.

ვაჟას “ცრუპენტელა აღმზრდელში” მოსათხრობად შეურჩევია: ყოვითი ხასიათის სამონადირეო ისტორიები და ცხოველთა ზღაპრები; აღმოსავლური მითოლოგიიდან შემოსული და ჩვენში დამკვიდრებული ფანტასტიკური ამბები “ალის” შესახებ; ჯადოსნური ზღაპრის ცნობილი მოტივები, დაკავშირებული სასწაულებრივ საგნებთან – მანათობელ ფრთასა და ნატვრისთვალთან.

საისტორიო სიტყვიერების პატრიოტული ნაკადის საყვარელი თემებია: სახელოვანი წინაპრის მიერ მემკვიდრისთვის თავისი აბჯრის გადაცემისა და მტრებთან ომს მოწყურებული ხმლის ქარქაშიდან ამოწვდისა და სხვ. მოტივები, რომლებსაც 1908 წელს მწერალი განსაკუთრებული ფუნქციით წარმოადგენს, რითაც ეხმიანება ჩვენი თავისუფლებადაკარგული ქვეყნის სატკივარს და საყვედურობს თანამედროვეებს საქართველოში მემკვიდრეობითობისადმი პატივისცემის დავიწყების გამო. წარსულზე გულანთებული მამულიშვილები ახალგაზრდების იმედით ტოვებდნენ სიცოცხლეს, შთამომავლებს კი აღარ ახსოვთ პირობა (აღარ ძალუმთ მისი შესრულება). ამიტომ საქართველოსთვის ხმლით ბრძოლის ამბავი მხოლოდ მოხუცთა ხსოვნას შემორჩენია. ამაზე ჩივის დაჟანგებული ხმალი და ეს ვაჟა ფშაველას საყვარელი თემაა.

ციხელს, როგორც მთხრობელს, ამოცანის წარმატებით შესრულებაში ეხმარება თხზვის გამორჩეული უნარი და ფოლკლორის (განსაკუთრებით თქმულების) გადმოცემისას დამკვიდრებული ტრადიცია მომხდარის სინამდვილედ გამოცხადებისა, ამბების გარკვეულ ადგილსა და დროსთან საგანგებოდ მიმაგრებისა, რაც მსმენელებში ნაწარმოების უტყუარობის შეგრძნების გამყარების საწინდარია. ციხელი ამ ტრადიციას წარმატებით იყენებს.

მწერალი “ცრუპენტელას” კი უწოდებს თავის გმირს, მაგრამ მის გაუთავებელ თხზვასა და გამომგონებლობაში სიკეთე უთუოდ არის და ეს მაღლი მაშინვე საცნაურია. მოხუცი მონადირე, უპირველესად, ნიჭიერი ქოსატყუილაა და ისე შეუფერხებლივ ხლართავს

ერთმანეთში ნამდვილსა და არარსებულს, რომ ყმაწვილებს აიძულებს იფიქრონ, გაარჩიონ ტყუილი და მართალი, გაერკვნენ ასაკის გამო ჯერ კიდევ შეუცნობელში. ციხელი მწყემს ბიჭებს ოცნებისაკენაც უბიძგებს, ერთფეროვანი და უპერსპექტივო ცხოვრების გალამაზების სურვილს უღვიძებს.

ისტორიის სექცია

მარია მშვილდაძე ქალღვთაებები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გლიპტიკური მასალიდან

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა იმ ფაქტის გარკვევა, თუ რამდენად აისახა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური სიტუაცია რელიგიურ მდგომარეობაზე. კერძოდ, რა სიტუაცია იყო ანტიკური ღვთაებების (ჩვენ შემთხვევაში ქალღვთაებების) გავრცელების თვალსაზრისით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში – აფსაროსსა და პიტიუნტში, რომლებიც ახ.წ. I-IV სს. (პიტიუნტი ახ.წ. II საუკუნიდან) რომისათვის სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან თავდაცვით სისტემაში შედიოდნენ, როგორც პროვინცია კაპადოკიის გარკვეული ნაწილი. აღნიშნული ქალაქები რომაელთა ბატონობის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტი იყო კავკასიაში, სადაც რომაელთა გარნიზონები იდგა.

აქედან გამომდინარე, ნაშრომში შესწავლილი გვაქვს აფსაროსსა და პიტიუნტში აღმოჩენილ გლიპტიკის ნიმუშებზე დაფიქსირებული ქალღვთაებები. ჭრილაქვები, მათი დანიშნულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალთა კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, აფსაროსისა და პიტიუნტის სტატუსიდან გამომდინარე, მათი მფლობელები, არ არის გამორიცხული, ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. ქალღვთაება (ტიხე-ფორტუნა) აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მხოლოდ ერთ ინტალიოზეა წარმოდგენილი, პიტიუნტში კი დაფიქსირებულია ოთხი ჭრილაქვა: დემეტრას, აფროდიტეს, სამი გრაციისა და ფსიქეასა და ამურის გამოსახულებით. გლიპტიკური ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოები ახ.წ. II-IV სს. განისაზღვრა. მასალის შესწავლა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული ქალაქების მოსახლეობაში გავრცელებული იყო ანტიკური ქალღვთაებები, მაგრამ მოპოვებული მასალა საკმარისად არ მიგვაჩნია ადგილობრივ მოსახლეობაში (განსაკუთრებით აფსაროსში) მათი პოპულრობის მტკიცებისათვის.

ნათია ფიფია
ვეტერანთათვის გადაცემული მიწის დაგეგმარების პრინციპი
ძველ რომში

ფეოდალური სამყარო აგრარული საზოგადოებაა. მიწის მხოლოდ უმცირესი ნაწილია დამუშავებული, მაგრამ, ფეოდალური აზროვნებით, ეს პერსპექტიული სავარგულები უნდა იყოს ბევრი. შესაბამისად, ეს მიწები რომ ნაგებობებს დაეფარა, მაინცდამაინც რენტაბელური არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, ქალაქის განფენილობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. მთავარი აქ არის სასოფლო-სამეურნეო საქონელი, რაც ქმნის საერთო ნაწარმოები პროდუქციის უდიდეს ნაწილს. რაც შეეხება კაპიტალისტურ სამყაროს, კაპიტალისტურ ქალაქში მთავარია, რომ ორი ფორანი თუ მანქანა ყველგან იოლად უქცევდეს ერთამენთს გვერდს. ფეოდალურ ქალაქში ბევრ ქუჩაზე ეს შეუძლებელი იყო. კაპიტალისტურ რომში, არათუ ქალაქებში იყო იმ ზომის ქუჩები, რომ ორ ტრანსპორტს ერთმანეთისთვის გვერდი აექცია და, ამავდროულად, გეომეტრიულად დაგეგმარებული, არამედ ვეტერანებისთვის მიწის განაწილების დროს, იქნებოდა ეს ცენტურიაციის თუ სტრიგაცია-სკამნაციის ფორმით, კვარდატულ ნაჭრებად დაყოფილი მიწები ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრული იყო ისეთი ზომის გზებით, რომ ორ ტრანსპორტს ერთმანეთისთვის გვერდი აევლო. აქ მთავარია სამრეწველო საქონელბრუნვა.

რომაელებმა მიწის აწომვის რამდენიმე სისტემა შექმნეს, მათ შორის ყველაზე სრულყოფილი იყო ცენტურიაცია და სტრიგაცია-სკამნაცია. სტრიგაცია-სკამნაცია იწყება ძვ.წ. III-II სს-ში, ხოლო ცენტურიაცია ძვ.წ. II-I სს.

მიწის ამ ნაკვეთებს გარს ერტყა გზები – ლიმიტები. ეს იყო ძირითადი განყოფილი. ისინი ერთმანეთს კვეთდნენ და ქმნიდნენ თანაბარი ზომის კვადრატებს – ცენტურიებს. არსებობდა დაგეგმარების მეორე პრინციპი – სტრიგაცია-სკამნაცია, მართკუთხედი ფორმის მიწის ნაკვეთების შექმნას. თუ მართკუთხედის ფორმის მიმართულება შეესაბამებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთს, ამას სკამნა ეწოდებოდა, თუ – ჩრდილოეთ-სამხრეთს, მაშინ სტრიგა. ამ სისტემისთვის, გარდა ოთხივე მხრიდან გზების არსებობისა, დამახასიათებელი იყო ერთიანი მთავარი გზის არსებობაც, რომელიც წარმოადგენდა მსხვილ საზოგადოებრივ გზას. სკამნები და სტრიგები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. საბოლოოდ ეს სისტემები ჩამოყალიბდა ახ.წ. I ს.-ში არსებობდა მიწის აზომვა-

დანაწილების სხვა პრინციპებიც: ლაციები, პრეზიდენტები, მაგრამ ისინი სიმპტომატურ ხასიათს არ ატარებენ და ამჯერად მათზე არ შევჩერდებით. თუ არ ხერხდებოდა მიწის ფონდის ამ ფორმით დაჭრა და ასიგნაციისთვის მომზადება, მაშინ დარჩენილი მიწის მცირე ნაკვეთები სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა, მათი გამოყენება საერთო სამოვრებადაც კი არ შეიძლებოდა. მიწის ამ დაყოფის პროცესს იუგერაციასაც უწოდებდენ, რადგან ხდებოდა მათი აზომვა იუგერებში.

რომაული მიწის დაგეგმარების პრინციპი, როდესაც აგრძენსორები ვეტენართა გადასაცემად ამზადებდნენ მიწას, სტრიგაცია-სკამნაცია და ცენტურიაცია, გულისხმობდა მიწის არა მარტო ზუსტად აზომვა-გაყოფას, არამედ მიწის ნაკვეთებს შორის ოთხივე მხრიდან გზისთვის ტერიტორიის დატოვებას. ეს ღონისძიება აუცილებელი იყო სწორედ იმისთვის, რომ ამ სოფლის ვილებს ინტენსიური კავშირი ჰქონოდათ გარესამყაროსთან, ბაზართან. აქედან ნაწარმოები პროდუქცია აუცილებლად უნდა გასულიყო ბაზარზე, იქნებოდა ეს რეგულარული ბაზარი იტალიის ქალაქებში თუ პერიოდულად მოწყობილი ბაზრობები. მით უმეტეს, ბოლო პერიოდში გავრცელებული მოსაზრებით, რომში, განსაკუთრებით იმპერიის ხანაში, უფრო გავრცელებული იყო არა ერთიანი ლატიფუნდიის, დიდი მამულის ფლობა, არამედ რამდენიმე საშუალო ზომის მამულის - ვილის, რომელიც თვითკმარი და ჩაკეტილი ორგანიზმი არასდროს ყოფილა, არამედ ორიენტირებული იყო ბაზარზე. მათი სამრეწველო პროფილი დამოკიდებული იყო ამ მიწის კონკრეტული ნაკვეთის მდებარეობაზე. მაგ., თუ ვილა მდებარეობდა დიდ ქალაქთან ახლო, იქ მოჰყავდათ ქალაქისთვის ყოველდღიურად საჭირო პროდუქცია – მაგ., კომბოსტო, ხახვი ან მოშენებული ჰყავდათ ფრინველები, მაგ., ფარშევანგები, რომელიც ერთ პერიოდში საკმაოდ პოპულარული იყო რომაულ სუფრაზე.

მთავარი ისაა, რომ რომაელებისთვის მნიშვნელოვანი იყო არა ის, რომ თვითკმარი სამეურნეო ორგანიზმის სახით ჰქონოდათ ლატიფუნდიები თუ საშუალო ზომის ვილები, არამედ ის, რომ ნამატი პროდუქტი გაეტანათ ბაზარზე. მიწის ასე მოწესრიგებულად დაგეგმარება სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

თედო დუნდუა გიომ დერუბრუკი და საქართველოს ისტორია

ირანში სუპერსტრატად მოსული მონღოლები საქართველოს მხოლოდ ნახევარზე ახორციელებდნენ თავიანთ ჰეგემონიას. ამით მათ ქვეყანა ორ სამეფოდ გახლიჩეს. აღმოსავლეთ საქართველო ილხანთა ვასალური პოლიტიკური ერთეული იყო.

აღნიშნული ეკონომიკური და პოლიტიკური დეზინტეგრაციის ზუსტი თარიღი ქართულ წყაროებში არსად არის დაცული. ზოგადი მოსაზრებებით, ეს 1259 წ. უნდა მომხდარიყო.

ზოგი დასავლური წყარო ამ კუთხით თითქოს უფრო ნიშანდობლივია.

ბერმა გიომ დერუბრუკმა დიდი ყაენის კარს მიაშურა. 1257 წ. ის საფრანგეთში დაბრუნდა და მოხსენებითი ბარათიც წარადგინა. აქედან ერთი პასაჟი ძალზე საინტერესოა: “ამ უბის იქით ზიქიაა (თანამედროვე ტუაპსეს მხარე, რუსეთის ფედერაცია – თ. დ.), რომელიც თათრებს არ ემორჩილება, უფრო აღმოსავლეთით არიან სუენები და იბერები, რომლებიც ასევე არ ემორჩილებიან მათ.” ეს, უბრალოდ, ნიშნავს იმას, რომ 1257 წლისთვის დასავლეთ საქართველო მონღოლებისთვის უკვე დაკარგულია. 1257 წ. საქართველოს გაყოფის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია, თუკი რუბრუკმა უახლესი ინფორმაცია დაამატა საკუთარ შთაბეჭდილებებს, ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს კი განსაზღვრავს მისი ამ მხარეებში ყოფნის თარიღი.

1254 წ. 11 ნოემბერი – დიდი ყაენის კარიდან მომავალმა, მან მიაღწია “ალანთა მთებს” (კავკასიონი – თ. დ.);

შემდეგი დღე – ის მიადგა “რკინის კარებს” (დარუბანდი – თ. დ.);

14 ნოემბერი – შაბრანი;

შემდეგი დღე – გაიარა ალექსანდრეს კედლები (დარუბანდი – თ. დ.);

შემდეგი დღე – შემახა;

შემდეგი დღე – შევიდა მულანის ველზე;

23 ნოემბერი – აღმა აჰყვა არაქსს;

შობა – ნახჭევანი;

1255 წ. 13 იანვარი – გზა განაგრძო;

16/17 იანვარი – ოთხ დღეში ის შაჰანშას საგამგებლოს (ქართული დომენი) მიადგა;

2 თებერვალი – ანისი;

14 თებერვალი – შედის რუმის სასულთნოში;

21 თებერვალი – არზრუმი.

შემდეგი მარშრუტი ასეთია – რუბრუკი ევფრატს დაღმა დაუყვა და შემდგომ ის დასავლეთისკენ მიბრუნდა – სივამი – კაისარი – ანტიოქია – ტრიპოლი.

ასე რომ, გიომ დე რუბრუკი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში 1255 წ. დასაწყისში იმყოფებოდა. სწორედ ეს უნდა იყოს სამეფოებად დაყოფის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი. მეტიც, ცნობიდან ჩანს, რომ მთა გამოსულა ბარის პოლიტიკური დაქვემდებარებიდან. სუენები და თათართა ჰეგემონიის მიღმა დარჩენილი იბერები ხომ ერთ სიბრტყეზე მოიხსენიებიან.

გიომ დე რუბრუკმა ბევრი იღვაწა იმისთვის, რათა მომავლადვი ჯვაროსნული სახელმწიფოებისთვის მონღოლთა დახმარება მოეპოვებინა, ჩვენ კი მან ეს 1255/57 წწ. შემოგვთავაზა.

მ ა გ დ ა მ ჭ ე დ ლ ი ძ ე

ქართული დელეგაცია ფერარა-ფლორენციის კრებაზე XV ს-ის პაპის პალატის ანგარიშებისა და სხვა იტალიური წყაროების მიხედვით

ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438-1439), სადაც გაფორმებულ იქნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაერთიანება, ანუ ე. წ. უნია, როგორც ცნობილია, მონაწილეობას იღებდა ქართული დელეგაციაც, თუმცა, ქართველებს, ბერძნებისაგან განსხვავებით, მათთვის მიუღებელი ფორმით შედგენილი უნიის აქტზე ხელი არ მოუწერიათ.

საინტერესოა, ვინ წარმოადგენდა საქართველოს ამ კრებაზე, რომელსაც თავის დროზე ევროპაში იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონია, რომ მის შესახებ ხსოვნა მხოლოდ კონსტანტინოპოლის დაცემას (1453) და ამერიკის აღმოჩენას (1492) დაუჩრდილავს (ვ. ლორანი)?

ბერძნული, ლათინური და რუსული წყაროების შესწავლის შედეგად (ო. ჟუჟუნაძე, ი. ტაბაღუა) ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ფერარა-ფლორენციის კრებაზე საქართველოდან მივლინებული იყო

ორი სასულიერო (მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი) და ერთი საერო პირი.

ჩვენი კოლეგების, ქალბატონ თამარ პატარიძისა და ბატონ ზაზა შათირიშვილის, დახმარებით მოვიძიეთ პაპის პალატის ანგარიშების გ. ჰოფმანისა და ნ. იორგას გამოცემები, რომლებიც დამატებით ცნობებს გვაწვდიან იტალიაში წარგზავნილ ქართველთა შესახებ:

ერთ-ერთ ანგარიშში, რომელშიც რაზიდენციისა და მგზავრობის ხარჯებზეა საუბარი, დასახელებულია ივერიის მეფის ორატორი, მისი თანხმლები პირი და მათი ოთხი სახლეული (... Duce oratori regis Iveriae pro se et socio suo ac quatuor eorum familiaribus...).

სხვა ანგარიშებში ივერიელი ელჩები პირდაპირ სახელებით არიან მოხსენიებულნი: **გიორგი ივერიელი**, ალექსანდრე მეფის სახლეული (providus vir Georgius Yverus, familiaris regis Alexandri) და **იოანე** (venerabilis vir dominus Johannes, ambassiator de Yveria).

გიორგი ივერიელის შესახებ ინფორმაცია კიდევ უფრო დაზუსტებულია XV-XVI სს-ის ავტორთან, მარინო სანუდოსთან, რომელსაც ნათქვამი აქვს, რომ **ალექსანდრე მეფემ კრებაზე ელჩად მიავლინა თავისი ძმისწული** (nipote). ასევე სანუდოს ცნობით, მასთან ერთად კრებაზე გამგზავრებულა ქართველი არქიეპისკოპოსი მრავალ მაღალი რანგის საეკლესიო პირთან ერთად (con molti prelati).

როგორც ირკვევა, საქართველოდან იტალიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია გამგზავრებულა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კრებაზე, რომლის წარმატებას ბიზანტიელები იმპერიის ხსნას უკავშირებდნენ და რომელშიც კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ერთად ბიზანტიის იმპერატორი თავად აქტიურ მონაწილეობას იღებდა, საქართველოს მეფეს თავისი ოჯახის წევრი გაეგზავნა.

გიორგი ჟუჟუნაშვილი, დალი კანდელაკი
პროფესორი მიხეილ პოლიევქტოვი და
საქართველო - რუსეთის ურთიერთობათა კვლევა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

1926 წლის აგვისტოში მოსკოვში მივლინებით მყოფ პროფესორ მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიევქტოვის სახელზე აგარაკ “ოსტროვსკოდან” (ბორჯომი) მოვიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა უნივერსიტეტის დამაარსებელი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. წერილის შინაარსი ბევრი რამითაა საყურადღებო.

ქართული უნივერსიტეტის მესამი რკვლის სიტყვები თვალნათლივ წარმოაჩენს პროფესორ მიხეილ პოლიევქტოვის დიდ დამსახურებას ამ უნივერსიტეტის, ქართველოლოგია – კავკასიოლოგიის, რუსეთის ისტორიის კვლევა-ძიების საკითხში. ამასთან ერთად, თვალსაჩინოს ხდის ივ. ჯავახიშვილის სათუთ, მეგობრულ დამოკიდებულებას არა მარტო ამ პიროვნებისადმი, არამედ, ზოგადად საკითხისადმი, და, საერთოდ, ქართულ საისტორიო (და არა მარტო!) მეცნიერების განვითარებისადმი.

მოგვიანებით, 1917 წლის თებერვლის ქარტეხილებით დაშორებული თანამოაზრეები შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოში: თებერვლის რევოლუციის შემდეგ ფორმალურად ერთ ქვეყანაში მცხოვრები ქართველები და რუსები, რეალურად (სულ მალე, 1917 წლის ბოლოდან კი ფორმალურადაც) საზღვრის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. ივ. ჯავახიშვილი მთლიანად ქართული უნივერსიტეტის, ქართული სახელმწიფოს შენების საქმეში ჩაეფლო. არც მ. პოლიევქტოვი დარჩენილა უსაქმოდ, მაგრამ ამ ორი დიდი მეცნიერის 2-3-წლიანი მოღვაწეობის შედარება ნაყოფიერების (აკადემიური, სამეცნიერო) თვალსაზრისით არ შეიძლება – ერთი საყვარელ და თავისთვის სასიამოვნო საქმეს აკეთებდა, მეორე კი ...

ოჯახური მდგომარეობის მომიზეზებით მ. პოლიევქტოვმა თავი გაარიდა სამსახურს და საქართველოში სიმამრს – ნიკო ნიკოლაძეს – ეწვია, თუმცა, იმავე ხანებში იგი თავის სამსახურს ქართულ უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილს სთავაზობს. მაღალკვალიფიციური სპეციალისტისათვის ადგილი მაშინვე მოიძებნა და უკვე 1920 წლის 15 ოქტომბერს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობით მ. პოლიევქტოვი აირჩია მსოფლიო ისტორიის კათედ-

რის პროფესორად. აქედან მოყოლებული გარდაცვალებამდე იგი ამ თანამდებობაზეა.

მან მალევე იპოვა თავისი მოწოდება. მის კალამს ეკუთვნის ქართულ – რუსულ ურთიერთობების შესახებ არაერთი შესანიშნავი პუბლიკაცია, მანვე ჩამოიტანა საქართველოში 1832 წლის შეთქმულების ამსახველი საარქივო მასალები, მოასწრო რამდენიმე განმაზოგადებელი ნაშრომის გამოქვეყნებაც, მაგრამ გრძნობდა, რომ კიდევ ძალზე ბევრი რამ რჩებოდა გასაკეთებელი.

ერთი რამ ცხადია, რომ მ. პოლიევქტოვმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ქართულ – კავკასიურ – რუსული ურთიერთობების შესწავლას, ხელი შეუწყო მაღალკვალიფიციური ქართველი მეცნიერების გაზრდას (ი. ცინცაძე). ა. ლაპო–დანილევსკის მოსწავლემ, მაშინ, როდესაც თავად რუსეთში ვერაფერი კეთდებოდა თეორიულ წყაროთმცოდნეობაში, ჩვენში, თბილისის უნივერსიტეტში შეძლო სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის ლექციების კურსი გამოეცა და სხვა.

ფ ა ტ ი შ ე ყ ლ ა შ ვ ი ლ ი **სერბების საკითხი კოსოვოსა და მეტოხიაში** **მეორე მსოფლიო ომის დროს**

უახლოეს წარსულში, საუკუნისა და ათასწლეულის გასაყარზე, მოწმენი გავხდით კოსოვოდან სერბების გაძევების, განადგურების, ეთნიკური წმენდისა. ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უძველესი რეგიონის ისტორია კვლავ დაჩრდილა ძალადობამ და უკანონობამ.

200 ათასზე მეტი სერბი ახლაც ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს სერბეთსა და ჩერნოგორიაში. ისტორიულ ანალოგიას ჰქონდა ადგილი მეორე მსოფლიო ომის დროს. ალბანელი ნაციონალისტებისა და ადგილობრივი საოკუპაციო ხელისუფლების მხარდაჭერით, იუგოსლავიის კაპიტულაციისთანავე, დაიწყო სერბეთიდან და ჩერნოგორიიდან სერბების გაძევება, ფიზიკური ლიკვიდაცია, სერბთა კუთვნილი ქონების დატაცება.

პირველ მსხვერპლად იქცნენ კოსოვოსა და მეტოხიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გადასახლებული სერბი კოლონისტები (მეტოხია სერბულ ენაზე ნიშნავს „საეკლესიო მიწას“. ალბანელები, თავი რომ აარიდონ სახელწოდების ქრისტიანული წარსულის მინიშნებას, კოსოვოს და მეტოხიის ავტონომიურ ოლქს იხსენიებდნენ კოსოვოს სახელით. სერბებისთვის „კოსოვოს“ და „მეტოხიას“

პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან ეს გარკვეულწილად ხაზს უსვამს სერბების ისტორიულ უფლებას ამ ტერიტორიებზე. მეტოხია დღევანდელი კოსოვოს ტერიტორიის 35%-ს მოიცავს. რაც შეეხება მსოფლიოს აზრს, მან ეს საკითხი უკვე გადაწყვიტა – ამ მხარეს ცნობს, „კოსოვოდ“).

1941 წელს მეტოხიის ნაწილი ფორმალურად ანექსირებული იყო ალბანეთის სასარგებლოდ. ქ.პრიზრენში ჩამოყალიბდა ალბანელი ჩინოვნიკებით დაკომპლექტებული ახალი ხელისუფლება, რომელიც ალბანურ-იტალიური პოლიციასთან შეთანხმებულად მოქმედებდა სერბების წინააღმდეგ. 1942 წ. მიტროვიცასა და რაშკაში გამართულ კონფერენციაზე იდგა სერბი ლტოლვილების დაბრუნების საკითხი. შედეგი სავალალო აღმოჩნდა, სერბიაში ლტოლვილთა ახალი ნაკადი დაიძრა, მათ შორის იყვნენ კოსოვოს სერბებიც. ალბანეთის მარიონეტული ხელისუფლების აქტიურობით ყველა სერბი გამოაცხადეს კოლონისტად და გადასცეს ალბანურ და იტალიურ ხელისუფლებას საკონცენტრაციო ბანაკებში გასაგზავნად.

ტერორის ახალი ტალღა აგორდა 1943 წ. შემოდგომაზე. კოსოვოდან და მეტოხიიდან დევნილი სერბების რაოდენობამ 100 000 –ს მიაღწია. დაღუპულთა რაოდენობა დადგენილი არ იყო.

კოსოვო და მეტოხიის ბედი გაიზიარეს სერბული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებმა. რაშკა-პრიზრენის ეპარქიის და წმინდა სინოდის არქივში დაცული ცნობები მოწმობს, რომ სერბული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურნი იქცნენ ალბანელი ტერორისტების, ოკუპანტების და პარტიზანი კომუნისტების მსხვერპლად.

ბარბაროსულად გაანადგურეს სერბების სულიერი და ეროვნული მემკვიდრეობა. ალბანელები, ნაცისტებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, მეტოხიის დარჩენილ ნაწილს და კოსოვოს “ახალ ალბანეთად” მოიაზრებდნენ. მათი წარმომადგენლები შეიყვანეს ერთიან ალბანურ პარლამენტში. “დიდი ალბანეთის” შექმნის იდეას ხორცი შეესხა.

ოკუპანტებისაგან გათავისუფლების მერეც იუგოსლავიის კომუნისტური ხელისუფლება აბრკოლებდა სერბი ლტოლვილების დაბრუნებას, რაც ხელს უშარტავდა ალბანელ ნაციონალისტებს.

მაშინდელი ტრაგედიის შედეგებმა კოსოვოს სერბებს მწვავედ შეახსენა თავი ახლახანს, XXI ს-ის დასაწყისში, და მათ ტკივილად იქცა.

როზეტა გუჯეჯიანი ზემო აფხაზეთი – ისტორია და თანამედროვეობა

ნაშრომში განხილულია ის უძველესი საისტორიო წყაროები (ბერძნული, რომაული, ბიზანტიური, ქართული), რომლებშიც დაცულია მასალები დღევანდელი ზემო აფხაზეთის ისტორიის შესახებ.

წარმოჩენილია ამ ტერიტორიისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის მიკუთვნებულობა ქართულ ეთნოსთან და ქართულ სამეფო-სამთავროებთან. საისტორიო წყაროების მონაცემებით დადასტურებულია ამ მხარის ძველთაგანვე საქართველოს (სვანეთის საერისთავოს) შემადგენლობაში არსებობა.

გამოვლენილია ამ მხარის სახელწოდების ცვალებადობის ეტაპები (მისიმიანეთი, დალის ხეობა, კოდორის ხეობა, ზემო აფხაზეთი) და მიგრაციული პროცესები.

წარმოჩენილია ამ მხარის დიდი გეოპოლიტიკური და სავაჭრო სტრატეგიული მნიშვნელობა მასზე გამავალი გზებიდან (დონღუზ-ორუნისა და ბასის უღელტეხილები) გამომდინარე. ცნობილია, დალის მონაკვეთის გავლით ჩრდილოეთ კავკასიიდან გზები შავი ზღვის სანაპიროსაკენ მიემართებოდა.

ნაშრომში ასახულია დღევანდელი ზემო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამპყრობთა (ბიზანტია, სპარსეთი, ჩრდილო კავკასიელი ტომები, რუსეთი) წინააღმდეგ.

ნაშრომში ასახულია გვიანშუასაუკუნეებში საქართველოს ამ მხარეში მომხდარი ქართველთა გენოციდი, რომლის შედეგად, XVII–XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელთა გამუდმებული შემოსევების შედეგად ჭუბერის ხეობა მოსახლეობისაგან დიდი ხნით დაიცალა, ხოლო დალის ხეობის ქართული (სვანური) მოსახლეობა თითქმის გაწყდა და ის თანდათანობით ახლად მოსულმა ადიღეურ//აბაზურმა ეთნიკურმა ჯგუფმა (“აფსუა”) შეცვალა.

გამოვლენილია ამ მხარეში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიული პროცესები და ქართველთა ხელახალი დასახლება თავიანთ მშობლიურ მხარეში (XIX სს.), რაც იყო არა ახალი, უცხო და უცნობი მიწების ათვისების პროცესი, არამედ ქართველების დაბრუნება თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში, დალის სვანეთში.

განალიზებულია ზემო აფხაზეთის მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა: სულიერი, სოციალური და მატერიალური ყოფის სხვადასხვა ასპექტი, ტოპონიმები, ჰიდრონიმები და სხვ.

ნაშრომში ვრცლად არის აღწერილი 1991 წლიდან ამ ხეობაში მიმდინარე პროცესები, ადგილობრივი მოსახლეობის მრავალწლიანი ბრძოლა საქართველოს ერთიანობის შენარჩუნებისთვის და რუსეთ-საქართველოს ომის (2008 წლის აგვისტო) შედეგად დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები. ცნობილია, რომ ამჟამად დალის ხეობიდან დევნილია 2600-ზე მეტი ქართველი.

ქეთევან ქუთათელაძე დმანისის ეპარქია

დმანისის ეპარქია ისტორიული ქვემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპარქიაა, რომლის სამწყსო, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მოიცავდა ტაშირსა და “დბანისხევს” (მაშავერას აუზი). ვახტანგ გორგასლის მიერ ქვემო ქართლში დაარსებულ ეპარქიებთან (მანგლისის, ბოლნისის, აგარაკის) დმანისის ეპარქია არ მოიხსენიება. ჩვენი მოსაზრებით, დმანისის ეპარქიის შექმნისთვის ბიძგი უნდა მიეცა სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებას.

დმანისის ეპარქიისა და ეპისკოპოსების შესახებ წყაროთა მონაცემები XIII ს-მდე ძალზე მწირია, რაც შეიძლება ავხსნათ იმით, რომ დმანისი ხშირად დამპყრობთა (არაბები (VII-IX), სომხები (X-XI), თურქები (XI-XII) ხელში იყო. თუმცა, V-VI სს.-ში ქრისტიანული ცხოვრების მაღალ დონეს ადასტურებს ადრექრისტიანული ქართული სტელა-ჯვრები და ქვაჯვრები, რომელთა სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა ეს ხეობა.

“განგება დარბაზობისას” მიხედვით, დმანელს 34-ე ადგილი ეკავა. დმანელი ეპისკოპოსები ქართულ ეპიგრაფიკულ და დოკუმენტურ წყაროებში „მამამთავრად“ და “მთავარეპისკოპოსად” იწოდებიან და შემდეგი თანამიმდევრობით მოიხსენიებიან: **“სტეფანე ეპისკოპოსი”** (სავარაუდოა) – VIII-IX სს, **მიქაელ ეპისკოპოზი** – X ს., **“განგება დარბაზობისაში”** მოხსენიებული **დმანელი ეპისკოპოსი** – XIII ს., **ეპისკოპოსი თევდოსი** - XIII ს. (დმანისის სიონის კარიბჭე), **უცნობი დმანელი ეპისკოპოსი** - XIII ს. (დმანისის სიონის კარიბჭე), **ელისე I** - XIII-XIV სს., **იოსებ სააკაძე** – 1995 წ., ლ. მუსხელიშვილი მოიხსენიებს **იოსებ თარხნიშვილს**, რომელიც 1662 წლიდან თბილელი ეპისკოპოსი გამხდარა, **ქრისტეფორე ბარათაშვილი** – 1665წ., **ფილიპე მართაშვილი** – 1673წ., **ქრისტეფორე ბეგაშვილი** – XVII ს-ის ბოლო, **ელისე II დმანელი** – 1698, 1702, 1730-1767წწ., ლ. მუსხელიშვილი

კითხვის ნიშნით მოიხსენიებს 1700 წელს გარდაცვლილ **დმანელ ეპისკოპოს ვინმე პავლეს**.

დმანისის ეპარქიაში საკათალიკოსო მამულები იყო ხატისოფელი, ორომაშენი, ველკეთილი, ყორანთა. დმანისის ეპარქიაში არსებული მონასტრებიდან მნიშვნელოვანია **ყიზილ ქილისა, ისპიანის სამება, დავით-საგარეჯოდ** ცნობილი კომპლექსი. 1689 წლის ყაფლანიშვილების ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, მონასტერი ყოფილა თვით **დმანისში**. დმანისის ეპარქიაში არსებული სიწმინდეების შესახებ, რომლებიც ქართულ წერილობით წყაროებში შემოგვრჩა, მნიშვნელოვანია დმანისის წმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც ამჟამად დაკარგულია. 2005 წელს დმანისის ეპარქიაში დმანისის ღვთისმშობლისადმი 1586 წლის სიგელზე ღვთისმშობლის გამოსახულების მიხედვით დაიწერა დმანისის ღვთისმშობლის ახალი ხატი. მნიშვნელოვანია, ასევე, წმიდა გიორგის სასწაულთმოქმედი ჯვარი, რომელიც შეიცავდა წმ. გიორგის ბეჭს.

1749 წლის ერთ-ერთ გუჯარში დმანისის საყდარი უკვე მოშლილად არის მოხსენიებული. ამ ფაქტს ადასტურებს XVIII ს-ის 70-იანი წლებით დათარიღებული ერთ-ერთი საბუთი, რომელშიც აოხრებისაგან დაცლილ საეპისკოპოსოებში მოხსენიებულია: “საეპისკოპოსო დმანისისა”.

ზვიად კვიციანი

სვანეთის სუეტის-სუეფის ეკლესიის ლოკალიზაციისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში დაუდგენელია სვანეთის არაერთი ისტორიული ძეგლის მდებარეობა, მათ შორის არ არის დაზუსტებული ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული სეტის ეკლესიის მდებარეობა. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, სუეტის ეკლესიაში ინახებოდა მცხეთის სვეტიცხოვლის კანდელი, რომელიც ვახტანგ გორგასალს უნდა ჩამოეტანა ინდოეთიდან.

ზემო სვანეთის სეტის ეკლესიის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ სეტის ეკლესია მესტიის თემს ეკუთვნის (ბართლომე, დ. რობაქიძე ე. თაყაიშვილი, მ. ჩართოლანი), რომ ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემაში იგულისხმება მესტიის სეტის უძველესი ეკლესია, რომლის ადგილზე შემდეგ აშენდა წმ. გიორგის

სახელობის ახალი ტაძარი (ბართლომე, დ. ბაქრაძე, თაყაიშვილი, მ.ჩართოლანი და სხვ.).

მეორე ნაწილი ფიქრობს (და თვითმხილველებიც არიან ამ ტაძრისა), რომ სეტის-სეუფის ეკლესია მდებარეობს ბეჩოს თემის სოფ: ბაგვდანარში (ბერი ბაქრაძე, ა. სტოიანოვი და სხვ). მკვლევარ რ. გუჯეჯიანს მოჰყავს რა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა სეტის ეკლესიის შესახებ, გამოთქვამს ვარაუდს სეტის ეკლესიის სოფ. ეცერში არსებობის შესახებ.

სვანეთში ბეჩოს თემის სოფ.ბაგვდანარში დღესაც დგას (სამწუხაროდ, დანგრეული) სუფე-ის-სუეტის-ის ეკლესია. შემორჩენილია საყდრის აღმოსავლეთ საკურთხევის კედელი.

ხუროთმოძღვრულ-სტილისტიკური ნიშნებით ბაგვდანარის ეკლესიის არქიტექტურა VIII-XIსს-ებს უკავშირდება, მაგრამ ზოგიერთი თავისებურების გამო მისი მშენებლობის თარიღად Xს. უნდა ჩაითვალოს. საერთოდ, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: შენობის სხვადასხვა ნაწილისათვის საშენი მასალის კომბინირებული გამოყენება, საფასადო წყობის ხასიათი, შესასვლელების სრულიად გლუვი გადახურვა, შემთხვევითი ფორმის არქიტრავით შენობის პროპორციები და სხვ.

ისტორიული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ტოპონიმური მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ სვანეთის სუეტი-სვეფის ეკლესია, სადაც მცხეთის სვეტიცხოვლის კანკელი ინახებოდა, ბეჩოს თემის სოფ. ბაგვდანარის სუეტი-სვეფის ეკლესიაა.

ჩანს, რომ ბაგვდანარის სუფე-ის-სუეტის საყდარი ადრეულ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეებამდე ბეჩოს თემის ყველაზე დიდი და მთავარი ტაძარი იყო. აქედან მომდინარეობდა მისი სახელიც სუფე-ის-სუეტის-სვეტიცხოვლის სახელიცა და, როგორც ჩანს, აქ ინახებოდა საგანძური მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისა.

ანდრო გოგოლაძე, თეა წითლანაძე
ხატაეთის ლეგენდარული მეფის დავითის ისტორიული
პროტოტიპების საკითხისათვის

XIII საუკუნეში მონღოლთა გამოჩენამ არაერთგვაროვანი განცდა გააჩინა ხალხთა ცნობიერებაში. ამ დროს ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარება რთული იყო. XI საუკუნის ბოლოს დაწყებულმა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა დასავლეთის ქრისტიანულ და მაჰმადიანურ აღმოსავლეთს შორის მანამდე არსებული წინააღმდეგობანი საღვთო ომის რანგში აიყვანა. 1187 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი დაკარგეს და ვერც მესამე და ვერც მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ქრისტიანებს წმინდა ქალაქი ვერ დაუბრუნა. მიუხედავად წარუმატებლობისა, რომის პაპები თუ აღმოსავლეთში მყოფი ჯვაროსანი მმართველები ახალ რევანშისტულ გეგმებს აწყობდნენ ევროპიდან მეომარი ძალების აღმოსავლეთში გადმოსასროლად. ეს ამბები ეხება მეხუთე ლაშქრობის პერიოდს. სწორედ იმ დროს, როცა ჯვაროსნები ეგვიპტის ქალაქს დამიეტას შემოერთებდნენ, შუა აზიისა და სპარსეთის მხარეებში მონღოლთათართა მოისარი ტომები გამოჩნდნენ. იმ ხანებში მათ შესახებ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, არაფერი იცოდნენ. მათი მრისხანების ძალა პირველად შუა აზიის და სპარსეთის მაჰმადიანებმა იწვნიეს, რამაც ქრისტიანებში ყალბი წარმოდგენა გააჩინა, რომ ისინი ჯვაროსანთა დასახმარებლად იყვნენ მოსულნი. ასეთმა შეხედულებებმა ძველი, თითქმის მივიწყებული ლეგენდა გააცოცხლა აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანი მეფის იოანე პრესვიტერის შესახებ. ეს თქმულება XII საუკუნის შუა ხანებში იშვა ჯვაროსანთა წრეებში. ოტო ფრაიზინგის გადმოცემით, არმენიისა და სპარსეთისა აღმოსავლეთში ნესტორიანელმა მეფემ დედელმა (პრესვიტერი) იოანემ დაამარცხა მაჰმადიანები და მოისწრაფოდა იერუსალიმის დასახმარებლად. მისი მითიური ფიგურა იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ შემდგომში მას განიხილავდნენ ერთ-ერთ სავარაუდო მოკავშირედ წმინდა მიწისათვის ბრძოლაში. მხოლოდ უკვე არა იოანედ აღიქვამდნენ ახალ პრესვიტერს, არამედ ინდოეთისა და ხატას მეფე დავითად. ისტორიოგრაფიაში მრავალი თვალსაზრისი არის გამოთქმული იოანეს და დავითის სავარაუდო ისტორიული პროტოტიპების შესახებ. მას აიგივებდნენ ინდოეთის პატრიარქ იოანესთან, იოანე მოციქულთან, ყარახატაელების სამეფოს დამაარსებელ ელიუდაშთან,

დავით აღმაშენებელთან, ქართველ სარდლებთან იოანე აბულეთისძესთან და იოანე ორბელთან, იოანეს სახელით ცნობილ ქართველ მღვდელმთავრებთან, ასევე, ნაიმანთა მეთაურ ქუჩლუკთან და ლაშა-გიორგისთან.

იოანეს ადგილზე ხატას მეფის დავითის გამოჩენა, ჩვენი აზრით, დადასტურებაა იმისა, რომ იოანეს ლეგენდა ყარახატაელთა სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიულ რეალიებს უკავშირდება. რაც შეეხება დავითის სახელის ახსნას, იგი დაკავშირებული უნდა იყოს ბიბლიური მეფის, დავითის, პერსონაჟთან, რომლის მისტიკური ხალხთა წარმოდგენაში იერუსალიმის გათავისუფლებისა და ებრაელთა სამშობლოში დაბრუნებით აიხსნებოდა. XIII საუკუნის ლათინურ წყაროებში კი ეს თქმულება ჯვაროსნული მისტიციზმითა და მესიანიზმით შეფერადებული ფორმაა.

ნინო კიღურაძე **„ინტელექტუალური ისტორია“**

1. ისტორიზმის კრიზისი

- კრიტიკა: ფრანსუა სიმიანი ისტორიკოსთა ტომის კერპების შესახებ. პოლიტიკური ისტორია, პიროვნებების (დიდი პიროვნებების) როლი, ქრონოლოგია.

სენიებოსი - სიმბოლო.

- ობიექტივიზმის კრიტიკა ჰაიდეგერთან, გადამერთან.

ისტორიზმის სკოლას, გამომდინარე ახალი დროის ფილოსოფიიდან, სჯერა ობიექტური ჭეშმარიტების არსებობისა და მისი შემეცნების შესაძლებლობის ისტორიული მეცნიერული მეთოდის (ვერისტიკა-კრიტიკა-ინტერპრეტაცია) დახმარებით.

- ანალების სკოლა - ფრანგული რევოლუცია ისტორიულ მეცნიერებაში.

2. ინტელექტუალური ისტორია

- „კრიტიკული“, ინტელექტუალური ისტორია „სკოლარული“ ისტორიის, ტრადიციული „ერუდიტების“ საპირისპიროდ. ისტორიული ცოდნის „დაგროვება“ და ანალიტიკური ისტორია.

- ინტელექტუალური ისტორია, არა ზოგადად, ისტორიის რეკონსტრუქციის, არამედ ისტორიული ტექსტების, როგორც მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტების წაკითხვის წინააღმდეგ, ანუ

„ტექსტუალური კონცეფცია“ „დოკუმენტური კონცეფციის“ წინააღმდეგ.

3. ჰაბერმას - გადამერის დებატები.

- „ჰორიზონტების შერწყმა“.
- „დიალოგი წარსულთან“.
- ჰაბერმასი სთავაზობს ჰერმენევტიკული გაგებისა და მიზეზ-

შედგობრივი ახსნის კომბინაციას.

- ისტორიის ტექსტუალურ კონცეფციაში:

ტექსტის წაკითხვა (გაგება): „სტრიქონებს შორის კითხვა“, „წარსულის ხმების ამოკითხვა“.

ისტორიული ტექსტი, როგორც წარსულის რეპრეზენტაციის ფორმა. ანალების სკოლის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა (ფებრი, ვოველი, მანდრუ, ლე რუა ლადური) ნაშრომები სოციოკულტურულ ისტორიაში, როგორც ინტელექტუალური ისტორიის ნიმუშები. ცნება *ouillage mental*.

4. ქართული ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა:

- წარმოადგენს ისტორიზმისა და მარქსიზმის ნაჯვარს.
- თუ დაუყოვნებლივ არ გადაისინჯა მიდგომები, მას არ ექნება

მომავალი.

ქეთევან კაკიტელაშვილი რელიგიის როლი ინტერკულტურულ დიალოგსა და მშვიდობის მშენებლობაში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აკადემიურ წრეებში გავრცელებული აზრის თანახმად, კონფლიქტების უმრავლესობა გამოწვეულია რასის, ეთნიკურობისა და რელიგიაზე დაფუძნებულ კოლექტიურ იდენტობათა დაპირისპირებით. რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც კონფლიქტის ესკალაციაზე, ასევე, მის დინამიკასა და დარეგულირებაზე. კვლევათა უმრავლესობა სწორედ რელიგიის დესტრუქციულ როლზე აკეთებს აქცენტს. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი იმ საკითხის მიმართ, თუ რამდენად შეიძლება რელიგიამ დადებითი როლი ითამაშოს კონფლიქტების დარეგულირებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში. რელიგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის მნიშვნელობა ცხადია იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ის

დაპირისპირებული მხარეების ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ცხადია, ასევე, ის გარემოებაც, რომ კონფლიქტის პირობებში ხდება რელიგიის პოლიტიზება; წმინდა ტექსტების ინტერპრეტაციისას აქცენტი უფრო მეტად კეთდება არა მშვიდობიანი თანაარსებობის მოძღვრებაზე, არამედ დაპირისპირების ხელშემწყობ ასპექტებზე.

რელიგიის როლის შესწავლა ინტერკულტურული დიალოგის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ნაბიჯია კულტურისა და მშვიდობის მშენებლობის კვლევისათვის. რელიგიური ნორმები და ფასეულობები კულტურული იდენტობის ცენტრალური ასპექტებია. ისევე, როგორც სხვა კულტურულმა ფასეულობებმა, ამ ფასეულობებმაც შეიძლება უბიძგოს ადამიანებს, როგორც დაპირისპირების, ასევე, შერიგებისაკენ; რელიგიური რიტუალები ასევე, წარმოადგენენ მნიშვნელოვან იარაღს დაპირისპირების დასაძლევად და თანამშრომლობის ხელშესაწყობად.

ჩემი აზრით, ინტერრელიგიური დიალოგის ხელშეწყობისა და მშვიდობიანი საზოგადოების მშენებლობის უმთავრესი წყარო თავად რელიგიურ ტრადიციაში იძებნება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ ტრადიციების არა მხოლოდ შესწავლა, არამედ ფართო საზოგადოებისთვის თვალსაჩინოდ წარმოჩენა. ეს აუცილებელი პირობაა უარყოფითი სტერეოტიპების დაძლევისა და სხვადასხვა რელიგიას შორის ნდობის გასამყარებლად. სტერეოტიპული აზროვნების დაძლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები “აღმოაჩენენ”, რომ რელიგია, როგორც იდენტობის მარკერი, არა კონფრონტაციის, არამედ გაერთიანების საფუძველია.

ქ ე თ ე ვ ა ნ პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი
საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა
მახლობელ აღმოსავლეთში XX ს-ის 20-60-იან წლებში
(“სტალინის პროექტი” და ე.წ. “ფორთოხლის გარიგება”)

რუსეთის საეკლესიო-პოლიტიკურ ინტერესებს “წმინდა მიწისადმი” მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელმაც რთული ევოლუციური გზა განვლო და მრავალმხრივი სიმძიმეებით ხასიათდება. საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის დამკვიდრებისათვის რუსეთი ნაირგვარ პროექტებს ქმნიდა,

რომლებიც შეესაბამებოდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. მათ შორის მიზანმიმართულებით გამოირჩეოდნენ ე.წ. ნესელორდეს, მანსუროვის, ანტონინეს, ხიტროვოსა და სტალინის პროგრამები, რომლებიც მოქმედებდნენ XIX-XX საუკუნეების განმავლობაში. წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტი “სტალინის პროექტია,” რომელიც ასახავს საბჭოთა იმპერიის გამიზნულ პოლიტიკას მახლობელი აღმოსავლეთისადმი.

XIX ს-ის დასაწყისში წმინდა მიწაზე წარმატებით მოქმედმა რუსულმა მისიამ სახელმწიფო გადატრიალების (1917 წ.) შემდგომ დამცრობა განიცადა; გაწყდა კავშირი პალესტინასა და რუსეთს შორის; კანონიკურად მისია მოწყდა რუსეთის საპატრიარქოს და დაემორჩილა რუსეთის ემიგრანტულ ეკლესიას, საეკლესიო ქონებას 1918 წლიდან დაეუფლა ინგლისის კოლონიური მმართველობა, რომელმაც იგი 1922 წ. დაიკანონა. მიუხედავად სახელმწიფოებრივი სისტემის ცვლილებისა რუსეთში, მთავრობას წმინდა მიწის მიმართ ამბიციები არ დაუკარგავს. 1923 წლიდან საბჭოეთში განვითარებული ანტისარწმუნოებრივი კურსის გვერდით ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა პალესტინაზე რუსული უფლებების დაბრუნებისათვის. 20-იანი წლების რუსულ-ინგლისურ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია. 40-იან წლებში ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებმა სსრკ-მ და ინგლისმა შეთანხმებას მიაღწიეს. 1945 წ. ინგლისმა ნოტას საფუძველზე რუსეთს დაუბრუნა პალესტინის ქონება.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ი. სტალინის დავალებით რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენლობა პალესტინაში მოსალოცად გაემგზავრა; დაიწყო იდეოლოგიური ბრძოლა პალესტინისათვის, რომელიც ბერლინისათვის სამხედრო ბრძოლების პარალელურად მიმდინარეობდა და მის გაგრძელებას წარმოადგენდა. 25 “სტალინის პროექტი” რუსეთის ეკლესიის სასარგებლო გეგმებს ისახავდა მიზნად, კერძოდ, რუსეთის ეკლესიის მსოფლიო ეკლესიად აღიარების მოთხოვნას. “პროექტი” ითვალისწინებდა მართლმადიდებლურ საპატრიარქო ტახტებზე რუსი იერარქების დანიშვნასაც. ამ უტოპიურ-ამბიციურმა პროექტმა განხორციელება ვერ მოახერხა სსრკ-ში განვითარებული მოვლენებისა და “ცივი ომის” დაწყების გამო. აქ გათვალისწინებულია ისრაელ-არაბეთის ომის შედეგები, რომლის თანახმად რუსული მისიის უძრავი ქონება ორი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცა: ისრაელის მხარეს დარჩენილი ქონება რუსეთის საპატრიარქოს დაექვემდებარა, ხოლო იორდანის მხარე დარჩა რუსული ემიგრანტული ეკლესიის იურისდიქციაში

(1948 წ.) ვითარება არც 1967 წლის “ექვსდღიანმა” ომმა შეცვალა. ისრაელის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონება 1964 წ.ნ. ხრუმჭოვის პოლიტიკით მიზერულ თანხებში მიეყიდა იზრაელს. “ცივი ომის” პერიოდის პალესტინისადმი საეკლესიო პოლიტიკა დიპლომატიის ისტორიოგრაფიაში შევიდა “ფორთოხლის გარიგების” სახელწოდებით.

გიორგი პაპუაშვილი „რელიგიის“ პროვიდენციული გააზრებისათვის

თანამედროვე მსოფლიო კარგა ხანია ცხოვრობს ცნებათა მიზანმიმართული აღრევის პირობებში - როდესაც მონობა თავისუფლებად, ბოროტება სიკეთედ, სიძულვილი სიყვარულად საღდება. ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ გარკვეული დროის წინ კაცობრიობამ საკუთარი გონების გაკერპების სანაცვლოდ უარი თქვა ჭეშმარიტებაზე. წუთისოფლის სიბრძნემ ჭეშმარიტებას ფარდობითობის თეორიის ფარგლებში მიუჩინა ადგილი. აწ უკვე ყოველ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს საკუთარი „ჭეშმარიტება“. გაქრა ზღვარი სიცრუესა და სიმართლეს შორის.რომ დავაღწიოთ არსებული სიცრუის მორევს თავი,ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ყოველი ცნების საღვთისმეტყველო გააზრება.ამ შემთხვევაში ვისაუბრებთ რელიგიის შესახებ.

არსებობს რამდენიმე მოსაზრება, თუ როგორ დამკვიდრდა სიტყვა „რელიგია“ (ლათ. religio - სინდისიერება, კეთილმსახურება, ღვთისმოსაობა). ციცერონს მიაჩნდა, რომ „რელიგია“ ნაწარმოებია ლათინური ზმნიდან „relegare“ (ხელახლა შეკრება, ისევ დაფიქსირება).

ცნობილი ქრისტიანი მწერლის, ლაქტანციუსის, აზრით, ტერმინი „რელიგია“ წარმოდგება ლათინური ზმნიდან „religare“, რაც შეერთებას,დაკავშირებას ნიშნავს. ნეტარი ავგუსტინეს მოსაზრებით ტერმინი „რელიგია“ წარმოიქმნა ზმნიდან „reeligare“, რაც ნიშნავს ხელახლა შემოერთებას,კავშირის განახლებას,აღდგენას. რელიგიის შესახებ არსებულ მოსაზრებათა ანალიზის საფუძველზე იკვეთება აღნიშნული სიტყვის ორი მნიშვნელობა: ღვთისმოსაობა და კავშირის აღდგენა. მაგრამ, მიუხედავად ჩვენი ღვთისმოსაობისა და კავშირის აღდგენის მცდელობისა, თუ არ ვიცით, ვის ვესაუბრებით, არაფერი არ გამოვა. უფრო მეტიც, ცრუსარწმუნოებით შეიძლება დავიღუპოთ კიდეც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭეშმარიტება ერთია და ღმერთიც ერთია. მაშინ ბუნებრივად ჩნდება კითხვა - რატომ არსებობს მრავალი რელიგია? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ ადამიანისა და სამყაროს ღვთაებმომქმედებაზე. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს სამყაროს უკიდევანობა, უსასრულობა და მისი აგებულების ზეგონებრივობა. სულიერ სიბრძნეში მყოფ თანამედროვე ადამიანს არ ძალუძს ამ ყოველივეს გააზრება და ესეც სწორედ კიდევ ერთი დასტურია ყოვლისშემძლე ღმერთის არსებობისა. პირველყოფის შედეგად დაცემულმა და სამოთხიდან გამოდევნილმა ადამიანმა დაკარგა ჭეშმარიტების აღქმა-გაშინაარსების უნარი. მისი ყოველი მცდელობა კავშირის აღდგენისა მარცხით მთავრდებოდა და ასეც გაგრძელდებოდა, რომ არა მაცხოვრის გამომსყიდველობითი მსხვერპლშეწირვა.“ მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით“. (იოანე 14.6.). ყველა სხვა რელიგია, გარდა ქრისტიანობისა, პოლითეისტური, პანთეისტური თუ მონოთეისტური - ესაა მცდელობა კავშირის აღდგენისა ღმერთთან, იმ გენეტიკური მახსოვრობის ნიადაგზე, რომელიც ფრაგმენტულად არსებობდა ადამიანში ყოველთვის.სხვა რელიგიების ფუძემდებელნი ძირითადად მქადაგებელნი არიან, ამიტომ მათ არაფერი დააკლდებოდათ,თუ მაუწყებელი სხვა იქნებოდა.მაგრამ განა შეიძლებოდა ქრისტიანობა დაეფუძნებინა სხვას, ქრისტეს გარდა? მას შეიძლებოდა ექადაგა ზნეობრივი სწავლება, მაგრამ არ იქნებოდა უმთავრესი - გამომსყიდველობითი მსხვერპლი! ქრისტიანობის არსს შეადგენს მაცხოვრის ჯვარცმა და აღდგომა,რომლის მეშვეობითაც კაცობრიობას მიეცა ახლად შობის შესაძლებლობა,შესაძლებლობა ჭეშმარიტი ღვთისმოსაობის მეშვეობით უფალთან დაბრუნებისა.

ელენე მექმარიაშვილი ფრანსის პერკინსი – პირველი ქალი აშშ-ის მთავრობაში

მოხსენებაში განხილულია ამერიკის ისტორიაში პირველი ქალი-მინისტრის ფრანსის პერკინსის მოღვაწეობა, ის მიზეზები, რამაც პრეზიდენტ რუზველტს ქვეყნისათვის უმძიმეს დროს ადმინისტრაციაში შრომის მინისტრად ქალის შეყვანის უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიაღებინა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ამერიკელი ქალები სამოქალაქო და სოციალური უფლებებით

პრაქტიკულად არ სარგებლობდნენ, კატასტროფული უმუშევრობის დაძლევა პრეზიდენტმა ქალს ანდო. ამის ახსნა შემდეგი მიზეზებით შეიძლება: ფ. პერკინსი პროფესიონალი პოლიტიკოსი იყო; მას ჰქონდა დიდი გამოცდილება და შესაბამისი პიროვნული თვისებები – პასუხისმგებლობის, სამართლიანობის გრძნობა, პრინციპულობა, მიზანდასახულობა, ენერგიულობა, სწრაფვა წარმატებისაკენ, სულის სიმტკიცე, შეუპოვარი ხასიათი, კარგი განათლება. პერკინსის წარმატებას, მის კარიერულ ზრდას ხელი შეუწყო, ასევე, ოჯახის ფასეულობებმა და რელიგიურმა მრწამსმა. ამგვარად, ის აკმაყოფილებდა ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ქალს წარმატებული პოლიტიკური კარიერა ჰქონდეს და მაღალი თანამდებობა დაიკავოს, მიუხედავად გარემოსი, რომელშიც ის ცხოვრობს.

ფ. პერკინსმა წარმატებით განახორციელა ყველაფერი, რისიც სწამდა. ის მთელი ქვეყნის კეთილდღეობასა და, განსაკუთრებით, ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. ამიტომ მისი ფემინისტად თუ არა, ქალების გულშემატკივრად მონათვლა მაინც შეიძლება. თუმცა, ის კანონები და რეფორმები, რომლებიც ფრანსის პერკინსის ინიციატივით გატარდა, მიზნად ისახავდა აშშ-ის მთელი მოსახლეობის, სქესის მიუხედავად, კეთილდღეობას. გარდა იმისა, რომ ამ რეფორმების წყალობით ქვეყანა სერიოზულ სოციალურ კატაკლიზმებს გადაურჩა, ისინი თავისი დემოკრატიული და პროგრესული ხასიათით სანიმუშო აღმოჩნდა მთელი დემოკრატიული სამყაროსთვის.

ფრანსის პერკინსის მსგავსი პოლიტიკოსი ქალის ფიგურა – შრომისმოყვარე, დისციპლინირებული, ამბიციური და, რაც მთავარია, თავისი ქვეყნის პატრიოტი, ალბათ, ყველა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც ღირსეულ ადგილს იპოვიდა. თუმცა, ამაზე კამათი შეიძლება.

მ ა რ ი ნ ე ფ უ თ უ რ ი ძ ე **მოხატული კერამიკის გავრცელება სამხრეთ კავკასიაში და მისი** **კულტურული იდენტიფიკაციის საკითხი**

ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრისა და შუა ხანების მოხატული კერამიკა განეკუთვნება იმ კატეგორიის მასალებს, რომელთა საფუძველზეც სამხრეთ კავკასია და მისი მომიჯნავე

წინააზიური კულტურები ყველაზე მკაფიოდ ამჟღავნებენ კულტურულ კონტაქტებს. ფაქტობრივად, სწორედ ეს ეპოქა, რომელიც დღეისათვის აღიარებულ ქრონოლოგიურ სისტემაში იკავებს შუა ბრინჯაოსა და შუიდან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს, არის ის ეტაპი, როცა სამხრეთ კავკასიის კულტურებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენა ხდება მოხატული კერამიკის არსებობა. ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნამდე აღნიშნულ რეგიონში, განსხვავებით წინააზიური კულტურებისაგან, მოხატული კერამიკის არსებობა, იშვიათი შემთხვევების გარდა, ნიშანდობლივი ფაქტი არ ჩანს.

სწორედ შუა ბრინჯაოს ხანის (უფრო ზუსტად, შუა ბრინჯაო II-ის) დაწყება იყო ის მიჯნა, როცა სამხრეთ კავკასიაში მასობრივად დაიწყო გამოჩენა მოხატულმა კერამიკამ, როგორც ახალმა კულტურულმა მოვლენამ და იგი დამახასიათებელი გახდა ამ ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე წარმოდგენილი კულტურებისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ შუა ბრინჯაოს ხანა და ასევე შუადან გვიან ბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდი, ჩვენთვის საინტერესო რეგიონში წარმოდგენილი იყო განსხვავებული კულტურებით, ბუნებრივია, მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კერამიკული ჯგუფებიც მკაფიოდ განსხვავებული და თავისებურებათა მთელი კომპლექტით გამორჩეული აღმოჩნდა. აღნიშნულ ეპოქებში წარმოდგენილი კულტურებიდან (თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების, კარმირ-ბერდის, სევან-უზერლიკის და კარმირ-ვანქის კულტურები) თითოეულისთვის დამახასიათებელი კერამიკული ანსამბლი მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივ თავისებურებათა მთელი კომპლექტით ხასიათდება. ეს განსხვავებანი სრულიად მკვეთრად გამოხატული როგორც მოხატვის მოტივების, სიუჟეტური განვითარების, სტილის, ფერთა გამის, ჭურჭლის ფორმისა და მისი სხვადასხვა მონაკვეთის შემკობის, ისე თვით კეცის სტრუქტურისა და დამზადების ტექნოლოგიური ხერხების მხრივ. სწორედ აღნიშნულ სპეციფიკათა გათვალისწინებაზე დაყრდნობით მათი დეფინიცია ხდება როგორც თრიალეთური, კარმირ-ბერდის, სევან-უზერლიკის და კარმირ-ვანქის მოხატული კერამიკული ტიპებისა.

ჩვენ ვეხებით თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ მოხატულ კერამიკულ ნაწარმს მათი შედარებითი ანალიზისა და ამასთანავე წინააზიური მასალების კონტექსტის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით კვლევა ამოსავალი მომენტია

მოხატული კერამიკის თითოეული ტიპის წარმომავლობისა და ქრონოლოგიური ატრიბუციის დასადგენად.

გიორგი ოთხმეზური **ყუთლუ-არსლანის წარმომავლობის საკითხისათვის**

1. საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის გამეფებისას: თამარის ხელმეორედ მეფედ კურთხევა, დიდგვაროვანთა მოთხოვნა გიორგი III-ის მიერ დაწინაურებულ “უგვართა” გადაყენების შესახებ, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა.

2. ქართულ ისტორიოგრაფიაში ყუთლუ-არსლანის წარმომავლობისა და მისი “უცხოდ მოსაგონებელი” პროგრამის შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული. ერთი თვალსაზრისით (მ. ჯანაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. სოსელია), საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი დაბალი სოციალური წარმომავლობის, ე.წ. მესამე წოდების – მოქალაქეთა წრის წარმომადგენელია და ამდენად მისი მოძრაობაც პროგრესულ ხასიათს ატარებდა – მოითხოვდა ხელისუფლების დანაწილებას და მოქალაქეთა ფენის ჩართვას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მეორე თვალსაზრისით (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, შ. მესხია...), ყუთლუ-არსლანი და მისი დასის წევრები დიდგვაროვანი ფეოდალები იყვნენ, რომელთა მოძრაობაც მიზნად ისახავდა მათი ფეოდალური სახლების ინტერესების შემდგომ გაფართოებას და, აქედან გამომდინარე, ეს მოძრაობაც რეაქციულ ხასიათს ატარებდა.

3. აღნიშნული პრობლემის განხილვისას მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ყუთლუ-არსლანის წარმომავლობის დადგენას. ქართულ ნარატიულ წყაროებში („ისტორიანი და აზმნანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ვახუშტი ბაგრატიონი) დაცული ცნობები ამ საკითხის სხვადასხვგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ჩვენი აზრით, საკითხს ნათელს ხდის კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერები, რომელშიც ყუთლუ-არსლანი მოხსენიებულია როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდგვაროვანი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი.

ბეჟან ჯავახია

ომისადმი დამოკიდებულების საკითხისათვის ადრემუასაუკუნეებში და სახელმწიფო ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება

ადრემუასაუკუნეებში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებასთან ერთად, სახელმწიფოს მართვა და საერო ხელისუფლების განხორციელება უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან. ფრიად საინტერესოა, როგორ იცვლებოდა და ყალიბდებოდა შუა საუკუნეების სახელმწიფო მსოფლმხედველობა, რომელიც საეკლესიო ავტორიტეტზე იყო დამყარებული. ომისადმი დამოკიდებულება იყო პირველ ქრისტიანებში განსაკუთრებული განხილვის საკითხი, რომლის გარშემო ფართო დისკუსია მიმდინარეობდა ადრემუა საუკუნეების საზოგადოებაში.

ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომში "ღვთის ქალაქის შესახებ" წარმოდგენილი თეორია სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ, გახდა საფუძველი შუა საუკუნეების დასავლეთში ქრისტიანული სამხედრო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. ამ თეორიის თანახმად, ომი შეიძლება იყოს სამართლიანი და ქრისტიანებს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლიათ მასში მონაწილეობა. ასე რომ, თუკი პირველ საუკუნეებში ქრისტიანები თვლიდნენ, რომ უნდა ყოფილიყვნენ მორჩილნი და "არამომალადეები", ნეტარი ავგუსტინეს მიერ წამოყენებული თეორია გახდა საფუძველი იმ იდეოლოგიისა, რომლის მიხედვითაც გაიყო ფუნქციები ქრისტიანებში - ერთნი იბრძვიან დემონებისა და ბოროტების წინააღმდეგ ლოცვით, მაშინ, როდესაც დანარჩენები იბრძვიან ბარბაროსების წინააღმდეგ იარაღით. მკვიდრდება მხედართა მფარველი ანგელოზებისა და წმინდანთა კულტი (ღვთისმშობელი, მიხეილ მთავარანგელოზი, წმინდა გიორგი...). ამ ფონზე დასავლეთში VII საუკუნეში იქმნება ტროპარები და ლოცვები, რომლებშიც წმინდანებს შესთხოვენ ომში გამარჯვების მოპოვებასა და მტრის ძლევას. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან ქალაქების მფარველნი, რომელთა მეოხებით იყო შესაძლებელი ძლევა. ასე რომ, თანდათან ერთმანეთს ერწყმის სამხედრო და ქრისტიანული მსოფლმხედველობა. V საუკუნეში შექმნილ ტურინის ეპისკოპოს მაქსიმის ჰომილიაში ასეთნაირად არის გადმოცემული ომისადმი დამოკიდებულება – (Non enim militare delictum est, sed propter praedam militare peccatum – დანაშაულია არა სამხედრო სამსახური, არამედ მაროდურობა ომში).

ომისადმი დამოკიდებულების ახლებური ქრისტიანული მოტივი წარმოდგენილია 796 წელს კარლოს დიდის მიერ პაპ ლეო III-სადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ფრანკთა მეფის პოზიცია პაპების მიმართ და ასევე ფრანკთა სახელმწიფოს იდეოლოგია ომთან დაკავშირებით: “ჩვენი ამოცანაა, ღვთის შემწეობით დავიცვათ იარაღით წმინდა ეკლესია ყველგან წარმართთა თავდასხმისაგან და გარედან ურწმუნოთა აოხრებისაგან, კათოლიკური რწმენის აღიარებით განვმტკიცდეთ. თქვენი მოვალეობა საპირისპიროა, როგორც მოსე აღმართული ხელებით ლოცულობდა ისრაელთა გამარჯვებისათვის, თქვენც ილოცოთ და ლოცვით შეგვეწიეთ ბრძოლაში. თქვენი ლოცვითა და უფლის წინამძღოლობით და ქრისტიანი ხალხის შემწეობით, ქრისტეს სახელით ყველგან მოვიპოვებთ გამარჯვებას და ჩვენი ღმერთის ქრისტეს სახელი გაბრწყინდება მთელს მსოფლიოში”. კარლოს დიდის ამ წერილის შინაარსიდან გამოკვეთილია საერო (Regnum) და სასულიერო (Sacerdotum) ხელისუფლების, ფრანკთა მეფისა და რომის პაპის ფუნქციები.

აკაკი გეთიაშვილი ჰუსიტური რეფორმაციის ისტორიიდან (პრალის ოთხი მუხლის პროგრამა)

ჰუსიზმი და ჰუსიტური ომები ადრეული რეფორმაციისა და ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. რელიგიური, პოლიტიკური, ეროვნული და სოციალურ ეკონომიკური პრობლემები აქ იმდენად მჭიდროდ იყო ურთიერთშერწყმული, რომ იქმნებოდა ამ მოძრაობაში მონაწილე სოციალურ ძალთა ინტერესების თანხვედრისა თუ დაპირისპირების მრავალმხრივი სურათი.

ჩეხური რეფორმაციის შესწავლისას მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პრალის 1419-20 წლების მოვლენები, კერძოდ კი ე.წ. „პრალის ოთხი მუხლი“. ეს მცირე მოცულობის, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მკვლევრებს ჰუსიტური მოძრაობის თითქმის ყველაზე სრულყოფილ პროგრამად მიაჩნიათ (მაგ. ნეედლი, კაფკა და სხვები). მართალია არსებობს ამ დოკუმენტის შეფასებისას განსხვავებული მოსაზრებაც (მაგ. მაცეკი, რუბცოვი და სხვები), მაგრამ ამით მისი მნიშვნელობა სულაც არ იჩრდილება.

ჩვენი აზრით, ამ პროგრამაში ყველაზე სრულად გამოჩნდა ჰუსიტური რეფორმაციის პრაგმატული ხასიათი, მისი ფართო სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული შინაარსი. აქ არ ჩანს იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი უტოპიური ან ჯერ კიდევ მოუძმწიფებელი და განხორციელების შესაძლებლობას მოკლებული მოთხოვნები.

დოკუმენტის ასეთმა ბუნებამ განაპირობა მისი საპროგრამო ხასიათი. აქ გატარებული იდეის გარშემო გაერთიანდა ჰუსიტური მოძრაობის ის ნაწილი, რომელიც ისტორიაში მეზარძმითა სახელით არის ცნობილი.

ნინო ჩიქოვანი **კულტურათა გზაჯვარედინზე არსებობის პრობლემისათვის** **(ბალკანეთი და კავკასია)**

სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასია ისევე, როგორც ბალკანეთი, ევრაზიის ერთ-ერთ ყველაზე მგრძობიარე გზაჯვარედინად განიხილება. გზაჯვარედინზე ყოფნა კულტურული მედიატორის როლის შესრულებას გულისხმობს, ამ როლის გაცნობიერება კავკასიელი ხალხების, მათ შორის, ქართველების მიერ ძალიან ადრეულ ეტაპზე ხდება. განსხვავებული კულტურული ტრადიციების მუდმივი ურთიერთქმედება და თანაარსებობა, როგორც წესი, არ აღიქმება დაპირისპირებისა და კონფლიქტის წყაროდ. ყალიბდება მულტიკულტურული გარემო, რომელიც ჩვეულ რეალობად აღიქმება.

კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე არსებობის „შუაში ყოფნის“ მნიშვნელობა ხალხებისა და ქვეყნების ისტორიისათვის აქტიური სამეცნიერო დისკუსიის საგანია. გზაჯვარედინზე არსებობა და ამით განპირობებული კულტურული ნაკადების ინტენსიური მოძრაობა, უმეტეს შემთხვევაში, განიხილება როგორც განვითარების სტიმული, ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს იქ მცხოვრები ხალხების როლს მსოფლიოში. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მეტაფორა ნეგატიური დატვირთვითაც გვხვდება. იმ მკვლევართა ნაწილი, რომლებიც იზიარებენ აზრს გზაჯვარედინსა და მიჯნაზე ყოფნის არახელსაყრელობის შესახებ, ამავე დროს, აღნიშნავენ, რომ ცივილიზაციათაშორისობა არ არის მხოლოდ გამოწვევა ხალხისათვის; ხანდახან იგი დაწინაურების შანსიცაა. შეიძლება ითქვას, რომ

კავკასიისა და ბალკანეთის ხალხებისათვის გზაჯვარედინისა და ხიდის მეტაფორამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა კავკასიის, როგორც კულტურათა სასაზღვრო ზონის, განხილვის ტრადიცია. მსგავსი თვალსაზრისი ბალკანეთთან დაკავშირებითაცაა გამოთქმული.

სასაზღვრო ზონებში და გზაჯვარედინზე მცხოვრები ხალხებისათვის მტკივნეული და აქტუალურია იდენტობის საკითხი. იგი მოიცავს არა მხოლოდ ლოკალური, არამედ რეგიონული იდენტობის პრობლემასაც.

ისევე, როგორც ბალკანური იდენტობის შემთხვევაში, კავკასიურ იდენტობაზე საუბარი ნიშნავს იმის თაობაზე მსჯელობას, თუ როგორ განსაზღვრავენ მიმართებას სავარაუდო კავკასიურ იდენტობასთან კავკასიელი ერების განათლებული ელიტა, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ეთნიკური, ნაციონალური, რელიგიური, ლოკალური და სხვა მრავალგანზომილებიანი იდენტობა. კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი: მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კავკასიელი ხალხისათვის კავკასიელობის იდეა, ისტორიულად და დღეს თანაბრად მნიშვნელოვანი არ არის, მათ აერთიანებთ „კავკასიელად“ ყოფნის საერთო განცდა. იგი საერთო სივრცეში ხანგრძლივი თანაარსებობის შედეგად ჩამოყალიბებული, „საერთო ტონალობაზე“ დამყარებული თვითიდენტიფიკაციაა, კავკასიელ ხალხთა მრავალშრიანი თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი დონე.

სამეცნიერო და პოპულარულ დისკურსში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მითოლოგემაა „კავკასიური მენტალობა“. ზოგადად, მენტალობაზე მსჯელობა შესაძლებელია მკაცრად ისტორიულ, დროით კონტექსტში, დიაქრონული მენტალობა მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული ლეგენდაა, რომელიც შეიძლება მითოლოგიზაციის საფუძვლად იქცეს. ეს გასათვალისწინებელია „კავკასიურ მენტალობაზე“ მსჯელობის დროსაც.

მიხეილ ბახტაძე **1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის 11-17 თებერვლის** **ბრძოლები**

1. 1921 წლის 11 თებერვლისათვის საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე განლაგებული იყო შემდეგი ქართული შენაერთები: ვორონცოვკაში გვარდიის ორი ბატალიონი და

ორი ესკადრონი, ჯალალ-ოღლიში გვარდიის ორი ბატალიონი, სანაინის მიმართულებაზე II ბრიგადის მე-5 და მე-8 ათასეულები, წითელ ხიდთან გვარდიის ერთი ბატალიონი, ფოილოს ხიდთან გვარდიის ორი ბატალიონი. რეზერვში იყო გვარდიის ექვსი ბატალიონი.

2. 11-12 თებერვლის დამეს საბჭოთა სომხეთისა და საბჭოთა რუსეთის ნაწილები თავს დაესხნენ ვორონცოვკაში ჯალალ-ოღლისა და სანაინის მიმართულებაზე განლაგებულ ქართულ შენაერთებს.

3. 13 თებერვალს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ორ კოლონად გენერლების სუმბათაშვილისა და ჯიჯიხიას მეთაურობით კონტრშეტევის განხორციელება სცადეს.

4. 14 თებერვალს მოწინააღმდეგემ ქართული ჯარის ნაწილებზე შეტევა განაახლა.

5. ქართულმა შენაერთებმა უკან დახევა განაგრძეს. ვორონცოვკისა და ჯალალ-ოღლის დაჯგუფებმა ეკატერინენფელდის, ხოლო სუმბათაშვილისა და ჯიჯიხიას რაზმებმა მდ. ხრამის მიმართულებით.

6. 16 თებერვალს წითელი და ფოილოს ხიდების მიმართულებიდან და, ასევე, ზაქათალის მხრიდან ქართული ჯარის წინააღმდეგ შეტევა საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ნაწილებმა დაიწყო. ამავე დღეს ვორონცოვკიდან და ჯალალ-ოღლიდან უკანდახეული გვარდიის ნაწილები ეკატერინენფელდში მივიდნენ. შემდგომი მოქმედების შესახებ ბრძანების არქონის გამო, ფაქტობრივად, ალყაშემორტყმულებმა სანდარასაკენ ბრძოლით გაიკაფეს გზა. მცირე ნაწილი ტაბახმელას მიმართულებით წავიდა.

7. ფოილოს ხიდი ქართველებმა ააფეთქეს და მოწინააღმდეგემ შეტევა ვეღარ გააგრძელა. აქ მყოფი გვარდიის ნაწილები მტერს მდინარის ფორსირების საშუალებას არ აძლევდნენ.

8. წითელი ხიდიდან დაწყებული შემოტევის შეჩერება კი ჯარის მცირერიცხოვნების გამო ვერ მოხერხდა. შედეგად, მე-11 არმიის ველიკანოვის დაჯგუფება მდ. ხრამზე მდგარი ქართული შენაერთების ფლანგზე და ზურგში მოექცა. ამან ბრძოლის ბედი გადაწყვიტა.

9. ქართულმა შენაერთებმა მდ. ხრამზე პოზიციები დატოვეს და თბილისისაკენ უწესრიგოდ უკანდახევა დაიწყეს.

10. ზაქათალის მხრიდან შემოჭრილი მე-11 არმიის კურიშკოს დაჯგუფებისათვის აქ მყოფმა მცირერიცხოვანმა და გაფანტულად

მოქმედმა ქართულმა სამხედრო ნაწილებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს და უკან დახევა დაიწყეს.

11. 16 თებერვლის საღამოს 22 საათზე ახალმა მთავარსარდალმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, ყველა ქართული შენაერთის თბილისისკენ უკანდახევის ბრძანება გასცა.

12. 17 თებერვალს ეკატერინენფელდიდან მომავალი ქართული შენაერთები სანდარაში მოვიდნენ და ჯერ კიდევ აქ მყოფ სადახლოდან უკანდახეულ ნაწილებს შეუერთდნენ. ამის შემდეგ მათ თბილისისკენ დაიხიეს.

13. 18 თებერვალს მტერი უშუალოდ თბილისისაკენ დაიძრა.

აკოლონ თაბუაშვილი **სახელმწიფო საგადასახადო სისტემა XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში**

გვიან შუა საუკუნეებში ქართლის სამეფო სათავადოთა კრებულს წარმოადგენდა. თავადები სარგებლობდნენ საგადასახადო შეუვალობით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სათავადოები გადასახადებისგან ნაწილობრივ გათავისუფლებულნი იყვნენ. სახელმწიფო გადასახადებს თავადები თვითონ უნაწილებდნენ თავიანთ ყმებს და თავადვე კრებდნენ.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში საგადასახადო სისტემას ცვლილებები შეეხო. საისტორიო დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ დროს გადასახადები გაიწერებოდა კონკრეტულ პირებზე და არა სათავადოებზე. ქართლ-კახეთის სამეფოს მდივნის ეგნატე თუმანიშვილის და სხვა მოხელეთა მოხსენებებიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის 70-იან-90-იან წლებში ცენტრალური ხელისუფლება ყველა გადასახადის შეგროვებას მკაცრად აკონტროლებდა; შეწერა ხდებოდა სამეფო კარზე არსებული ქვეყნის აღწერის დავთრებზე დაყრდნობით, კომლობრივად და არა პროვინციების მიხედვით; გამოსაღების გამოღება ევალებოდათ მეფის მოხელეებს – სურსათის იასაულებს და სხვა სპეციალურად ამ საქმისთვის გამოყოფილ მოხელეებს.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ერეკლე II-მ მოახერხა საგადასახადო სისტემის სრული გარდაქმნა. აღნიშნულ რეფორმას ორმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა: I. სახელმწიფო გადასახადები გაცილებით რაციონალურად იკრიბებოდა, რაც თავისთავად ზრდიდა სამეფოს შემოსავლებს; II. სათავადოებში გაუქმდა ე.წ. საგადასახადო

იმუნიტეტი – მათი ყმები, ისევე, როგორც სახასო ყმები, სრულად იბეგრებოდნენ და ამ გადასახადის განაწილება-შეგროვების ერთპიროვნული უფლებაც ჩამოერთვათ მათ. ერთი სიტყვით, საგადასახადო სისტემა ცენტრალიზებული გახდა.

მაია ქვრივიშვილი **ტრანზიციის პერიოდის ქართული ინტელიგენცია**

ყოველ გარდამავალ ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარსულის კონსტრუირებას, რაც დაკავშირებული იდენტობის –საკუთარი მეს ძიებასთან. XIX და XX საუკუნეებში ამ წარსულთა შექმნამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაციონალიზმ(ებ)ის ჩამოყალიბებაში. თითქმის საუკუნე-ნახევრის წინ ერნესტ რენანმა ერი დაახასიათა, როგორც „წარსულზე არასწორი წარმოდგენის... მქონე ხალხთა ჯგუფი“. აღსანიშნავია, რომ ეს „არასწორი წარმოდგენები“ მექანიკურად არ გადაეცემოდა თაობიდან თაობას, არამედ მიზანმიმართულად მუშავდებოდა ინტელექტუალთა მიერ (მათ შორის იყვნენ ისტორიკოსები, ასევე მწერლები, პოეტები, არტისტები და პოლიტიკოსები, რომელთაც სწამდათ ამ “ისტორიების” სინამდვილე და უტყუარობა).

ინტელიგენცია – ინტელექტუალთა ფენა – წარმოადგენს საზოგადოების იმ ნაწილს, რომლის პროფესიულ საქმიანობასაც გონებრივი, შემოქმედებითი ინტელექტუალური შრომა შეადგენს, რომელიც ავითარებს და ავრცელებს კულტურას. საუბარია მის სოციალურ როლზე საზოგადოებრივ სტრუქტურებში. მაგრამ არის თვალსაზრისი, რომლის შესაბამისად, ინტელიგენციის, როგორც სოციალური ტიპის მოვლენის, განმსაზღვრელი ნიშანია მისი დამოკიდებულება ღირებულებებისადმი, რომლებიც გამოხატულია მათი ალტერნატიული სისტემის ძიებისას, რაც დაკავშირებულია მის სულიერ და მსოფლმხედველობით თავისებურებებთან. ინტელიგენცია მნიშვნელოვან როლს – დადებითსაც და უარყოფითსაც – თამაშობს გარდამავალი ეპოქის საზოგადოების დაკარგული იდენტობის ძიებაში, რაც გამოწვეულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტრანსფორმაციით. ქართული ინტელიგენცია, რომელმაც საკუთარ თავზე გამოცადა დიდი ტრანსფორმაციები და ღირებულებითი ორიენტაციების ცვლილება, დილემის წინაშე აღმოჩნდა და თავად განიცადა იდენტობის კრიზისი.

საბჭოთა სახელმწიფოს დაშლამ გამოიწვია ინტელიგენციის, როგორც სოციალური ჯგუფის, ფუნქციის შეცვლა. როგორც მთლიანად პოსტსაბჭოთა საქართველოს საზოგადოება, ისე ინტელიგენცია საბჭოთა სისტემის პროდუქტი იყო, ამავე დროს, ეს უკანასკნელი საბჭოთა საზოგადოების ის ნაწილი იყო, რომელსაც რეჟიმი საკუთარი მხარდამჭერის ფუნქციას აკისრებდა. ინტელიგენციას, ტრანზიციის პერიოდში (რომელიც საქართველოს რეალობაში განსაკუთრებით გართულდა და დროში კიდევ უფრო გაიჭიმა) გაუჭირდა საკუთარი როლის და ფუნქციის შესრულება, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მიანიჭა არჩილ ჯორჯაძემ: ქართული ინტელიგენცია – ეროვნული კულტურის გამომხატველი, კულტურის მატარებელი და დამცველია.

მერაბ კალანდაძე **ქართული მედიევსტიკის ძირითადი ეტაპები**

1. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ქართული მედიევსტიკის განვითარების პერიოდიზაცია. გამოვყოფთ იმ ძირითად ეტაპებს, რომელიც განვლო ქართულმა მედიევსტიკამ. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური, ეს თემა ჯერ არ გამხდარა ქართული ისტორიოგრაფიაში საგანგებო შესწავლის საგანი და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მოკლედ შევჩერებულიყავით მასზე.

2. ქართული მედიევსტიკის პერიოდიზაცია მჭიდროდ უკავშირდება ერთ, ჩვენი აზრით, საინტერესო და აქტუალურ საკითხს, ქართული მედიევსტიკის ფერისცალებას, ევოლუციას, რომელიც უმთავრესად პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებების გამო ფაქტობრივად საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევსტიკის თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა.

3. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ქართულ მედიევსტიკას მეცნიერული კურსი ჰქონდა ადებული და უმთავრესად ევროპულ მედიევსტიკაში არსებულ სიახლეებზე იყო ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1920 წლებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები და 20-იან 30-იან წლების პირველ ნახევარში პროფ. გრ. ნათამის მიერ დაწერილი შრომები. მკვეთრი მეტამორფოზები ხდება 30-იან წლების შუა

ხანებში. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების სტალინიზაციას. მყარდება ერთი მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია. ქართული მედიევისტისკა სწორედ ამ მიმართულებით ვითარდებოდა.

4. ქართულ სინამდვილეში მსოფლიოს შუა საუკუნეების ისტორიაზე პირველ სპორიულ ცნობებს XIX საუკუნის 80-იან წლებში ვაწყდებით, რაც მჭიროდ იყო დაკავშირებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობასთან. მონაკვეთი 1918 წლამდე, ჩვენი აზრით, პირობითად, ქართული მედიევისტისკის განვითარების წინაისტორიად შეიძლება მივიჩნიოთ.

5. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციის აკვანი დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში დაირწა. ეს უმთავრესად ორი გარემოებით იყო განპირობებული. 1918 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებით და 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოები. ამით, ფაქტობრივად, დაიწყო შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაცია. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინადადგმული ნაბიჯი იყო და ამის მიჩუმათება, უგულვებლყოფა, როგორც ამას ჩადიოდა კომუნისტური იდეოლოგია, უმართებლო იქნებოდა. მას მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური და იდეოლოგიური სარჩული აქვს. ეს მონაკვეთი ქართული მედიევისტისკის პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

6. საბჭოთა პერიოდში ქართული მედიევისტისკის განვითარებამ მეცნიერული ელფერი შეიძინა, მაგრამ მან ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩარჩოებში მოექცა. განსხვავებული აზრი სასტიკად იდევენებოდა. ისტორიკოსი შეიძლება ფიზიკურადაც კი გაენადგურებინათ. არჩვენის საშუალება, ფაქტობრივად, არ არსებობდა. “ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული”.

ქეთევან ხუციშვილი საველე ეთნოგრაფია – ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდი

ეთნოლოგიური, შემდგომში ანთროპოლოგიური კვლევის წარმოების ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის ემპირიული და თეორიული, ინტერდისციპლინული და ვიწრო დარგობრივი მეთოდები. დროთა ვითარებაში იცვლებოდა მათდმი დამოკიდებულება, მუდმივად განიხილება ამ მეთოდებით ოპერირების მიზანშეწონილება და მათთან დაკავშირებული ეთიკური საკითხებიც. ძირითადი მეთოდი, რომელიც ეთნოლოგიას (სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიას) გამოარჩევს კულტურის კვლევით დაკავებული სხვა სამეცნიერო დარგებისაგან, არის საველე მუშაობის მეთოდი (რასაც ხშირად საველე ეთნოგრაფიას, ან, უბრალოდ, ეთნოგრაფიას უწოდებენ).

საველე ეთნოგრაფია, ველზე, ე.ი. ბუნებრივ პირობებში პირველადი ეთნოგრაფიული მასალის შეგროვების მიზნით ტრადიციული-ყოფითი კულტურის კვლევას გულისხმობს. საველე კვლევა გულისხმობს საკვლევ რეგიონში ერთი წელი (ინგლისში), ან მინიმუმ სამი თვე (ავსტრია, გერმანია) ცხოვრებას. მიიჩნევა, რომ ამ ხნის მანძილზე შესაძლებელია, გადაილახოს კულტურული ბარიერი (ანუ მოიხსნას უცხო კულტურასთან შეხებით მიღებული “კულტურული შოკი”), მოპოვებულ იქნას ინფორმანტთა ნდობა და მინიმუმამდე შემცირდეს მკვლევრის არაცნობიერი გავლენა მონაცემთა ფილტრაციისას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკვლევ რეგიონის ენას. ითვლება, რომ აუცილებელია იმ ჯგუფის ენის ფლობა, სადაც მუშაობს ეთნოლოგი. ამ მიზნით ხდება ეთნოლოგთა-ანთროპოლოგთა წინასწარი მომზადება.

დარგის განვითარების კვალდაკვალ ხდება ახალი მიდგომებისა და მეთოდების ჩამოყალიბება. ეს მუდმივი პროცესი ძველი შეხედულებების გადასინჯვას გულისხმობს, იგივე ითქმის მეთოდებთან მიმართებითაც. XX საუკუნის მიწურულს ტრადიციული გაგებით ეთნოგრაფიის კრიზისზე საუბრისას დაისვა საკითხი საველე ეთნოგრაფიული პრაქტიკის ცვლილებებთან დაკავშირებით. მკვლევართა ნაწილი მისი მნიშვნელობის დავიწროვებაზე მიუთითებდა, სხვანი კი, პირიქით, მეთოდის ფართო პერსპექტივებზე საუბრობდნენ. ასეთი დისკუსიები პერიოდულად კვლავდაკვლავ ჩნდება და დიდი მნიშვნელობა აქვს დარგის ზოგადი თეორიულ-მეთოდოლოგიური განვითარების თვალსაზრისით.

საველე კვლევისას ეთნოლოგები იყენებენ როგორც ობიექტურ (რაოდენობრივ), ასევე სუბიექტურ (ხარისხობრივ, ინტერპრეტიულ, შეფასებით) მეთოდებს. თუმცა, ეთნოლოგებისთვის სწორედ „სუბიექტური“ მეთოდებია (მონაწილე დამკვირვებლობა, ბიოგრაფიული მეთოდი და სხვ.) ღირებულების მქონე. იგივე მიდგომა რჩება აქტუალურად დღეისთვისაც. მეთოდთა გამრავალფეროვნებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა საველე ეთნოგრაფიას. შესაბამისად, დისკუსიის საგნად მისი წარმართვის ტექნიკა რჩება.

განსაკუთრებული მიდგომა საველე კვლევებისადმი საქართველოში გიორგი ჩიტაიას მიერ იქნა შემუშავებული. ეს მეთოდი კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდის სახელითაა ცნობილი. მისი გამოყენებით ქართულმა ეთნოგრაფიულმა სკოლამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მაგრამ ამ მეთოდით სარგებლობა საკმაო სიძნელეებთანაა დაკავშირებული. იგი მოითხოვს საკმარის ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, რაც დღეისათვის, რიგ შემთხვევაში, გადაუჭრელ პრობლემად რჩება. შედეგად, საველე ეთნოგრაფიამ სახე შეიცვალა ტექნიკური განხორციელების თვალსაზრისით. ეს ცვლილებებიც, თავის მხრივ, პროცესის უწყვეტობასა და განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას ადასტურებს.

ნიკოლოზ სილაგაძე **ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების ევროპაში** **განსახლების საკითხისათვის**

1. სტატიაში საუბარია კელტურ ენებზე მოსაუბრე ხალხების ევროპაში განსახლების პრობლემის შესახებ. ხაზგასმულია ამ საკითხის სირთულე და აქტუალობა.

2. საუბარია კელტური ენების ადგილზე ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში, მის მიმართებაზე იტალიურ და სხვა ე. წ. “ძველევროპულ” ენებთან. ასევე, განხილულია ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის და მათი ენობრივი ერთობის დიფერენციაციის შესახებ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არსებული კონცეფციები.

3. გაზიარებულია “პროტოინდოევროპული” ერთობის დაშლის შესახებ თ. გამერელიძისა და ვ. ივანოვის შემოთავაზებული თეორია. მოცემულია მისი ბრინჯაოსა და რკინის ხანის ევროპის არქე-

ოლოგიურ კულტურებთან დაკავშირების ორიგინალური (ავტორებისგან განსხვავებული) მცდელობა.

4. განხილულია ჰალშტატის, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ე. წ. “კიმერიული” კულტურების და ძეღური კულტურულ-ისტორიული ერთობის ფორმირების საკითხები.

5. მოცემულია ანტიკურ წყაროებში (უფრო ზუსტად, იულიუს კეისართან) აღწერილი კელტური საზოგადოების ჰალშტატური კულტურის მატარებლებთან შედარების მცდელობა და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ არქეოლოგიური კულტურის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან მოსულმა ე. წ. “კიმერიულმა” ზედა ფენამ შეასრულა.

6. განხილულია კიმერიელების პრობლემის არქეოლოგიური და ისტორიული ასპექტები. მოცემულია მისი ე. წ. “მველევროპულთან” ენობრივ მასივთან გაიგივების მცდელობა.

7. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში კელტურ (და მასთან ახლო მდგომ) ენობრივ მასივს ძეღური არქეოლოგიური კულტურა წარმოადგენდა. მან ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთისკენ ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში გადმოინაცვლა, რაც ე. წ. “კიმერიული” არქეოლოგიური ძეგლების ჩამოყალიბების საფუძველი შეიქმნა. ძვ. წ. VIII საუკუნეში კი მის ცენტრალური და დასავლეთ ევროპაში გავრცელებას ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურის ფორმირება მოჰყვა.

თ ე ი მ უ რ ა ზ პ ა პ ა ს კ ი რ ი **ფინეთის საკითხი გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში** **1940წ. ნოემბერში**

1940წ. 12 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, ვიაჩესლავ მოლოტოვის, ოფიციალური ვიზიტი ბერლინში. აღნიშნული ვიზიტი სულაც არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. 12-13 ნოემბერს მოლოტოვმა გამართა მოლაპარაკებები არა მარტო თავის უშუალო ვიზავი იოახიმ ფონ რიბენტროპთან, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, არამედ ორჯერ შეხვდა თავად გერმანიის ფიურერს, ადოლფ ჰიტლერს. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ 1939წ. შემოდგომის შემდეგ ეს იყო პირველი პირდაპირი მოლაპარაკებები ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყებებს

შორის (1939წ. სექტემბრის მიწურულიდან მოყოლებული ყველა საკითხი წყდებოდა მხოლოდ საელჩოების დონეზე).

მოლაპარაკებების მთავარი საკითხი, ერთი შეხედვით, უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის შეერთება სამხრეთ პაქთან, თუმცა, სტალინის მიერ მოლოტოვისათვის მიცემული დირექტივების შესაბამისად, საუბრის ძირითად თემად იქცა ბულგარეთი. მიუხედავად ამისა, ბერლინში ყველაზე მეტი დრო დაეთმო ფინეთის საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის დასმის ინიციატორი, პირველ რიგში, სწორედ საბჭოთა მხარე იყო, რომელმაც სცადა ფინეთთან დაკავშირებით გერმანელების პოზიციის გარკვევა. როგორც დოკუმენტური მასალები, ისე უახლესი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ 1940წ. შემოდგომაზე სსრკ-ს ხელმძღვანელობა ემზადებოდა ახალი აგრესიისთვის ფინეთის წინააღმდეგ და მოლოტოვის მიერ აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული. სავარაუდოდ, საბჭოთა მხარის მიზანი იყო გერმანელების მხოლოდ საქმის კურსში ჩაყენება, მაგრამ, მოლოტოვის გასაკვირად, ჰიტლერმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მას არ სჭირდებოდა ახალი ომი ბალტიისპირეთში. ოფიციალურად, გერმანიის რაიხსკანცლერს აშფოთებდა, რომ ახალ ომში ფინეთის მხარე შეიძლებოდა დაეჭირა შვედეთსა და აშშ-ს, თუმცა, სავარაუდოდ, ეს უბრალოდ განპირობებული იყო ჰიტლერის პოზიციის შეცვლით. როგორც ჩანს, ჰიტლერს მოეზურდა საბჭოთა მხარის მიერ 1939წ. შეთანხმებების სისტემატური დარღვევა და მან გადაწყვიტა ფინეთის საკითხის დაკავშირება სხვა პრობლემებთან. გერმანიის რაიხსკანცლერს არც დაუმალავს, რომ თუ მოხერხდებოდა საერთო შეთანხმების მიღწევა, მაშინ ფინეთის საკითხიც ავტომატურად მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან. შეიძლება ითქვას, რომ საკითხის ამგვარ კონტექსტში დასმა იქცა კიდევ მოლოტოვის გაღიზიანების მთავარი მიზეზი, რომელმაც შენიშნა კიდევ სტალინისათვის განკუთვნილ მოხსენებაში, რომ ფინეთზე საუბარს ბერლინში არამართებულად ბევრი დრო დაეთმო. საბოლოო ჯამში, ფაქტობრივად, საკითხზე რაიმე შეთანხმება არ იქნა მიღწეული. სავარაუდოდ, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ საბჭოთა კავშირი ხელმეორედ არ დაესხა თავს ფინეთს.

ზ ა ა ლ გ ო გ ე ნ ი ა
საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება
(ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩარევის მაგალითზე)

ესპანეთის სამოქალაქო ომი სერიოზულ საერთაშორისო პრობლემად იქცა. დიდ სახელმწიფოებს მოუხდათ მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება განსაკუთრებით რთულ პერიოდში. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია საკითხის გააზრება ინსტიტუციონალური თეორიის ჩარჩოებში. აქ მთავარ როლს თამაშობს სახელმწიფოს პოლიტიკური ტიპი, ავტორიტარულია ის თუ დემოკრატიული. დემოკრატიულ სახელმწიფოებში (ინგლისი-საფრანგეთი) გადაწყვეტილების მიღების პროცესი და სტანდარტული ოპერაციონალური პროცედურები უფრო გამჭვირვალედ მოხდა. თუმცა, ამან მოითხოვა დიდი დრო. იყო პოპულისტური მოსაზრებაც. რაც შეეხება ავტორიტარულ სახელმწიფოებს (ფაშისტური: იტალია-გერმანია, ტოტალიტარული: სსრკ), გადაწყვეტილება ადვილად იქნა მიღებული და ის დამოკიდებული იყო შემთხვევით ფაქტორებზე, დიქტატორის პირად თავისებურებებზე, მასთან დაახლოებულ პირებზე და ა.შ. აქვე განიხილება ის სტრუქტურები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებით. იტალიაში, გერმანიასა და სსრკ-ში გადაწყვეტილება მიიღო ერთმა ადამიანმა დაახლოებულ პირებთან კონსულტაციის შემდეგ. მუსოლინის შემთხვევაში ეს იყო გალეაცო ჩიანო, ჰიტლერმა გადაწყვეტილების მიღებამდე ითათბირა ბლომბერგთან, გერინგთან და ადმირალ კანარისთან. საგარეო უწყების ინსტრუქციები და რჩევები გერმანიაში და სსრკ-ში სრულიად იგნორირებული იყო.

ინგლისში გადაწყვეტილების მიღებაში და, ზოგადად, პოლიტიკის შემუშავებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ფორინ ოფისმა. ვინაიდან ესპანეთის ომის დასაწყისი საპარლამენტო არდადეგებს დაემთხვა, იდენის უწყების მაღალჩინოსანთა როლი მნიშვნელოვანი იყო. საფრანგეთში მინისტრთა კაბინეტი იყო წარმმართველი, რომელიც გახლეჩილი იყო ფრანგული საზოგადოების მსგავსად.

იტალია-გერმანიისა და სსრკ-ს გადაწყვეტილების მიღებაში მაღალი იყო ინტერაქციონალური ასპექტი, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა მოახდინა სხვა სახელმწიფოს

ქცევამ. ასე გაზვიადებული ცნობა საფრანგეთის აქტიური დახმარების შესახებ იტალიისა და გერმანიის ჩარევის ერთ-ერთი საბაზი გახდა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ესპანურ კრიზისში სახელმწიფოების ჩარევაზე გადაწყვეტილების მიღებაში შემდეგმა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა:

1. რისკის დონე იყო ძალიან მაღალი, ანუ შესაძლო იყო ბევრის დაკარგვა ან მიღება, ამასთან ეს მკვეთრად აისახებოდა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებზე.

2. გადაწყვეტილება მიღებული იქნა შეზღუდული რესურსების პირობებში, საუბარია დროის უკმარისობაზე. მოვლენები ელვისებურად ვითარდებოდა. ამდენად, საჭირო იყო სწრაფი რეაგირება და სიტუაციის ანალიზისთვის პრაქტიკულად დრო არ რჩებოდა. საერთოდ, ცაიტნოტმა გამოიწვია გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე დროის ეკონომია.

3. გაურკვეველობის მაღალი დონე; ინფორმაცია არაზუსტი და მწირი იყო. ამასთან დეზინფორმაციამ გამოიწვია ფაქტების მისპერცეფცია და არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

4 ალტერნატივათა შეზღუდული რიცხვი, ანუ ვარიანტების სიმრავლე, პრაქტიკულად არ განხილულა.

პოლიტიკური ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილება განიხილება საერთაშორისო ურთერთობების და მსოფლიო პოლიტიკის ზოგად კონტექსტში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 30-იანი წლების ევროპაში (სისტემური მიდგომა).

ნ ა ნ ი გ ე ლ ო ვ ა ნ ი

ქალი და ძალაუფლება მუსლიმურ ესპანეთში

VIII საუკუნის დამდეგიდან მოკიდებული ესპანეთი, რომელსაც არაბები უწოდებდნენ “ალ-ანდალუსს”, უმიანთა სახალიფოში შედიოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ქალის სოციალურ სტატუსზე და არ არის სათანადოდ წარმოჩენილი ქალის პოლიტიკური როლი მუსლიმურ ესპანეთში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ანდალუსიელ ქალთა როლი პოლიტიკურ ურთიერთობებში არაბთა მიერ ესპანეთის დაპყრობიდან (711წ.) გრენადის დაცემამდე (1492 წ.). საკითხი შესწავლილია მუსლიმური ესპანეთის ისტორიის თვალსაზრისით

მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით არაბული წყაროების მონაცემებისა და სამეცნიერო ლიტერატურის განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველზე. ყურადღება გამახვილებულია 7 ქალზე, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუსლიმურ ესპანეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში. 1. თარუბი – აბდ არ-რაჰმან II ალ-ავსატის (822-852) მხევალი (ჯარია); 2. აზ-ზაჰრა – აბდ არ რაჰმან III-ის (912-961) ცოლი; 3. ქრისტიანი სუბჰი (ავრორა) – ალ-ჰაქამ II ალ-მუსტანსირის (961-976) ცოლი და ჰიშამ II-ის (976-1013) დედა. ის იყო ყველაზე გავლენიანი ანდალუსიელი ქალი, რომელიც თითქმის 20 წლის განმავლობაში, თავისი ქმრისა და ვაჟის მმართველობის დროს, აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში. მუსლიმური ქრონიკების ავტორები აღნიშნავენ, რომ ის დიდ როლს თამაშობდა იმ პირთა დანიშვნაში, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ სახელმწიფოს მართვა. 4. ი‘თიმად ალ-რუმადჰიდა – სევილიის მეფის, ალ-მუ‘თამიდის (1068-1091) ცოლი; 5. გრანადის მეფის, აბდ ალლაჰის (1073-1090) ცოლი; 6. ბერბერი ზაინაბ ალ-ნაფაზავიდა – ალ-მორავიანთა დინასტიის ფუძემდებლის, იუსუფ იბნ თაშფინის (1061-1107) ცოლი. წყაროებში ხაზგასმულია, რომ იუსუფი მოქმედებდა მხოლოდ თავისი ცოლის მითითებებით (არაბ. ვა-ბი-თადბირ-ზავჯათიჰი) და რჩევებით; 7. ესპანელი ქრისტიანი აიშა ალ-ჰურრა – ნასრიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, მუჰამად XII აბუ აბდ ალლაჰის (ევრ. ბოაბდილის, 1482-1483, 1486-1492), დედა. ამ ქალების ძირითადი ნაწილი იყო ყოფილი მონა.

თეა ქამუშაძე

ბავშვის (ვაჟის) სოციალიზაციის ადრეული ეტაპები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ბავშვის სოციალიზაციაზე და მის საზოგადოებაში ინტეგრირებაზე განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ზრუნავდნენ თუ იგი ვაჟი იყო, ხოლო გოგონები, როგორც წესი, აქტიურ სოციალიზაციას არ ექვემდებარებოდნენ.

ხევსურეთი, როგორც ცნობილია, დაყოფილი იყო საყმოებად, რაც სატაძრო გაერთიანებებს, ამა თუ იმ საკულტო ცენტრის – ჯვრის – გარშემო სხვადასხვა სოციალურ დაჯგუფებას წარმოადგენდა. საყმოები იმ ჯვართა სახელწოდებას ატარებდა, რომლის გარშემოც ისინი იყვნენ გაერთიანებულნი (მაგ., მთავარანგელოზის ჯვრის

საყმო, პირქუშის ჯვრის საყმო და ა. შ.) (ერიაშვილი: 1951).

თუმცა, სანამ ვაჟი ამ საკრალურ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდებოდა, მის ოჯახს მრავალი შესაწირის, “სახმთოს” გადახდა უწევდა. მათ შორის აუცილებელი იყო “საწულეს” გადახდა, რომელიც ოჯახისათვის შვილის თემთან ინტეგრირების პირველი ნაბიჯს წარმოადგენდა.

საწულებობა დღეს იმ წელს შემომატებული ახალწულები, ჯვარში ერთად მიჰყავდათ. მათი ასაკი ხშირ შემთხვევაში ერთ წელს არ აღემატებოდა.

დღეობა საკმაოდ რიტუალიზებული და ტექსტებით დატვირთული იყო, რაც თითოეული “პოტენციური” ყმისათვის სავედრებელს წარმოადგენდა. მთავარი რიტუალი შიშველი ბავშვის დროშის ქვეშ შეგორება იყო.

ხევსურეთში ბავშვთა (ვაჟთა) სოციალიზაციის კიდევ ერთი საინტერესო ტრადიცია ბავშვის ხატში გაყვანას და მოზრდილთა საზოგადოებაში მის გარეგანს გულისხმობდა. ეს იყო “ვაჟის თავმისაპარსავ სახმთო”, რომელიც ვაჟის დაბადებიდან სამი წლის შემდეგ სრულდებოდა.

საკრალურ ერთობასთან ზიარების გარდა, ვაჟისათვის აუცილებელი იყო არსებულ საზოგადოებაში ეტაპობრივი ინტეგრირება, ასეთ ადგილს საფიხვნო წარმოადგენდა. ხევსური ბიჭები ცხოვრების პირველ გაკვეთილებს ამ სალაყბოში იღებდნენ, უსმენდნენ მოხუცებულთა არაკებს და “აქ მთაში პირველად ისახება მსოფლმხედველობის და ქვეყნიერების გაგების პირველი ბუნდოვანი აზრები, აქ იზრდება და თანდათან მტკიცდება მათი სული.” (ყამარაული: 1932).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთაში ამგვარმა ყრილობებმა ბავშვის (ვაჟის) აღზრდის სოციალური ფუნქცია შეიძინა და მოზარდის “განათლების” კერად იქცა. აღსანიშნავია, რომ სალაყბოში დამსწრეთა ქვედა ასაკი განსაზღვრული არ იყო, ანუ ვაჟს, როგორც კი აიდგამდა ფეხს, შეეძლო მოზრდილ მამაკაცთა საზოგადოებაში გარევა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოზარდი არა მხოლოდ ისმენდა საუბრებს ამ თავშეყრის ადგილზე, არამედ იმ საქმიანობასაც ადევნებდა თვალს, რომელსაც იქ შეკრებილი მამაკაცები ეწეოდნენ: “აქ ზოგი საშინაო საქმეს აკეთებენ, თოფს წმენდენ, ხანჯლებს ლესავენ, უნაგირებს აკეთებენ, აშალაშინებენ, რანდავენ რასმე, ხერხავენ, ტყავს გამოჰქნიან და სხვა.” (ყამარაული: 1932). ამგვარად,

მოზარდები თეორიულ ცოდნასთან ერთან პრაქტიკულ საქმიანობასაც ცნობოდნენ.

ამდენად, ვაჟის სოციალიზაციის პროცესი ადრეული ასაკიდან იწყებოდა და ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ვაჟის სოციალიზაციის აგენტად თემი გვევლინება.

მ ა ი ა ც ი ც ი შ ვ ი ლ ი **ქართული მოდერნისტული მხატვრობის ზოგიერთი** **თავისებურების შესახებ**

ქართული მოდერნისტული მხატვრობა უაღრესად საინტერესო მოვლენა, ევროპის უკიდურეს საზღვარზე მყოფი უძველესი კულტურის მქონე პატარა ქვეყნისა, რომელიც ცნობილი ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზების გამო დღემდე უცნობი და შეუფასებელია დასავლური სამყაროსათვის.

XX საუკუნის 10-20-იან წლებში შემოქმედებით ძალთა სიჭარბემ და ცოცხალმა, დატვირთულმა სახელოვნებო სივრცემ თბილისი ამ პერიოდის ევროპული ავანგარდული ხელოვნების შესატყვისი, თავისებურ კულტურულ ცენტრად აქცია. ქართული კულტურული გარემო მზად იყო თანამედროვე ევროპული ხელოვნების სიახლეთა მისაღებად და გასაზიარებლად. თბილისის ქართული მოდერნიზმის მნიშვნელოვან ცენტრად ქცევა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: ტრადიციული ქართული მხატვრობის თვითმყოფადმა გზამ, საქართველოში დაფუძნებულ და დროებით ჩამოსულ ცნობილ მხატვართა ინტერნაციონალურმა გარემომ და რუსეთის იმპერიის სამხრეთისა და კავკასიის ცენტრის მნიშვნელობამ.

თ ე ა უ რ უ შ ა ძ ე **უილიამ შექსპირის დრამატურგია** **„სამეულის“ შემოქმედებაში**

უ. შექსპირის ნაწარმოებების ფოლოსოფიურმა საფუძველმა, რომელიც მის მსოფლმხედველობას და ესთეტიკას მუდმივად თან სდევს, შვა ბრწყინვალე თარგმანები, არაჩვეულებრივი შექსპირისეული თეატრი, მსახიობთა მთელი პლეადა და, ასევე, სახვითი ხელოვნების მრავალრიცხოვანი ნიმუში, განსაკუთრებით ეს

ეხება მისი ნაწარმოებების თეატრალურ დადგმებსა და მათ მხატვრულ გაფორმებას.

ქართული თეატრალური კულტურის ისტორია მდიდარია შექსპირის ნაწარმოებების მაგალითებით. სხვადასხვა თაობის ქართველი რეჟისორები ხშირად მიმართავდნენ შექსპირს და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ. მათთან ერთად ქართული სცენოგრაფია შექსპირის ნაწარმოებების გაფორმების პროცესში ბრწყინვალე ნიმუშებს ქმნიდა.

ქართველ თეატრალურ მხატვართა შორის “სამეულმა” (ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაძე) ქართულ სცენოგრაფიას თვითმყოფადობა შეუნარჩუნა და მისი განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. მათ ერთ-ერთმა პირველებმა თეატრალურ მხატვრობაში ორი ათეული წლის განმავლობაში გამეფებული ფერწერული დეკორაციული სისტემა “დაამსხვრიეს” და ახალი ხედვით წარმოადგინეს სასცენო სივრცის მორთულობა.

უ. შექსპირის მიხედვით “სამეულმა” ორი სპექტაკლი გააფორმა: “რომეო და ჯულიეტა”, (1974 წ. შ.რუსთაველის სახ. თეატრი, რეჟ. გ. ქავთარაძე); “ოტელო” (1980 კ.მარჯანიშვილი სახ. თეატრი, რეჟ.თ. ჩხეიძე). “რომეო და ჯულიეტას” გაფორმებაში სამეული სრულიად განსხვავებულ მხატვრულ ხერხებს იყენებს. მაგ.: სასცენო სივრცის ორგანიზება ორგინალურადაა გადაწყვეტილი, სცენის ორივე მხარეს ორი უზარმაზარი კედელია მოთავსებული. ლირიული ხასიათის პეიზაჟის ფონზე მთლიანი კონსტრუქცია გაფორმებას დინამიკურს ხდის, ვინაიდან იგი მოქმედების მსვლელობის დროს მოძრავია, ხოლო აწყობილი თაღების კომბინაციით გარემო მთლიანად იცვლება. კედლებზე მოთავსებული სკულპტურული თავები, თვალების გარეშე, მკაცრი და უსულო, გარკვეულ დამაბულობას ქმნიან და ტრაგედიის მთავარ კომპონენტს წარმოადგენენ. კოსტიუმებზე ეპოქისათვის დამახასიათებელი დეტალებია და მათი ფერადოვანი გამა უკანა დეკორაციის ფერწყობას ეხმიანება.

“რომეო და ჯულიეტას” სცენოგრაფიაში გამოვლინდა მხატვრების გამომსახველობითი ლაკონიზმი, მოძებნილია ტრაგედიისათვის შესატყვისი გარემო, შექმნილია სახასიათო ხერხებით საჭირო განწყობილება. სცენაზე შემოდის შექსპირისეული ტრაგიკული სული. ყოველივე, რაც თავმოყრილია დეკორაციასა და კოსტიუმებში, სამეულისათვის დამახასიათებელი სისადავით და დაუფარავი თეატრალურობითაა წარმოდგენილი. „ოტელოში“ სამეულმა მეომარი ადამიანის სამყარო შექმნა. რუხი გარემო, სადაც უამრავი

ტომარა, ზარბაზანი და იარაღია. უხეში კონსტრუქციის გარემოცვაში დეზდემონას ნაზი ფიგურაა ჩასმული, რომელიც ვეებერთელა იარაღების ფონზე იკარგებოდა. სასცენო სივრცე ერთ დიდ ხის ყუთს წარმოადგენს, სადაც შანდლის შუქი მეტად სუსტია, ვერ ერევა ამ ჯურღმულს. კოსტიუმები პირობითი და განზოგადოებული ხასიათისაა, მოკლებულია ყოველგვარ დეტალიზაციას, თუმცა, თითოეულში პერსონაჟის ხასიათი მკაფიოდ იკითხება. ეს ეპოქისათვის დამახასიათებელი შტრიხებითაა ხაზგასმული, მაგრამ საკმაოდ იმპროვიზირებულია, ბატონობს შავი და თეთრი ფერი. სამეულის მიერ შესრულებული შექსპირის პიესების მხატვრული გაფორმება ქართულ სცენოგრაფიაში ახალი სიტყვაა, რომელმაც მის შემდგომ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. სამეულის ამ ნამუშევრებში კიდევ ერთხელ აისახა მათი ნაწარმოებისადმი მიდგომის თავისებურება, გამოვლინდა ორიგინალური ინტერპრეტაცია, სისადავე, უკიდურესი ლაკონიზმი და გამომსახველობა.

მ ა ნ ა ნ ა კ ვ ა ჭ ა ძ ე **სასიმღერო ტრადიციის შესახებ ირანში**

შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში შენახულია ცნობები სასანელთა სამეფო კარზე ჩამოყალიბებული სასიმღერო ტრადიციის შესახებ; შემონახულია სახელწოდებანი ცნობილი სიმღერებისა და მელოდიებისა, რომელთა შეთხზვა ამა თუ იმ ლეგენდარულ მომღერალს მიეწერებოდა. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო ბარზადი – ხოსროვ II ფარვიზის (590-628) საყვარელი მომღერალი და პოეტი, რომელსაც მოგვიანებით თავიანთ ნაწარმოებებში იხსენიებენ და დიდ პატივს მიაგებენ ცნობილი ირანელი პოეტები ფირდოუსი, ნიზამი დასხვები.

ნიზამის “ხოსროვ-შირინში” ჩამოთვლილია ბარზადის დაახლოებით ოცდაათი სიმღერა. ბევრი მათგანის სახელწოდება მათ კალენდარულ ხასიათზე მიუთითებს. გადმოცემის თანახმად, ბარზადს შექმნილი აქვს სიმღერები ზოროასტრული წლის ყოველ დღეზე, კვირასა და თვეზე და ისინი ეძღვნება ზოროასტრული პანთეონის სხვადასხვა ღვთაებას.

გადმოცემაში შემონახულია ზოგიერთი სიმღერის შინაარსი: სიმღერა შაბდიზის შესახებ ხოსროვ ფარვიზის საყვარელ შავრას

ედვნება; სიმღერა მუშკის მარცვალზე შირინის პატივსაცემად შეიქმნა. მელოდია “ხოსროვანი” ხოსროვ ფარვიზის ხოტბაა და ა.შ.

ბევრი სიმღერა, სახელწოდებიდან გამომდინარე, ზოროასტრულ კალენდარს უკავშირდება თავისი მრავალრიცხოვანი რიტუალური დღესასწაულით, ამავდროულად, ეს სიმღერები იყო ნაწილი სასახლის კარის ეტიკეტისა და იწოდებოდა “სამეფო საგალობლებად” (სურუდ-ი ხუსროვანი).

სასანელთა სამეფო კარზე იყვნენ პოეტები, რომელთა ლექსებს მთელი ხალხი მღეროდა და იყვნენ აგრეთვე მომღერლები, რომლებიც გმირებსა და მეფეებს უმღეროდნენ. საქმე გვაქვს ზეპირ საავტორო პოეზიასთან, რომელიც ფაქტობრივად ფოლკლორისა და სამწერლობო-საავტორო ლიტერატურის მიჯნაზე იმყოფებოდა. ეს იყო სიმღერები, რომლებშიც შერწყმულია თხრობის ელემენტები, გმირთა დიდებით შემოსვა და მეფეთა შესხმა. როგორც ვარაუდობენ, კლასიკური ირანული მუსიკა სწორედ სასანიანთა ეპოქიდან იღებს სათავეს.

სასანიანთა ხანაში შემუშავებული პოეტური და სასიმღერო ტრადიცია მნიშვნელოვანწილად საფუძვლად დაედო მომდევნო ეპოქებში მიმავრად განვითარებულ სახოტბო ჟანრს.

ქრისტიანე დარჩია კუბო-ფუტურიზმი ემა ლალევა-ედიბერიძის შემოქმედებაში

ემა ლალევა-ედიბერიძე (ლალი) 1920-იანი წლების ტიპური და, ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესო წარმომადგენელია. მის შემოქმედებაში ცხადად შეინიშნება დასავლური მოდერნისტული მიმდინარეობებისადმი გამმაფრებული ინტერესი. ლალევა-ედიბერიძე ერთ-ერთი ყველაზე “მემარცხენე” არტისტია იმ დროის მხატვართა შორის. იგი თითქმის ყველა ავანგარდისტულ მიმდინარეობას (ფუტურიზმს, კუბო-ფუტურიზმს, ლუჩიზმს, კოსტრუქტივიზსა და სხვ.) მიმართავს, მაგრამ არცერთ მათგანს არ იყენებს წმინდა სახით. მხატვარი ახერხებს საკუთარი ხელწერა შექმნას და არავის ჰგავდეს; მისი ნამუშევრები მხოლოდ შორეულად გვახსენებს რუსული ან ქართული მოდერნიზმის ნიმუშებს (განსაკუთრებულ სიახლოვეს ის რუსულ ავანგარდთან ავლენს, თუმცა, ყოველთვის ინარჩუნებს შინაგან კავშირს ქართული მხატვრობის ძირეულ პრინციპებთან). ლალიმ შეძლო დაედო ბრმა

მიმბაძველობის იოლი გზის ცდუნება და საკუთარი ხელწერისათვის მიეგნო. ლალაევა-ედიბერიძის მხატვრულ ინდივიდუალობას სწორედ ის ადასტურებს, რომ ლალი წმინდა სახით თითქმის არცერთი მოდერნული მიმდინარეობის მანერას არ იყენებს; იგი ძირითადად რამდენიმე ასეთი მხატვრული მიმართულების მეთოდს მიმართავს ერთდროულად და ერთი ნამუშევრის ფარგლებში ახდენს მათ სინთეზს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი კუბო-ფუტურისტული ნამუშევრები, სადაც მხატვარი ამ ისედაც “სინთეზურ” მეთოდს სხვა მიმდინარეობების შტრიხებსაც უმატებს და კუბო-ფუტურიზმის თავისებურ “ვერსიას” სთავაზობს მნახველს.

კუბო-ფუტურიზმის სახვითი ენით ემა ლალაევა-ედიბერიძე, ძირითადად, პორტრეტებს ქმნის. მაგრამ ლალის შემოქმედებაში კუბო-ფუტურიზმის, როგორც მიმდინარეობის, წმინდა ფორმით არსებობაზე (არა თუ ბრმა მიმბაძველობაზე) არ შეიძლება გადაჭრით საუბარი. კუბო-ფუტურიზმის ლალისეულ ვერსიაში განსხვავებულია, როგორც მიმდინარეობათა ამ ნაერთში, თითოეულის პროპორციული თანაფარდობა, მათი ურთიერთმიმართება, ისე კონკრეტულ მიმდინარეობაში აქცენტების გადანაწილება. აქ საქმე გვაქვს ავანგარდული მხატვრული მიმდინარეობების მხოლოდ ნაწილობრივ ათვისება-გაზიარებასთან და არა პირუთვნელ მიმდევრობასა თუ მორჩილებასთან.

ლ ე ლ ა წ ი ფ უ რ ი ა **მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მხატვრული ხერხების** **ინტერპრეტაცია ტელესპექტაკლებში**

XX საუკუნეს 70-80-იან წლები ისტორიაში უძრაობის ეპოქის სახელწოდებით შევიდა. სიმართლის პირდაპირი თქმა შეუძლებელი გახლდათ და ამიტომაც აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია შეიძინა მეტაფორულმა აზროვნებამ, რომელიც სათქმელის მხატვრული ხერხებით გამოხატვის საშუალებას იძლეოდა.

რეჟისორ თემურ ჩხეიძის შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა კონცეპტუალური აზროვნებით, რომელშიც ქართველი ხალხის, დაპყრობილი ერის სატკივარი იყო ასახული. ამ სატკივარის გამოსახატად რეჟისორმა მიხეილ ჯავახიშვილის პროზას მიმართა და იმ წლებში ორი მაღალმხატვრული სპექტაკლები – “ჯაყოს ხიზნები” და “თეთრი კურდღელი” – შექმნა.

ორივე ტელესპექტაკლის მხატვარი მირიან შველიძეა. მისი ნამუშევრებით იქმნება პირობითი გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს რეჟისორს შექმნას მეტყველი მეტაფორული რიგი და იგი ტელეკადრების საშუალებით გამოხატოს.

“ჯაყოს ხიზნების” მხატვრულ გაფორმებაში შერწყმულია ნატურალისტური და პირობითი დეტალები: ურემი, ლოგანი თუ დუქნის ნივთები ტელესპექტაკლში უაღრესად სიმბოლური ფრესკების და “ოჯახური პორტრეტების” ფონზეა განფენილი. ეს ზოგან ამომწვარი სახედაგლეჯილი შავ-თეთრი ფრესკები ხვეისთავთა გარდასული დიდების მთხრობელია. მთელი დეკორაცია, პერსონაჟთა კოსტიუმების ფორმათა გამაც გმირების შინაგანი მდგომარეობის ვიზუალურ ხატს ქმნის.

მირიან შველიძის ნამუშევარი საშუალებას აძლევს რეჟისორს, რომ მიხეილ ჯავახიშვილის შექმნილი სახე-იდეებით აზროვნების შესტყვისი ვიზუალური რიგი შექმნას და შესაბამისად დაპყრობილი ერის უპირველესი სატკივარი მეტყველი მეტაფორული სისტემით გადმოსცეს.

ფსიქოლოგიური ტელესპექტაკლის პრინციპზე აგებული “თეთრი კურდღელი” ჩვენი საზოგადოების მტკივნეულ თემას ეხება: სიფხიზლის მოდუნება, საკუთარ ფანტაზიებში დასახლება არ მოგვცემს საშუალებას მოვიხადოთ ვალი ქვეყნის, მომავალი თაობის წინაშე.

მირიან შველიძის შექმნილ გარემოში უსიცოცხლო ნივთები, გაცრეცილი, მკრთალი ზაფრანისფერი საღებავების ვარიაციები სიდონიას უსახური ყოფის ასპარეზს გადმოგვცემს. ამის საპირისპიროდ ყოველი ეპიზოდი, რომელიც მას საყვარელთან აკავშირებდა, უაღრესად ესთეტიკურია.

მირიან შველიძის შექმნილ დეკორაციებში თემურ ჩხეიძე მორალის ასპექტში გადატანილ კონფლიქტს რბილ, თბილ ნახვარტონებში გვიჩვენებს და უაღრესად ლაკონური გამომსახველობითი ხერხებით გადმოგვცემს.

მიხეილ ჯავახიშვილის პროზის საფუძველზე შექმნილი “ჯაყოს ხიზნები” და “თეთრი კურდღელი” ჯავახიშვილის აზრთა მიმართების ტელემოდელია და მწერლის თხზულებათა ინტერპრეტაციის ყველაზე სრულყოფილი მაგალითი.

ეკატერინე დიასამიძე
ქართულ და რუსულ სამგალობლო ტრადიციათა
ურთიერთმიმართების საკითხისათვის

ერებს შორის ერთმორწმუნეობა არა მხოლოდ ხალხთა სიახლოვის, არამედ ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებების განმსაზღვრელია. საინტერესოა, თუ რა როლს ასრულებდა ესოდენ მნიშვნელოვანი ფაქტორი – ერთმორწმუნეობა – ორი ქვეყნის ურთიერთობაში. სად და როდის იჩენდა თავს ქრისტიანობა, როგორც იდეოლოგია და ქრისტიანობა, როგორც სარწმუნოება. მოხსენებაში ნაჩვენებია, თუ რა გზა განვლო ქართულმა და რუსულმა სამგალობლო ტრადიციებმა. XX საუკუნის შუა პერიოდში რუსეთსა და საქართველოში არსებულმა ათეისტურმა რეჟიმმა, ბუნებრივია, ქრისტიანულ გალობას დიდი ზიანი მიაყენა; ამის მიუხედავად, როგორც საქართველო, ისე რუსეთი ტრადიციული გალობის აღდგენისა და შენარჩუნების გზას დაადგა.

ქართული და რუსული საეკლესიო გალობა კომპარატივისტიკის ჭრილში შეუსწავლელია, მაშინ, როცა რუსულ მუსიკალურ მედიევისტიკასა და თეორიულ მუსიკისმცოდნეობაში სიღრმისეულად არის გამოკვლეული რუსულ და ბიზანტიურ გალობას შორის არსებული პარალელები. ქართველი მეცნიერებიც, ასევე მიმართავენ შედარებითი ანალიზის მეთოდს; განიხილავენ ქართული გალობისა და შუასაუკუნეების ორგანუმების, მართლმადიდებლური წირვის ქართული ტრადიციისა და კათოლიკური მესის ურთიერთმიმართებებს. მიგვაჩნია, რომ რუსულ და ქართულ გალობებზე აღმოსავლეთქრისტიანული ეკლესიის ერთიან კონტექსტში დაკვირვების აუცილებლობა დიდი ხანია არსებობს, და ვფიქრობთ, იგი კიდევ უკეთ წარმოაჩენს, როგორც საკუთრივ ქართული გალობის მახასიათებლებს, ისე მის ზოგადქრისტიანულ კანონზომიერებებს.

მიმოზა სოსელია
მასწავლებელთა გადამზადება –
განათლების რეფორმის ეფექტურობის გარანტი

1. მასწავლებელთა გადამზადების აუცილებლობას განვიხილავთ ლიტერატურის თეორიის საკითხების უახლესი მიდგომების ჭრილში.

2. ქართულ ლიტერატურას შეუძლია შეასრულოს კულტურული და ინტერკულტურული როლი. იგი მოიაზრება არა მარტო, როგორც შემეცნების ობიექტი, არამედ ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, რომელიც პიროვნების მიერ ინდივიდუალურად აღიქმება.

3. მასწავლებელს მოეთხოვება ზუსტად გაიაზროს:

ა) რა სურს რომ გაიგონ მოსწავლეებმა;

ბ) რა აზრობრივი ოპერაციების უნარს ფლობენ ისინი. კიდევ რა სჭირდება, ანუ რისი გაკეთება უნდა შეძლონ მათ;

გ) რა უნდა იგრძნონ და დააფასონ მოსწავლეებმა;

დ) როგორ აისახება ქცევაში ნასწავლი.

4. საგანმანათლებლო სივრცეში გაჩნდა კითხვები:

ა) რატომ შეიცვალა ქრესტომათიული, კლასიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება;

ბ) რატომ გაჩნდა უზვად სასკოლო სახელმძღვანელოებში პუბლიცისტური წერილები;

გ) რატომ გაქრა სასკოლო ცხოვრებიდან თხზულება;

დ) რატომ შეიცვალა მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის ანალიზისადმი დამოკიდებულება; მრავალწლიანმა სამეცნიერო – კვლევითმა და ექსპერიმენტალურმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ სიტყვიერების მასწავლებლის ყველაზე სუსტი ადგილი იყო ლიტერატურის თეორიის საკითხების სწავლება. თეორია იყო ლიტერატურის იდეური მაკონტროლებელი და იგი ფორმლურ ხასიათს ატარებდა. მხატვრული ტექსტის ანალიზი დღეს წარმოუდგენელია ლიტმცოდნეობით სიახლეთა (რეკეფციული ანუ აღქმის ესთეტიკის, ჰერმენევტიკის, ნარატოლოგიის, მითოლოგიური კრიტიკის, ფსიქოანალიზის ელემენტების, პოსტმოდერნიზმის და ა.შ.) გათვალისწინების გარეშე. სწორედ ამ სიახლეთა გათავისებებას უკავშირდება ზემოთ წამოჭრილი პრობლემები. უახლესი ტექნო-

ლოგიების დაუფლება გადამზადების კურსებზე სიტყვიერების მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის აღზრდა-განვითარებაში კომპეტენტურობის (სხვადასხვა კოგნიტური ოპერაციების ფლობა-გადამუშავება და გამოყენება განსხვავებულ სიტუაციებში), ასორტულობისა და მეტაკოგნიციის უნარების ჩამოყალიბებაში.

თამაზ კარანაძე **პედაგოგიური კვლევის ორგანიზაცია და ლოგიკა**

1. პედაგოგიურ კვლევაში იგულისხმება მეცნიერული მოღვაწეობის როგორც პროცესი, ისე შედეგი, მიმართული ახალი ცოდნის მიღებისაკენ, განათლების კანონზომიერების, მისი სტრუქტურისა და ტექნოლოგიების წვდომისაკენ.

პედაგოგიური კვლევა თავისი დანიშნულებითა და მიმართულებით შეიძლება დავყოთ ფუნდამენტალურ, გამოყენებით და დამუშავებით კვლევებად. ფუნდამენტური კვლევის შედეგად მიჩნეულია ის განმაზოგადებელი კონცეფციები, რომლებიც ახდენენ პედაგოგიკის თეორიული და პრაქტიკული მიღწევების შეჯამებას ან გვთავაზობენ სისტემის განვითარების მოდელს პროგნოზირების საფუძველზე. გამოყენებითი კვლევის დახმარებით ხდება პედაგოგიური პროცესის ცალკეული ელემენტების სიღრმისეულად შესწავლა და მრავალმხრივი პედაგოგიური პრაქტიკის კანონზომიერების დადგენა. დამუშავებითი კვლევის შედეგები კი მიმართულია იმ კონკრეტული მეცნიერულ-პრაქტიკული რეკომენდაციების დასასაბუთებლად, რომლებიც ითვალისწინებს უკვე ცნობილ თეორიული დებულებებს.

2. ნებისმიერი პედაგოგიური კვლევა გულისხმობს საზოგადოდ მიღებულ მეთოდოლოგიურ პარამეტრთა არსებობას. ეს პარამეტრებია: კვლევის პრობლემა, თემა, ობიექტი და საგანი, მიზანი, ამოცანები, ჰიპოთეზა. პარალელურად, პედაგოგიური კვლევის ხარისხის ძირითად კრიტერიუმებად მიჩნეულია კვლევის აქტუალობა, სიახლე, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

3. კვლევის პროგრამა, როგორც წესი, მოიცავს ორ განყოფილებას – მეთოდოლოგიურს და პროცედურულს. პირველი გულისხმობს თემის აქტუალობის დასაბუთებას, პრობლემის ფორმულირებას, ობიექტისა და საგნის განსაზღვრას, ძირითადი ცნებების განსაზღვრას

და სამუშაო ჰიპოთეზის წარმოჩენას, მეორე კი კვლევის სტრატეგიული გეგმის დასახვას, აგრეთვე, პირველადი მონაცემების შეგროვებას და ანალიზის ძირითად პროცედურებს.

4. მეცნიერული პრობლემის დაყენება შემოქმედებითი აქტია, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ხედვას, სპეციალურ ცოდნას, გამოცდილებასა და მეცნიერულ კვალიფიკაციას. პრობლემების ფორმულირება მოითხოვს კვლევის ობიექტის შერჩევას. ობიექტი შეიძლება იყოს პედაგოგიური პროცესი, პედაგოგიური საქმიანობის რომელიმე დარგი, წინააღმდეგობრივი პედაგოგიური ურთიერთობები და სხვ.

5. კვლევის მიზნის, ობიექტის, საგნის შესაბამისად განისაზღვრება კვლევითი ამოცანები, რომლებიც მიმართულია ჰიპოთეზის შესამოწმებლად. მეცნიერული სიახლის კრიტერიუმები გამოიყენება დასრულებული კვლევის შედეგის ხარისხის შესაფასებლად. ამ შედეგს შეიძლება ჰქონდეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

6. კვლევის ლოგიკა და დინამიკა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ემპირიულს, ჰიპოთეზურს, ექსპერიმენტულ-თეორიულსა და პროგნოზისტულს.

ემპირიულ ეტაპზე იღებენ ფუნქციონალურ წარმოდგენას კვლევის ობიექტზე, ახდენენ პრობლემის ფორმულირებას, ადგენენ კვლევის ჰიპოთეზას. მეორე ეტაპი მიმართულია ემპირიული კვლევიდან თეორიულ-ექსპერიმენტულ კვლევაზე გადასასვლელად, ხოლო მეოთხე ეტაპი მოწოდებულია, წარმოადგინოს კვლევის ობიექტი, როგორც მთლიანი წარმონაქმნი და აუცილებლად იწინასწარმეტყველოს, განჭვრიტოს მისი განვითარების გზა ახალ პირობებში.

ქეთევან გაბუნია **ბილინგვიზმის დინამიკის თავისებურებები**

იმის მიხედვით, თუ რა ასაკში ხდება მეორე ენის შესწავლა (დაუფლება), განასხვავებენ ადრეულ და გვიან ბილინგვიზმს. არსებობს, აგრეთვე, რეცეპტორული (აღქმადი, შეთვისებადი), რეპროდუქციული (აღდგენითი) და პროდუქციული (მწარმოებელი) ბილინგვიზმი; ეს უკანასკნელი უცხოური ენის შესწავლის მიზანს წარმოადგენს და მისი შესწავლა ხდება ფსიქოლინგვისტიკის და სოციოლინგვისტიკის ჩარჩოებში, რამდე-

ნადაც მასობრივი ბილინგვიზმი შეიძლება იყოს ენობრივი სიტუაციის აშკარა ნიშანი. ფსიქოლოგებისა და ლინგვისტების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ბილინგვები და პოლიგლოტები. ბილინგვთა შორის, რომლისათვისაც მშობლიური ენაა ქართული, XXI საუკუნის დასაწყისში, გამოიყოფა ქართული ენობრივი მემკვიდრეობის მქონე ადამიანთა ჯგუფი. მათ რიცხვს მიეკუთვნება ემიგრანტთა შვილები, რომლებიც ქართულთან ერთად ფლობენ სხვა ენებსაც. დაისმის კითხვა: რა გავლენას ახდენს მეორე ენის შესწავლა ტვინის განვითარებაზე?

ბრიტანელი მეცნიერების უკანასკნელი კვლევების თანახმად, მეორე ენის ადრეული შესწავლა ხელს უწყობს ტვინის იმ ნაწილის განვითარებას, რომელიც პასუხისმგებელია მეტყველების შეუფერხებელ განვითარებაზე. მეცნიერების მტკიცებით, ეს ეფექტი განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, თუ მეორე ენის შესწავლა ხუთი წლის ასაკამდე მოხდება.

კვლევებმა დაადასტურა, რომ ორენოვან ადამიანებში წარმოიქმნება შედარებით მეტი რუხი ნივთიერება თავის ტვინის ქერქის ქვედა ნაწილში. რაც უფრო გვიან მოხდება მეორე ენის შესწავლა, მით ნაკლებად მჟღავნდება ეს თავისებურება. ტვინის სწორედ რუხი ნივთიერება რეაგირებს ინფორმაციის ანალიზზე.

მართალია, რუხი ნივთიერების “პლასტიკურობის” შესახებ დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ტვინის ნივთიერებების ცვლილების პროცესები, გარკვეული ზემოქმედების შედეგად, დღემდე არ არის კარგად შესწავლილი. უახლესი შედეგები გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს მეორე ენის შესწავლამ ტვინის სტრუქტურაზე და, განსაკუთრებით, ადრეულ ასაკში.

ა. მეკელის ხელმძღვანელობით ჩატარებულ გამოკვლევებში მონაწილეობდა 25 ბრიტანელი, რომლებიც არ ფლობდნენ სხვა ენას, 25 ორენოვანი ბრიტანელი, რომლებმაც ადრეულ ასაკში აითვისეს ერთ-ერთი ევროპული ენა (ინგლისურის გარდა), და ასევე, 33 “გვიანი” ბილინგვი (ე. ი. მეორე ენა შესწავლეს შედარებით გვიან ასაკში). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ “ადრეულ ბილინგვებს” რუხი ნივთიერება თხემის სფეროში მეტი აქვს, ვიდრე გამოკვლევის დანარჩენ მონაწილეებს და ეს, განსაკუთრებით, ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში შეიმჩნევა.

ლი ა ნ ა დ ა რ ა შ ვ ი ლ ი
პროფესიულად ორიენტირებული სწავლება - განწყობისა და
ინტერესის როლი არასპეციალურ ფაკულტეტზე ფრანგული ენის
სწავლებისას

სასწავლო-შემეცნებითი და პრაქტიკული აქტივობის გაძლიერების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სასწავლო-შემეცნებითი ამოცანები მიიჩნევა. როგორც დიმიტრი უზნაძე ბრძანებს, "იქ, სადაც არავითარი მოთხოვნილება არ არსებობს, იქ არც აქტივობაზე შეიძლება ლაპარაკი".

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ საერთაშორისო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფაკულტეტზე ენის სწავლების სპეციფიკაზე.

აღნიშნული დარგის სპეციალისტების პროფესიული ურთიერთობა საერთაშორისო ხასიათისაა, ამიტომ საჭიროა ენის მეტნაკლებად საფუძვლიანი შესწავლა, კომუნიკაციის დამყარება, უცხოური ლიტერატურის გაცნობა, ანალიზი, ინფორმაციის მოპოვება, რეფერირება, დამოუკიდებელი მუშაობა.

ანალიზის დროს, ცხადია, გვხვდება მორფოლოგიური თუ სინტაქსური სიძნელებები. ტექსტის გარჩევისას ყურადღებას ვამახვილებთ ენობრივი მოვლენის როგორც ლექსიკური საშუალებებით ახსნაზე, ასევე, შეპირისპირებით ანალიზზე (ქართულთან, რუსულთან ან ინგლისურთან). გრამატიკა გულისხმობს სინტაქსურ სტრუქტურებში მორფოლოგიური საკითხების ერთდროულ გააზრებას. მნიშვნელოვანია ტექსტის სწორად შერჩევა.

სწავლების ასპექტების გათვალისწინებით შესაძლებელია სრულიად განსხვავებული ფორმისა და ხასიათის ადაპტირებული და ინტეგრალური ტექსტების მონაცვლეობით შეთავაზება, რაც მასწავლებლის შემოქმედებით მიდგომას და მეთოდების ვარიანტების შესაძლებლობას იძლევა.

სამწუხაროდ, ენის სწავლება არასპეციალურ ფაკულტეტზე ყოველთვის ვერ იძლევა სასურველ შედეგს, რაც სტუდენტის მიერ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის ცოდნის დაბალი ან სულაც ნულოვანი დონისა და ენის შესწავლისთვის გამოყოფილი საათების სიმცირის ბრალია.

ზეპირმეტყველების პრაქტიკული ჩვევების გამოსამუშავებლად აუცილებლად მიმაჩნია ბუნებრივი სიტუაციის შექმნა, მეტყველების

სმენით გაგების ჩვევის, დიალოგური მეტყველების ჩვევისა და თხრობის ჩვევის გამომუშავება.

შეჩერდებით სმენით გაგებისა და თხრობის ჩვევაზე. სტუდენტებს საინტერესო, სახალისო ტექსტს მთლიანად ვასმენინებთ. შემდეგ მას ვარჩევთ ნაწილ-ნაწილ, ვუკითხავთ ყოველ ფრაზას და ვაწვდით ლექსიკური საშუალებებით გამოხატულ ვარიანტს. შემდეგ ისევ მთელ ტექსტს და ბოლოს სტუდენტები მას ყვებიან. ან მეორე ვარიანტი: მოზრდილ ტექსტს (1.5 -2 გვ) ვუკითხავთ, ვამახვილებთ ყურადღებას ახალ სიტყვებზე, ამ ტექსტს ვასმენინებთ კვირაში ორ-სამჯერ, მომდევნო ლექციებზე - თითოჯერ, რის შემდეგაც სტუდენტები ყვებიან. სიტუაციის მოდელირებისას სტუდენტი მოტივირებულია, გაიხსენოს აუცილებელი, უკვე ნასწავლი სამეტყველო ფორმულა, გამოთქმა თუ კონსტრუქცია. ვარჯიშის ეს ფორმა დიდ ინტერესს იწვევს, სტუდენტების აქტივობა ძალიან დიდია.

ენის შესწავლა და იმ ქვეყნის კულტურისა და ისტორიის გაცნობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს სტუდენტებს. მასწავლებლისთვისაც დიდი სიამოვნებაა სტუდენტს გაუზიაროს თავისი ცოდნა, გამოცდილება, რაც ბადებს შეგრძნებასა და იმედს, რომ საჭირო საქმე კეთდება.

თ ა მ ა რ ა ფ ც ი ა უ რ ი **ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიური საკითხები**

1. უცხო ენების სწავლების მრავალი, ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული მეთოდი არსებობს. აუცილებელი ხდება მათი შეფასების კრიტერიუმების შემოტანა იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო გამოსადეგია უმაღლესი გამათლებლის სისტემაში. არნახულმა მოთხოვნამ შესაფერისი შემოთავაზება განაპირობა. ენის სწავლების მეთოდოლოგია ახალი იდეებითა და თეორიებით შეივსო. დღეს უცხო ენის მასწავლებლები საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ. საკითხავია: რამდენად მომზადებულნი შეხვდნენ ცვლილებებს პედაგოგები. უმრავლესობას ტრადიციული საბჭოური განათლება აქვს და ათწლეულების განმავლობაში სწავლების ნაცად მეთოდებს მიმართავდა. ენის სწავლების ტრადიციული სისტემა ყალიბდებოდა მაშინ, როცა უცხო ენაზე ურთიერთობის მოთხოვნა არ არსებობდა. ახალმა ვითარებამ ცოცხალი სამეტყველო კომუნიკაციის აუცილებლობა დაგვანახა და ძველი მეთოდების გადასინჯვის

მოთხოვნა წამოაყენა. ამიტომ პოსტ-საბჭოურ სივრცეში სწავლების ტრადიციული სისტემა საკმაოდ მწელად უთმობს ადგილს არატრადიციულს.

2. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მომზადების დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ ახალი რეალიები და მეთოდის კუთხით განვასხვავოთ უცხო ენის სწავლების ორი ძირითადი სისტემა: ტრადიციულ-ანალიტიკური და არატრადიციულ-ფუნქციონალური. დაისმის კითხვა: რომელი სისტემა უფრო ეფექტურია? ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა სწავლების ზემოხსენებული ორი სისტემის საფუძვლიანი გაანალიზება საუნივერსიტეტო სწავლების პირობების გათვალისწინებით.

3. ადრე ენის სწავლება შედარებით განყენებული და თეორეტიკული იყო. დღეს მან პრაგმატული ხასიათი შეიძინა. დიფერენციალურად უნდა მივუდგეთ, ერთი მხრივ, სპეციალისტი ლინგვისტების და, მეორე მხრივ, ენის უბრალოდ “მომხმარებელთა” მომზადებას. ენის ტრადიციული მეთოდით სწავლების წარუმატებლობა ნაწილობრივ იმით არის გამოწვეული, რომ ყველას ისე ასწავლიდნენ, როგორც ფილოლოგებს, ანუ ყველას თანაბრად ტვირთავდნენ დიდი მოცულობის თეორიული ინფორმაციით, რომელიც უფრო პროფესიონალი ლინგვისტისთვის იყო გამოსადეგი. უცხო ენის შემსწავლელთა მრავალი გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ მათს 76%-ს ენის ცოდნა მხოლოდ სამომხმარებლო-პრაქტიკული მიზნებისთვის სჭირდება.

4. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორივე სისტემას აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები; ორივე გამოსადეგია როგორც ლინგვისტების, ისე არალინგვისტების მოსამზადებლად; დროის მოთხოვნათა შესაბამისად, დღეს მისაღებია სწავლების კომპლექსურ-კრეატიული სისტემა, რომელიც განსხვავებულ მეთოდთა ელემენტების შერწყმით ხასიათდება. ამასთან, ყოველ მასწავლებელს უნდა მიეცეს სწავლების მეთოდების თავისუფლად არჩევის უფლება, რათა პირად პედაგოგიურ გამოცდილებასა და ალღოზე დაყრდნობით მოსწავლეს ჰარმონიულად განუვითაროს ენის ყველა კომპონენტის თანაბრად ფლობის უნარი, რაც ხელს შეუწყობს უცხო ენის თეორიულ და ფუნქციონალურ ათვისებას.

ა ნ ა ბ ა კ უ რ ა ძ ე
სიტუაცია, როგორც მეტყველების სტიმული და საფუძველი
უცხოური ენის გაკვეთილზე

1) მეტყველების ყველა ენობრივი თავისებურება, საბოლოო ჯამში სიტუაციითაა განპირობებული.

2) სამეტყველო სიტუაცია - მოქმედების კერძო შემთხვევაა, რომელშიც ხორციელდება ადამიანთა ურთიერთქმედება. ამიტომ სიტუაციას ახასიათებს მოქმედების ძირითადი თვისებები - შინაარსულობა, ევრისტულობა, იერარქიულობა, გარკვეული სტრუქტურა.

3) მეთოდის თვალსაზრისით, ჩვენი კვლევის საგანია უცხოური ენის გაკვეთილზე დრამა-კონფლიქტური სიტუაციებით ენის სწავლების და მოქმედების ორგანიზების მნიშვნელობის წარმოჩენა, რომელიც შედგება ურთიერთობების ამოცანების გადაჭრისგან. შეცდომის დაშვების შიშის გარეშე.

4) უცხოური ენის გაკვეთილზე მეტყველების სწავლებისას სიტუაციური, ანუ პრობლემური თემები (სავარჯიშოებით), შედარებით მეორეხარისხოვანია. ამიტომ უნდა მოხდეს შერჩევის შინაარსსა და სწავლებისთვის მასალის ორგანიზაციაში ორიენტაციის სვლა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ჭ კ უ ა ს ე ლ ი
უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის
თვითშეფასება

• საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესები უმაღლესი განათლების სფეროს მნიშვნელოვან გარდაქმნებს მოითხოვს. ძირეული ცვლილებები ბოლონის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემასაც ეხება. აღსანიშნავია, რომ საქართველო ბოლონის პროცესს 2005 წლის მაისში შეუერთდა.

• ბოლონის პროცესის ძირითად მიმართულებათა შორის, ერთ-ერთი უმაღლესი სკოლის აკრედიტაციის საკითხია. აკრედიტაციისაკენ მიმავალი გზა ევალვაციაა. განათლების სფეროში ევალვაციის სტანდარტები ევროპაში სრულად ჯერ კიდევ არაა დადგენილი.

- განათლების სფეროს ევალვაციის ერთ-ერთი რგოლი უმაღლესი სკოლის მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას მოიცავს. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებელთა შეფასების, ანუ ევალვაციის უამრავი მოდელი არსებობს. მოდელები, ძირითადად, საკუთრივ უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნების საფუძველზე შემუშავებული, თუმცა, ევროპულ სივრცეში არსებული ევალვაციის მოდელები ბოლონიის პროცესის ზოგადი მოთხოვნების გათვალისწინებითაა შედგენილი.


- ევალვაციის პროცესში შეიძლება შედიოდნენ: თავად პიროვნება (პედაგოგი), სტუდენტები, თანასწორრანგიანი კოლეგები, სუპერვიზორები და ექსპერტები, რადგან ისინი სწავლება/სწავლის პროცესის სხვადასხვა მხარეს წარმართავენ.

- საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრის (ERIC) მონაცემებზე დაყრდნობით ავტორი ბარეტ ჯოანი, თავის სტატიაში “მასწავლებელთა ევალვაცია” მასწავლებელთა შეფასებას შემდეგი კომპონენტებით მოიაზრებს: მასწავლებელთა ინდივიდუალური ინტერვიუება, პედაგოგიური კომპეტენტურობის დამდგენი ტესტირება, კლასზე დაკვირვება, სტუდენტების რეიტინგი, კოლეგების შეფასება, სტუდენტების მიღწევები, ფაკულტეტის თვითევალვაცია.

- ევალვაციის პროცესის ერთ-ერთ კომპონენტს თვითშეფასება, ანუ საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მასწავლებლის თვითშეფასების სქემის დადგენა როგორც თეორიული, ისე ემპირიული კვლევის საფუძველზე.

- მასწავლებლის პროფესიული საქმიანობა შეიძლება დავეოთ პედაგოგიურ და სამეცნიერო სფეროებად. ცხადია, იმთავითვე იგულისხმება, რომ პედაგოგიური საქმიანობის გამიჯვნა სამეცნიერო საქმიანობისაგან შეუძლებელია, ანუ ეს სფეროები ცალ-ცალკე არ განიხილება.

შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მასწავლებლის საქმიანობის სფეროები, პირობითად, შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



• სქემის შესაბამისად, მასწავლებლის თვითანგარიში შესრულებული სამუშაოს მიხედვით უნდა მოიცავდეს საქმიანობის სფეროებს:

1. პედაგოგიური (სასწავლო, აღმზრდელითი) საქმიანობა;
2. სამეცნიერო საქმიანობა;
3. სხვა აქტივობები;

• პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასებისას მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს:

1. სტუდენტთა აზრს, რომელიც მოიპოვება სპეციალურად შედგენილი სტუდენტური კითხვარებით(ანონიმური);
2. პროფესიულ-კოლეგიალურ აზრს, რომელიც მოიპოვება მეცადინეობებზე ურთიერთდასწრებით და ანალიზით;
3. სწავლების შედეგს – სტუდენტთა რეიტინგული მონაცემები, მონაწილეობა კონფერენციებში, პუბლიკაციები, სხვა სასწავლო წარმატებები;
4. მოტივაციას პედაგოგიური საქმიანობის დახვეწაში.

• სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასებისას მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს:

1. რეფერირებად გამოცემებში განთავსებულ პუბლიკაციებს;
2. მონოგრაფიების გამოცემებს;
3. სამეცნიერო-დარგობრივ კონფერენციებში მონაწილეობას;
4. პროფესიული განვითარების მოტივაციას;

• სხვა აქტივობების თვითშეფასებისას მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს:

1. დოქტორანტების ხელმძღვანელობას;
2. დისეტაციების რეცენზირებას;
3. პროფესიულ დარგში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობას და სხვ.

- წარმოდგენილი მასწავლებლის თვითშეფასების სქემა ეყრდნობა მხოლოდ თეორიულ მონაცემებს. მისი ადეკვატურობის შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ემპირიული კვლევის შედეგად, რომელიც მომავალში იგეგმება.

შ ა ლ ვ ა ტ ა ბ ა ტ ა ძ ე

განათლების რეფორმა და არაქართულენოვანი სკოლები

სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოსთვის სტრატეგიული პოლიტიკური მიმართულებაა. საქართველოს მთავრობის განაცხადის მიხედვით, სამოქალაქო ინტეგრაციის ქვაკუთხედს სწორედ განათლების სისტემა წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს და მის ასახვას არაქართულენოვან სკოლებზე.

მოხსენება მიმოიხილავს განათლების რეფორმის კონტექსტში არაქართულენოვან სკოლებსა და მოსახლეობაში არსებულ სიტუაციას. მოხსენების პირველი ნაწილი დაეთმობა საქართველოში არსებულ მრავალფეროვნებას და მის ასახვას საქართველოს განათლების სისტემაში, მეორე - საქართველოში განხორციელებული განათლების რეფორმის ძირითადი მიმართულებების მიმოიხილვას, მესამე ნაწილში მოხდება ზოგადი განათლების რეფორმის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებით, მოხსენების მეოთხე ნაწილში კი წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები როგორც არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, აგრეთვე ამ სფეროში სამომავლო პოლიტიკის შესამუშავებლად. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში შესაძლებელი იქნება არაქართულენოვანი სკოლების ეფექტური რეფორმირება, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციისთვის.

ე კ ა ა ქ უ ბ ა რ დ ი ა

კითხვა, როგორც პროცესი

კითხვა და გაგება შეიძლება ვასწავლოთ. კითხვის უნარ-ჩვევების განსავითარებლად მოსწავლეებს უნდა გამოვაცენებინოთ ჩუმი კითხვის ტექნიკა, რომელიც ხელს უწყობს შინაარსის

გააზრება - გაანალიზებას და კითხვისას სააზროვნო უნარების ამოქმედებას.

იმის მიხედვით, თუ რა ინტერესები აქვს მოსწავლეს, რა რეაქცია, სწავლების რა ტიპს მიეკუთვნება, რა მიზნით შეაქვს მასწავლებელს ტექსტი, შეგვიძლია კითხვის სხვადასხვა სტრატეგია შევთავაზოთ (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი/სელექციური).

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რას იგებს მკითხველი, ან რა უნდა გაიგოს, არამედ როგორ იგებს. ყოველი მკითხველი იგებს ტექსტს იმის მიხედვით, თუ რა გამოცდილება აქვს მას. ცნობილია, ჩვენ უკეთესად ვსწავლობთ და ვიგებთ, თუ ახლის ძველთან დავაკავშირებთ შევძლებთ. ამიტომ, სანამ გაკვეთილზე ახალ მასალას (შესაბამისად, ახალ ტექსტს) შევიტანთ, ვესაუბროთ მათ, რა იციან ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს ხელს უწყობს ტექსტის ადვილად გაგებას.

თუ მოსწავლეები მიჩვეულები არ არიან, გამოხატონ თავიანთი სუბიექტური აზრი ან თავიანთ შთაბეჭდილებებზე ისაუბრონ, მაშინ მასწავლებელს შეუძლია განაწყოს ისინი ამისთვის, ყურადღება მიაქცივინოს ტექსტის მთავარ პრობლემაზე, შეეცადოს, მოტივაცია გაუღვიძოს მოსწავლეს. უცხო ტექსტის კითხვით და მასზე მუშაობით შეიძლება მათ უცხო სამყაროს გაგება გავუადვილოთ, შინაგანი სამყარო გავუმდიდროთ.

მოხსენებაში იმ შესაძლებლობებს მიმოვიხილავთ, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას და დამოუკიდებელ მკითხველად გადაქცევას, რომელიც უცნობ ავთენტურ ტექსტს ვინმეს დახმარების გარეშე, ჩქარა და სხვადასხვა მიზნისათვის წაიკითხავს და გაიგებს. ეს მიიღწევა ტექსტზე მუშაობის დროს შესაბამისი სავარჯიშოების დახმარებით.

ტექსტის წაკითხვამდე: ლექსიკაზე მუშაობა - მოსწავლეებს ტექსტის გაგებისათვის რამდენიმე აუცილებელ ახალ ლექსიკურ ერთეულს მივაწოდებთ ან ძველს გავახსენებთ.

ვარაუდების გამოთქმა - მოსწავლეებს ვთხოვთ გამოთქვან ვარაუდი ტექსტის შინაარსის შესახებ სათაურის მიხედვით. თუ სათაური არაფერს გვეუბნება, ვაკითხებთ ტექსტის შესავალს. გამოთქმულ ვარაუდებს ვწერთ დაფაზე.

ტექსტის გაცნობისას: ჩვეულებრივ, გამოიყენება დახურული ან ნახევრად დახურული კითხვები.

დაწყვილება - ტექსტების და სათაურების დაკავშირება, რეკლამები და მათი შესაბამისი სურათები და სხვა.

გამოიგნონ, რა შეიძლება მოხდეს, როგორ დამთავრდება ტექსტი.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ:

- . ალტერნატივა- მართალია/არ არის მართალი.
- . არჩევითი პასუხები- მოსწავლე ირჩევს ერთ სწორ პასუხს.
- . ამოწმებენ გამოთქმულ ვარაუდებს.
- . ღია კითხვები: როგორ ფიქრობთ, როგორი პიროვნებაა ის? რომელი უფრო მოგწონთ, რატომ ფიქრობთ ასე? რას იზამდით მის ადგილას? არიან ასეთი პიროვნებები ჩვენთან, გვაქვს ასეთი პრობლემები ? და ა. შ.

როგორ შეიძლება გერმანულის კომუნიკაციურ გაკვეთილზე ტექსტების შეტანა, რა დოზით, რომელი თემებია რელევანტური გაკვეთილისათვის, როგორ შეიძლება შევარჩიოთ ტექსტები, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე:

. ენის შემსწავლებლები დამწყებები არიან თუ მაღალი დონის?

. ენის შემსწავლებლები მოსწავლეები არიან, სტუდენტები თუ ზრდასრულები?

- . რა ინტერესები აქვთ მათ?
- . არიან თუ არა გერმანიაში ნამყოფი?
- . რამდენ ინფორმაციას შეიცავს ტექსტი?
- . ტექსტი განაწყობს მათ სასაუბროდ?
- . რომელ განსაკუთრებულ ენობრივ პრობლემას გვთავაზობს ტექსტი (ახალი სიტყვები, წინადადების წყობა თუ ინფორმაცია)?
- . რამდენი საათია მასწავლებლის განკარგულებაში?

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს არა მარტო შემოკლებული ტექსტები ან ნაწყვეტები წავაკითხოთ, არამედ მთლიანი ნაწარმოებები. ეს უფრო აადვილებს ტექსტის გაგებას და ავტორის სტილის შეჩვევას.

თ ა მ ა რ გ ე გ ე შ ი ძ ე უმაღლესი განათლება საფრანგეთში

1. დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებს დიდი ისტორია აქვთ. პირველი უნივერსიტეტი, რომელიც ევროპულ სივრცეში გაჩნდა, არის ბოლონიის უნივერსიტეტი (1088წ). თუმცა, ამ საკითხზე სხვა თვალსაზრისიც არსებობს. მიაჩნიათ, რომ თუ უნივერსიტეტის ცნებაში მოვიაზრებთ სტუდენტებისა და პროფესორების ერთიან კორპორაციას, მაშინ სწორი იქნება, პირველ უნივერსიტეტად ჩავთვალოთ პარიზის სორბონის უნივერსიტეტი (1208წ).

2. შუა საუკუნეებში უნივერსიტეტები აღმოცენდნენ თეოლოგიური მსოფლმხედველობის წიაღში. თანამედროვე უნივერსიტეტების იდეა ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეებში, ფოკუსირება ძირითადად მოხდა მეცნიერებასა და მეცნიერულ კვლევებზე.

3. XVIII საუკუნიდან უნივერსიტეტები უკვე გამოსცემენ საკუთარ მეცნიერულ ჟურნალებს. ევროპაში უნივერსიტეტების ორი ძირითადი მოდელი ჩამოყალიბდა (რომელშიც ქვემოდელებიც მოიაზრება). ეს მოდელია: გერმანული და ფრანგული.

გერმანული მოდელის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ვილჰელმ ჰუმბოლდტსა და ფრიდრიხ შლეიერმახერს. გერმანული მოდელის თანახმად, უნივერსიტეტები ეფუძნებიან სრულ ავტონომიას, აკადემიურ თავისუფლებას და მეცნიერულ კვლევებს. ფრანგული უნივერსიტეტები აქცენტირებულნი არიან მკაცრ ადმინისტრირებაზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აკონტროლებს მოღვაწეობის ყველა სფეროს.

4. ბოლონიის დკლარამციადე საფრანგეთის განათლების სისტემა შემდეგი სახის იყო: უმაღლესი განათლების პირველი საფეხური – ლიცენციატი, მეორე მაგისტრი (Maitrise), რომელიც ორი ტიპის იყო: DEA - (Le Diplôme d'Études Approfondies – განათლების გაღრმავების დიპლომი) და DEES - (Le Diplôme d'Études Supérieures Spécialisées – უმაღლესი სპეციალიზებული განათლების დიპლომი), მესამე საფეხური დოქტორანტურა, რომელიც სამ-ოთხ წელს მოიცავდა. 2010 წლისთვის საფრანგეთის უნივერსიტეტებში განათლების სისტემა შემდეგი სახით იქნება წარმოდგენილი: ლიცენციატი (3 წელი), მაგისტრი, აქ კვლავ არის შენარჩუნებული მაგისტრის ორი დონე: Master Recherche – კვლევის მაგისტრი და Master Professionnelle – პროფესიული განათლების მაგისტრი. მესამე

საფეხური არის დოქტორანტურა. ლიცენციანტმა 3 წლის განმავლობაში უნდა მოაგროვოს 180 კრედიტი, მაგისტრმა - 120 კრედიტი, ხოლო დოქტორანტმა - 180 კრედიტი. მოდიფიცირება შეტანილია სახელწოდებებში და კრედიტების ტრანსფერის სისტემაში. საინჟინრო დარგებში კი ინტეგრირებული სწავლების ფორმაა მოცემული, ანუ ლიცენციანტს+მაგისტრატურა (5 წელი) და კურსდამთავებულს ენიჭება ინჟინრის კვალიფიკაცია.

5. საფრანგეთში, დაახლოებით, 3500-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, აქედან 83 არის საჯარო, 112 ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 5 კათოლიკური უნივერსიტეტი, 30 მასწავლებელთა მომზადების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და სხვა სპეციალიზებული უმაღლესი სკოლები.

6. სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების მოდელის (LMD) დანერგვას საფრანგეთი 2004 წლიდან შეუდგა. რეფორმა სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: ჰარმონიზაცია, ყურადღება.

7. საფრანგეთის განათლების სისტემის მრავალფეროვნება გარკვეულწილად ითხოვს დაინტერესებული საზოგადოების საჭიროებების განსაზღვრას, რაც, თავის მხრივ, არჩევანის თვალსაზრისით იწვევს გარკვეულ პრობლემებს, ამიტომაც არის რეფორმის სამი ძირითადი პრინციპი: ჰარმონიზაცია, ყურადღება და კონცენტრაცია.

თ ა მ ა რ კ ა მ კ ა მ ი მ ე

აბსტრაქტი სამეცნიერო კომუნიკაციაში და მისი დიდაქტიზირება გერმანული ენის ლექციაზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში

- სამეცნიერო კომუნიკაცია ჩვენს დროში სხვადასხვა დონეზე ხორციელდება. უახლესი ინფორმაციის მიმართ არსებულმა მზარდმა ინტერესმა აქტუალური გახადა დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის თემატურ და ფუნქციონალურ დონეზე სტრუქტურირება და მისი ამ სახით მიწოდება პროფესიული მკითხველისადმი.

- დღეისათვის აბსტრაქტი, ანუ მოკლე რეფერატი, სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექსტის სახეობაა. იგი არის ინფორმაციული მნიშვნელობის ტექსტი, რომელიც მკითხველს გარკვეულ დახმარებას უწევს დოკუმენტის /მასალის/ რელევანტურობის შეფასებაში. აბსტრაქტი გახლავთ ნეიტრალური,

შინაარსობრივად და ფორმალურად გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული, ძირითადად ორიგინალური ტექსტიდან ნაწარმოები მოკლე ტექსტი, რომელიც 100-250 სიტყვას შეიცავს.

- კომუნიკაციურ ჭრილში შეიძლება გამოვყოთ აბსტრაქტის სხვადასხვა ტიპი: ტექსტის პროდუცირების დროის მიხედვით – რეტროსპექტული და პროსპექტული აბსტრაქტი; ტექსტის შემთხვევის მიხედვით – საავტორო, სხვა პირის მიერ პროდუცირებული და ავტომატურად შექმნილი; სემანტიკურ პლანში შეიძლება განვასხვავოთ ინდიკატიური, ინფორმატიული და ინდიკატიურ-ინფორმატიული აბსტრაქტები; ტექსტში აბსტრაქტის ადგილმდებარეობის მიხედვით განასხვავებენ პარატექსტს, ჟურნალის ბოლოს განთავსებულსა და იზოლირებულად აბსტრაქტებისათვის განკუთვნილ ჟურნალში გამოქვეყნებულს.

- ზემოხსენებული თეორიული მსჯელობის პრაქტიკულად რეალიზებას შევეცდებით გერმანულ და ქართულენოვანი ტექსტების ინდივიდუალური და კონტრასტული ანალიზით. განვიხილავთ აბსტრაქტის დიდაქტიზების კონკრეტულ მეთოდებს.

- მსოფლიო გლობალიზაციის შედეგად საერთაშორისო დონის თითქმის ყველა სამეცნიერო-საგამომცემლო ორგანო ავტორებისაგან ითხოვს აბსტრაქტის გამოქვეყნებას არა მხოლოდ მშობლიურ, არამედ, აგრეთვე, ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე. ამდენად, ჩვენი სტუდენტებისათვის საინტერესო უნდა იყოს ამ სფეროში გარკვეული ცოდნის დაგროვება.

თ ი ნ ა თ ი ნ დ ო ლ ი ძ ე

მორალური აღზრდის კონცეფციების ზოგადი მომხილვა

(XX ს.-ის II ნახევარი, ევროპა)

- მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა მორალური აღზრდის საკითხები, კერძოდ კი წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული აღზრდა;

- ჩამოყალიბდა საერთაშორისო ტერმინი “moral education”;

- ზემოაღნიშნული საერთაშორისო ტერმინი თანაბარი სიხშირით გამოიყენება პედაგოგიკის, ფილოსოფიის, თეოლოგიისა თუ სოციალური მეცნიერების კვლევებში, რაც საკითხის უდავო აქტუალობაზე მიგვანიშნებს;

• ამ ტენდენციების საფუძველზე ევროპაში ჩამოყალიბდა მორალური აღზრდის სამი კონცეფცია:

1. (ნეო)-კონსერვატიული კონცეფცია;
2. ლიბერტანისტული კონცეფცია;
3. კონსტრუქტივისტული კონცეფცია;

• (ნეო)-კონსერვატიული, ანუ ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებების გადაცემის კონცეფცია, რომელიც ოთხ ძირითად პრინციპზე იგება, კერძოდ:

1. აქტუალობა და მნიშვნელობა დავუბრუნოთ საზოგადოების მორალურ მონაპოვარს და გადმონაშთის სახით შემორჩენილ ზნეობრივ ნორმებს.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დავნერგოთ მოსწავლეთათვის ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებებისა და ქცევის წესების გადაცემის პრინციპი (რაც თითქმის დღემდე აქტუალურია).

3. შევინარჩუნოთ ტრადიციული კონსერვატიული მიდგომები (საწყისები) მორალური აღზრდის საკითხში.

4. კონცეფციას ახასიათებს ავტორიტარული ინდოქტრინაცია, რაც გულისხმობს ინფორმაციის შერჩევის გზით ადამიანებით მანიპულაციას სასურველი იდეოლოგიური ხაზის გასატარებლად.

• **ლიბერტანისტული კონცეფცია** ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

1. ეს კონცეფცია სრულიად უპირისპირდება კონსერვატიულს;

2. ღირებულებათა გადაცემა-სწავლება და შეფასების უნარის გამომუშავება უნდა განხორციელდეს ფორმალურად, ამ პროცესისათვის მხოლოდ ერთგვარი ბიძგის მიცემის საშუალებით.

3. “Laissez faire” პრინციპი, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალების მიცემას აღსაზრდელისათვის. რელატივისტური მიდგომა.

4. აღზრდა უნდა დაეხმაროს ადამიანს თანშობილი პოტენციალის განვითარებაში და საზოგადოებასა თუ ადამიანთა ჯგუფში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში.

5. საზოგადოებას უნდა შევუწყოთ ხელი, თავად წარმართოს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესები და თავადვე დაადგინოს საკუთარი მორალური ღირებულებები.

6. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს სამ სიბრტყეზე: კოგნიტურ, ემოციურსა და ქმედით სიბრტყეებზე.

- **პროგრესული კონსტრუქტივისტული კონცეფცია**

1. ეს კონცეფცია ემყარება ძირითადად ლავრენს კოლბერგის მოძღვრებას და წარმოადგენს თითქოს შუალედურ ხაზს წინარე კონცეფციებს შორის.

2. მთავარი პრინციპია კოგნიტურისა და მორალურის თანაბარი განვითარება.

3. დამოუკიდებლად მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარისათვის მორალური საფუძვლის შექმნა რაციონალური ხაზის შენარჩუნებით.

4. კონცენტრირებულია მორალური განსჯის უნარის/მორალური კომპეტენციის აგებზე. მთავარი მორალური პრინციპი არის სამართლიანობა (თანასწორობა, ადამიანური ღირსება, ადამიანთა უფლებები და სხვ.).

5. მთავარი ხაზი უნდა იყოს განვითარება.